ნოშრევან ასანიძე

ლექციანი

კარი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2019

ამ კრებულში რამდენიმე ესე და მხატვრულ – დოკუ-მენტური პროზის ნიმუში გაერთიანდა, რომელთა ნაწილი სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში, ნაწილიც პირველად იბეჭდება.

რედაქტორი **პაატა ჩხეიძე**

ავტორი მადლობას უხდის ქ–ნ **ლუიზა ქისიევას**
წიგნის გამოცემაში გაწეული თანადგომისათვის

© ნ. არაბული, 2019

გამომცემლობა **„უნივერსალი", 2019**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com
ISBN 978-9941-26-463-4

შინაარსი

1. მოგზაურობა წიგნის სამყაროში 5
2. მიმქრალი ეპიზოდები ვაჟა–ფშაველას ცხოვრებიდან 25
3. განცდა მადლიერებისა და გაოცებისა (გაბრიელ ეპისკოპოსის თხზულება) 43
4. მარკესი ჩემებურად 48
5. სიტყვა, ენა, მწერალი (გ. შატბერაშვილის „თვალადური ქართლური“) 57
6. ასი წლის შემდეგ (აკ. შანიძის „ქართული ხალხური პოეზია“) 62
7. „ორბელიანმან საბამან...“ 83
8. დაგვიანებული ექო (გ. დოლიძის „ხევსურული ტექსტები“) 94
9. ივ. ჯავახიშვილი და „ჩვეულებრივი მკითხველი“ .. 99
10. ერთხელაც დუელის შესახებ (გაბაასება პ. ჩხეიძესთან) 104
11. კედლის გაზეთი და ცოტა რამ სხვაც 111
12. „სიკვდილი მთებში,“ ანუ რამდენიმე ეპიზოდი კურელების ცხოვრებიდან..... 120
13. მონადირული აზარი, ანუ დარიალის დამცველნი . 139
14. პატარა სოფლის ქრონიკები 149
14. „დრო თავის ტაძრებს აიგებს“ (გ. ჭინჭარაულის გახსენება) 158

15. ღრუბლებიდან ჩამოსული ქანდაკებები
(მ. ფირანიშვილის შემოქმედება) 166
16 ტიალო, გუდამაყარო!.. 176
17. დოღში წასვლა მას უხარის... 191
19. გაზეთ „არაგვის“ რედაქტორს 198
20. არც ფიქრს მოუკლავს კაცი 200
21. კვლავ „იწროს“ შესახებ 202

მოგზაურობა
წიგნის სამყაროში

წიგნი ქვეყანაა; ნამდვილი, ლამის – ლამის ხილული, ლამის – ლამის ხელშესახები, თავისი გეოგრაფიით, ლანდშაფტით, ცითა, წყლითა და ხმელით, ფლორითა და ფაუნით და, რაც მთავარია, მოსახლეობით, ხალხით, ჭრელი ხასიათის ქალებითა და კაცებით როა დასახლებული, რომელთა შესახებაც ავტორი გულახდილად გვიყვება, მხატვრულად, ლამაზად, ოღონდ ყველაფერს არა, რაც არავის აინტერესებს, რაც მეორეხარისხოვანია, ის რაში გვჭირდება, უმნიშვნელო წვრილმანმა რა უნდა მოგვცეს? ჰოდა, ავტორიც აღარაფერს გვეუბნება ასეთი რამეების შესახებ; დროდადრო დაიდუმებს, ამოისუნთქებს და ჩვენც ამოგვასუნთქებს, ამასაც ხატოვანად და ლამაზად ახერხებს, ოღონდ დრომდე და როგორც კი მნიშვნელოვანს რამეს იზამს და იტყვის ის ხალხი, წიგნის ხალხი, მწერალიც იქაა, იმათ რომ ეგონათ – არსადაც არ წასულა, იგი სულ იქ იყო, ყველგან იყო და არც იყო, სწორედ ისე, როგორც მამაზეციერი, ისიც ხომ შემოქმედია, პატარა შემოქმედი, ქვეყნის კი არა, წიგნის შემოქმედი, თავისი წიგნისა, რომელსაც რომ სულ თავს დასტრიალებს, დასტრიალებს და განაგებს.

ნამდვილ წიგნებზე მოგახსენებთ, ღირებულ ლიტერატურაზე, ლამაზ ქვეყნებზე, ამაღლებულ სულთა საუფლოზე, მდაბალნი და დაცემულნიც იქვე ვიშვიშებენ, იმათაც თავისი ხიბლი აქვთ, ცხოვრებაა, მზეს მთვარე ახლავს, დღეს – ღამე, კარგს – ცუდი... თავისუფალ და დამოუკიდებელ სამფლობელოებზე უნდა გიამბოთ, იმათზე კი არა,

სხვათა კალთებს რომ ამოფარებიან, ძლიერთა ამა ქვეყნისათა ჩრდილქვეშ რომ განაბულან, განაბულან იმათი ავტორებიც, ცას შეჰყურებენ, ელიაზე ლოცულობენ, მზვაობართა ხელებს შესცი‌ცინებენ და თუ ხელსაყრელი ტაროსი ჩამოუდგათ, პირველნი გაცვივიან, არვის არას დაანებებენ, რამეთუ იციან, რომ მათ ისრებს მზეზე ფრთები მოეღვენთებათ, რომ „წესად აქვთ, ხოცა ნადირთა მცირეთა“, ხოლო დიდთა მომსვრელნი მარადიულად ჰგიებენ, ნებისმიერ დროსა და ტაროსში, როგორც ლოდები უშველებელნი, მყარნი და მძიმენი, ყველანაირ დელგმასა და ქარიშხალს უდრტვინველად იტანენ, ვერას აკლებენ ვერცა მზაკვარნი, ვერცა მოშურნენი და ვერცა მპარავნი.

წიგნი ქვეყანაა, შობილია, ხოლო ავტორი – მშობელი და ისიც ხომ შემოქმედია, წიგნია მისი შესაქმე, იქა სჩანს მისი ყოვლისშემძლე ხელის ნაღვაწი, მისი თითების თრთოლვა და მოძრაობა განსაზღვრავს წიგნში ადამიანთა ბედსაც და თვით ბუნების ძალთა მოქმედების ასპარეზსა და გასაქანსაც. უძილო ღამეებში შენდება შემოქმედის სამყარო, მონუმენტალისტის სიჯიუტითა და რუდუნებით შემოჰკანკალებს ყოველ წვრილმანსა და მსხვილმანს, აღარც თავი ახსოვს და აღარც გარეშემონი თვისნი, თვითონაც იმ ქვეყანაში ჩასახლებულა, იქ ტრიალებს, იმათ შორის ცხოვრობს, იმათ ენაზე მეტყველებს, იმათი სიხარულით ილხენს და იწვის იმათი მწუხარებითაც.

და საოცარია, როგორ სძლებდა ადამიანი იმ ეპოქაში, წიგნი რომ არ იყო, არც წინადადებები, სიტყვები და ასოებიც რომ არ იყვნენ, ეს პაწიები; არა, იყვნენ, ცხადია, ბგერაში იყვნენ, მაგრამ მოხაზულობაში არ იყვნენ, ჯერ არც პაპირუსებზე და თიხაზე ნაკაწრის სახითაც კი არა, მერე რომ ნინევიაში ინახავდნენ და იქვე რომ ჩაიწვნენ და ჩაიმარხნენ;

თავად წიგნიც, როგორც ასეთი, იმათ ხომ თავისებურად ესმოდათ, მოცულობითი ფორმა კი არ იყო ხაზგასმული, არამედ – შინაარსობრივი, არც ჟანრის შერჩევისათვის იცხელებდნენ თავს. წიგნი იყო ყველაფერი, ლაკონურად გადმოსცემდნენ და წიგნი იყო, არ იყო აუცილებელი, ავტორი მაინცადამაინც ლაკონიელი ყოფილიყო, ლაკონიამდეც ასე იყო.

იქნებ ფერში ცხოვრობდნენ, აღარ ასვენებდათ შემოქმედად ქცევის წყურვილი, მაცდურია ქმნადობის ნიჭი, მაცდური და მრავალსახოვანი... მიადგებოდნენ ალტამირას კედლებს და გადაჰქონდათ ქვაზე თავიანთი სამყარო, ფერებითა და ხაზებით ქმნიდნენ, ფანტაზიითაც ქმნიდნენ, მერე ტკბებოდნენ ლოდზე განფენილი სამყაროს მზერით, გასაოცარი გულწრფელობითა და გემოვნებით რომ შეექმნათ და რა იქნებოდა სადმე ჩუმი სამზერიდან ჩვენც დაგვენახა „ველური“ მხატვრების ნამუშევრების წინ გარინდული და მტკბობარე ბინადარნი გამოქვაბულისა, ნეტავ რას განიცდიდნენ მშვენიერების მზერისას? რა ეხატათ გაბურძგნულ სახეებზე? როგორ ესმოდათ შემოქმედის სულის ხვეულებიდან წამოვარდნილი ქარიშხლის გუგუნი?.. ჯერ არ იყო გილგამეშის ეპოსი და რა ექნათ, არც ჰომეროსის ეპოსი, არც უძველესი სანსკრიტული პოეზია, არც ავესტას და არც რას საგალობლები, ჯერ სიტყვა ისევე დუღდა და დუმდა და რა ექნათ, სიტყვაში დამწყვდეულ აზრს ოხშივარი ასდიოდა და სადაცაა ამოაფრქვევდა. მზე რომ დაიწევდა, დაისისკენ რომ დაიხრებოდა, ნარინჯისფერს რომ შეაფრქვევდა ხილულ სამყაროს, გუთნისდედებს თუ აღმოხდებოდათ ოფლში ამოგანგლული ღვთაებრივი ბგერები, მერე იმ ამოდსასმენ გმინვას ღრუბელივით შეუჯდებოდა მეხრეების ბუბუნი, აიწევდა ნაღვლიანი გუთნური, ჟრჟოლასავით წაი-

ღებდა ცის გუმბათის სიღრმეებში საგოდებელივით მწუხარე მელოდიას, სევდის მელოდიას, სამოთხედან ლტოლვილთა სევდისა და ნუთუ არც მაშინ იყო სიტყვა? თუ იყო ღმერთი, მაშ სად იყო სიტყვა? – იქ იყო! თავად იყო, ღმერთი იყო სიტყვაში და სიტყვაც ღმერთი იყო...

და რომელიღაც წლის რომელიღაც დღეს გაბედა და შეტოპა ფიქრის მდინარეში, მოუხეშავმა ხელმა თავად იპოვა საჭირო იარაღი, ხოლო იარაღმა ღვთისაგან მომადლებული ძალით, ადამიანის ფიქრისა და გონების ნაყოფი, უსწორმასწორო ხაზებში სამუდამოდ დამარხა და შეინახა, როგორც უდიდესი საიდუმლო ადამის მოდგმისა, აღარ იყო ის იმ დღიდან კაცი, იგი ყოვლისშემოქმედის ნათლული იყო, ხატი იყო და მსგავსი, მისგან ჰქონდა მიმადლებული ქმნადობის ნიჭი, ოღონდ არ უნდა შებრძოლებოდა ნათლიას, თორემ გაიწირებოდა, არცა ორფეხი, არცა ორხელი, საკუთარი თავის შეცნობას უნდა დასჯერებოდა, ამასაც თუ შესძლებდა, მეტი რაღა უნდოდა, განა ეს ცოტა იყო? ან კი ვინ გასცდენია ამას! და ეს უბადრუკი მღილი, ეს საცოდავი... ნეტავ იყო კი იმისი ღირსი, რაც მიიღო? შესძლებდა კი შექმნას? ეყოფოდა კი მის სიტყვას საამისოდ ძალა და მადლი? – ეყო!..

ეს არ არის ბუკინისტური მაღაზია, არც ბიბლიოთეკაა, დავუშვათ, ეს უამრავი ქვეყნის კავშირია, ერთად თავმოყრილი უამრავი ქვეყანა, რომლებიც სჯერდებიან თავიანთ საზღვრებს, თავიანთ ყდებში მშვიდად ცხოვრობენ, არას ერჩიან ერთურთს. არა და დასაბამიდან დღემდე, რაც ადამიანმა კალამს, სტილს მოკიდა ხელი, ყველა აქაა. ათასობით ავტორი, მილიონობით გმირი, თითქოს წარმოუდგენელი ქაოსი უნდა სუფევდეს, მაგრამ ისეთი წესრიგია, კაცთა

საზოგადოებაში რომ არც ყოფილა და არც იქნება. ყველამ იცის თავისი ადგილი, ყველას ჰყავს თავისი მეგობარი, თუ არ ჰყავს, იმასაც უდრტვინველად იტანენ, ერთი ფიქრი და დარდი აქვთ მხოლოდ – ფიზიკური განადგურების საფრთხე, ცოცხალთა მარადიული თანამდევი შიში, ამიტომაც დაუდევარი პატრონის ხელში არ უყვართ, მათთან, ვინც ვერ უმკლავდება მღრღნელებისა და ჩრჩილების, ორფეხებისა და მრავალფეხების შემოსევებს.

დიდი ბიბლიოთეკების წიგნთსაცავებში ხომ ენით აუწერელი აღტაცება ეუფლება კაცს; რამდენი ვინმეა აქ, ასობითა და ათასობით ავტორს მოუყრია თავი, რამდენი ფიქრი და განცდა, რამდენი უძილო ღამე, რამდენი ტანჯვა, ტანჯვა... რამდენი სიხარული და ეს ყველაფერი ერთად თავმოყრილი, ხელის გაწვდენაზეა, გენიოსთა გრძნობისა და გონების ნაყოფი, დღემდე რომ კარგად ვერც კი აგვიხსნია, ან კიდევ – გვგონია, რომ ავხსენით, თითქოს აქვე არიან, ჩვენს გვერდით, თანშეზრდილი მეგობრებივით გვემასლაათებიან, მაგრამ მაინც მიუღწეველნი და მიუწვდომელნი რჩებიან, მიმზიდველნი, მაგრამ თვალისმომჭრელნი.

და რა არ გადაუტანია ამ სიტყვასთან შეჭიდებულ ადამიანებს, რამდენი მწუხარება და უმძიმესი ბრძოლები საკუთარ თავთან, „ჭიდილი საკუთარ გულთან," სხვათა ტკივილითა და სიამით ცხოვრება, თანამედროვეთაგან დევნა და შევიწროება და, რაც მთავარია, უმადურობა, სისხლის გამყინავი და გულისმომკვლელი, სხვათათვის, ჩვენთვის დაფერფლილი გულისა და, ბოლოსდაბოლოს, რამდენს გასწორებიან ფიზიკურად, ანუ რომ ეგონათ, რომ გაუსწორდნენ, ჩაჰკლეს, მოუთავეს ხელი, არა და პირუკუ მომხდარა, სწორედ მაშინ აღმდგარან, მაშინ დაბადებულან ხელახლა და წამომართულან, ვერ მისწვდენიათ ხელი მსახვრალი, შე-

მოდგომის ხეს რო ფოთოლი, ისე შემოჰფანტვიან უკეთურნი და კვლავ აღმდგარან ზემსწრაფნი და სხივნათელმოსილნი.

და რა საოცარი განცდაა, ჯიბეღონივრად რომ შეხვალ წიგნების საუფლოში, ქექავ და აქოთებ და დაეძებ ნაცნობსა თუ უცნობ ავტორებს, ოღონდ უკვე სახელმოხვეჭილთ, ძველსა თუ ახალს, როგორც დიდი ხნის უნახავ, უგულითადეს მეგობრებს, ვისაც ენდობი, ვისკენაც მიგიხარია, გული ვისკენაც გეწევა, გადმოიღებ თაროდან, ხან თავში გადაშლი, ხან ბოლოში, ფასსაც დახედავ, ცხადია, სადღაც შორს გაგიშეშდება თვალი, უაზრო მზერას გადაავლებ წიგნებით გადაჭედილ თაროებს, ფიქრობ, გეფიქრება, თუ შესწვდები – გიხარია, თუ ვერა – გული გწყდება, განცალკევებით გადააწყობ, გადაიანგარიშებ, კიდევ გინდოდა, უკმარისობის გრძნობა გაწუხებს, ვეღარ გაგიბედავს, ხვალინდელი დღისა გეფიქრება, დიდი ყოყმანის შემდეგ რაღაცას წყვეტ და ახლა ერთი სული გაქვს სახლში მალე მიხვიდე, ჩაუჯდე, ანოტაციიდან დაიწყებ, იქ წინასიტყვაობა ავტორისა, ახლა რედაქტორისა, მერე სარჩევი, ან სულაც სარჩევიდან დაიწყებ, ანუ ბოლოდან, წიგნის მოამაგეთა სიასაც ჩამოიკითხავ, შუა–შუაც გადაშლი, ტექსტსაც გაუსინჯავ გემოს და მოემზადები გემრიელი „ვახშმისთვის“, საღამოზე რომ თბილად ჩაწვე და ნანატრ წიგნს დამშეულივით დააცხრე... ან რბილ სავარძელში ჩაეფლო, დილაა სულაც, ფეხები სადმე მაღლა შემოაწყო, სიგარეტიც იქვე, ახლო, მოხერხებულად, რაიმე სასუსნავიც არ იქნებოდა ზედმეტი, ან, ვთქვათ, ბაღში, მიმწუხრისას, ჩიტნი რომ სიმღერით მიაცილებენ მზეს დაისისაკენ, თუნდაც აივანზე, მყუდროდ, ჩრდილში, თუ წვიმს, ან თოვს, ამაზე მეტი ხომ რაღა უნდა ინატრო და სიჩუმე, დიდი სიჩუმე, რათა ბოლომდე და სრულად ჩაეფლო

საყვარელი მწერლის მიერ შექმნილ სამყაროში, შეცურო მისი გმირების ცხოვრების მდინარეში და თავდავიწყებას მიეცე... და სტკბები, ნირვანაა და რაც უფრო მეტ სიამოვნებას განიცდი, მით უფრო აგეკვიატება შიში, რომ ეს განცხრომა არ გაგიმწაროს სწორედ იმან, ვისგანაც ყოველივე ეს მოედინება – ავტორმა!.. ერთი უგემოვნო მონასმი, ერთი შაბლონური ფრაზა, ერთი... ერთი... ანუ რატომ ვერ ვპატიობთ მეგობრებს იმას, რასაც ნაძირალებს დიდსულოვნად მივუტევებთ ხოლმე? იმიტომ, რომ მეგობრისაგან ამას არ ელი, მოულოდნელობაა მომწყვლელი, გჯერა, რომ ის ამას არ იზამს, მეტიც – ვალდებულია, არ ქნას, ჩემს წინაშე კი არაა ვალდებული, საკუთარი თავის წინაშე და ასეთი როა, სწორედ ამიტომაა ჩემი და რამდენადაც ჩემია, მით უფრო მიჭირს მიტევება და ვინაა, ბოლოსდაბოლოს, მეგობარი? – სულის სალბუნი! ჰოდა, აღარც რჩეული ავტორია სხვა რამ და სხვა ვინმე და აქედანაა ის გაუბედავი შიშიც, კითხვისას რომ აგედევნება ბედისწერასავით.

თუმცა ხანდახან გამოერკვევი, მზერას წიგნს მოსწყვეტ და რომელიმე აკვიატებულ საგანს, ან შორეთს, თუნდაც თაკარა მზით განათებულ, ტყიან ფერდობს მიაბჯენ, სადაც ცხელი დღის ალმური შეყუჟულა, წახვალ ფიქრებისა და განცდების შორეთში, იაზრებ წაკითხულს, იბეჭდავ გონებაში, იქნებ ეჭვსაც აუტანიხარ, რაღაც არ მოგწონს, ჩადიხარ, ავტორის მიერ დაფარულ სიღრმეებს აქოთებ, რაღაც ვერაა ისე, როგორც შენ გინდოდა? მაგასაც არა უშავს, უამისობაც არ იქნება; ჰოდა, თუკი ასეთი ხარ, კალამ – ფურცელიც იქვე უნდა გქონდეს, მოგწონს? – იწერდე, არ მოგწონს? – ამასაც უნდა იწერდე. წერა კითხვის განუყოფელი ნაწილია. წერის სურვილი კითხვისასაც იბადება, იქ შე-

დიხარ, წიგნის სამყაროში, მოწყდები საკუთარ მიწას, ზე ახვალ და ხანდახან ასე გგონია, კი არ კითხულობ, შენ წერ, ისე აილუფხები, აღარც კი გახსოვს, თუ სადა და როგორ ხარ და ცოდვა ხარ, თუ არ წერ, თუ არ იწერ მაინც, თუ არ შენიშნავ; თუ არ განსჯი, არაფერი მკითხველი არა ხარ, საკუთარი აზრი თუ არ გაგაჩნია წიგნზე, ან – გმირზე და იმ აზრს თუ წერილობით არ აყალიბებ, თუ ეს წესად არ გაქვს, წიგნს რომ გადასდებ, კალამს თუ არ წამოავლებ ხელს, გართობის გულისათვის წაგიკითხავს, დროის მოსაკლავად, ასეთ კითხვას კი ერთი დიდი პლუსი ნამდვილად აქვს – მზესუმზირის კნაწუნს უდავოდ სჯობს!..

აი, ლამაზი, მხედრული ასოებით გამოყვანილი წარწერა – „აფთიაქი“, ვაღებ კარებს, შევდივარ, უშველებელი, გრძელი ბარიერი, დახლსაც რომ ეტყვიან, ბარიერის მიღმა თეთრქუდხალათიანი, სანდომიანი გოგონები დაცქრიალებენ, ჯანმრთელობაშერყეულ პაციენტებს თუ კლიენტებს მოკლე, მაგრამ მომხიბლავი ღიმილით მოვარაყებულ განმარტებებსა და რჩევებს აძლევენ; აფთიაქში თაროები ჭერზეა მიბჯენილი და წიგნებითაა გადაჭედილი. სტუმრებიც ბევრი ჰყავთ, ირევიან, საუბრობენ, ზოგს ეს წამალი მოსწონს, ზოგს – ის, ზოგს – ეს გმირი, ზოგს – ის, ზოგს – ეს ავტორი, ზოგს – ის, ამათგან ხორციელი ტკივილი არავის აწუხებს, სულში სტკივათ, გრძნობებში, აზრებში და ფიქრებში სტკივათ, ზოგ ტკივილს ეს წიგნი უხდება, ზოგსაც – ის, ზოგს კიდევ ერთდროულად რამდენიმე მედიკამენტი აქვს გამოწერილი, ექიმებიც იქვე არიან, თუ სურვილი გაქვს, გაგესაუბრებიან, დიაგნოზსაც იქვე დაგისვამენ და რეცეპტსაც იქვე გამოგიწერენ, დაავადებებიც ინდივიდუალურია, ერთი და იგივე სნეულებაზე ამას თუ „ომი და მშვიდობა“ უხდება, იმას, შესაძლოა „მარტოობის ასი წელიწა-

დი“ მოუხდეს, თუ კაცს „ოდისეა“ აქვს დანიშნული, მკურნალობის მეორე ეტაპზე „გულივერის მოგზაურობაც“ არ აწყენს, აგერ იმას რეცეპტში „ბალახის ფოთლები“ უწერია, მაგრამ იმისათვის, რომ გაუთვალისწინებელი რეციდივები აიცილოს თავიდან, ექიმს „გარგანტუაც“ გამოუწერია, ეს კი შედარებით მძიმე ავადმყოფია, ამას დილაობით შექსპირის სონეტები მოუხდება, საღამოობით კი – პეტრარკასი, ერთ დიდ თაროზე „ვეფხისტყაოსანებია“ ჩამწკრივებული, ისინი რეცეპტის გარეშე გაიცემა. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად აქაური წამლების მიღება რეკომენდირებულია დილით ადრე, გამთენიიდან, თუმცაღა არც მერე და მერე იკრძალება, მით უფრო საღამოობით; ძილის წინ, ხალისიანი განწყობისა და ჯანსაღი ძილისთვის ზოგს „დონ კიხოტს“ უნიშნავენ, ზოგს – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“, ზოგისათვის „დეკამერონიც“ შეიძლება, პოსტრელაქსაციურ პერიოდში მიღებულია თითო აბი „გურიის მთებს“, ან „კაი ყმა“, ერთჯერადი კურსის სახით წვევამდელებს უნიშნავენ „ხევისბერ გოჩას“, ახალგაზრდა მშობლებისთვის კი სავალდებულოა ვაქცინა „გამზრდელი“, ერთ თაროზე, შორეულ კუთხეში, სულ მუქი ფერის ტომეულებია მიყუჟული, ეს ძლიერი ზემოქმედების ფსიქოტროპული საწამლავებია და ზემოდან ერთიანი დასათაურება ამშვენებს – „მარქსიზმის კლასიკოსები“, ცალკეა აგრეთვე ეროვნული წარმოების პროდუქცია, აქ დიდი რიგებია, როგორც ჩანს ხალხი ადგილობრივ ნედლეულზე დამზადებულ მედიკამენტებს უფრო ენდობა, ამ წამლებს ზოგი იქვე ხსნის და ხმამალა უსინჯავს გემოს, ხალხი გარეთ კმაყოფილი გამოდის, უხარიათ და ამაყობენ, რომ ისეთ ქვეყანაში ცხოვრობენ, სადაც ადამიანის ჯანმრთელობაზე სახელმწიფო ბევრს ზრუნავს, რაც იმაში გამოიხატება, რომ აფთიაქებში წამლები უფასოა და

უჰ... იმის აღნიშვნა კი სულ გადამავიწყდა, რომ ეს ერთი მეოცნებე კაცის უბრალო სიზმარია, თქვენ წარმოიდგინეთ, რა ამბავი იქნება უჭკვიანეს ფილოსოფოსთა სიზმრებში და ქვეყანაზე ხომ ნუღარ იტყვი, ვინ იცის, რამდენი რამ ხდება ქვეყნად ისეთი...

და ხარ ნეტარებაში, გულს უსაზღვრო სიხარული გიფორიაქებს, როცა არ კითხულობ, მაშინაც იქა ხარ, გმირების განცდა გადაგდებია, მათი ტკივილი და გულის სალბუნი გაგჯდომია სისხლსა და ხორცში; თუ მოწყდი, ერთი სული გაქვს, დაუბრუნდე, მეფისტოფელის სიტყვებს ჩაეძიო, დიდი გონების ათწლეულობით ნახარშის მსუყე სურნელი იყნოსო, დატკბე იმითაც თუ როგორ თამაშობენ ფოლკნერის გმირები შაშს, კართაგენის გალავნიდან გადახედო ქალაქიდან გამსვლელი ჯარის კოჰორტებს, დატკბე ჰექტორის უდიადესი სულისკვეთებით და იძულებით მოიხარო ქედი აქილევსის წინაშე, მერე თვალი შეავლო ჰემინგუეის აღმოჩენილი აისბერგის წვეროს, იქით კიდევ შემოდგომის სოფლური საღამოს იდილიაში ჩაფლული ლევინი გელოდება, ჩვენი ჯავახიშვილი მისდგომია აზრისა და სათქმელის უსიერ ტყეს, უშიშვლებია ქართული სიტყვა და ჩეხსა და ჰკაფავს, ჰამლეტი შეუპყრია მარადიულ საფიქრალს, აბრაამის ხვედრი უფრო მძიმეა თუ ოიდიპოსის, მამა გორიო უფრო უბედურია თუ მეფე ლირი, გონების თვალი რომელს უფრო კარგად ხედავს, ფლობერის კართაგენს თუ ჯოისის დუბლინს, გუთანსა და კალამს რომელი უფრო კარგად ხმარობდა, რობერტ ბერნსი თუ ლუკა რაზიკაშვილი, სიკვდილი ვის უფრო კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, დოსტოევსკის თუ აკუტაგავას, ვისი გმირები უფრო ლამაზად კვდებიან, ვის უფრო თავგანწირვით უყვარს, ვის, ვის არ შეუძლია მამულის გარეშე, წიგნის გარეშე, კალმის გარეშე, სიტ-

ყვასთან ჭიდილისა და თამაშის გარეშე, რომ მოსწყდე ამ დაწყევლილ ყოველდღიურობას და ფიქრმა და ფანტაზიამ უსაზღვრო სივრცეებში შეინავარდოს...

და ამდენ წიგნებში ამდენ ბორიალსა და მოგზაურობას რაიმე შედეგი რომ არ მოყვეს, არ შეიძლება, ამდენ ჭკვიან კაცს ამდენი უფიქრია და უშრომია, ამდენ ხანს მათთან ყოფილხარ, შენც მათი ტკივილითა და სიხარულით აღვსილხარ, გიმასლაათია და გიჩურჩულია მათთან და როგორ შეიძლება, ამდენმა გულითადმა ურთიერთობამ კვალი არ დატოვოს შენში? წერა თუ არ შეგიძლია, ჩაწერა ხომ შეგიძლია? თუ არც ეს შეგიძლია, ის მაინც უნდა შესძლო, რომ აფორისტული გამონათქვამები და შეგონებანი ფონისაგან გაარჩიო, ტექსტის მდორე დინებისაგან გაარჩიო და მერე ორაგულივით წამოაგო მეხსიერების ანკესზე; ასეთი ნუგბარით თუ დააპურებ ცნობისმოყვარეობითა და შიმშილით ატანილ გულსა და გონებას. თუ არც ეს შეგიძლია, მაშინ სხვა საქმეს უნდა ეწიო, ეს შენთვის არ ყოფილა, შემთხვევით მოხვედრილხარ წიგნის ქვეყანაში და იქ დიდხანს ისედაც ვერ გაჩერდები, გადაგივლის, მერე კი გულს დაგწყვეტს უქმად გაფლანგული ამდენი ძვირფასი დრო, მაგრამ თუ შეგიძლია, სიტყვაში ან საქმეში თუ გამოგადგა ის წაკითხული, დრო არ დაგიკარგავს, კალმისკენ თუ გაგექცა ხელი ხო მითუმეტეს და ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცოდნა მიგიღია, ან კი მეტი რა უნდა მიიღო, ამაზე კარგი რაღა უნდა მიიღო წიგნიდან!..

მაინც არსებობს ცოდნის მიღების მეორე გზაც, მაგრამ იგი დროში გაწელილია, იმდენად გაწელილია, რომ შესაძლოა შენ აღარც კი გამოგადგეს; ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე მოგახსენებთ, არანაკლებ მტკიცეზე და სანდოზე,

თუმცაღა მისი გადაცემაც შეიძლება, წერილობითი გადაცემა არა მაქვს მხედველობაში, თხრობითი გადაცემა მაქვს, საუბრით გადაცემა, გადაცემა პირადი მაგალითის ჩვენებით. ასე არ იყვნენ უძველესი მისანნი და ქურუმნი, გურუნი და მოძღვარნი? ეზოთერული ცოდნა ამ გზით არ გადადიოდა კაციდან კაცზე, თაობიდან – თაობაზე!

ჰო! კი! მეორე გზაც არსებობს, მაგრამ წიგნის გზა უფრო ფართო და ვრცელია, უფრო შორიდან მოდის და უფრო შორსაც წავა და, რაც მთავარია, დროში მოგებული რჩები და სამოქმედო ასპარეზს შენ თვითონ მართავ, არც მდგომარეობაზე ხარ დამოკიდებული და არც დამრიგებელზე. წიგნები ისეთი ხალხის დაწერილია, რომლებიც შეგირდებიც არიან და მასწავლებლებიც, მათი სმენა მახვილია, ხოლო თვალი – გამჭოლი, ისინი ადამიანს შიგნით ჭვრეტენ, თვალებში უყურებენ, თვალები ხომ სარკეა ადამიანის სულისა, ეს ძველი გამოთქმაც ვიხმაროთ, თვალებს ვერსად დამალავ, იქიდან ასხლეტილი ათინათი ზუსტი ანარეკლია სულისა, იგი არც რამეში გაივლის და არც არაფერში გარდატყდება, ზუსტი და მკაფიოა, რასაც უყურებ, ის არის, წამკითხველი უნდა და აგერ – მწერალი, აგერ – ხელოვანი, ამათ შეუძლიათ სხვებზე კარგად ამოიკითხონ, თუ რა სტკივა ადამიანს, რაზე ოხრავს, რისაა ის აღმაფრენა, საკუთარ ტყავში და კანში რომ ვეღარ ეტევა კაცი, მათი ხელობა სხვათა ტკივილისა და სიხარულის წაკითხვაა, უამისოდ ხასიათს ვერ შექმნიან, ხასიათის გარეშე კი ტიპი ლეშია და რამდენადაც უფრო ძლიერია ხასიათი, კაცისა იქნება თუ ტიპისა, მით უფრო შთამბეჭდავია, მით უფრო კარგად შეუძლია ამოიკითხოს ადამიანის გულისნადები მაშინაც კი, როდესაც ერთს ფიქრობს, მეორეს ამბობს და მესამეს აკეთებს. ეს ხელოვანის შესაძლებლობა კი არა, მოვალეობა-

ცაა. ამიტომაა იგი ღმერთის რჩეული და ჭეშმარიტად ასეთი ადამიანები იმიტომაც არიან თავმდაბალნი და მოკრძალებულნი, რომ მათ კარგად იციან ერთი სიბრძნე – არ იამაყო! უკიდურეს შემთხვევაში იამაყე მხოლოდ შენგან დაღვრილი ოფლით; რისთვისაც საკუთარი თავის ალაგმვით მიგიღწევია, იმით იამაყე, მაინც და მაინც თუ ვეღარ ისვენებ, მაგრამ რა უფლება გაქვს, იამაყო იმით, რაც ღვთიურია შენში; საჩუქრით სიამაყე – უზნეობაა! ტალანტი კი სწორედაც ღმერთის საჩუქარია და თუ შენში მისი გამონათება შენიშნე, იმ დღიდან შენს თავს აღარ ეკუთვნი, ქვეცნობიერად ხვდები რომ მონად ხარ დაბადებული, ჯერ ღმერთის და მერე სამშობლოს მონად, რადგან უღმერთოთ ქვეყნისთვის კარგი არაფერი მოუტანიათ.

და როგორ გინდა, ეგ შენი დაგროვილი ცოდნა, შენში რომ ვეღარ ეტევა, კალაპოტიდან გადმოსვლას რომ ლამობს, განდობის წყურვილს რომ შეუპყრია, როგორ გინდა, სხვასაც გაუზიარო და მიუწილადო, როგორც ნექტარი, ან, სულაც, როგორც ამბროსია, ჯერ ხომ თავი უნდა მოუყარო, დააწყო და დაალაგო, ანუ სისტემაში მოაქციო, ზედმეტები ჩამოატეხო, მესმის, რომ მარმარილოა და ძვირფასია, არ გემეტება, მაგრამ ზედმეტი – ზედმეტია, რასაც არ აფუჭებს, არაფერს აკეთებს და როგორც არ უნდა გიჭირდეს, უნდა შეელიო, მხოლოდ ასეთს მიიღებენ, აზრი მხოლოდ ასეთს გააჩნია. არა, უნდა გაუზიარო, ფორმას უნდა მიაგნო, ყალიბის არჩევა შენი ვალია, რომელ ყალიბშიც უფრო ლაღად და მსუბუქად იგრძნობ თავს, ის უნდა აირჩიო, იქ უნდა ჩამოასხა და თუ იგი წიგნი იქნება, ძალიანაც კარგი, ჩემთვის, შენი – რა გითხრა, რით გაგახარო, წინ ჯოჯოხეთური სამუშაო გელის, ვერაფრით განუგეშებ, მე – მითუფრო, მე ვინა ვარ, ჯაფისთვის გაგიმეტებია თავი და ეგაა, ასე

იტყვიან დიდთა მომკვლელნი, აი, ოთარი როა ჩვენი, ჩხეიძე, მამა–ბიძების სისხლი რომ ერთი რომანით აიღო; მაგრამ თუ დაატყვე რომ როგორღაც კარგად გამოგდის, ვეღარც შეელევი, წერამ თუ სიამოვნება მოგანიჭა, ხომ დაღუპულხარ და ეგ არის, ამასაც ისინი ამბობენ, ფოლკნერი იტყვის, ფოლკნერს, მე მგონი, დაეჯერება, მშვენიერი მონადირე იყო, დიდებული...

რომ კითხულობ, თამაშად და მღერად გიჩანს, ამას რა უნდა, ასე ხომ მეც დავწერდიო, გაიფიქრებ და თუ სულმა წაგძლია და კალამს წაეტანე, ალიყურიც მოგხვდება, ის ალი ხელზეც მოგედება და გაგივარდება კალამი, როგორც ბევრს გავარდნია; ბევრსაც არ გავარდნია, როგორღაც იოლად გამოსვლია და უჭამია კიდეც ხალისი, მიჰყოლია აზრის ჭენებას და გამოსვლია; მოკლედ, ვერ გაიგებ, როგორც ჩანს, ყველაფერი იქ, ზემოთ, ცაში წყდება და, აბა, ჩვენ რა უნდა გავუგოთ... ისე, ეგ ფიქრი რომ მოგივლის – ასე ხომ მეც დავწერდიო, ვისი წიგნის კითხვისასაც ეგ აზრი გაგიელვებს, ის ავტორი, თუ მანამდე არ იცნობდი, ახლა მაინც კარგად დაიმახსოვრე, საყურადღებო ნიშანია, სხვა დროსაც კმაყოფილი დამირჩები.

აზრი!.. აზრი კარგია, სანამ თავშია, კარგი და თვინიერია, მაგრამ, როგორც კი ქაღალდზე გადასატანად დაეღირები, მაშინვე გაგიოჩნდება უწურთნი კვიცივით; სიტყვასაც თავისი მხედარი სჭირდება, მწერლის ხელოვნება სიტყვის დაურვებაა, სამანიშვილის ცხენით შორს ვერ წახვალ, მაგრამ ვერც მიმინოშვილის ცხენით წახვალ შორს, მხედარია საქმე, როსინანტი რო როსინანტია,იმით უფრო შორს არ წავიდა დონ კიხოტი?! წავიდა რომელია!.. ისე კი, მერანი მაინც სულ სხვაა, ფიცხი და მოუხელთებელი, მსრბოლი და

მიმფრენი, ნიავივით მქროლავი, მხოლოდ ასეთ მონავარდე სიტყვას აქვს ფასი, ოღონდ აღვირი მტკიცედ უნდა გეპ-ყრას, რათა თავი არ წაგართვას, თორემ უფსკრულში გადაგჩეხავს, ბევრი გადაუჩეხია აღვირახსნილ სიტყვას... ჰოდა, წიგნიდან მოდის ეს ყველაფერი და თუ შენშიც შემოქმედის სულია ჩაბუდებული, როცა იქნება, აუცილებლად ამოაფრქვევს, მოქმედი ვულკანის დაშოშმინება არ იქნება, მთავარია, მოქმედი იყოს, დუღდეს და იხარშებოდეს, ჩამქრალი არ იყოს – მხოლოდ შიგნით, თავისთვის რომ ბუყბუყებს, ამირან გულში მღეროდაო..

კომფორტი უყვარს ადამიანს, ყოფითი პრიმატი მხოლოდ რომანტიკოსებს ხიბლავს, ამათთვის კომფორტი დისკომფორტია, ესენი, ასე ვთქვათ, შინაგანი კომფორტის ხალხია და ზოგისთვის ყველაზე დიდი კომფორტი ისაა, საკუთარ ჭერქვეშ რომ გექნება ყველა საჭირო წიგნი. დაგჭირდა? ბიბლიოთეკაში წასვლა აღარ გინდა, აქვეა, თაროზე, გადმოიღებ და გადაშლი. თუმცა ზოგი ბიბლიოთეკებში უფრო მეტ სამუშაო განწყობილებას პოულობს, იქაური ფუსფუსი და ჩურჩულ–კურკური უფრო ხიბლავს, ვინმე ნაცნობს გადაეყრება, ენას მოიფხანს და თან დაისვენებს, ცოტას შეიქაქანებს. არა, აქვს, როგორ არა, ბიბლიოთეკასაც თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ თუ მაინცდამაინც კომფორტზე მიდგება საქმე, ჩემი ნაოცნებარი აზრით, ვრცელ, ნათელ, წიგნებით გადაჭედილ საკუთარ კაბინეტს არაფერი ჯობია, აზრებითა და წიგნებით, იდეებითა და მიზნებით როა აღსავსე, მარტოღა განწყობა გინდა, ის განწყობა, ზოგს რომ მაინცდამაინც დიდ ბიბლიოთეკებში ეუფლება, ჰოდა, დაჯექი და იმუშავე, მაგრამ როგორ გინდა, ასეთ ბიბლიოთეკას მოუყარო თავი? ამისათვის ზოგს მთელი ცხოვრება არ ეყოფა, დროს თავი დაანებე, მაგის გარდა ხომ სე-

რიოზული ფინანსებია საჭირო? წარმოიდგინე და – ზოგისათვის სულაც არა, ზოგი მდიდარი ბიბლიოთეკის შექმნას მინიმალური ფულადი დანახარჯებით ახერხებს, ან სულაც უფასოდ... როგორ და იმ ბიბლიოთეკებისა და ოჯახებისა და პიროვნებების ზედმეტი საფიქრალისაგან განთავისუფლებისა და მათთვის სივრცითი მოცულობის გაცილებით უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის ხელშეწყობის გზით!.. ვინ არიან, სად არიან, რითი არიან ეს ოჯახები და პიროვნებები (ეჰ!.. არიან კი არა, იყვნენ...)? ისინი, ვინც ყველა ახალ გამოცემას ყიდულობს, რათა შეავსოს თავისი ოჯახის ინტელექტუალური ავეჯი – წიგნების კარადა! გარკვეულ წრეებში ხომ მდიდარი ბიბლიოთეკა ოჯახის იმიჯს ქმნის, რა საჭიროა წიგნსაცავის ბინადართა (ხშირი) შეწუხება, გადმოღება, გადაფურცვლა, წაკ... (უკაცრავად) და ამისთანა რამეები, სტამბის სუნით გაჟღენთილ წიგნს რა სჯობს, რატო უნდა გადაშალო და გაანიავო? ჰოდა, აი, ასეთი ოჯახების აღრიცხვა უნდა გააკეთო, მათმა გულუბრყვილო, ან შენთან შეკრულმა (უკეთეს შემთხვევაში) ახლობლებმა უნდა წარგადგინონ იქ, რომ წახვალთ და მიხვალთ, ზამთარში არ გაიხადო, ხოლო ზაფხულში შესაფერისად(!) ჩაცმული უნდა მიხვიდე, რათა წიგნების არტახებით შეკრული წელი შეუმჩნევლად დაურჩეთ. მერე იმ მეგობრებმავე უნდა იზრუნონ მასპინძელ ოჯახში შენს წარდგენაზე, შენი დადებითი რეპუტაციის ჩამოყალიბებაზე და როცა წინ გადაგეშლება ის მომხიბლავი სამუშაო ასპარეზი, აუცილებლად ზომიერ კომპლიმენტში ამოვლებული აღტაცება უნდა გამოხატო ასეთი საინტერესო ბიბლიოთეკის მისამართით, მერე კი მოკრძალებით ითხოვო წიგნებში გასეირნება, ხოლო შენმა მხლებელმა კი უნდა უზრუნველყოს შენი სიმარ-

ტოვე, რათა ხელი არ შეგეშალოს რაღაც–რაღაცების „წაკითხვასა“ და „ამოწერაში“, მერე კი შენ იცი და შენმა ოსტატობამ, ოღონდ არ უნდა დაგავიწყდეს რომელიმე ბანალური წიგნის თხოვა, რაზეც დაუყოვნებელ თანხმობას მიიღებ და რომელიც საბაბი იქნება შემდეგი სტუმრობისა და ა. შ. და ა. შ. აი ასე, ან – დაახლოებით ასე. რაც მეტი ფანტაზიის უნარი აღმოგაჩნდება და არ დაიშტამპები, მით მეტ ხანს და წარმატებით იმუშავებ. ეს სახალისო ოპერაცია შენ შეიძლება დაგიჯდეს კათხა ლუდი და რამდენიმე ხინკალი. არც ესაა წყალში გადაყრილი ფული, რადგან იგი იმავე დროს მოემსახურება შენი მეგობრის სინდისის ჯერ გარეცხვას და მერე გახეხვას, რომ იმას, ვისაც წიგნები მხოლოდ ისე უწყვია, როგორც ძვირფასი ავეჯი, საერთოდ არ სჭირდება იგი და რაც მალე გაანთავისუფლებ ამ უფუნქციო დანამატისაგან, მით უკეთესი მისთვის! ბიბლიოთეკის ხელშეუხებლობის გარანტია აქვთ მხოლოდ და მხოლოდ მათ, ვის ხელშიც წიგნი ცვდება და ძველდება. ეს არის და ეს. თუმცა სადღაა ახლა ან ასეთი გურმანი ოჯახები და ან ასეთი ხელობის მაღალი დონის პროფესიონალები, რომელთათვისაც ყველანაირი ნივთის ქურდობა მიუღებელი იყო, გარდა წიგნისა, ანდაზებიც თავისებური ჰქონდათ: ლენინმაო(!) – წიგნის ქურდი – ქურდი არააო, იტყოდნენ ხოლმე ლენინისტურ ეპოქაში; წიგნის ქურდი – ცხონდაო, ასე კიდევ შავების, ანუ სტალინისტურ ეპოქაში იტყოდნენ, რას ერჩი, ეს ანდაზები თავიანთი ეპოქების სულისჩამდგმელთა სულისკვეთებასაც ეხმიანება და მათ კეთილშობილ ეპიგონთა სულის ხვეულებში მიძინებულ სინდისის ქენჯნასაც.

მაგრამ, აბა, წარმოიდგინე, ამ ნაქებ–ნაიმიჯარ კაცს ვინმემ რომ ქურდობაზე წაგასწროს, ან ნაქურდალი აღმოგიჩინოს, ხომ უნდა ჩატყდეს მიწა და ჩაგიტანოს, თუ ეს არ

მოხდა, მაშინ, მატოის მპარავსავით, სუნთქვის შეკავებით უნდა მოუღო ბოლო საკუთარ თავს, სინდისის ქენჯნის მწვერვალი ესაა, ოღონდ, ცხადია, ამისათვის საჭიროა სინდისი, რაც, მიუხედავად ყველაფრისა, წიგნის მპარავთ მაინც უხვად მოეპოვებათ. აბა, როგორ გინდაო, მეტყვი შენ, ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფიაო და სწორიც იქნები, მაგრამ ერთი რამაა აქ გასათვალისწინებელი: ეს წიგნები მე ფულის გასაკეთებლად კი არა მჭირდება, ის სხვაა, ბიზნესი, ყველა ბიზნესმენი რომ პირველ ფულს უკანონო გზით იშოვის, ფულს ფულზე დაადებს და მერე რომანტიკულად ყვება, რა ოფლითა და გარჯით მოუყარა თავი პირველ კაპიტალს. ის სხვა რამეა და ის ზღაპრებიც სხვებმა დაიჯერონ, მაგრამ ცოდნაც რო კაპიტალია? ანუ ესაა, თუა კაპიტალი, თანაც ისეთი, ვერანაირი მპარავები და განგსტერები რომ ვერ წაგტაცებენ, ვერც ცხადი ძალითა და ვერც მალვითაო, ამას გურამიშვილი იტყოდა, ჩვენი, ამეებისა იმაზე კარგად ვინ იცოდა, თავად კაცი მოიპარეს, მაგრამ იმას კი, რაც თავში ჰქონდა, ვერაფერი მოუხერხეს, შერჩა და დარჩა; წიგნია ცოდნა, ანუ ჭკუა და დააწყვე ეს შენი დუნია ჭკუა კარადებში, რა ეშმაკად გინდა, გადამალული ფულისა არ იყოს, ერთიც და მეორეც იმისთვია ალალი, ვინც მისი ყადრი იცის, ბრიყვებს რაში სჭირდება, ჭკუა იმათ სჭირდება, ვინც მოხმარება იცისო, ოღონდ ისიც ცოდნით მოიხმარებაო, იმავ ტანჯულმა და ცხონებულმა გურამიშვილმა. ისე ფულის მოხვეჭა–მოხმარებასაც ცოდნა და ჭკუა უნდა, როგორ არ უნდა, მაგრამ დავანებოთ ახლა მაგას თავი და მოპარვასაც დავანებოთ თავი, თორემ, ბოლობოლო იქამდე მივალთ, რომ ცოდნის მოპარვაც შესაძლებელი აღმოჩნდება და რაღა გაუძლებს მერე სახელგანთქმულ ქართველ

მომპარავებს, ახლა რომ ევროპაში წარმატებით მოღვაწეობენ!..

აი, ჩუქება კი სულ სხვაა, მითუფრო ავტოგრაფით განმტკიცებულ–დაბეჭდილი, გასული საუკუნისთვის დამახასიათებელი, ამ საუკუნესაც რომ გადმოჰყვა და სულსაც რომ აქვე ღაფავს; ყველას – ყველას და წიგნის ჩუქებასაც თავისი ტრადიცია ჰქონდა, ავტოგრაფის ტექსტიც დაიშტამპებოდა ხოლმე, ზოგთათვის, ზოგნი კი ინდივიდუალობას შეინარჩუნებდნენ, ზოგნი მშრალ, საინფორმაციო ხასიათის ტექსტს წააწერდნენ, ზოგნი კომპლიმენტურ შინაარსს მისცემდნენ უპირატესობას, ზოგი პოეტურად მიმართავდა ადრესატს, ექსპრომტადაც, ზოგი ამ ყველაფრის მიღმა გავიდოდა და ორიგინალურს რასმე მოიფიქრებდა, ზოგი კიდე არაფერსაც არ წააწერდა, ისე, უსიტყვოდ, მაგრამ გსიამოვნებდა, კეთილი გულით მიძღვნილიო, ხშირად ასეც წააწერდნენ, ოღონდ აქ ის „მცირედი“ აღარ უხდებოდა... ვთქვათ „ვეფხისტყაოსანს“ სჩუქნი და აწერ – მცირედიც შეიწირებაო, ეს სადაური მცირედია? ვინა თქვა, თითქოს პატარა იყოს რუსთაველი?! დიახ, და გჩუქნიდნენ, გამოცემის ხარისხს დიდად არ დაგიდევდნენ, შინაარსს უფრო გამოედევნებოდნენ და მოტივაციას, რატომ? ვისთვის? როდის? ვისგან? ახლა, თუ წიგნი (ალბომი) გაჩუქეს, პირველ რიგში სწორედ პოლიგრაფიის დონეს მიაქცევენ ყურადღებას, აქაც თვალი სვამს და თვალი სჭამს, ასეთ გამოცემებს კი სოლიდური ფასები ადევთ, მთავარიც ესაა, მთავარია ლამაზი, თვალისმომჭრელი იყოს და ძვირფასი, შიგნით რა წერია – მეორეხარისხოვანია, გადაშლის კი სულაც ადრესატი? არ გადაშლის და ადარდეე...

და „ვეფხისტყაოსანს“ მარტო კი არ სჩუქნიდნენ, არამედ ატანდნენ კიდეც, მზითევში ატანდნენ, დიახ! იყვნენ ოდესღაც ქართველები ასეთნი, ფართლეული და ოქრო–ბრილიანტეული კი არა, გარეგნული ზიზილპიპილა კი არა, სულის სამშვენისი, შინაგანი სილამაზე იყო მთავარი და სანამ ეს მთავრობდა, ქართველნიც მთავრობდნენ, გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ორ ზღვას შუა ლელო! გაიტანდნენ, აბა, რას იზამდნენ, თავისუფალ დროს, საღამოობით, ვინ? ვთქვათ – შალვა ახალციხელი, პლებეისთვის შექმნილ სერიალებზე კი არ ანთხევდა ცრემლსა და ვნებას, არამედ „ვეფხისტყაოსნით“ იკაჟებდა სულსა და სხეულს. კი ჰქონდათ უძველესი და უმდიდრესი ბიბლიოთეკები, კლასიკოსებიც არანაკლები, მაგრამ, ნეტა ვიცოდე, ამისთანა ტრადიცია თუ ჰქონდათ, მათი აზნაურნი და უაზნონიც თუ ატანდნენ მზითევში რენესანსული აზროვნების თვალისმომჭრელ შედევრებს? იმათი დედოფლები თუ ზრუნავდნენ მატიანეთა გადაწერა–გავრცელება–გადარჩენაზე? იქნება ჰქონდათ კიდეც, იქნება ზრუნავდნენ კიდეც, რას გაუგებ კაცთა მოდგმის ამ ჭრელ სამყაროს, რომელზეც ბევრი რამ ხდება ისეთი, რომ, მე კი არა, ფილოსოფოსებსაც კი არ დასიზმრებიათ!.. ნაკლები აღარც წიგნის სამყაროა, იქაც ბევრი რამ ხდება, ჩემო ჰორაციო, წარმოუდგენელი, ამოდ სახილველიც ბევრი რამ ხდება, ჩვეულებრივი მოკვდავის გონებისთვის ხელმისაწვდომიც და არაჩვეულებრივისთვისაც, ლამაზი ქვეყანაა წიგნის ქვეყანა, თავისი ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებით, თავისი გმირებითა და ავტორებით, ლამის – ლამის ხილული, ლამის – ლამის ხელშესახები.

2012

მიმქრალი ეპიზოდები ვაჟა-ფშაველას ცხოვრებიდან

ვაჟა-ფშაველა იტყვის: „როგორც გარეგანი ფერით არ იცნობა სასმელების თვისება, ეგრევე კაციც მარტო სიტყვით არ იცნობაო“. ეს გამოთქმა, უპირველესყოვლისა, გარკვეული კუთხით, სწორედ მის ავტორთან მიმართებაშია საინტერესო, რადგან მისი „სიტყვის“ უკან მრავალი ისეთი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალია მიჩქმალული, რომელიც დიდი მწერლის პიროვნულ ხასიათზე და განცდებზე ღრმად და სახიერად მეტყველებს. მიჩვეულნი ვართ მასშტაბური პიროვნებების ისეთი ნაბიჯების, გამონათქვამების თვალთვალს, ჩხრეკას და ატაცებას, რომელთაც, ასე ვთქვათ, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ვამჩნევთ. არა და, ყოველდღიური „წვრილმანი“ უფრო ხელშესახებს ხდის გნებავთ პატარა და გნებავთ დიდი ადამიანების ცხოვრებას, მათ ტკივილსა და მათ სიხარულს.

კაცი მარტო სიტყვით არ იცნობაო; რა თქმა უნდა, ოღონდ აქ, ამ გამოთქმაში, აღარც ახალი რამეა და აღარც ძველი. ჭეშმარიტება კი ნამდვილად არის, ყველა დროის ურყევი ჭეშმარიტება. ადამიანი კი, რაც უფრო ჭკვიანია, მით უფრო ლამაზად ფუთავს სიტყვის ნიღაბში თავისი სულისა და გულის საძრახის ზრახვებს და შემდეგ მათ იაფი ღიმილით გვთავაზობს. უფრო ჭკვიანნი კი საერთოდ სდუმან; არც აქ არის რაიმე ახალი.

ისიც ხშირად გვგონია, რომ სახელმოხვეჭილი პიროვნებები, დიდების შარავანდედით შემოსილნი, ყოველდღი-

ური გაწამაწიისა და პრობლემების გარეშე ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, ასეთებიც იყვნენ და არიან, მაგრამ ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ რაც უფრო ფართოა ადამიანის აზროვნების ჰორიზონტი, მით უფრო გულის შემაღონებლად ებლანდება ფეხებში ცხოვრებისეული იწილბიწილა. და მერე როგორ გენანება გენიოსების მიერ უაზრო ძალისხმევაში დახარჯული ძვირფასი დრო და ენერგია!

მარტო სიტყვით, მარტო ნაწარმოებებით, რამდენადმე შესაძლებელია მწერლის სრულყოფილი შემოქმედებითი პორტრეტის შექმნა, მაგრამ იგი სრულფასოვანი მაინც ვერ იქნება და მაინც უმარილო გამოვა, თუ არ გვეცოდინება, რაზე ფიქრობს და რას აკეთებს შემოქმედი ღვთაებრივი მუზებისაგან თავისუფალ დროს. ასე განსაჯეთ, ისიც კი მნიშვნელოვანია, თუ რას ფიქრობს მწერალი ზოგიერთ ასო–ბგერაზე. მაგალითად, იმავე ვაჟა–ფშაველას შემოქმედებაში ზოგს რომ ასო **ჰაე** თვალში და ყურში უამურად ხვდებოდა, თვითონ სულაც არ მიიჩნევდა ზედმეტად, მეტიც – რედაქციებს მოუწოდებდა, რომ მის **ჰაეს** განსაკუთრებული ყურადღებით მოკიდებოდნენ.

†††

ვაჟა–ფშაველა ფოლკლორსა და დიალექტზე ამოსული მწერალი იყო. ფოლკლორს რომ თავი დავანებოთ, იმ დიალექტს საუკუნეთა სიღრმეებში გურამიშვილის, რუსთაველის და ცურტაველის ეპოქებამდე მივყევართ. აღიარებული ფაქტია – საქართველოს მთიანეთის კილო–კავებს ძველი ქართული მეტყველებისა და მწერლობის სურნელება დაჰკრავთ. იქნებ ზედმეტი არ იქნებოდა, „ალუდა ქეთელაურის“ ავტორზეც გვეთქვა ორიოდე სიტყვა.

ერთი კი დანამდვილებით უნდა ითქვას და გასაკვირი სულაც არაა, რომ დიდი პოეტი ხევსურულ დიალექტს საკმაოდ სრულყოფილად ფლობდა. ეს უკანასკნელი ქართულ დიალექტთა შორის გამოირჩევა ყველაზე არქაული ლექსიკითა და გრამატიკული ფორმებით, რაც ზოგი მკვლევარისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ კონკრეტული დარგის სპეციალისტებზე, გადაულახავი, ან ძნელად გადასალახავი დაბრკოლება აღმოჩნდა. აქვე აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ იმ „ხევსურულ აქცენტს“, რომელზედაც ერთ დროს ჩვენს ფილმებში და სპექტაკლებში მეტყველებდნენ და რომლის ყალბი ჟღერადობაც (ინტონაცია და ა.შ.) დღემდის შემორჩა, საერთო არაფერი აქვს არც ხევსურულთან და არც მთის სხვა დიალექტებთან. დიალექტთან ურთიერთობა, საერთოდ, დიდ სიფაქიზეს მოითხოვს. აქ მაგალითისათვის ლელთ ღუნიასი და, ვთქვათ, ხევისბერი გოჩას მოხეური მეტყველების პარალელებიც იკმარებდა...

ის ფაქტი, რომ ვაჟა–ფშაველა ხევსურულად კარგად „უქცევდა“, მარტო ხევსურულისა და ფშაურის სიახლოვით არ აიხსნება (ერთ დროს, ყოველ შემთხვევაში – განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, როგორც აკად. აკ. შანიძე ვარაუდობდა, ეს ორივე დიალექტი ფხოვურს შეადგენდა), არამედ იმითაც, რომ პოეტს ხევსურეთთან და ხევსურებთან კავშირი მთელი ცხოვრება არ გაუწყვეტია. ჯერ კიდევ 1879 წელს გამოქვეყნებული კორესპონდენცია გვეუბნება, რომ იგი, ჯერაც ჭაბუკი, ბარისახოში, ღულში, ხახმატში... ხშირად დაიარებოდა; თანაც ამ სიარულისას სულაც არ იყო პასიური მჭვრეტელი. შატილში ახლაც ახსოვთ თავიანთი მოხუცების ნაამბობი „ცალთვალა ფშავე-

ლის“ ხშირი სტუმრობის შესახებ – „უჩქუმარა იჯდა, გვისმენდა და გვიაზრებდაო“. ვინ იცის, როგორ ჩვეულებრივად იღებდნენ ხევსურები ამ არაჩვეულებრივ სტუმარს და რა დუღდა და რა იხარშებოდა ამ დროს იმ „უჩქუმარა“ ფშაველის გონებაში, რომელიც მთას დადიოდა და ღმერთთან საუბრობდა.

დიახ, არ ყოფილა ვაჟა პასიური მჭვრეტელი, საკმაოდ იცნობდა ხევსურების ჭირსა და ლხინს, წესსა და ჩვეულებას, უფრო მეტიც – მისთვის ფშავი და ხევსურეთი ცალცალკე არც კი არსებობდა, ორივესთვის ამოღებული ხმალი იყო იმპერიულ – ბიუროკრატიული აპარატისა და მისი თავხედი მოხელეების წინააღმდეგ საბრძოლველად; მეტი პატრონი ხომ არც ჰყავდა მაშინ ფშავ–ხევსურებს, ვაჟასთვის ფშავ–ხევსურეთი კვლავაც განუყოფელ ფხოვად აღიქმებოდა. ეს კარგად ჩანს 1905 – ის ამბოხის ვაჟასეულ ჩანაფიქრში, შირაქის ამბებთან, იქ ფშავ–ხევსურების ჩასახლებასთან მიმართებაში და თიანეთში და ერწოში ხომ ნიადაგ „ერთ სკამზე“ ისხდნენ ფშავლები და ხევსურები. ან კი საქართველოს რომელი კუთხის სატკივარს არ განიცდიდა ვაჟა–ფშაველა, რომელი კუთხური და ეროვნული პრობლემატიკა იყო, მას რომ არ აღელვებდა.

რაკიღა სიტყვის ნაკადმა ხევსურეთისაკენ გაგვიტაცა, ამ კუთხის რამდენიმე საჭირბოროტო საკითხსაც შევეხოთ, რომელთაც თავის დროზე მთიელი მგოსნის ყურადღებაც მიუქცევია. ვაჟა–ფშაველა თავის წერილებში გულისტკივილით მოგვითხრობს ხევსურთა ცრუმორწმუნეობისა და არაეკლესიურობის შესახებ. იგი, ალბათ, ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ რელიგიურ სფეროში ასი წლის შემდეგაც კი ისევ ის პრობლემები იქნებოდა ხევსურეთში და რომ კვლავ იმუშავებდა იქ ქადაგ–მისანთა ინსტიტუტი,

ხოლო რელიგიურ რიტუალებს კვლავაც ქრისტიანობაში ჩაუხედავი ხუცეს–დეკანოზები აღასრულებდნენ.

მაინც რა უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, როცა მთელს საქართველოში ნამდვილი ბუმია საეკლესიო მშენებლობისა, ხევსურეთში არ არის არც ერთი მოქმედი ეკლესია? ასეთი ღვთის მსახურთაგან მივიწყებული კუთხე ამ ქვეყანაში აღარ იქნება. არა და ისიც ფაქტია, რომ ხევსურები ორთოდოქს ქრისტიანებად ვერ ჩაითვლებიან, რადგან მათ რწმენა–წარმოდგენებში ქრისტიანობამდელი რელიგიის დანაშთიც საკმაოდ თვალსაჩინოა. ჩემი აზრით, ამას სამი მიზეზი უნდა ჰქონდეს: მრევლის რიცხვობრივი სიმცირე, იგივე მრევლის ღვთისმეტყველებაში ჩაუხედაობა და გამომდინარე აქედან – ქრისტიანული დოგმატიკისადმი გულგრილობა. ვაჟა–ფშაველა კი სამივე ამ მიზეზს განმარტავს და, რაც ნიშანდობლივია, XX საუკუნის დასაწყისსა და XXI საუკუნისას თუ შევადარებთ, გეგონებათ, დრო გაჩერებულა, არაფერი შეცვლილაო.

მრევლი, მორწმუნე მოსახლეობა, ან ზოგადად – მოსახლეობა ხევსურეთში საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან შედარებით, დიახაც, რომ მცირერიცხოვანი იყო და არის. ეს გარემოება კი, გასაგები მიზეზების გამო, სასულიერო პირთა აქტიური მოღვაწეობის საწინდარი ვერ იქნებოდა. თუმცა, როგორც ვაჟა–ფშაველას წერილიდან „მღვდლების ვინაობა“ ირკვევა, 1900 – იან წლებში ხევსურეთში დანიშნული მღვდლებისთვის წელიწადში ექვსასმანეთიანი ჯამაგირი დაუნიშნავთ. არ ვიცი, ეს რამდენად ანგარიშგასაწევი თანხაა, მაგრამ ხსენებული წერილის ავ-

ტორი იქვე დასძენს – მიუხედავად ამისა, მრევლს წელიწადში ერთხელ თუ ააკითხავდნენო.

თავად ხევსურებს თავიანთი არაეკლესიურობა არავითარ სულიერ დისკომფორტს არ უქმნიდა. მათ რელიგიურ მოთხოვნილებებს არსებული და საუკუნეების მანძილზე მტკიცედ ჩამოყალიბებული ინსტიტუტი ჯვარ–ხატებისა, სრულად აკმაყოფილებდა. ვაჟა–ფშაველა წერს, რომ ხახმატშიო „ბლაღოჩინის ბრძანებით და პოლიციის დახმარებით ორასამდე კაცმა და ქალმა მოიყარა თავიო“. რაკიღა ხელისუფლება ჩაერია საქმეში, უნდა ვივარაუდოთ, რომ იქ თავისუფალი ნების გამოხატვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ეს შეგროვებული ხალხი საყდარში შეუყვანიათ, რომელიც იქვე, ხატთან (!) ყოფილა. ვაჟა აქ აღარ აკონკრეტებს, თუ რატომ ეძნელებოდა ხალხს ეკლესიაში შესვლა, მაგრამ გადმოგვცემს კიდევ ერთ საინტერესო დეტალს: დღეობაში ხუცესი და მღვდელი ერთმანეთის გვერდით და ერთდროულად აღასრულებდნენ თავიანთ მისიასო. საგულისხმო და მეტყველი ფაქტია და თავისთავად იშვიათი ცნობა, რომლისთვისაც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ყურადღება არავის მიუქცევია. ისე კი საკითხისადმი თავიანთი მიდგომა და პოზიცია თავის დროზე გამოხატეს ბატონებმა ზ. კიკნაძემ და დ. მჭედლურმა. მაინც გაუგებარი და უცნაურია, XIX ს. ბოლოს ხალხს ადმინისტრაციული ძალები იძულებით ერეკებიან ეკლესიაში. ეს რაღაცით გავს საუკუნეებისწინანდელ მდგომარეობას და, გინდა – არ გინდა, მეხსიერების ზედაპირზე ივანე მხარგრძელისა და მირიან მეფის ერისთავის აჩრდილები ამოტივტივდება.

ერთი რამეც არის აქ მნიშვნელოვანი: ჯერ ხომ პოლიცია ერეკებოდა ხალხს ძალით ეკლესიაში, მერე კიდევ, 20–30 წლის შემდეგ, საბჭოთა მილიცია და პარტიისა და კომკავშირის აქტივისტები პირიქით – ეკლესია – მონასტრებში აღარ უშვებდნენ ხალხს. ახლა ისიც წარმოვიდგინოთ, თუ რა გაურკვეველ და აუხსნელ მდგომარეობაში იმყოფებოდა ასეთი პარადოქსული სიტუაციის შემყურე, გამოუცდელი და გაუნათლებელი ხალხი.

ეკლესიაში, მოგეხსენებათ, ქალი (გარდა ერთი მომენტისა) და მამაკაცი ერთნაირად და შეუზღუდავად შედიან სალოცავად. ხევსურულ ჯვარში კი მანდილოსნის შესვლა კი არა, მასთან გარკვეულ დისტანციაზე მიახლოებაც იკრძალება. ასეთი დოგმატიკის მატარებელი ხალხისთვის ეკლესიური წესი და რიგი, მითუმეტეს, როცა საღვთო ლიტურგიაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, ალბათ უარყოფით დამოკიდებულებას, უკეთეს შემთხვევაში – ირონიულ ღიმილს მაინც გამოიწვევდა და ეს ყველაფერი მღვდელმსახურთა ანგარებიანი ქცევის ფონზე. სამაგიეროდ თავიანთ სარიტუალო წესებს, ზუსტად და თავგამოდებით იცავდნენ და ასი წლის შემდეგ ამ მიმართულებითაც ბევრი არაფერი შეცვლილა.

მოგეხსენებათ პირადი მაგალითის ძალა და ფასი, უკვე შეგახსენეთ ვაჟა–ფშაველას აზრიც იმის შესახებ, რომ, როგორც სასმელი ფერით, ისე კაცი მარტო სიტყვით არ იცნობაო. მაშ კიდევ რითი? ალბათ საქმე ჰქონდა მხედველობაში. აი, ხევსურეთში მივლინებული მღვდლები კი ამ მხრივ სცოდავდნენ. როგორ არ ვენდოთ სასულიერო პირის ოჯახიდან გამოსულ მწერალს, როცა ამბობს – ხევსურეთში „ნაბოლარა“ მღვდლებს გზავნიდნენო და ისინიც

დაკისრებული მოვალეობის აღსრულებაზე მეტად ყველ–ერბოს და ტყავების შეგროვებაზე ზრუნავდნენო. ასეთი მიდგომა ანგარებასმიუჩვეველი ხალხის სულში, გულში და გონებაში, თქმა არ უნდა, მკვეთრად უარყოფით რეაქციას გამოიწვევდა. ძველი და ღირსი სულიერი მამები კი სხვანაირად იქცეოდნენ – უწიგნურ, უბირ და ურწმუნო ხალხში ყოველმხრივ შემკობილ მოღვაწეებს აგზავნიდნენ, რათა სულის საზრდოც ხარისხიანი მიეცათ და პირადი მაგალითითაც მოეხიბლათ მრევლი. გავიხსენოთ თუნდაც აბიბოს ნეკრესელი...

ხედავდა, გრძნობდა ვაჟა–ფშაველა, რომ ბევრი რამ ვერ იყო მის ირგვლივ ისე, რომ გული საგულეს დასვენებული ჰქონოდა და გულისტკივილი აწერინებდა ყოველივე ამის შესახებ. იგი იმ ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა, რომელშიც დაიბადა და აღიზარდა, იმ უბრალო ხალხისაგან, ერთი შეხედვით არაფრით არ გამოირჩეოდა და ამ ყველასაგან მივიწყებულ თანამოძმეთ ერთგულად ედგა მხარში, ერთგული მეციხოვნე იყო და ციხიონიც ერთგულებითვე პასუხობდა, მისი ერთი დაძახება და სახალხო აჯანყების დროშა აფრიალდებოდა, იარაღასხმული ფშაველ–ხევსურნი ამ დაძახილს გულანთებულნი ელოდნენ, მაგრამ...

ვაჟა–ფშაველას წერილებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ეცოდებოდა გაჭირვების ლანჩქვეშ მგმინავი, მძიმე ფიზიკური შრომისაგან წელში გაწყვეტილი ხალხი. იგი ისეთი თანაგრძნობით წერს მათზე, თითქოს თვითონ უკეთეს დღეში ყოფილიყო. ერთგან, თავისი ძმისადმი მიწერილ წერილში, როცა მას ჩარგალში ოჯახითურ ეპატიჟება, აიმედებს, ამოდი, არაფერი გაგვიჭირდება, ხუთი ძროხა მეწველებაო. ხუთი ძროხა, ჰმ!.. ვაჟას მრავალრიცხოვან ოჯახს, მითუფრო – სტუმრიანს, ხუთი ძროხის ნაწველ–

ნადღვები რას ეყოფოდა! ზამთრის სარჩოდაც ხომ რაღაცა უნდა შეენახა, ის კი არა, თავი როგორ გაჰქონდათ ნეტავი! ჰონორარი ჯერ რა ჰქონდა და რასაც იღებდა, იმასაც ისევ თბილისში ხარჯავდა, ბავშვებისა და ქალებისათვის იაფ-ფასიან ფართალ–ფურთალს თუ გაიყოლებდა მთაში მიმა-ვალი. ხელმოკლეობისაგან იყო რომ პეტერბურგელი სტუ-დენტებისაგან აღებული ვალი სალაპარაკო და საპოლემი-კო გაუხდა. ერთი ცხელ გულზე დაწერილი წერილი არ აპა-ტიეს, არავის უცდია მის გასაჭირში ჩახედვა. მერე იძულე-ბული გახდა, ის წერილი ერთხელ კიდევ გაეაზრებინა და რაღაც–რაღაცები შეერბილებინა კიდეც, მაგრამ ზოგიერ-თი მოსაზრებიდან ფეხი პრინციპულად არ მოუცვლია – თუ კი ვაჟა–ფშაველა ხნავს და თესავს, ვითომ ეგ ხელმო-ცარული სტუდენტები და მეცნიერები ვიღა არიანო?! მეც მიჭირს, მაგრამ პურს სწორედ გუთანი მაჭმევსო! ავად-მყოფობაზე ადრე და მეტად (ავადმყოფობა შედეგი იყო), ბევრისათვის დღემდის უცნობმა, მთიელი კაცის ცხოვრე-ბისათვის დამახასიათებელმა ჯაფამაც გატეხა მისი ჯან-მრთელობა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი ცხოვრობდა როგორც ილაჯგაწყვეტილი გლეხი, მაგ-რამ აზროვნებდა, როგორც ღვთისშვილი და წერდა ისე უბრალოდ, ღრმად და ლაღად, როგორც... როგორც ... ზამ-თრის გრძელ ღამეებში ძილის წინ ბაბუა მოუყვება შვი-ლიშვილებს გრძელსა და შთამბეჭდავ ანდრეზებს.

†††

ვაჟა–ფშაველა იმდროინდელ პერიოდიკაში გამოქვეყ-ნებულ პუბლიკაციებში ხშირად წუხდა ფშავ–ხევსურეთის,

მეტადრე ხევსურეთის უწიგნურობაზე. განათლების სისტემაში არსებულ ვითარებაში კარგად ჩახედული მწერალი იქ, ალბათ, ბევრ ხარვეზსაც ხედავდა, მაგრამ სკოლების გახსნის აუცილებლობა მაინც გადაუდებელ საქმედ ესახებოდა. 1890 წ. გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში „წრილი ფშავის ხევიდგან“, იგი წერს: „ივერიის“ მკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ ფშავში და ხევსურეთში ეს თხუთმეტი წელიწადია სკოლა აღარ არის. წინათ იყო ორი სკოლა ფშავში: არტანში და ჩარგალში. ხევსურეთს კი ჯერ თვალითაც არ უნახავს, რა ხილია სკოლა.“ გამოდის, რომ ხევსურეთში სკოლა 1890 წლამდე არასოდეს ყოფილა, აქაც უნდა ვენდოთ დიდ მწერალს, რომელიც იქვე დასძენს – თუმცაღა ბარისახოში სკოლის გახსნას ცდილობსო მ. ლეონიდი. როგორც ვაჟა შემდეგ აკონკრეტებს, ლეონიდს ეს საქმე იმავე წელს დაუგვირგვინებია წარმატებით. მეტიც – მასთან ერთად ბარისახოში „შეგირდების გამოცდასაც“ კი დასწრებია და პატარა ხევსურების ცოდნისადმი წყურვილსა და პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობასაც გაუოცებია. ისე ჩანს, რომ პირველი სკოლა ხევსურეთში, ბარისახოში გახსნილა 1890 წელს და მისი მესვეური ყოფილა ლეონიდი, ოქროპირიძე, მაშინ „ინსპექტორი“ სკოლისა, ხოლო შემდგომ საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, ცნობილი სასულიერო მოღვაწე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის თავგამოდებული მებრძოლი. ის სკოლა, მოგვიანებით, 1906 წელს დამწვარა („მთის ვითარება“).

†††

ცნობილი ფაქტია, რომ ვაჟა–ფშაველამ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების შირაქში ჩასახლებას და შემდეგ

იქ დამაგრებას დიდი დრო და ენერგია შეალია. ეს ხდება 1900 –იან წლებში, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე დუშეთისა და თიანეთის მაზრებშიც ჩასახლდა მასიურად ფშავ–ხევსურეთის მოსახლეობა, რაზეც მოსახლეობის აღწერისა და სტატისტიკის დოკუმენტები მეტყველებენ, მაგრამ ამ საქმეში ვაჟას ხელი არ გაურევია. მეორე ნაკადი 50 წლის შემდეგ დაიძრა მთიდან, ეს უკვე ძირითადად იძულებითი წესით. შემდგომში ხელისუფლების ეს ნაბიჯი შეფასებული იქნა, როგორც გაუაზრებელი და ანტიეროვნული ქმედაბა და ეს ასეც იყო. მიგრაციის პროცესი დღემდის გრძელდება და ფშავ–ხევსურეთი, ერთ დროს რომ ქვეყნის ხელისუფალთ ეიმედებოდათ, ახლა თითქმის აღარ არსებობს.

ისმება კითხვა: იყო თუ არა გამართლებული ვაჟა–ფშაველას ძალისხმევა კახეთში ფშავ–ხევსურების გადასასახლებლად? ვფიქრობ, რომ იყო და ეს, ცხადია, მარტო ჩემი აზრი არ არის. XX საუკუნის დასაწყისში შირაქის ვრცელი მინდვრები დაუსახლებელი და აუთვისებელი იყო. ადგილობრივი მოსახლეობა ისტორიის ქარბორბალას შეეწირა და უაღრესად შემცირდა. მართალია, თუშებმა საკმაოდ მყარად მოიკიდეს იქ ფეხი, მაგრამ რიცხვობრივად არც თუ იმდენმა, რომ დემოგრაფიული ამინდი შეექმნათ. სამაგიეროდ შეინიშნებოდა მეზობელი არაქართველი ტომების მიზანმიმართული მოწოლა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინდელი ხელისუფლება ამ პროცესს ვერც შეაკავებდა და არც შეაკავებდა, რადგან აზერბაიჯანელთა და დაღესტნელთა მოძალება იმპერიის წისქვილზე ასხამდა წყალს. არ ვიცი, ამ საგანგებო მდგომარეობას როგორ და რამდენად ეხმაურებოდნენ მაშინდელი ეროვნულ–პატრიოტული

ძალები, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ვაჟა–ფშაველამ სწორად განჭვრიტა ქვეყნის სავალალო მომავალი და, რაც მთავარია, თითქმის მარტოკამ, დამოუკიდებლად, „თავისი“ ხალხის შორსგამიზნული მიგრაციის საფუძველზე, როგორც შეეძლო, ისე გადაჭრა აღნიშნული პრობლემა. გადაჭრა და სწორადაც! თავის დროზე რომ სამხრეთ საქართველოსაც ჰყოლოდა პატრონი, ან ახლა ჰყავდეს, დღეს საქართველო არ იქნებოდა ასე გაბმული იქაური პრობლემების თავდაუღწეველ ქსელში. ამ მხრივ მისაღებია ის მიზნობრივი მიგრაციაც, რომელიც უკანასკნელ ათწლეულებში განხორციელდა სვანეთიდან და მთიულეთ–გუდამაყრიდან საქართველოს სამხრეთში.

როგორც ვაჟა–ფშაველას მიერ 1913 წელს გამოქვეყნებული წერილიდან „ქართველთა ახალშენი შირაქში“ ირკვევა, იმ დროს იქ უკვე 400 კომლი ყოფილა ჩასახლებული. მათ უმრავლესობას ფშავ-ხევსურები შეადგენდნენ, მაგრამ იყვნენ მთიულები, გუდამაყრელები და მოხევეებიც. ჩასახლების პროცესი კი გრძელდებოდა. ამან შეაფიქრიანა შირაქში ადრევე ჩასახლებული თუშები. მათი უნაპირო თავისუფლება რამდენადმე, რა თქმა უნდა, შეიზღუდებოდა, მაგრამ არც ისე, რომ ამ უფართოეს ველებზე ჩასახლებულ მთიელებს თავი მჭიდროდ ეგრძნოთ. თუშებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწევიათ და, საფიქრალია, აქ დავა უფრო ხელსაყრელ, ანუ წყლიან ადგილებზე უფრო იქნებოდა.

ასე იყო თუ ისე, შირაქში ბოლოს ყველა დაეტია, მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ, ცხენზე ამხედრებული გენიოსი რამდენ დროს, ენერგიასა და ნერვებს სწირავდა ამ საქვეყნო, მაგრამ სხვათაგან უფრო გასაკეთებელ საქმეს, რამდენი რჩებოდა დასაწერი, რომელსაც მის გარდა ვეღარა-

ვინ ვერ დაწერდა, რამდენი რამ უფუჭდებოდა ოჯახში (შირაქში ერთერთი ასეთი სტუმრობისას აკი მეუღლეც გარდაეცვალა), რამდენი სხვა საქმე რჩებოდა გვერდზე. ვაჟას დიპლომატ–პოლიტიკოსობა არც მოსწონდა და არც ეხერხებოდა („როგორც უბეში გველი არ დაინდობა, ისე დიპლომატიაო“), მაგრამ შირაქის ვითარება იმპერიული ზრახვების ფონზე მაინც სწორად განჭვრიტა. ყველაფერი ერთ, როგორც სჩვეოდა, უბრალოდ ნათქვამ ფრაზაში ჩაატია: თუშებიო „იმას როდიღა ფიქრობენ, რომ შირაქი ადრე თუ გვიან სხვებს დაჰრჩებაო“. ვაჟა-ფშაველამ სწორედ იმ „სხვებს“ გამოჰგლიჯა შირაქი...

რაც შეეხება მთის, ასე ვთქვათ, დემოგრაფიულ ზარალს, არ იყო მაშინ ასე საგანგაშოდ საქმე და არც შირაქის ათვისებას გამოუწვევია მთის გაპარტახება, ისეთი დოზით გადაუსხა მთამ ბარს „სისხლი“. არაა გამორიცხული, რომ ასეთი პრაქტიკა არც ძველი დროის ქართველებისათვის იყო უცხო.

†††

ძალზე საინტერესოა ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ახალთონეთური პერიოდის ქრონოლოგიური ანალიზი. იგი ამ სოფელში მუშაობას იწყებს 1886 წლის 16 ოქტომბერს. ზუსტად ერთი წლის თავზე, 1887 წლის 8 ოქტომბერს, მის სკოლას რევიზიას უკეთებს ცნობილი მოღვაწე ი. მანსვეტაშვილი. ყველაფერი რიგზეა. ექვსი კვირის თავზე კი იკვეთება ამ რევიზიის დაფარული მიზეზი – ვაჟას წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან აცნობებენ, რომ მას ახალთონეთელები უჩივიან – ასე და ასე და კიდე-

ვაცა გვცემსო!!! ეგებ ახზედაც, მაგრამ, ნეტავ მართალია ეს? თუ მართალია და, რა დაუშავა ვაჟას იმ ხალხმა? იქნებ ვაჟამ დაუშავა? კაი წასაკითხი კი იქნებოდა ის საჩივარი! ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვაჟა იმ დროს ახალგაზრდა და ძლიერია, მკლავიც უჭრის და კალამიც და პიროვნულად პრინციპული, სამართლიანი და უკომპრომისოა. შესაძლებელია, ის ხალხი ნაწილობრივ მართალიც იყო, ოღონდ საკითხავია, რატომ, რატომ სცემდა? არც ხელისუფალთა მხრიდან მოწყობილი პროვოკაციებია გამორიცხული. ერთი რამ კი ცხადია: აეკიდნენ, დაესივნენ, შეუჩნდნენ და მოსვენება აღარ მისცეს. ახლა უკვე წკგს–ის თავმჯდომარესთან, თავად ი. ჭავჭავაძესთან შევიდნენ საჩივრით ახალი თონეთის მამასახლის–მოსამართლეები. ეს უკვე 1888 წლის 11 იანვარია. იწყება ახსნა–განმარტებებისა და რწმუნებათა ქაღალდების გაცვლა–გამოცვლის არასასიამოვნო პროცედურა ვაჟა–ფშაველასა და წკგს–ს შორის. როგორც ჩანს, ფიცხი ხასიათის პოეტი წონასწორობას კარგავს, ყურს აღარ უგდებს წკგს–ს, ან კი სად ჰქონდა ამისი დრო და ნერვები, ჩარგალში ქვეყნის საქმე ელოდებოდა და 1888 წლის 1 ივნისს საკუთარი გადაწყვეტილებით ითხოვს მოწაფეებს და მიდის ჩარგალში. ამის საპასუხოდ, ერთი კვირის თავზე, უკვე მეორე რევიზიას უკეთებენ მის სკოლას, რასაც მოყვა ის, რომ წკგს–ის გამგეობა, რომელსაც მაშინ ი. მაჩაბელი ხელმძღვანელობდა (უკვე მესამე ცნობილი პიროვნება), ოთხ დღეში იღებს საჩქარო გადაწყვეტილებას და ლუკა რაზიკაშვილს ახალი თონეთის სკოლიდან ანთავისუფლებენ. სოფლის მამასახლის–მოსამართლეები სიყალბეზეც კი მიდიან, ოღონდ ეს მასწავლებელი მოაშორონ იქაურობას. რვა თვეს გასტანა ამ დამღლელმა

და დიდი პოეტისთვის დამამცირებელმა ძიძგილაობამ, რომელიც მაინც მისი დამარცხებით დამთავრდა.

და კვლავ იბადება კითხვა: თუ ვაჟა–ფშაველა მართალი იყო, როგორც პიროვნება, ან როგორც პედაგოგი, მაშინ რატომ ვერ შესძლო ზემოთ ხსენებულმა სამმა უდავოდ ავტორიტეტულმა პიროვნებამ მისი დაცვა? და თუ ტყუოდა, რატომ მოითხოვა 180–მა ახალთონეთელმა მოსახლემ მისი სკოლაში დაბრუნება? აღნიშნული სოფლის მცხოვრებლებთან ურთიერთობაში შეიძლება მართლაც ჰქონდა პოეტს პრობლემები, რაც მის ავტორიტეტს ფოთლისოდენა ჩრდილსაც ვერ მიაყენებს, მაგრამ, როგორც პედაგოგს... ამაზე ალბათ ფიქრიც კი ზედმეტია.

ვინ იცის ზუსტად რა იყო, როგორ და რატომ, შეიძლება ვინმემ კიდევაც იცის, ოღონდ მე მარტო ის ვიცი, რომ ის წელიწადნახევარზე მეტი, რაც ვაჟამ ახალ თონეთში დაჰყო, ნერვების დამაწყვეტელ გაწამაწიაში გაატარა. აქეთ ცენზურა კრძალავდა ზედიზედ მის ნაწარმოებებს, იქით მამასახლისები ებრძოდნენ, მოსამართლეები, რევიზორები, აბუნტებული ხალხი, მაგრამ ვაჟა რის ვაჟა იქნებოდა, სასოწარკვეთას რომ მისცემოდა. სადღაც ამ დროს, ამ შინაგანი და გარეგანი დისკომფორტის ფონზე ხომ უკვდავი შედევრი, „ალუდა ქეთელაური“ იწერებოდა, დანარჩენი კი მისთვის ალბათ წვრილმანი იყო.

†††

წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება ჰქონდა ვაჟა–ფშაველას, თითქოს მისი დიდი ავტორიტეტი მის სასარგებლოდ კი არა, საწინააღმდეგოდ მუშაობდა. სულ ბრძო-

ლასა და ორომტრიალში იყო. ყველგან წინააღმდეგობას აწყდებოდა და არც თვითონ სთმობდა არაფერს უბრძოლველად, პირიქით – დროდადრო წარმატებებსაც კი აღწევდა. ასე მოხდა, მაგალითად, გუდარახში ავადმყოფებისათვის გამართული „ჩარდახის“ გამო ატეხილ აურზაურშიც. ვაჟამ ფშავის სოფელ გუდარახში მცირე რამ, ასე ვთქვათ, სამკურნალო დაწესებულება მოაწყო მათთვის, ვისზეც იქაური მინერალური წყალი დადებითად იმოქმედებდა. ამაში პაციენტები ყოველთვიურ მიზერულ თანხას იხდიდნენ, ისე, წესის გულისთვის, მაგრამ ხალხმა, ან უსაფუძვლო შურით, ან – ძლიერთა ამა სოფლისათა წაქეზებით, „ჩარდახი“ დაუნგრია. ეს ხდება 1912 წელს, ალბათ სეზონზე, ზაფხულში. ამ დროს ვაჟა უკვე ჯანმრთელობაშერყეულია, მაგრამ სხვათა ჯანმრთელობაზე მაინც ზრუნავს. „ჩარდახის“ საქმეზე პოეტი საჩივრის წერილით შევიდა სადაც ჯერ არს. არ აპირებდა დათმობას და პატიებას და ამხედრდა, რადგან, ბოლოსდაბოლოს, ღირსების საქმე იყო. კი ამხედრდა და გამოეკრა გზას ჩარგლიდან თიანეთამდის, მაგრამ ამაოდ. თიანეთის მაზრის უფროსმა, იმ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი, არც პირადად მიიღო და არც საქმეს მისცა თავის დროზე მსვლელობა. აშკარად არ სწყალობდნენ თიანელი მოხელეები ვაჟა–ფშაველას და ისიც იძულებული შეიქნა, ახლა თბილისს ჩასულიყო და უფრო „წონოსანი“ მოხელე შეეწუხებინა – კავკასიის მეფისნაცვალი...

ორი წელიწადი სდია ვაჟა–ფშაველამ ამ საქმეს, ისევ იფლანგებოდა აღსასრულსმიახლოებული მწერლის დრო, ენერგია, ფული და დამთავრდა ეს ყველაფერი იმით, რომ 1914 წლის 22 აგვისტოს ვაჟამ ეს საქმე მოიგო. მოიგო კი, მაგრამ რაღა დროს, ამის შემდეგ ერთი წელიც აღარ

უცოცხლია. ჯერაც ასაკმოუჭარბებელ, მაგრამ უკვე დასუსტებულ, სნეულებისაგან გამოხრულ პოეტს „ჩარდახის“ ხელახლა გამართვის იდეა განუხორციელებელი დარჩა.

†††

გაოცდები კაცი, ხანდახან ისეთ უყურადღებობას იჩენდნენ ვაჟა–ფშაველას მიმართ; იჩენდნენ სწორედ ისინი, ვინც ყველაზე უკეთ უწყოდა მისი ფასი, ვინც მოვალეც კი იყო, მოწიწებით მოპყრობოდა სახელოვან პოეტს, ანაც ცოტაოდენი სითბო მაინც ეგრძნობინებინათ და, უცებ, პირიქით კი ხდებოდა.

1913 წელს მსახიობ ალექსი მესხიშვილის საიუბილეოდ, მისდამი მიძღვნილი

ლექსი დაწერა ვაჟა–ფშაველამ. ეს ლექსი მოსწონებია კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილს და პოეტისთვის უთხოვია სასიმღერო ვარიანტის შეთხზვა. პოეტს ეს თხოვნა სიამოვნებით შეუსრულებია და მსახიობის საღამოც ჩინებული გამართულა, ოღონდ ისე, რომ იქ ერთი–ორი კაცის გარდა არავის გახსენებია ვაჟა–ფშაველა, ბილეთი თუ მოსაწვევიც კი არავის გაუგზავნია, ვინც ამის პირდაპირი მოვალენი იყვნენ, იმათაც კი არა... საკვირველია, როგორ ან რატომ მოუვიდათ ეს, ნუთუ არავინ იცოდა, რომ ამ დროს ვაჟა საიუბილეო საღამოს დასრულებას გარეთ, ნაბადწამოსხმული ელოდა? როგორც ჩანს იგი იქ ნიკო სულხანიშვილს შორიდან გულშემატკივრობდა, რომელსაც მიჰყავდა საღამოს მუსიკალური გაფორმება. თქმა არ უნდა, სიტყვის ჩარგალელი ქურუმი გულნატკენი დარჩებოდა. იმ იუ-

ბილეზე დასწრებას იმიტომ მაინც იმსახურებდა, რომ იუ-ბილარისადმი მიძღვნილი სიმღერის ტექსტის ავტორი იყო. საღამო ტაშის გრიალსა და ოვაციებში ჩათავდა და საზოგადოებამ ახლა საბანკეტო დარბაზში გადაინაცვლა. არც აქ გახსენებიათ ვაჟა–ფშაველა, ნუთუ ვერავინ შეამ-ჩნია? რომც გახსენებოდათ, სასმელ–საჭმელად იქ ფეხსაც არ მიადგამდა. არც გახსენებიათ და თავად მივიდა... თა-ვად დაანამუსა ვინც საჭირო იყო, გამოიძახა ნ. სულხანიშ-ვილი და იგი დ. პავლიაშვილთან ერთად „მოიტაცა“, ჩა-ვიდნენ მახლობელ სამიკიტნოში, სახელდახელო სუფრას შემოუსხდნენ და ჭიქა ღვინოზე ასე დაარიგა პოეტმა მუ-სიკოსი, ეგებ ნიშნისმიგებითაც: „ტაშს არ აჰყვე, ტაშს და-გიკრავენ და მშიერს მოგკლავენო“...

მთელი ეს ეპიზოდი ძალზე დამახასიათებელი და მრავლისმეტყველია ვაჟას პიროვნული ხასიათის გააზრე-ბისას. დაღლილი და მრავალნაცადი ხარის ამოგმინვას გავს ეს სიტყვები, რანდენი ტკივილია მათში დალექილი, რამდენი შეგრძნება წუთისოფლის ამაოებისა, რამდენი სი-ნანული, ან კი რა ენახა მეტი, ტაშს მართლაც არ აკლებ-დნენ, დანარჩენი კი ყველაფერი აკლდა. იცნობდა, კარგად იცნობდა კაცთა მოდგმას და იმიტომ წერდა, იმიტომ სჯე-როდა, რომ კაცის მარტო „სიტყვით ცნობა“ არაფრით არ შეიძლება, საქმე იყო მთავარი, „საქმემან შენმან გამოგაჩი-ნოსო“.

2002

განცდა მადლიერებისა და გაოცებისა

მას, ვინც გასცნობია გაბრიელ ეპისკოპოსის თხზულებას „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომლის პირველი გამოცემიდან თითქმის საუკუნენახევარი გასულა, ალბათ უეჭველად ეწვეოდა განცდა მადლიერებისა, რომ ხელთ ჰქონდა სუბსტანციის სიღრმეებში გზამკვლევი ორიენტირი და განცდა გაოცებისა, რომ ეს მაღალზნეობრივი შინაარსის თხზულება 26–27 წლის ჭაბუკმა დაწერა. და, ბოლოს, ორივე განცდა უფრო ღრმა იქნება, თუ მკითხველს გამოვლილი აქვს საბჭოური იდეოლოგიის ჯოჯოხეთური წნეხი და ათეისტური სკოლა...

ავტორი შრომისა თუმცა ცდას, როგორც შეურყეველ არგუმენტს, ისევე მისაღებად თვლის ფსიქოლოგიაში, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მაგრამ მომხრეა, მკაცრად გაიმიჯნოს ფსიქოლოგია ფიზიოლოგიისაგან. მეტიც: იგი მიგვითითებს, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ფიზიოლოგია და საიდან იწყება ფსიქოლოგიის ქვეყანა, ანუ სად თავდება მატერიალური და საიდან იწყება იმატერიალური.

გაბრიელ ეპისკოპოსის მსჯელობები შეიცავს მკაცრ არგუმენტაციას, დიდ სიღრმეს და შინაგან სინათლეს, რასაც კარგ სამსახურს უწევს მთარგმნელთა მშვენიერი ქართული. თხზულება თითქოს სახელმძღვანელოს სტილშია დაწერილი. ვფიქრობ, რომ შესაძლოა ავტორს იგი ასეთა-

დაც ჰქონდა ჩაფიქრებული, რაც მსგავსი სასულიერო მოღვაწისაგან სულაც არაა გასაკვირი.

ცნობილ პედაგოგსა და სულიერ მოძღვარს, როგორც ჩანს, თავის დროზე ღრმა და საფუძვლიანი განათლება მიუღია ძირითად მეცნიერულ დისციპლინებში, რაც საშუალებას აძლევდა, რთული ფსიქოლოგიური პრობლემები ლოგიკურ მსჯელობასა და ყველასაგან ხელმისაწვდომ ცდებზე დაყრდნობით, ერთი შეხედვით, მარტივად გადაეწყვიტა.

საბჭოურმა ფსიქოლოგიამ და ფიზიოლოგიამ მთელი ობიექტური ბუნება, სუბიექტური განცდები, უხეშად რომ ვთქვათ, ტვინში ჩაწნეხა და ეს ბლანტი მასა ყოველგვარი გარეგანი ინფორმაციის მიმღებად და მთელი გონებრივი პოტენციის გადამცემად წარმოსახა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავის ტვინი უკანასკნელ სადგურად მიიჩნია და მის იქით წასვლა აღარც კი უცდია. ფიზიოლოგიურად ეს ასეცაა და ასეთ მეცნიერულ საფუძვლებზე გავიზარდეთ ჩვენც; თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მსგავსი ფორმები აზროვნებისა, არც გაბრიელ ეპისკოპოსის დროს იყო უცხო. ფსიქოლოგიას მაშინ გონებაზე დაყრდნობით იკვლევდნენ. ზემოთ დასახელებული ნაშრომის ავტორმა კი სხვაგვარი ამოცანა წამოსწია – ცდა ისევე ხომ არ გამოვიყენოთ ფსიქოლოგიაში, როგორც, ვთქვათ, ფიზიოლოგიაში. უნდა ითქვას, რომ არა მარტო დასვა საკითხი ამგვარად, არამედ გადაწყვიტა კიდეც და მეცნიერულად დაასაბუთა ჯერ სულის არსებობა, მერე კი ის, რომ შეგრძნებების უკანასკნელი „სადგური“ არის სული; რომ თვალი კი არ ხედავს, არამედ – სული, რომ მხედველობის ნერვს თუ გადავჭრით, თვალი კვლავ განაგრძობს საგნების აღქმას, მაგრამ გაქრება თავად შეგრძნება (გაბრიელ ეპისკოპოსი,

„ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“). ე.ი. მხედველობის ორგანოს მიერ დაფიქსირებულ საგნებს აღიქვამს სუბსტანცია, რომელიც ჩვენში კია, მაგრამ უხილავი და არამატერიალურია, რომელიც არის მგრძნობელობის საწყისი. ეს სუბსტანცია არის ის გონიერი მომწესრიგებელი, რომელიც მთელი ჩვენი სხეულის მრავალგვარ მოძრაობებს აერთიანებს ერთი მიზნისა და მიმართულების ქვეშ. სინამდვილეში არ აზროვნებს ის „რბილობი, რომელსაც ტვინს უწოდებენ, – იგი მხოლოდ იარაღია აზრის წარმომქმნელი მიზეზისა“ (იქვე).

გაბრიელ ეპისკოპოსი დაასკვნის, რომ საგნებისა და მოვლენების აღქმა ხდება გრძნობათა ორგანოების მეშვეობით და თავად ეს აღქმა, ჯერ როგორც პროცესი და მერე როგორც ამ პროცესის ობიექტური შედეგი, არის, ასე ვთქვათ, „იძულებითი“ აქტი. მის გვერდით კი არსებობს აგრეთვე მეორე ე.წ. „დამოუკიდებელი“ კატეგორია, ანუ შემეცნების მიზეზი – ყურადღება. ყურადღება არის ცნობიერების სამოქმედო არეალი და იგი მოედინება ჩვენგან, ჩვენი სიღრმიდან. „ყურადღებით იწყება ყოველგვარი შემეცნება“, – ამბობს გაბრიელ ეპისკოპოსი და ამ თეზას შემდეგში უფრო განავრცობს, რის შედეგადაც მიდის იმ დასკვნამდე, რომ ყურადღებას მოსდევს აზროვნების კონცენტრაცია ამა თუ იმ მიმართულებით, ხოლო აზროვნების კონცენტრაციას – ანალიზი.

აზროვნების სიღრმე განსაზღვრავს ანალიზის უნარს, ან – უუნარობას; საბოლოო ჯამში, ესეც სულის თვისებაა და გამოკვლევის ავტორი აქ კიდევ ერთ დასკვნას აკეთებს და ამბობს, რომ ცოდნის შეძენა და მეცნიერული აღმოჩენები ხდებაო არა სინთეზის, არამედ ანალიზის შედეგად.

ხსენებულ ნაშრომში გაბრიელ ეპისკოპოსი ღრმად უკავშირებს ერთმანეთს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ პროცესებს, ხსნის მათ ერთმანეთის მეშვეობით და აკეთებს თანადროულობისათვის მეტად საინტერესო და მოულოდნელ დასკვნებს. კერძოდ, იგი იკვლევს ენერგიის მოზღვავებისა და მისგან განტვირთვის მიზეზებს. ამ კუთხით იგი მიდის იქამდე, რომ ენერგიის აღგზნებას იწვევსო სისხლის მოძრაობის ინტენსიური ხასიათი, ხოლო ენერგიისაგან განტვირთვას – სისხლის მიმოქცევის შესუსტებაო. სამწუხაროდ ავტორი ამ საკითხზე დიდხანს არ ჩერდება, უფრო სასხვათაშორისოდ მსჯელობს, მაგრამ აკეთებს, ჩემი აზრით, მეტად საინტერესო დასკვნებს. მან იცის, რომ სისხლის მოძრაობის ინტენსივობას იწვევს ამა თუ იმ მიზეზის გამო აღძრული ამაღლებული განწყობოლება, რაც ადამიანის სხეულის მაღალხარისხოვანი საკვებით დაპურების საწინდარია. იცის, რომ გამუდმებული სტრესული მდგომარეობა აფერხებს სისხლის მიმოქცევას, სუნთქვას, რაც მიზეზი ხდება სხვადასხვა მძიმე დაავადებისა, რომ კუჭ–ნაწლავის ფუნქციის მოშლამ, შეიძლება ფსიქიკური დაავადებაც კი გამოიწვიოს. „ რაც უფრო სწორად, სუფთად და უკეთ მოძრაობს სისხლი, მით უფრო პასუხობს იგი თავის დანიშნულებას“, – გვეუბნება თხზულების ავტორი და ელოდები, რომ საცაა იმასაც გეტყვის, თუ როგორ შეიძლება სხეულის ხელოვნურად, ჩვენი შინაგანი ძალების ძალისხმევით დამუხტვა ენერგიით, სისხლის გადასროლა ჩვენთვის სასურველი მიმართულებით და სხვა, მაგრამ ეს ავტორის კვლევის საგანს არ წარმოადგენდა. ისე კი გვებადება აზრი, რომ იგი იცნობდა აღმოსავლელ იოგთა უძველეს ტრადიციებსა და ფილოსოფიურ, რელიგიურ და გნებავთ ფიზიოლოგიურ

შეხედულებებს. რად ღირს მარტო ეს გამონათქვამი: „სუნთქვა გამოხატავს ადამიანის შინაგან სისუსტეს ან სიმტკიცეს“ (იქვე), ესაც სხვათაშორის ნათქვამი ფრაზაა, მაგრამ აქსიომატურ ჭეშმარიტებას კი შეიცავს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბუნებრივი კლიმატისა და ადამიანთა ხასიათის ურთიერთშესაბამისობის საკითხი. აქაც სუნთქვასთან კავშირშია ყველაფერი. ერთი სიტყვით, ჩვენს ხელთაა მეტად საინტერესო და საჭირო ნაშრომი, რომელიც ქართულად მოგვიანებით გამოიცა და რომელიც მრავალ უპასუხო კითხვაზე გვაპოვნინებს პასუხს.

და ბოლოს: ვფიქრობ, რომ ამ წიგნს უნდა იცნობდეს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა. იგი აუცილებლად წაადგებოდა მოზარდებს სულიერი და ფიზიკური ფორმირების პროცესში.

2015

მარკესი ჩემთვისაც

„ვინ იცეკვებს ლაღად ზღვისა პირზე?“
უილიამ ბატლერ იეიტსი

ჩაუჯდები მარკესს, გადაიკითხავ ერთ ფურცელს, მეორეს, მესამეს... და გრძნობ, რომ დაგიმორჩილა, უკვე მისი ხარ, აღარსად გაგიშვებს, კიდევ გადაშლი რამდენიმე ფურცელს და აღარც შენ გარბიხარ, აპეური კი შეგიხსნა, მაგრამ აღარსად წამსვლელი ხარ, აქ გინდა, მასთან გინდა, სწორედ ისე, ზღვაში რომ შედიხარ, შიგნით რომ გითრევს, თავისკენ გეწევა და რაც უფრო ღრმად შედიხარ, მით უფრო მისი ხარ, გულში გიკრავს, გიხუტებს და იმასაც მალე იგრძნობ, რომ უკვე ერთნი ხართ, შენ მასში შესულხარ და ის შენში შემოსულა; მარკესიც ხომ ზღვაა, თბილად ჟრჟოლისმომგვრელი, სიხარულებით, ტკივილებითა და სიურპრიზებით გაჯერებული, ასეა, ასე გემართება მისი კითხვისას, თითქოს შენში გადმოდის მისი სისხლი, ის რა მწერალია, ხელისჩამორთმევისთანავე თუ ვერ დაგიმეგობრა, ჰოდა, გრძნობ ავტორის გულისცემას, მასთან ერთად სუნთქავ და ლაღობ, მასთან ერთად ცოცხლობ და კვდები, ერთი ლამაზი ქვეყნის მოქალაქენი გამხდარხართ და აღარ გინდა „სამშობლოში“ დაბრუნება, აქ გინდა, მასთან გინდა სამუდამოდ.

და რომ ჩაუჯდები, ერთი შეგრძნება გაქვს კიდევ – თითქოს კარგი რამ ნუგბარს შეექცევი, იტკბარუნებ პირს და სიამოვნების ჟრუანტელი გივლის ტანში, გეშინია – არ გაგითავდეს, ცდილობ – გამოიზოგო, მაგრამ ვეღარ შელევიხარ, თან ის გინდა, რომ მიაძღე, თან ის შიში გიწამლავს განწყობას... კითხულობ და სტკბები, ნუგბარია, აბა, მაშ

რაა მარკესის პროზა, კითხულობ და შენს წარმოდგენაში, თითქოს აქვე, შენს თვალწინ დაბორიალობენ მისი გმირები, თვითონაც აქვეა, არაფრით არ გტოვებს მკვეთრად სამხრეთული პროფილი, კეთილად გამომზირალი, ცოტა სევდიანიც, ცოტა იდუმალიც, სამხრეთამერიკელებისათვის დამახასიათებელი ღრმა და თითქოს შემაშფოთებელიც კი, მზერა.

ჩაგითრევს გაბრიელ გარსია მარკესი იმ თავის საყვარელ კარიბის უძირო ზღვაში და აღმოჩნდები სრულიად სხვა სამყაროში, თუ სუნთქვა გეყო და სხვამხრივაც ხელდასხმული ხარ ღვთისაგან და ფსკერამდე ჩაჰყევი, აი, იქ არის ნუგბარიც და სიურპრიზებიც, იქ, წყლისქვეშეთში დაცურავენ მისი ლეგენდებიდან გამოხმობილი გმირები, მისი თანამედროვენი და უდროობაში გარდასულნიც, ცოცხლები, მაინც ცოცხლები, ზოგი საქსოვს მისჯდომია და ძაფთან ერთად თავის ფიქრებსაც აქსოვს, ზოგი დანებს აფხავებს – ავი რამ განზრახვა ჩაუდევს გულში, ზოგი დამიზნებული თოფის წინ გარინდულა და ცხოვრების დასასრულს მოთმინებით ელოდება, ზოგის სიჯიუტესა თუ რწმენას საზღვარი არა აქვს და წლობით ელოდება მოსასვლელ წერილს და ვინ მოსთვლის, ვინ გასწვდება... სწორედაც რომ სამხრეთამერიკული ეგზოტიკაა მარკესის სამყარო.

და, ბოლოსდაბოლოს, რომ ამოყვინთავ და მაღლა რომ ამოხვალ, სულს რომ მოითქვამ და დამშვიდდები, თვალი რომ ხილულ სამყაროს აღიქვამს, მაგრამ გონება და სული მარკესის სამყაროში დაგრჩენია, მაშინ აცნობიერებ, თუ საიდან მოსულხარ, თუ როგორ შეუძლია გენიალურ მწერალს შექმნას ისეთი საკუთარი სამყარო, რომელშიც, მსგავსად ავტორისა, კვდებიან, მაგრამ მაინც ცოცხლები რჩებიან, რომელშიც, მსგავსად ავტორისა,

მკითხველი შინაური კაცია, მას არ აწბილებენ, მას ესათუ-თებიან და ესალბუნებიან, მისთვის ღვრის ოფლს ეს ღმერ-თივით კაცი, მისთვის ტეხს ღამეებს სიგარეტის ბოლში და გმირების ვნებებში გახვეული ავტორი, როცა წერს, მის-თვის აღარაფერი არსებობს, მისი გმირებივით კარიბის ზღვის ნიავით იკვებება, უძველესი კულტურის ხალხის ლეგენდებიდან მოედინება, შორსაა, მაგრამ აქვეა, შენს გვერდით, ჩვეულებრივი, მაგრამ მაინც არაჩვეულებრივი, იმიტომ რომ კარგად იწყებს და მშვენივრად ამთავრებს, ერთი სული გაქვს ფსკერამდე ჩახვიდე, იცი, რომ იქაა გან-ძი და ისიც იცი, რომ აუცილებლად იპოვნი; ბოლომდე თუ ჩაჰყვები, არ გაგაწბილებს, თუ ხელთ არაფერი შეგრჩა, ე. ი. არ ჩასულხარ, ვერ ჩაგიღწევია, სუნთქვა არ გეყო და ხე-ლახლა უნდა სცადო. აბა, როგორ გინდა? მარკესია, ის ხო არ არის... თავს რომ ჩაყოფ წყალში და ეგრევე წყალმცენა-რეებზე გაბნეულ მარგალიტებს დაინახავ, პირველი წა-კითხვა ხომ ისედაც ემოციაა, გულია, გული კითხულობს, თვალი კითხვის დროს არაფერ შუაშია, გონება მერე შემო-დის, გული ხომ იქ დახვდება და ხომ არიან ისინი ძმანი, ჰო-და, კაი წაკითხვაა, მაგრამ თუ მესამედაც წაიკითხავ, ეს უკვე სულ სხვაა, წმინდა გონებაა, რა თვალი, რის თვალი, გონება კითხულობს, ამის უკეთესი აღარაფერი იქნება, ოღონდაც ერთი – ძალადობით არაფერი გამოვა, თვითონ უნდა მიგიზიდოს, იმან უნდა გიბიძგოს და გადაგაგდოს და თანაც ისე უნდა ჩაყვინთო, არც კი გაგახსენდეს, რომ ტან-საცმელი გაცვია, მაშინ იპოვი, დიად მწერლობას ასე ეფიცვერცხლებიან.

დაბნეული იყო მარკესი, წერდა, მაგრამ შინაგანი რყე-ვა მაინც არ ასვენებდა, ეძებდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მი-ეგნო საკუთარი თავისთვის, ერთადერთი ნუგეში მერსედე-

სი იყო, იმას სჯეროდა, მარკესსაც სჯეროდა, მაგრამ ნერ-
ვიულობდა, სათქმელი ჰქონდა, ენა კი არ ჰქონდა, საკუთარ
ენაზე ლაპარაკი სწყუროდა, ტროპიკული თქეში იდგა ირ-
გვლივ, ის კი წყურვილით იხრჩობოდა; კორესპონდენციები
სხვა იყო, აკი მის მეზობელ ჰემინგუეისაც ჰქონდა ეს დღე,
ეს გასაჭირიც ჰქონდა, ან კი რომელ მართლა მწერალს არ
ჰქონია, იქ სიმშრალეც დაიშვებოდა, სად კორესპონდენცია
და სად მხატვრული ლიტერატურა, იმას უდაბნოშიც გამო-
აცხობ, ამას ნოტიო კლიმატი სჭირდება, სწორედ ისეთი,
კოლუმბიაში როა, მაშინ ამოიზრდება ის ჯადოსნური მცე-
ნარე, რომლის ყვავილის სურნელიც კონტინენტებს გადას-
წვდება და აკი ასეც მოხდა! ოღონდ ჯერ თავი უნდა ეპოვა
და თავდავიწყება მერე გენახათ! მწვერვალზე ასვლას გავ-
და, ეგაა საკუთარი ენის ძიება და დაბნეულიყო ენის ლაბი-
რინთებში, განიცდიდა, მწარედ განიცდიდა, დრო გადიოდა,
ეს უსახსრობაც მაჯლაჯუნასავით აწვა, პირველი სიტყვა
იყო მთავარი, პირველი ფრაზა, აუარებელი სიტყვის კორი-
ანტელში ის სიტყვა უნდა ამოეცნო, რომელზეც ციტადელს
ამოიყვანდა, დანარჩენი უკვე იცოდა, ბოლო ფრაზაც გონე-
ბაში უელავდა, ქონგურების სილუეტიც ილანდებოდა, მაგ-
რამ... მაგრამ... და წააწყდა, იქ, ზემოთ, მწვერვალზე საკუ-
თარი ბებია დახვდა, ბავშვობა და ბებიის თბილი კალთა, კი-
დევ იტყვიან – ბავშვობიდან არ მოვდივართო და სამუდა-
მოდ გადასახლდა ბებიის კალთაში, მამისაგან წამოსულმა
იქ შეაფარა თავი, როგორც იქნა გაანათა გონების თუ გან-
გების სხივმაც ის იღბლიანი ფრაზა, სტაცა ხელი და სუფთა
ფურცელს კალმით მიალურსმა – „გავა რამდენიმე წელი
და...“ და მარკესმა ანდების მწვერვალებიდან გადახედა დე-
დამიწას, მიხვდა, რომ იქ იყო, საითკენაც მთელი ცხოვრება
მიილტვოდა, ეს ლტოლვა იყო რომ სულს უპურებდა, „ჭეშ-

მარიტი ბედნიერება იმაშია, თუ როგორ ადიხარ ციცაბო ფერდობზეო“, ახლა დაშვება აღარ გაუჭირდებოდა, ზოგთათვის დაშვება უფრო სახიფათო გამხდარიყო, ასვლა უფრო იოლიაო, ირწმუნებოდნენ, მაგრამ მარკესმა ყოველთვის იცოდა, როგორ უნდა დაშვებულიყო, მარათონი მომქანცველი კი იყო, მაგრამ ფინიშთან ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევდა, სწორედ მისეული ფინალი იწვევდა მეორედ წაკითხვის ბედნიერებასაც.

ხომ ასეთი თვალისმომჭრელი ტალანტი იყო, მაინც სჭირდა ერთი უცნაურობა, სხვა რა უნდა დავარქვა? იქნებ გულუბრყვილობა იყო, სულაც – უცნაური გულუბრყვილობა, მარქსიზმის იდეალებით რომ შეპყრობილიყო, ისე შეპყრობილიყო, რომ მთელი ცხოვრება სწამდა კომუნიზმის ჩამოდგომისა, გული მოსკოვისკენ მიუწევდა, სოციალიზმის გულისკენ, ამათ შეესხათ ხორცი გერმანული იდეებისთვის, დასჭირდათ და შეასხეს, ოდინდელი ბრწყინვალე სასახლე მორყეულიყო და სადაცაა თავზე ხუხულასავით დაემხობოდათ, მიხვდნენ, იყნოსეს ხვალინდელი დღის ტრაგედია, აღარ შეეძლოთ იმპერიის გარეშე, ეგაა ლენინი, ამაშია ძია ლენინის სიდიადე, სხვებს ვერ გაეგოთ, ტყაპუჭებს ებღაუჭებოდნენ და ქურქები კი ხელიდან მისდიოდათ, ლენინმა გაიგო, ჯერ ეჩიჩინა, ეჩიჩინა, მაგრამ ვერაფერი გააგებინა, არა და ცხადად ხედავდა ხვალინდელი დღის სურათს და უკეთესი რომ ვეღარაფერი მოიფიქრა იმპერიის გადასარჩენად, მარქსიზმს ჩაებღაუჭა, „კაპიტალს“ წამოავლო ხელი, ასწია მარქსიზმ – ენგელსიზმი, იმ სიმაღლეზე ასწია, რომ დაცემისას ზამთრის სასახლე დაიტანა. თუმცა დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც მან იხსნა იმპერია, მსხვერპლს ვინ დაგიდევდა, არც მოგვიანებით გამოედევნებიან. ევროპაში მართალი ეგონათ, ისინი მარქსიზმში

ჩარჩენილიყვნენ, ავად მოარულ კომუნიზმის აჩრდილს ში-შით შეჰყურებდნენ, ამასობაში კი დიდი ომის აჩრდილიც შემოცურებულიყო ევროპის კონტინენტზე და სანამ აზრზე მოვიდოდნენ (დღევანდელობისა არ იყოს), რუსებმა, უფრო კი „ინოროდცებმა“, მარქსიზმზე ლენინიზმი დაამყნეს და კარგადაც გაახარეს. მერე ერთი ნერგი მარკესის მეორე მე-ზობელს, ფიდელ კასტროსაც გაატანეს, მაგრამ ბაყილოები არ ამოყარა, ეტყობა მლაშე წყლები არ მოეწონა... და აი, რომანტიულად უცნაური მწერალი გულუბრყვილობამ მოს-კოვში მიიყვანა. დიდი მწერლები ხომ დიდი ბავშვებია და რა უნდოდა სოციალიზმის მონაპოვართა ქადაგებით (ქადაგე-ბიც რომ კარგი ჰყავდათ!) ბავშვის გაბრუებას, ერთ დროს ჯეკ ლონდონიც გაბრუებულიყო, არც შოუს დასდგომოდა კარგი დღე თავის დროზე, მაგრამ ის მოხუცი იყო, ეს კი ახალგაზრდა, ჯერ სახელმოუხვეჭელი, მაგრამ მგზნებარე და ტემპერამენტიანი, რაღაც სხვა უნდოდა, რაღაც სხვა და ეგ იყო მიზეზი, სამშობლოს დატოვება რომ მოუხდა; გული კი ორმაგად ეწეოდა უკან, მაგრამ კარგს არას დააყრიდნენ. კოლუმბიიდან სხვა დროსაც წასულა, ევროპაში, დიდითაც და მცირე ხნითაც, მაგრამ მაინც იქ იყო, ჯოისისა არ იყოს – არსადაც არ წასულა, მაგრამ მაინც უკიჟინებდნენ, დღემდე უკიჟინებენ ირლანდიის დატოვებაზე... მარკესი კი, მით უმეტეს მაშინ , სად წავიდოდა, შინ ხიფათი ელოდა, მაგრამ არაფრად ჩააგდო, ინკოგნიტოდ გადალახა საზღვარი და მოიტაცა ქალი, რომელიც არა მარტო ოჯახს, სამშობლო-საც მოსტაცა, ისაა ეს ქალი, მერსედეს ბარჩა, მერე და მერე რომ ცხოვრება გაულამაზა, არა მარტო მარკესს, მარკესის მკითხველებსაც გაულამაზა, რასაც იტანდა, თურმე ჩვენ-თვისაც იტანდა და მერე უფრო დაჯერებული და მიზან-სწრაფული გახდა მწერალი, ახლა მარტო აღარ იყო, მტკივ-

ნეულ მოგონებად დარჩენოდა ოჯახიდან წამოსვლა, უნებ-ლიეც და ნებსითიც, ამაში მაინც გაუმართლა, აბა, გავიხსე-ნოთ, რამდენი დიდი მწერალი დააძმარა ცოლის უხასიათო-ბამ და უსაქციელობამ, სიმსუბუქემა და ქარაფშუტობამ. ფოლკნერმა – კარგად რომ ვწერო, ქაღალდი, ვისკი და თუ-თუნი მჭირდებაო. არა, არა, მწერალს ჯერ კარგი ცოლი (ქმარი) სჭირდება (ან კი ვის არ სჭირდება!), მერე სვი რამ-დენიც გინდა, მოწიე და წერე და წერე, თუ კარგი ცოლი გყავს, ზედმეტი არაფერი არ მოგივა და ის ცოლიც ალალია შენზე და შენც იმისთვის.

ვითომ მხოლოდ პროფესიის არჩევისათვის მოუვიდა კონფლიქტი მამასთან? მართლაც და იურისტობა რა მარ-კესის საქმეა, ჯერაც ყმაწვილია, მაგრამ გული სხვას ეუბ-ნება, ნისლშია გახვეული ანდები, მკაფიოდ არაფერი ჩანს, ჯერ მხოლოდ იცის, რომ ეს არ უნდა, თანაც არც ის იცის, თუ რა უნდა, ქვეშეცნეულად გრძნობს შინაგან თუხთუხს, ლავა ჯერ ისევ ნელთბილია და ხვდება, რომ იურისპრუ-დენციის არტახები მას ვერ დაამყოინებენ, როცა იქნება, ამოაფრქვევს ის ლავა. დიდი მწერლისთვის ყველაფერი მასალაა, მისი ჯადოსნური კვერთხი ყველაფერს ლიტერა-ტურად აქცევს, შორს რატომ წავიდეთ, ასეთი აქ არა გვყავს – მარკესის ტოლი და თანამედროვე – ოთარ ჩხეი-ძე? მაგრამ დიდი კოლუმბიელი სხვა ხასიათია, პროფესია კი არა, სწორედ ხასიათი იქნებოდა მიზეზი, ხასიათი რომ არ ყოფილიყო, უკვდავ ხასიათებს როგორ შექმნიდა, გუ-ლის სიღრმეში ალბათ ამასაც გრძნობდა და იმასაც ხვდე-ბოდა, რაც უფრო მკაფიო ხასიათებს გააცოცხლებდა, მით უფრო გაიფანტებოდა ნისლი შორეული მწვერვალებისა.

საოცარი იყო მეოცე საუკუნის დილა, რამდენი დიდი მწერალი გავიდა წუთისოფლიდან და რამდენი შემოვიდა,

დიდი პოლიტიკური ძვრების ექო ადამიანების შინაგან სამყაროშიც ხმიანობდა და მწერლობაც იქ იყო, ეფემერა დასრულებულიყო, ნაპოლეონის კუშტ პტროფილს საუკუნოვანი ნისლი გადაჰკვროდა, ასპარეზზე სხვები გამოსულიყვნენ, არანაკლებ კუშტნი და შეპყრობილნი, მწერლობის ცაზეც ახალი მნათობნი ამოსულიყვნენ, ისინი სხვა რაკურსიდან უყურებდნენ ადამიანს, ცნობიერი აღარ იყო იმდენად საინტრესო, უფრო შიგნით მიიწევდნენ და ახალი ფორმის ძიებაში ჩაძირულიყვნენ. იუცხოვეს მკითხველებმა და კრიტიკოსებმა, ერთხანს იუცხოვეს, მაგრამ მერე გაუტკბათ, მერე იყო, რომ ლაღად მისდევდნენ დინებას, ის მდინარე წინა საუკუნეში გამოედინებოდა, ახალში კი უკვე წყალუხვი გამხდარიყო, ჯოისი შეერთებოდა, იეიტსი, იქით ელიოტი, ფოლკნერი და აგერ მარკესიც, სხვანი და სხვანი, მე რას ჩამოვთვლი, ისედაც ჭარბად გავკადნიერდი; ჰოდა, „ცნობიერების ნაკადი“ რომ მოიწყინეს, ახლა „მაგიური რეალიზმი“ იშიშვლეს, ეს უკვე მარკესის „ბრალი“ იყო, ეს მან გააშინაურა მითოსი, ლეგენდარულ გმირებს ახალი სული შთაბერა და თავის პროტოტიპებს დაუსვა გვერდით და ეს ისე ბუნებრივად გამოუვიდა... მილიონობით ტირაჟები გახდა საჭირო. ეგებ არც ეს იყო ახალი, მაგრამ ის კი კაი იყო, თანამედროვე ადამიანს რომ ოდინდელ წარსულში მიკარგული ფესვები მოაძებნინა და საკუთარი თავის პოვნაში დაეხმარა, სადღაც უხილავ სივრცეში გამოკიდებული მაგია მიწაზე დააბრუნა. და როგორ გინდა, ამდენი რეალური და ლეგენდარული გმირის გულს ერთი გასაღები მოარგო? და აღარც „ყველაზე დიდი კოლუმბიელი“ ცდილობდა, ახლა აღარ ნერვიულობდა, ახლა გასაღებების მთელი ასხმა გააჩნდა, არ დაშტამპულა, ამოიღებდა და რომელ სიუჟეტს რომელი გასაღებიც სჭირდებოდა, იმას მოარგებდა.

უბრალო კაცი ყოფილა მარკესი, ტიპიური კოლუმბიელი, ვისთვისაც უცხო და მიუღებელი არაფერი არ იყო, ატლანტის ოკეანესავით ვრცელი და კარტახენასავით ლამაზი იყო მისი სამყარო, ამ სამყაროში ტრიალებდნენ მისი მეგობრები და თაყვანისმცემლები, მეზღვაურები და ქალები, მეთევზეები და გლეხები, სტადიონები, ბარები, ცეკვები, ცეკვები ზღვისა პირს თუ ზღვაზე, რომანებში თუ მოთხრობებში, სიტყვებში, თუ ფრაზებში, მერე, აქეთ, ვრცელი საახლობლო და კორესპონდენტები და, რაც მთავარია – სიყვარული! ბევრი მწერალი როდია, სიცოცხლეშივე ისე რომ ჰყვარებოდეთ თავიანთ სამშობლოში, როგორც მარკესი, ეს სიყვარული და ინტერესი მისი შემოქმედებისა და პიროვნებისადმი ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ციხესიმაგრეში გამოიკეტა; მოხუცებულებაში შევიდა, დასაწერი კი აუარება რამ რჩებოდა, ვერაგმა სენმაც ბრჭყალი ჩაავლო, დაღალა გადაღებებმა, ინტერვიუებმა, ჩაწერებმა და ცნობისმოყვარეთა შემოსევებმა და განმარტოვდა... მაინც იქ იყო, თავის მოთხრობებსა და რომანებში ცხოვრობდა, საკუთარ ტკივილებს შეეწუხებინა და სხვათა განსაცდელით ცხოვრობდა, ახლა მისი სევდიანი მზერიდან მარტოობის ოთხმოცი წელი გამოსჭვიოდა და ისიც კარგად იცოდა, რომ „სიკვდილი სიბერესთან ერთად კი არა, დავიწყებასთან ერთად მოდის.“

არის რაღაც დიდი მწერლების შემოქმედებაში ექსპანსიონისტური; მარკესიც დიდი „დამპყრობელი“ იყო, მან სიტყვის იარაღით დაიპყრო თანამედროვე წიგნიერი კაცობრიობა.

2016

სიტყვა, ენა, მწერალი

პირველთაგან ყოფილა სიტყვა.

იქნებოდა კიდეც!

ღვთის ნებას წინ ვინ და სად და როდის აღდგომია.

ოღონდ ახლა ბიბლიურ ჭეშმარიტებათა ლაბირინთში შეღწევას არ შევეცდები, სათუოა, ეგებ ვერც შევაღწიო, ანაც მერე იქიდან გამოღწევა გამიჭირდეს.

მწერალი რომ ხმარობს, ჩვეულებრივი, ან არაჩვეულებრივი მოკვდავი რომ ხმარობს, იმ სიტყვაზე მინდა მოგახსენოთ, ისიც ხომ ღვთიურია, ოღონდ უფრო ხელმისაწვდომი, ანუ ვისთვის და როგორ და რამდენად.

გააზრებულ ბგერათა კარგად, ლამაზად დალაგებული ერთობლიობა, ანუ ფრაზეოლოგია, ჯერჯერობით მხოლოდ ადამიანთათვისაა დამახასიათებელი, მხოლოდ ადამიანები ფლობენ ბგერათა წერილობით გადაცემის საშუალებებსაც.

მწერალი თავისი „სოფლის“, ანუ „ქვეყნის“ მშენებლობას ასოს მოხაზვით იწყებს, სულხან – საბას იგავში სხვანაირად ხდება, ყოველდღიურ ცხოვრებაში – სხვანაირად, იქ, ხელოვნებაში კიდევ – სულ სხვანაირად, ანუ „ქვეყნის“ შენების მეთოდი ყველას თავისებური გააჩნია...

ჰოდა, მწერალი ჯერ ასოს ჩააგდებს ბალავერში, ბგერას, მწერლების მეტყველებაში ხომ ბგერები ასოების დუღაბია, სიტყვათა და ფრაზათა დუღაბია, პოეტებისათვის – მითუფრო. მერე იმ ასოზე სიტყვას შემოდგამს, სიტყვაზე წინადადებას და ასე და ასე შემდეგ და შენდება ის, რასაც ვერა კაცი ვერ მოიმოქმედებს ისევ და ისევ ღვთიური ხელდასხმის გარეშე.

და ეს გახლავთ ურთულესი პროცესი, ტანჯვით შეზავებული ნეტარების ყველასათვის მიუწვდომელი განცდა...

აი, ცხონებული გიორგი შატბერაშვილი...

როგორ მისდევს თითოეული სიტყვის ფესვს, მისდევს და მიჰყვება და ჩაბღაუჭებია და მიარღვევს საუკუნეების სიღრმეში გათანგულ წყვდიადს, რომ მიაგნოს და დარწყულდეს და ჩვენც დაგვარწყულოს თავანკარა ქართლურის პირველყოფილი ხიბლით.

სტილი ყველაფერიაო, უთქვამთ და განა რაზე შენდება სტილი? – ენაზე. სტილი ხომ მწერლის აზროვნების სამოსელიცაა.

მდიდრული ზიზილპიპილა ვერც სამოსელსა და ვერც მის მფლობელს ვერაფერს შემატებს, პირიქით კი შეიძლება რომ მოხდეს. ვერც გაცვეთილი და უგემოვნო სამოსელი გამოდგება ღირსების წარმოსაჩენად.

როგორი სადა და ბუნებრივია გ. შატბერაშვილის ენა, როგორ ესათუთება სიტყვას, ეფერება, ელოლიავება, ზელს, ჰქნის და ზუსტად იმ ადგილზე სვამს თავისი „ქვეყნის“ კედელში, სადაც ყველაზე უპრიანია. ისეთი განცდა გაქვს, თითქოს ყვავილივით უჭირავს სიტყვა ხელში, ანაც ანთებული სანთელივით.

არის ვინმე კიდევ ჩვენს მწერლობაში, შემოქმედებითი პროცესის პარალელურად რომ დასდო ამდენი ღვაწლი სიტყვის ძიებას, აღდგენას, შენახვას და ლამის, უხეშად რომ ვთქვათ, ფიზიოლოგიურ კვლევას? რამდენი „თვალადია“ საქართველოში, მაგრამ მან ერთმა მოგვცა ერთი სოფლის ისეთი ლექსიკონი, რომელმაც შეავსო ცნობილ ლექსიკოლოგთა გამოცემები და გაამდიდრა სალიტერატურო ენა იმ ლექსიკით, რომლითაც მეტყველებენ და მეტყველებდნენ ქართველი გუთნისდედები და მევენახეები – ჩვენი სამწერლობო ენის ძარღვნი და სისხლნი და ხორცნი.

მამული, ენა, სარწმუნოება.

თუ – ენა, მამული, სარწმუნოება,

ან იქნებ – სარწმუნოება, მამული ენა?

ესეც კადნიერთათვის მიუწვდომელი სფეროა, არც იქ შეღწევას შევეცდები, ოღონდ – ფაქტია: ნახევარი მამული, როგორც ახლა იტყვიან – გავასხვისეთ, თანაც ზოგიერთი პროვინცია ისეც, რომ ქართული სისხლი წვეთიც არ დაღვრილა.

სარწმუნოების ციტადელსაც ეჯაჯგურებიან ათასი ჯურის რწმენაშერყეულნი და მედროვენი.

აი, ენაზე კი იერიში იერიშზე მიაქვთ, ირყევა და ზანზარებს და კვნესის და ტორტმანებს მშობლიური ენის გოდოლი; უცხოენოვან ფაკულტეტებს შეესია ფეხის ხმას აყოლილი ახალგაზრდობა; თვალადური ქართულით ყელს სად მოიღერებენ!.. გამეფდა ქართულისათვის არაბუნებრივი ლექსიკა და ინტონაციები, ტელევიზიიდან ხო...

აბა, ერთ დღეს, ერთ ნებისმიერ სატელევიზიო არხს, ერთი საათით ყურადღებით მოუსმინეთ ხელში კალმითა და ფურცლით და აღნუსხეთ ქართულისათვის მიუღებელი ის ლაფსუსები, რომლებიც იქიდან იფრქვევა; მერე ის ნუსხა გადაამრავლეთ ყველა არხზე და – წელიწადი მეტი მოგვივა – თვის ოცდაათ დღეზეც. თმა ყალყზე დაგიდგებათ. ქვემდებარესა და შემასმენელს რომ ვერაფრით შეათანხმებს რიცხვში ზოგიერთი მეცნიერი, პარლამენტარი თუ მინისტრი!.. ჟურნალისტებს ხომ თავისი უბედურებაც ჰყოფნით.

მადლი უფალს, რომ ერთმანეთს როგორღაც ვაგებინებთ.

და შეშინებული ცახცახებს უძლიერეს იმპერიათა რისხვაში გამოტარებული ჩვენი მშობლიური ქართული.

და ჩვენც უსამართლოდ გავროზგეთ ჩვენი სიამაყე, ჩვენი დედა ენა, მეტი რომ აღარაფერი შემოგვრჩა უფრო ქართული, უფრო ძველი და მარად ახალი, ყველაფერი შერ-

ყეულა, ყველაფერი დამხობილა, ასომთავრული კი ჩვენი ალამია, ჩვენს დროშაზე ასომთავრული ქანი უნდა ეწეროს, სიმბოლო უძველესი კულტურისა და აღმსარებლობისა, ქრისტეც მასშია გასიმბოლოებული და ჯვარიც და ეს ყველაფერი ქრისტემდე გაცილებით ადრე.

იქნებ გაუძლოს, იქნებ დღევანდელ იმპერიათა მარწუხსაც გაუძლოს, თორემ თუ ერთბაშად მძლავრად შეძოძგინდა და თავზე ჩამოგვემხო ჩვენი ენის რუდუნებით ნაგები გოდოლი თუ ტაძარი თუ დედა ციხე, ეს იქნება საბედისწერო დგაფუნი გლობალიზაციის მღვრიე მორევში ჩვენი ეროვნული სხეულის დანთქმისა.

მაგრამ ხომ გვყვანან!..

„თვალადური ქართლურის ჭაშნიკიც“ ხომ გვაქვს!

ძველი და ახალი ლექსიკონები...

ტკბილმოქართულე ბუმბერაზი მწერლები და მეცნიერები...

კარგი ქართველი ქალები – ძუძუსთან ერთად მშობლიურ ქართულსაც რომ აწოვებენ პაწია ბალღებს.

არა!!!

გვატორტმანებდნენ, მაგრამ ვერ დაგვცეს!

გვარყევენ, მაგრამ ვერ დაგვანარცხებენ!

საქართველოში ყოველ კუთხეს, ხეობას და სოფელს რამდენადმე განსხვავებული ლექსიკა აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან არ მოიპოვება იქაური ქართულის დამჭაშნიკებელი. დამჭაშნიკებელი თუ გამოუჩნა, მარცვალ–მარცვალ შემკრებ–შემგროვებელი, ამკინძავ–დამკაბადონებელი უსათუოდ მოესაკლისება.

არა და როგორ წაადგებოდა ჩვენს მადლიან ქართულს, ყოველ სოფელს თუ არა, ხეობასა და კუთხეს მაინც თავისი შატბერაშვილი რომ ჰყოლოდა. რა სჯობია ტკბილმოქართუ-

ლესთვის მოსმენასა და ყურის დაგდებას? კაი ქართულით დაწერილის კითხვას რა სჯობია, მაგრამ ოო, რა ძნელია კარგი ქართულით მეტყველება და წერა ხომ მითუფრო!

აბა, დახეთ, რას გვეუბნება მოკრძალებული მწერალი, ხედვის რა ვრცელი თვალსაწიერი აქვს და პასუხისმგებლობის როგორი გრძნობა:

„ჩემი ჩანაწერები თვალადური მეტყველების ამომწურავი აღნუსხვის პრეტენზიითაც კი არ გამოდის; მითუმეტეს, ქართლურს როდის გადასწვდება. თვალადური ქართლურის ერთი კოლორიტული შენაკადია, ისევე, როგორც პატარა კავთურა დედა მტკვრისა.“

რაც უფრო შორს და ღრმად სწვდება მწერლის მზერა, მით უფრო მტკივნეულია მისთვის ყოველდღიური ყოფა და რაც უფრო შემაღონებელია ტკივილი, მით უფრო მძაფრია განცდილის გადმოცემის წყურვილი. ყოველდღიურობის მიღმიერ განცდათა გადმოცემა ხომ რთული და რთულია და სწორედ მაშინაა საჭირო მრავალფეროვან სიტყვათა ლაშქარი.

სტილი თუ უდავოდ ბევრს ნიშნავს, ენა უნდა იყოს გრძნობადი სამყაროს აღქმის გადაცემის საშუალება. აღქმის სიღრმეს მზერის სიმახვილე განაპირობებს, ხოლო მისი გადაცემის ხარისხს – სიტყვიერი მასალის ელასტიკა და სიზუსტე.

რამდენმა მესიტყვემ შეაფშვნა ამაოდ დრო და ენერგია განცდილის სრულყოფილად გადმოცემას, რამდენ კალმოსანს წაართვა თავი გაჭენებულმა სიტყვამ, ანაც განა ყველას ამოუზიდავს მარგალიტი, ვისაც ზღვაში ჩაუყვინთავს?!

არა.

სიტყვა იყო, არის და იქნება.

ისეთი სიტყვა, რომელიც იქნება ღმერთი.

2004

ასი წლის შემდეგ

ხდება ხოლმე: ჩაათავებ წიგნს, დახურავ, დაფიქრდები, გულიც დაგწყდება და მერე შენი ფიქრების სამფლობელოდან ის ავტორი აღარსად მიდის, კაი ხნის მანძილზე აგდევნებია, თუ ასდევნებიხარ, თუ აჰკვიატებიხართ ერთიმეორეს და უნებურად გიჩნდება სურვილი – ლანდს მაინც გაესაუბრო, მიეფერ – მიესათუთო და გულწრფელად გამოხატო შენი წილი მადლიერების გრძნობა; მით უფრო, თუ ისეთ ავტორთან გაქვს საქმე, რომლის მიერ გაჭრილ მაგისტრალზეც მომავალი თაობები უშიშრად მოძრაობენ...

ამ შემთხვევაში სულცხონებულ აკაკი შანიძეზე მოგახსენებთ და მის მიერ გამოცემული წიგნის თაობაზე, რომელსაც ჰქვია „ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული“.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ აკ. შანიძე არ ყოფილა, როგორც იტყვიან, ნაფიცი ფოლკლორისტი და არც საქართველოს მთიანეთში მისი მოგზაურობის მიზანი ყოფილა მხოლოდ ზეპირსიტყვიერი მასალის შეგროვება წმინდა ფოლკლორული ინტერესით. სვანეთი, თუშ–ფშავ–ხევსურეთი, მთიულეთ–გუდამაყარი და ხევი; აი, ის სამუშაო არეალი, საითკენაც მიუძღვებოდა მკვლევარს მეცნიერული ალღო ლინგვისტური კვლევა–ძიებისათვის. ძველი ქართულის გრამატიკულ ფორმათა ნაშთები ამ „ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ“ კუთხეებში ეგულებოდა და არც შემცდარა. ქართული, რომლითაც ჩვენი ძველი ეპიგრაფიკული ძეგლები იწერებოდა, მთიელთა ცოცხალ მეტყველებაში შემორჩენილიყო. ამის შესწავლის მიზნით მიავ-

ლინა აკ. შანიძე პეტერბურგის უნივერსიტეტმა საქართველოს მთაში და ამ მივლინების შედეგი იყო ის ანგარიშიც, 1913 წლის შემოდგომაზე რომ ჩააბარა ხსენებულ სასწავლებელს.

მაგრამ ამ წმინდა საენათმეცნიერო ძიებათა გვერდით (და არა კვალდაკვალ!) ბრწყინვალე ფოლკლორული სამუშაოც ჩაატარა. უფრო მეტიც: მან მაშინ დაუდო სათავე ფოლკლორის მეცნიერულად შეგროვების, შესწავლის, კომენტირებისა და გამოცემის საქმეს. მიზნად კი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება ბატონმა აკაკიმ შემდეგში ვეღარ მოახერხა.

და აი, 80 წელიწადს ჩაუვლია ხევსურული პოეზიის პირველი გამოცემიდან; მეორე გამოცემა განხორციელდა 2009 წელს მზექალა შანიძის, თედო უთურგაიძის და ავთანდილ არაბულის ძალისხმევით.

და აი, საუკუნეს ჩაუვლია აკ. შანიძის პირველი მოგზაურობიდან ხევსურეთში.

მას მერე (იქამდეც) ბევრმა შინაურმა და გარეულმა მოიარა ხევსურეთი, მოიარა ფოლკლორისტმაც, ენათმეცნიერმაც, ეთნოლოგმაც და ა.შ. მაგრამ ისეთი „ტვირთით“ იქიდან არავინ დაბრუნებულა, როგორითაც ბრუნდებოდა აკაკი შანიძე (ბრუნდებოდნენ ყოველგვარი ტვირთის გარეშეც). მერე იმ „ტვირთის“ მაღალკვალიფიციურ დონეზე გადამუშავება და შესაბამისი მეცნიერული აპარატი, უკვე სულ სხვა სასაუბრო თემაა. გული გეტკინება, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, შემდეგდროინდელ აკადემიურ გამოცემებშიც კი ისეთი და იმდენი ლაფსუსი შემოგეყრება... თუმცაღა ყოველივე ეს არც ახალია და არც აქ სასაუბრო.

†††

„ჩემი ინტერესი მთისადმი იწყება 1908 წლიდან, როდესაც გიმნაზიელმა ზაფხული გავატარე ბიძაჩემთან ს. ხორხში, სადაც ნარევი მოსახლეობაა მთიულებისა და ფშავლებისა. რამდენიმე ლექსი იმ დროიდან მომდინარეობს. შემდეგ უკვე სტუდენტმა 1911 წ. ზაფხულში პეტ. უნივერსიტეტის აღმოს. ენათა ფაკ–ის დავალებით ვიმოგზაურე ფშავსა და თავ ხევსურეთში, სადაც დიალექტოლოგიური ხაზით უმთავრესად სალექსიკონო მასალებზე ვმუშაობდი. ხოლო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ 1913 წ. ზაფხულში რუს. სამეცნიერო აკადემიის დავალებით მოვიარე (15 ივნისიდან 10 ოქტომბრამდე) გუდამაყარი, ხევი, მთიულეთი, ხევსურეთი, თუშეთი და ფშავი და შევკრიბე მასალები აქაური კილოების შესახებ“.

აი, მოკლე და მშრალი ინფორმაცია აკ. შანიძის პროფესიული დამოკიდებულებისა აღმ. საქართველოს მთიანეთთან, ხევსურულ პოეზიაში საკუთარი ინდექსის განმარტებისას რომ აღუნიშნავს, თითქოს ისეთიც არაფერი. არა და რამდენი ჯაფა (ფიზიკურიც და გონებრივიც) და ძალისხმევა გამოსჭვივის ზემოთ მოტანილ სტრიქონთა შორის. ორიოდე მშრალ ფაქტს, ჩვენი მხრიდან, ასე დავაკონკრეტებდით: იმ მასალების დამუშავებასა და სისტემატიზაციას, რომლებსაც ხუთი წლის მანძილზე აგროვებდა, კიდევ ოცი(!) წელიწადი მოანდომა, სანამ წიგნად ჩამოაყალიბებდა. რა თქმა უნდა, მკვლევარი პარალელურად ენათმეცნიერებაშიც ნაყოფიერად მუშაობდა და ეგებ არც ოცი წელი იყოს საკუთრივ მისთვის ძალიან ბევრი დრო, მაგრამ მაინც არაჩვეულებრივი რუდუნებისა და პასუხის-

მგებლობის მოწმენი ვხდებით – მთელი ოცი წელიწადი ერთი წიგნის გამოსაცემად! დიდებული ადამიანების ხელიდან საქმენიც დიდებულნი მოედინებიან და ალბათ ზედმეტი არ იქნება, გონების თვალი რომ მივადევნოთ ჯერ იმ ხუთ წელიწადს, მერე კი – ამ ოცს. მითუფრო, რომ ამისათვის შორს წასვლა ნამდვილად არ მოგვიწევს. გადავშალოთ 1931 წელს აკაკი შანიძის მიერ გამოცემული „ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული“ და გულდასმით ჩავიკითხოთ. ეს საქმე ახალგაზრდა მკვლევართათვისაც საკმაოდ უპრიანი უნდა იყოს და ეგებ არც ხანდაზმულთათვის იყოს ინტერესმოკლებული. მითუფრო, რომ ჩვენ შეგვიძლია, აღვადგინოთ მეცნიერის მიერ ჩატარებული საკვლევაძიებო საქმიანობის ზუსტი მარშრუტი და კალენდარიც კი. ამის შემდეგ უფრო იოლი იქნება იმის წარმოდგენა, თუ როგორი ჭაპანწყვეტით (ფიზიკური და გონებრივი) იქმნება ეპოქალური მნიშვნელობის წიგნები; რომ ღვთისგან ბოძებული ნიჭი ერთია, ხოლო ამ ნიჭის – ასე ვთქვათ – რეალიზაციისათვის მომადლებული შრომისმოყვარეობა – მეორე, თუმცაღა პირველზე არანაკლები.

†††

პირველი ნათლობა ფოლკლორულ საქმიანობაში აკაკი შანიძეს ხორხში, 1908 წლის 6 – 8 მარტს მიუღია. ეს, ალბათ, საკუთარი ინიციატივა იყო, ყოველგვარი დავალების გარეშე, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, არც ამის აღნიშვნა დაავიწყდებოდა. 21 წლის ჭაბუკი პირველად (ალბათ) მოხვდა ფშაველ – მთიულთა პოეზიით გაჯერებულ ყოფა-

ში და გაუჩნდა „საბედისწერო“ სურვილი – ჩაეწერა მისთვის ამა თუ იმ კუთხით საინტერესო პოეტური ნიმუშები.

ჩამოიარა კიდევ სამმა პეტერბურგულმა წელმა. ამ ქალაქში მაშინ ქართული მეცნიერების მომავალი კორიფეები მოღვაწეობდნენ. უეჭველად ამ წრეში გაახმიანებდა ბატონი აკაკი ხორხში მიღებულ შთაბეჭდილებებსა და თავის ჩანაფიქრსაც. და აი, სტუდენტი აკაკი ჩამოდის საქართველოში პეტერბურგის უნივერსიტეტის დავალებით, რათა მოიაროს ფშავ – ხევსურეთი და შეაგროვოს მასალა „დიალექტოლოგიური ხაზით, უმთავრესად სალექსიკონო“.

არც აქ და არც მოხმობილი ციტატის მომდევნო სტრიქონებში ფოლკლორი არსად ხსენდება. ჩვენ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მეცნიერისთვის დიალექტოლოგიური სამუშაო სხვა იყოს და ფოლკლორული – სხვა. პირიქით – ორივე ნაკადი ერთი წყალუხვი მდინარედან განიტოტებოდა, რომელსაც ხალხური პოეზია ერქვა. სწორედ აქ გამოანათა აკაკი შანიძის დიდმა მეცნიერულმა ალღომ და გაქანებამ. ლინგვისტური გამოკვლევების გვერდით შექმნა მშვენიერი, მაღალკვალიფიციურ დონეზე გამოცემული ფოლკლორული ნაშრომიც. მაგრამ ეს, როგორც ითქვა, ხელის ერთი, ან – ერთი ხელის მოსმით არ გაკეთებულა. მაშინ ფშავისა და ხევსურეთის ხეობებში სამანქანო გზები არ არსებობდა და მოგზაურობა ხან ცხენზე ამხედრებულს მოუწევდა, ხანაც – ქვეითად.

ჰოდა, იმისათვის, რომ მკვლევარს თავისი მისიაც მაღალ დონეზე შეესრულებინა და ფოლკლორული ნიმუშებიც შეეგროვებინა, მიიღო საუკეთესო გადაწყვეტილება – ბანალური, იაფფასიანი ტექსტების აღნუსხვას ამჯობინა იმ საკმაოდ მაღალი დონის პოეტური ნიმუშების ჩაწერა, რომლებიც მოულოდნელად დახვდა ადგილზე. დიალექტიც იქ

იყო, ლექსიც და ლექსიკაც და ათასიც კიდევ სხვა რამ და იმასაც უცებ მიხვდა, გაუტეხავ ყამირში რომ შეაბიჯა...

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი შანიძე საკმაოდ კარგად აღჭურვილ – შეიარაღებული გაემართა მთისკენ: ახალგაზრდული ასაკი, ფართო ერუდიცია, მეცნიერული ფანატიზმი (შეიძლება ასე თქმა?), კომუნიკაბელური ხასიათი, რაც მთაში განსაკუთრებულად საჭირო იყო და ალღო, ალღო და გამბედაობა, ურომლისოდაც მკვლევარი შორს ვერ წავა.

†††

აკ. შანიძემ 1911 წლის ივლისის თვეში მეცნიერული მისიით პირველად იმოგზაურა ფშავ–ხევსურეთში, მაგრამ მანამდე, 17 ივნისს, რატომღაც ასულა (ალბათ მოსალოდნელი პრობლემების შესასწავლად, დაზვერვის მიზნით) ხევსურეთში – ბარისახოში და ჩირდილში. ორი კვირის შემდეგ, 2 ივლისს, ჩნდება უკვე პირველი ჩანაწერი: „2. 7. 1911. ახადი.“ ეს უკვე ფშავის არაგვის ხეობაში მდებარე სოფელია. საერთოდ, ამ ხეობის სოფლები ძნელად მისადგომ ადგილებზეა გაშენებული. ამ მარშრუტის გავლისას ალბათ ცხენით სარგებლობდა და საამისო თადარიგს, სავარაუდოდ, აკაკის ბიძა – ბესო დაიჭერდა, რომელსაც თვალივში დუქანი ჰქონდა და ფშავლებთან, ცხადია, ახლო ურთიერთობა ექნებოდა.

ახალგაზრდა მეცნიერმა ფშავში ათი დღე დაჰყო. თვალი მივადევნოთ მისი მოძრაობის მარშრუტს: 2 ივლისი – ახადი, 3 ივლისი – ხოშარა, 4 ივლისი – ლაშარი, 5 ივლისი – მისრიანთკარი, 8 ივლისი – უკვე ზემო თიანეთი, 11 ივლისი – შუაფხო.

სხვათა შორის, აკ. შანიძეს ფშავში შესვლისას თან ხლებია ვაჟა – ფშაველა. ეს, ალბათ, სწორედ 1911 წელს იქნებოდა. საერთოდ კი, ქ–ნ მზექალა შანიძის ცნობით, აკაკი ვაჟას ოთხჯერ შეხვედრია და მათ შორის გარკვეული, თბილი ურთიერთობა ჩამოყალიბებულა. ეს საგულისხმო დეტალია იმდენად, რამდენადაც აკ. შანიძე იმ დროს ჯერაც ახალგაზრდა და სახელმოუხვეჭელი მეცნიერია, ხოლო ვაჟა – ფშაველა კი საქვეყნოდ ცნობილი მწერალი, თუმცაღა უკვე მძიმე სენით შეპყრობილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ დიდ პოეტს აუცილებლად ეცნობოდა ბესო შანიძეც. აი, ასეთ პირობებში იკისრა დამწყები მეცნიერის მეგზურობა პოეტური სიტყვის გენიამ. იმასაც ალბათ ალღო კარნახობდა... ისე, მის ადგილზე, ასეთ სამსახურს ბევრი ითაკილებდა კიდეც.

მივყვეთ მარშრუტს: შუაფხოდან იქვე – ხევსურეთისკენ გაუწევია და 13 ივლისს უკვე ბარისახოშია, ალბათ გოგოთურ ჭინჭარაულის ოჯახში. ბარისახოში სამი – ოთხი დღე ჩარჩენილა, ცხადია, სამოგზაურო თადარიგის დაჭერასაც მიჰქონდა დრო. 17 ივლისს უკვე კვლავ ჩირდილშია, შემდეგ ბისოში. 20 – 23 ივლისს კი როშკაში, მერე ქმოსტში და ბლოს, 24 ივლისს – ბაცალიგოში. ბუდეხევსურეთის მოვლას 11 დღე მოანდომა. ამ ექსპედიციას სულ სამი კვირა დასჭირდა და აკაკი შანიძემ მას დაზვერვითი სამუშაოები უწოდა, თუმცა იმდენი მასალა შეაგროვა, დაზვერვაზე გაცილებით მეტს ნიშნავდა.

ჩამოივლის კიდევ ორი პეტერბურგული წელი, ამასობაში უნივერსიტეტსაც გაასრულებს და უფრო ნაყოფიერი და ხანგრძლივი მოგზაურობისათვის მოემზადება. 1913 წლის ზაფხულ – შემოდგომაზე, ამჯერად უკვე რუსეთის

მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს მოივლის. მიზანი: მასალების შეგროვება „აქაური კილოების შესახებ.“ არც აქ გამოჰკრთის სადმე სიტყვა ფოლკლორი, მაგრამ უეჭველად უნდა იგულისხმებოდეს. ბარეღამ აქვე აღვნიშნავთ, რომ აკაკი შანიძემ ამ ექსპედიციის შედეგები რატომღაც სწრაფად შეაჯამა და პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტს ანგარიში ერთ თვეში ჩააბარა.

ის მოგზაურობა კი მკვლევარმა მთიულეთ – გუდამაყრით დაიწყო. 16 – 23 ივნისს მოიარა სოფლები: დუმაცხო, ზანდუკი, თოთიაურთკარი და ბაკურხევი. ამის შემდეგ სამი კვირა შეუსვენია. მისგან უფრო მოსალოდნელია, სხვა საქმეებით ყოფილიყო დაკავებული და 14 ივლისს უკვე ხევში წამოიწყო ორკვირიანი სამუშაო ვიზიტი. იქ სტეფანწმინდაში, გერგეტში, თოთსა და სიონში იწერდა მასალებს. სიონიდან ერთი დღით ავიდა ჯუთაში და იქიდან 4 აგვისტოს გადავიდა არხოტის თემში. იქ სოფელ ახიელში სამი დღე დაჰყო და მეტად ნაყოფიერადაც იმუშავა. ახიელიდან კვლავ თვალივში დაბრუნდა, ალბათ ბიძასთან და მოემზადა ხანგრძლივი და დამქანცველი მოგზაურობისათვის პირიქით ხევსურეთსა და თუშეთში. ამ დისტანციის დაძლევა მარტოს და თანაც ფეხით, გაუჭირდებოდა, ამიტომ ბლოელი აბა გიგაური იახლა, რომელიც, ამავე დროს, საინტერესო მთხრობელიც გამოდგა.

17 აგვისტოს, 1913 წლისა, ხევსურეთის სოფელ უკანახოდან დაიწყო ექსპედიციის მეორე ეტაპი, რომელიც გაგრძელდა ხახმატში და 29 აგვისტოს დასრულდა შატილში. აქედან აკ. შანიძე გადავიდა თუშეთის სოფელ ფარსმაში. აბა გიგაურს მეცნიერი იქამდე მიუცილებია, რომელ-

მაც მუშაობა განაგრძო ჯერ დართლოში, შემდეგ კი ომალოში, სადაც 8 სექტემბრამდე დაჰყო. თუშეთიდან გადადის მკვლევარი არტანში (26 – 27 სექტემბერი) და მასალების ჩაწერას ასრულებს 4 ოქტომბერს მაღაროსკარში.

ვინც კარგად იცნობს აღმ. საქართველოს მთის კუთხეების გეოგრაფიას, ალბათ დამეთანხმება, რომ ეს იქნებოდა საკმაოდ რთული და მომქანცველი მარშრუტი და სამუშაო, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიისა და მეცნიერული ჟინისა თუ სწრაფვის წინაშე ხომ გადაულახავი წინააღმდეგობები არ არსებობს.

აკ. შანიძეს ამით არ დაუსრულებია ლინგვისტურ – ფოლკლორული კვლევა – ძიებანი მთაში. საინტერესო გამოდგა 1922 წელს ათდღიანი გასვლა ერწოში – ტოლათსოფელში და ბოლოს, 1931 წელს ხახმატსა და ჭიმღაში, სადაც ძველ მეგობართან – ბესარიონ (აბაისძე) გაბურთან სტუმრობდა.

1931 წელს კიდევ დავუბრუნდებით, მაშინ ბ–ნი აკაკი გაცხარებულ მუშაობაში იყო – გამოდიოდა მისი პირველი და უკანასკნელი (თურმე) ფოლკლორული ნამუშევარი – „ხევსურული პოეზია“, რომელიც, როგორც პროფ. თ. უთურგაიძე იგონებს, განსვენებულ მეცნიერს თითქმის ზეპირად სცოდნია.

†††

სამეცნიერო მივლინებაში მყოფ აკაკი შანიძეს ნორმალური და ნაყოფიერი მუშაობისათვის ესაჭიროებოდა დამხვდურთა გულითადი განწყობილება და კარგი, საქმეში ჩახედული და ავტორიტეტული მასპინძელი. მთის ხალხის

გულის მონადირება მკვლევარს არ გასჭირვებია. ამაში მას ხელი შეუწყო იმპროვიზაციის ნიჭმა და უნარმა, რასაც მთაში პატივს სცემენ და აფასებენ. სრულიად უცხო ხალხს ძველი ნაცნობივით გამოელაპარაკებოდა, ხანაც წაუკაფიავებდა ხოლმე და პოეტურად განწყობილ პირებს საუბარში იოლად ჩაითრევდა. ბ–ნ ალ. ჭინჭარაულს თავის მშვენიერ წიგნში „აკაკი შანიძე – მთის მკვლევარი“ მოაქვს ალ. ოჩიაურის მოგონება, თუ როგორ თამამად და გამომწვევადაც კი შევიდა აკ. შანიძე სოფ. ახიელში, ხირჩლა ბაბურაულზე გადაუკრა სიტყვა არხოტივნებს და ამით თავისი სავიზიტო ბარათი გაუწოდა. ასე დაიდო ბინა პოეზიაში კარგად ჩახედული კაცის – გიორგი ჯაბუშანურის ოჯახში.

იმის წარმოსადგენად, თუ როგორ მუშაობდა აკაკი შანიძე ფოლკლორული მასალის შეგროვებისას, საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ბრწყინვალე მაგალითი, რომელსაც ფშავში, თამარ მეფის ხატობაში ჰქონია ადგილი 1911 წლის 5 ივლისს. აი, რას მოგვითხრობს იგი: „საქმე ასე იყო: ხალხური ლექსების ჩაწერის საქმე არ მიმიდიოდა წინ. მე უკმაყოფილო ვიყავ და ხალხს შევსჩივლე. თანაც დავსძინე: აი მე გეტყვით ლაშარის ლექსს და სირცხვილი თქვენი, რომ თქვენ არას მეუბნებით – მეთქი. წავუკითხე ლეგენდა ლაშარის ოქროს შიბიანი მუხის მოჭრის შესახებ, რომელიც 1908 წელს მქონდა ხორხში გ. ხუცურაულისაგან გაგონილი და შემდეგში გალექსილი. ისე მოეწონათ ეს ლექსი, რომლის შინაარსიც ყველამ კარგად იცოდა, რომ ერთბაშად ნდობა მოვიპოვე და ხევისბერმა დარჩია მისრიაშვილმა მიჰმართა იქ მყოფთ: „მოდით, ფერხისა ვუძახოთ ამ იმერელსო“. წამსვე ხალხი გაიპო ორ რიგად. მე ჩავდექი შუაში, მოვიმარჯვე უბის წიგნაკი და ფანქარი და შევუდექი წერას“.

შეიძლება მავანი შემომესიტყვოს – ფოლკლორი ასე იწერება, ეს დადასტურებული მეთოდია და აქ გასაკვირიც არაფერიაო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ერთი რამ: აკ. შანიძე მუშაობდა მარტო, თანმხლები ხელმძღვანელის გარეშე, გარეშე ყოველგვარი გამოცდილებისა და თუ არა ღვთივკურთხეული უნარი, როგორ გინდა აიყოლიო 24 წლის ბალღმა დროული, ხატის მსახური მოხუცები და ისინი შენი სურვილების შემსრულებლებად აქციო?!

ზემოთ მოხმობილ ეპიზოდში მომავალი მეცნიერის წარმატება უთუოდ ლაშარის ჯვართან დაკავშირებული ლეგენდის აკაკის მიერ გალექსილმა ვარიანტმა განაპირობა. ფშავლები უაღრესად პოეტური ხალხია, ეს მკვლევარსაც კარგად მოეხსენებოდა და, უნდა ითქვას, რომ მაშინ, იქ, ჭაბუკმა ფოლკლორისტმა მიზანში ზუსტად გაარტყა.

იმას მოგახსენებდით: ახალგაზრდა მკვლევარს არხოტში მასპინძლობდნენ აგრეთვე ალ. ოჩიაური – არანაკლებ ცნობილი ეთნოლოგ – ფოლკლორისტი და ბ. გაბური. ბესარიონ გაბურის შესახებ კიდევ გვექნება საუბარი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკ. შანიძეს მასთან უახლოესი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. მხოლოდ ბესარიონს თუ შეეძლო ქართული „ესწავლებინა“ აკაკისთვის, ან კიდევ – ეწოდებინა მისთვის, პირად მიმოწერაში, „მწერელტყვე“ და „მწერელჩვილი“, რაც ხევსურულად დამთხვეულსა და არანორმალურს ნიშნავს. მათი მეგობრული ურთიერთობა, რომელიც პეტერბურგში დაიწყო, როცა დაჭრილი გაბური ჰოსპიტალში ინახულა სტუდენტმა შანიძემ, შემდეგში გადაიზარდა მეცნიერულ თანამშრომლობაში. ასე, რომ ბ. გაბურის სახით ა. შანიძემ ხევსური პოეზიისა და კილოკავის საკმაოდ მდიდარ „საბადოს“ მიაგნო.

ასეთივე ურთიერთობა აკავშირებდა მომავალ ენათმეცნიერს ხევში სიონელ ა. კობაიძესთან, თვალივში (ფშავი) – მინდია ქისტაურთან და ბარში ჩასახლებულ იმ პიროვნებებთან ვისთანაც აქტიურად თანამშრომლობდა და ხშირად მისი ოჯახის სტუმრებიც იყვნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოეზიით დაინტერესებულ პირებთან აკ. შანიძეს კავშირი არასოდეს გაუწყვეტია. ისინი რომ თბილისში ჩადიოდნენ, თავიანთი პრობლემების მოსაგვარებლად ხშირად ბ–ნ აკაკის აკითხავდნენ და, კარგად იცოდნენ რა მისი ინტერესების შესახებ, თავადაც პოეტური ნიმუშებით ხელდამშვენებულნი სტუმრობდნენ. ყველაფერს რომ თვითონ ვეღარ სწვდებოდა საქმეში ყელამდე ჩაფლული მეცნიერი, ვისი გულისხმიერების იმედიც ჰქონდა, ახლა იმათ სთხოვდა მასალების შეგროვებას. ასეთები იყვნენ: ექიმი ერასტი ბალიაური, რომელმაც უამრავი მასალა მიაწოდა და ალექსი ოჩიაური, რომელიც შემდეგში, გავიმეორებ, ბრწყინვალე ფოლკლორისტად და ეთნოლოგად მოგვევლინა და რომელსაც ბიძგი აქეთკენ სწორედ აკ. შანიძემ მისცა.

1931 წლის საგამომცემლო გეგმაში იჯდა აკ. შანიძის მიერ გადაცემული წიგნი „ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული“, რომელსაც იგი დროდადრო ავსებდა ახალახალი მასალით. წიგნის გამოცემის საქმე ისედაც გაიწელა, მაგრამ ეს გარემოება ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ერთ მხრივ მასალა ვერ ამოწურა, ხოლო მეორე მხრივ, გამოცემის სრულყოფილებისაკენ სწრაფვა აჩქარების უფლებას არ აძლევდა. აკაკი სახლშიც და უნივერსიტეტშიც გაცხარებულ – გაფაციცებული მუშაობდა. მარტო ერთ რომელიღაც დღეს უამრავი მასალა ჩაწერეს მან, ვახტანგ

ბალიაურმა, გაბრიელ ნაროზაულმა და გიორგი ჯინჭარაულმა. აკაკი და ვახტანგი იწერდნენ, ხოლო გაბრიელი და გიორგი მოუთხრობდნენ.

განსვენებული მკვლევარი მთიდან თბილისში ჩასულ მთხრობელებსა და მთქმელებს ყველგან დაეძებდა და პოულობდა. ასეთ შემთხვევებს ხომ უნივერსიტეტის სტუდენტებში რას გაუშვებდა და აგერ – მუშფაკის მსმენელებშიც მიაგნო მისთვის საინტერესო ადამიანებს. სწორედ აქ აღმოაჩინა და ფოლკლორის შეგროვების საქმეში ჩააბა ვ. რაზიკაშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. ნაროზაული, გ. ჯინჭარაული და ე. ბალიაური. ამათ გარდა ბევრი მასალა ჩაიწერა ბადია ბალიაურისაგანაც, რომელთანაც აგრეთვე აქტიურად თანამშრომლობდა ნ. ურბნელიც.

აკ. შანიძე მთაში მუშაობისას დაუღალავი და შეუპოვარი იყო. შეეძლო დღისით რამდენიმე მთხრობელისაგან ჩაეწერა, საღამოს ეს მასალა გადაეთვალიერა და თუ რამ საეჭველსა და გაუგებარს აღმოაჩენდა, სანამ იმ სოფელს დატოვებდა, ხარვეზი მეორე დღესვე აღმოეფხვრა, იცოდა რა, რომ მეორედ იქ მოხვედრა სათუო იყო. მთის სოფლებში ზაფხულში ხშირი სტუმრიანობა იყო, ზოგს ჭირის საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი, ზოგსაც ლხინის, მაგრამ აკ. შანიძე არც იმ მოუცლელ სტუმრებს ერიდებოდა, მათაც როგორღაც დაიმარტოხელებდა და ვაი იმისი ბრალი, ვინც ამ მოუსვენარ ჭაბუკს ჩაუვარდებოდა ხელში – ერთიანად გამოსწოვდა თუ კი რამ გადანახულ – გადამალული ეგულებოდა მათი მეხსიერების ყულაბაში.

აკ. შანიძე ხალხური პოეზიის გულუბრყვილო შემგროვებელი როდი ყოფილა. ჯერაც ჭაბუკს დაბრძნილი მკვლევარის ალღო, ინტუიცია და მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდი მოეპოვებოდა. ერთგან ჩაწერილი მასა-

ლის შესახებ სხვაგან სხვას ჩამოუგდებდა ხოლმე საუბარს, მერე, ამგვარად პროვოცირებულ მთხრობელს, იმ ლექსს იქვე წაუკითხავდა, ან, სულაც, ზეპირად ეტყოდა და ახლა მისგან მოითხოვდა მისებური ინტერპრეტაციისა თუ ვარიანტის წარმოდგენას. ამგვარად იქმნებოდა ერთი მოვლენისა თუ ფაქტის შესახებ ზოგჯერ ათეულობით პოეტური ვარიანტი. ვარიანტები, ხაზგასმით გვინდა შევნიშნოთ, შესაძლოა პოეტური დახვეწილობით ძირითად ტექსტებს ვერ აჭარბებდეს და მხატვრული თვალსაზრისითაც ვერაფერს მატებდეს, მაგრამ ამა თუ იმ ტექსტში გადმოცემულ ამბავს, მით უფრო ეპიკური ჟანრის ტექსტებში, უთუოდ ამდიდრებს ახალახალი ფაქტობრივი დეტალებით. ასე რომ, ვარიანტების სიუხვეს ხანდახან არაფრისმომცემ გადამღერებად რომ მიიჩნევენ, ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია პოეზიის თვალწარმტაც ქვეყანაში ისტორიკოსის თვალით მომზირალი მკვლევარისათვის. ბარეღამ აქვე შევნიშნავთ, რომ ხალხური ლექსები და ბალადები, რა თქმა უნდა, შესაბამის ისტორიულ ფონთან სათანადოდ შესწავლილი და შეჯერებული, ალბათ დროა, რომ მივიღოთ, როგორც ისტორიული ფაქტები. ასეთი მიდგომა, ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ უნდა იყოს, რადგან, რაც მთავარია, პოეტურ ტექსტში ფაქტობრივი მხარე რეალურ სიტუაციას საკმაოდ დამაჯერებლად და დაუმახინჯებლად ასახავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ესა თუ ის ნიმუში ვერ გახალხურდებოდა. ხალხის თვალი და მეხსიერება უმკაცრესი ცენზორის როლს თამაშობდა. თუ მაინც სუბიექტივიზმის აჩრდილს გამოვეკიდებით, განა მისგან თავისუფალნი იყვნენ ძველი მემატიანენი? ახლანდელი მემატიანენი კი არ სცოდავენ? და ის ვარიანტები სწორედაც რომ მისწრებაა ასეთი ხარვეზების ამოსავსებად. თუმცაღა ეს

სხვა თემაა და სხვაგან სასაუბროა. აქ მხოლოდ იმასღა ვიტყვით, რომ ხალხურ ლექსებში ამბავი მეტად დაწნეხილადაა მოთხრობილი, რასაც, არც თუ იშვიათად, აზრის გაბუნდოვანებასთანაც მივყევართ. ეს მომენტი არც აკაკი შანიძეს გამორჩენია და ხშირად პოეტურ ტექსტს პროზაულსაც იქვე ურთავდა. ისტორიკოსის მოდარაჯე თვალი არც იქიდან გამობრუნდება გულდაწყვეტილი. ეს ამბები ზოგჯერ იქნებ კიდევაც სცილდება მკვლევარის მისიასა და ინტერესთა სფეროს, მაგრამ დაენანა, ეტყობა, დასაკარგავად, თანაც პოეტური ტექსტის სრულყოფილად აღქმასაც უწყობდა ხელს.

†††

უთუოდ ღვთის რჩეული იყო აკაკი შანიძე, განგება რომ მოუვლენს ხოლმე ამა თუ იმ ერს მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური მისიით. მთელი თავისი დღეგრძელი სიცოცხლე იმ საქმეს შეაცვითა, ურომლისოდაც ერი სიცოცხლისუნარიან ორგანიზმად ვერ შესდგება – მშობლიური ენის სიღრმეებში წიაღსვლასა და მთელი ამ ენობრივი სივრცის გრამატიკულ ჩარჩოებში მოქცევას. დავეხსნათ დიდი მეცნიერის საენათმეცნიერო კვლევებსა და მოღვაწეობას, საამისოდ არც კომპეტენცია გვეყოფა და არც გაქანება, გავაგრძელოთ მხოლოდ ამ ერთი წიგნის გარშემო ფუსფუსი და კიდევ ერთხელ გავამახვილოთ გონების მზერა, რათა რამდენადმე მაინც სრულყოფილი აღქმა მოვახერხოთ, თუ რა ჯაფითა და სისათუთით იქმნებოდა „ხევსურული პოეზია“. სამჯერ ხომ იმოგზაურა ხევსურეთში, მეოთხედ ერწოში ააკითხა იქაურ ხევსურებს. ამ ხალხთან ხომ მკვლევარს ჯერაც საკმაოდ კარგად შემონა-

ხული ძველი ქართული ენის გრამატიკული ფორმები და ლექსიკური ფონდის სიუხვე იზიდავდა. ფოლკლორისადმი სწრაფვა და ინტერესი მერე და მერე უფრო გაუძლიერდა. იგი იქცა მისი ძირითადი საქმიანობის თანამდევ გატაცებად, თუ შეიძლება, ასე ითქვას. მაგრამ აკი ისიც აღვნიშნეთ, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება არ სჩვეოდაო. ამიტომაც მწიფდებოდა ოცი წელიწადი ეს მთაში მოგზაურობის მსუყე ნაყოფი. თავად განსაჯეთ: წიგნი მოიცავს 700 – ზე მეტ გვერდს, აქედან 300 გვერდი უჭირავს ძირითად ტექსტებს (768 ტექსტი), დანარჩენი 400 კი – ვარიანტებსა და შენიშვნებს. ერთი რამეც უნდა ითქვას: აკ. შანიძეს, მიუხედავად გამოუცდელობისა (პირველ ხანებში მაინც) და ახალგაზრდული ასაკისა, ხევსურულ დიალექტში შეღწევა არ გასჭირვებია, პირიქით – თავი იქ მალე ისე იგრძნო, როგორც თევზმა – წყალში. აკი მერე ბ. გაბურსაც „უსწორებდა“ ხოლმე პირად წერილებში ხევსურულს.

ხევსურებს ხომ აოცებდათ აკ. შანიძის უკომპლექსო ხასიათი, იმასაც ბევრი რამ უკვირდა, ეტყობა, ხევსურებისა, ხან – იუმორი, ხან – ქრისტიანობისადმი ზერელე დამოკიდებულება და ა. შ. ძნელია აგრეთვე იმის თქმაც, გულუბრყვილოდ სვამდა ზოგიერთ შეკითხვას თუ თანამოსაუბრის პროვოცირებას ახდენდა. მაგალითისათვის: გარდა ხევსურების მიერ კურდღლის ხორცის უჭმელობის მიზეზზე თქმულისა (იმიტომ არ ვჭამთ, რომ ბრჭყალები კატას მიუგავს, ხოლო ყურები – სახედარსო), ერთი სახასიათო კითხვა – პასუხიც ჩაუწერია: „როდესაც ერთ ხევსურს ვკითხე: მარხვა იცით თუ არა მეთქი, მან, – ვითომ ვერ გაი-

გო, რა მარხვაზე ვეკითხებოდი და, – გადამიკრა: როგორ არა, ვიცითო, როცა მოკვდება ვინმე დავმარხავთო“...

დიალექტური ბარიერის გადალახვაში უთუოდ ძველი ქართულის კარგად ცოდნამაც შეუწყო ხელი და იმანაც, რომ ყოველ სიტყვასა და ლექსს იქამდე უკირკიტებდა, სანამ მთლიანად არ „გამოშიგნავდა“. მაგალითისათვის 196 – ე ნომრით დატანილი ლექსის შენიშვნას მოვიხმობთ, რომელშიც ნ. ურბნელს სიტყვა „ბერის“ შესახებ ედავება. „მოხუცი, რომელსაც ვაჟკაცობა აღარ შეუძლიანო“, განმარტავს ურბნელი. შანიძე კი, გამომდინარე კონტექსტიდან, ეჭვობს: „ან დაბადებიდანვე დახუთული ყოფილა და ბერი – კაცივით სულ შინ მჯდარა, ან არა და მას სახელად ჰრქმევია ბერიო“; თუმცა არც თვითონაა დარწმუნებული თავისი მოსაზრების სისწორეში და ბოლოში დასძენს: „მე უფრო მეორე ახსნა მიზის ჭკუაშიო“. „ბერი“ – „ბერად“ და ყოველ სიტყვასა და ლექსზე თუ ამდენს ფიქრობდა და უღრმავდებოდა, ამდენი მასალის გადამუშავებასა და წიგნად ჩამოსხმას, დასჭირდებოდა ოცი წელიწადი, აბა, რა იქნებოდა?!

მეტსაც მოგახსენებთ: 401 – ე ლექსის განმარტებისას დააინტერესა სიტყვა სერმა და მისმა წარმომავლობამ (სერი – შესახედაობა, სახე, გარეგნობა. „ხევს. ლექსიკ.“). აკაკის აქ ასო სანი უადგილოდ მიუჩნევია და ჩამოუჭრია, მოგვიანებით კი ამ გადაწყვეტილებაში დაეჭვებულა: „ახლა კი, როცა ამ სტრიქონებსა ვწერ, ვფიქრობ: მე თვითონ ხომ არ შევცდი – მეთქი? ასე ვფიქრობ იმიტომ, რომ მაგონდება ერთი ადგილი ხევსურული ლექსიდან, სადაც დადასტურებულია „სერი“–ო. ეს კი არა, ზოგიერთი სიტყვის ეტიმოლოგიური ძიებისას, სპარსულის ანალოგიებამდეც

კი წასულა (ცანდარი – ზინდანი, გვ. 226, 479) და ა.შ. სურათი ალბათ ნათელია.

†††

რა თავისებური ყოფა – ქცევის ხალხია ეს დიდი ადამიანები. მათმა ნათქვამ – ნაქნარმა ხანდახან სიცილი თუ არა, ღიმილი მაინც შეიძლება მოგვგვაროს. აქვე უნდა დავძინო, რომ ასე მათ უტაქტობით კი არ ემართებათ (რა ბრძანებაა!), არამედ საქმისადმი ფანატიკური სიყვარულით. აკ. შანიძისათვის, მაგალითად, მნიშვნელობა არ ჰქონდა დროსა და ადგილსა და სიტუაციას – ინფორმატორი სადაც გადაეყრებოდა, მასთან იქვე „ასწორებდა ანგარიშს“. ასე მოხდა და ყველაფერი ასე დაიწყო პეტროგრადის ერთერთი საავადმყოფოდან. იქ ჯერ პირველ მსოფლიო ომში დაჭრილ ბესარიონ გაბურს შეხვდა და მაშინვე უკარნახა უტყუარმა ალღომ, რომ განგებამ სწორედ მას შეახვედრა, ვინც ახლა საქმეს სჭირდებოდა. ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მერე კი იქვე მეორე დაჭრილ ხევსურს გადაეყარა – ბაძია ქერაულს – და მისგანაც საინტერესო მასალა ჩაიწერა. ალბათ ისიც საკითხავია – მათ თუ ეწერებოდათ იმ დროს და იმ ადგილას...

საქართველოში რომ ჩამოვიდა, კუთხე – კუთხე და სოფელ – სოფელ ხომ დადიოდა, არც რელიგიურ დღეობებს ტოვებდა უყურადღებოდ. ასე აგროვებდა მასალას ლაშარში (ფშავი), ფუძის ანგელოზში (გუდამაყარი), სამებაში (ხევი) და ათენგენობაში (ხევსურეთი).

შემთხვევას რომ ხელიდან არ უშვებდა, ამის შესახებ თავადაც მოგვითხრობს: „მთის ხალხს, განსაკ. ფშავლებს

და ხევსურებს, შემდეგშიც ვხვდებოდი ტფილისში, ერწოში თუ სხვაგან და შემთხვევას არ ვუშვებდი ხელიდან, რომ ხალხური სიმღერები შემეკრიბა, თუ შემეკრებინებინა!“ („ხევს. პოეზია“. გვ. 682.).

აკ. შანიძეს, კალამ – ქაღალდით შეიარაღებულს, ასე გაუჩერებია 1931 წლის 19 ივლისს თელავში ნადირა ბურდული და, ეცალა თუ არ ეცალა, მასალა მაინც ჩაუწერია მისგან. ასეთი სურათიც წარმოვიდგინოთ: ხევსურეთიდან კაცი თბილისში უსაქმოდ და გაუჭირვებლად ხომ არ ჩამოვიდოდა?! ჰოდა აი, ამ თავის გაწამაწიაში ჩაფლულ და ოფლით შუბლდაცვარულ კაცსაც (ეტყობა, სრულიად უცნობს, რაღაც მიზეზის გამო გვარ–სახელით რომ არ მოიხსენიებს) გადაუდგა წინ პატივცემული მკვლევარი და ზურაბ ერისთავზე ჩამოუგდო სიტყვა და შედეგად ჩაწერილი მასალის ქვეშ გაჩნდა ასეთი მინაწერი: „ეს ნაწყვეტი მოიგონა ერთმა ლიქოკელმა ხევსურმა 1930 წლის ზაფხულში ქუჩაზე შეხვედრისას“ („ხევს. პოეზია“, გვ.229).

ის ლიქოკელი ქუჩაში მაინც მიდიოდა, ეგებ სულაც საქმემოთავებული და დაარხეინებული. ახლა, აბა, იკითხეთ, ის ოხერხეველი (სოფელია ხევსურეთში) კაცი რა დღეში ჩავარდებოდა, მანქანაში ჩასაჯდომად დაღირებულს, პოეზიაზე მუდმივად მოზიდულ – დადარაჯებული მეცნიერი რომ გამოესაუბრებოდა და სკაბრეზულ – იუმორისტული ლექსების გამო ჩამოუგდებდა სიტყვას. იმ კაცს წინ დიდი გზა უდევს, ეს მანქანაც, (ალბათ საბარგო) წუთი – წუთზე უნდა გავიდეს, აკ. შანიძეს კი 17 წლის წინ (!) გაგონილი ლექსი გახსენებია და თანამოსაუბრესაც სწორედ მის გამო სთხოვს კომენტარს. სჯობს, აქვე სრულად მოვი-

ტანოთ ეს შენიშვნა, რომელიც ძალზე საინტერესოა და თანაც – მრავალმხრივ: „26.6.1930. ტფილისში შევხვდი ოხერ–ხეველს ხვთისო ფიცხელაურს, რომელიც ის – ის იყო ავტომობილში ჯდებოდა და ფასანაურში მიდიოდა (იქიდან გუდამაყრის ხეობით ოხერ – ხევს გადავიდოდა). მომაგონდა, რომ ოხერხეველ ოსიკას ლექსი ეთქვა ქმოს-ტელ ბურდულებზე, რომლის პასუხიც ხახმატში მითხრეს 20. 8. 1913. ვკითხე ხვთისოს, ხომ არ იცი შენ, რა ლექსმა გამოიწვია გიგიტელის პასუხი – მეთქი...“

აქ კომენტარი, ალბათ, მართლაც ზედმეტია!..

†††

ჩვენი დიდი მამულიშვილები იმითაც იქცევენ ყურად-ღებას, რომ ხანდახან მიამიტნი და ლამის გულჩვილნიც არიან. ყოველ უმნიშვნელო შეცდომას, უზუსტობას, აზ-რის ბუნდოვანებას ისე განიცდიან, ისე გარწმუნებენ და გარიგებენ, ისე განგიმარტავენ და გიმარტივებენ, სურვი-ლი გიჩნდება, მიეფერო და მიესათუთო ამ ღვაწლმოსილ ბაბუებს. არც აკ. შანიძეს ასვენებს თუ რამ მცირე უზუს-ტობა და გაუმართაობა შენიშნა გაპარული. მეცნიერული სინდისი სრულყოფილებისადმი დაუოკებელ სწრაფვას კარნახობს, კარნახობს და სწუხს: „შეცდომით ეს ნომერი (107) წინასთან გამიერთიანებია, ერთი სათაურის ქვეშო“ და იქვე მიუთითებს, თუ როგორ უნდა გასწორდეს; იმაზეც კი სწუხს, რომელიღაც კონკრეტულ სტრიქონში არასრუ-ლი რიცხვი „რვა – ცხრა“ უნდა იყოს თუ „ცხრა – ათი“, „აგრე მაქვს ჩაწერილი, მაგრამ ეხლა ეჭვი მეპარებაო“. ან როგორი გულისხმიერებაა საქმეში ჩაუხედავი მკითხვე-

ლის მიმართ შემდეგი სქოლიო: „სწორფრობის ლექსებში „ძმობილი“ ვაჟსაც ნიშნავს და ქალსაც (ჰო, ქალსაც), ან კიდევ როგორ სწყდება გული ერთ უმნიშვნელო ლაფსუს-ზე: „სამწუხაროდ ჩაწერის დროსვე არ აღმინიშნავს, თუ ვისგან მაქვს გაგონილი და ახლა აბა რაღას მოვიგონებ“.

იმაზეც ფრთხილობს, საავტორო უფლებები არავის შევულახოო, თუ ავტორი შეცდომით იქნება მითითებულიო: „მე ნუვინ დამემდურება, რადგანაც მე იმას აღვნიშნავდი ხოლმე, რასაც მეუბნებოდნენ, შემოწმების საშუალება ყოველთვის არ მქონდაო“, – განმარტავს მკვლევარი.

†††

ასე იქმნებოდა „ხევსურული პოეზია“, ჩაფიქრებული კი ჰქონდა მთელი ქართული ხალხური პოეზიის შეკრება და გამოცემა. სამწუხაროდ ვეღარ მოიცალა ამ საქმისთვის ჟამთა სიმძიმისა და შეუწყვეტელ – შეუნელებელი შრომისაგან დაქანცულმა მკვლევარმა.

ან კი რომელ ერთს გასწვდენოდა...

ამეკვიატა თუ ამყვა თუ სულაც წინ გადამდგომია აკაკი შანიძის ლანდი, აქაურ ბილიკებს თითქოს ახლაც ატყვია მისი ნაფეხურები, თითქოს ახლაც დაიარება საქართველოს მთასა და ბარში...

თითქოს თუ მართლა, მართლა ხომ არ დაიარება ამ მოუსვენარ – მოუღალავი კაცის სული და ხომ არ შფოთავს დღევანდელი მთისა და მთიელების შემყურე?!

თუ ასეა, ეს წერილი, აბა, რა სალბუნი იქნება მისთვის...

2012

„ორბელიანმან საბამან...“

სულხან-საბა ორბელიანსაც ჰქონია თავისი სატკივარ – საფიქრალი, იმას ექნებოდა, თუ ექნებოდა, გულმოდგინედაც უფარავს და უმალავს, იშვიათად თუ სადმე დასცდენია „სოფლის სამდურავი“, ანუ სამდურავი იმ „თანასოფლელთა“ მიმართ, თავისი საქციელით რომ ხან ეჭვის ლაბირინთში შეყავდათ და ხანაც კიდევ, რბილად რომ ვთქვათ, გაოცების მღვიმეში. ეს ასე ყოფილა, არის და იქნება და ამით და ასე გაიზომება ხოლმე საქართველოში ჭეშმარიტი მამულიშვილის ღვაწლი და ამაგი. ასე ყოფილა სულხან – საბა ორბელიანიც. ნიადაგ ჩრდილოელთა და სამხრელთა და დასავლელთა გზებზე გამოკერებული; იმ დასავლელთა, მას მერე მოკრძალებულად და ამაოდ რომ „ვუკაკუნებთ კარებზე“, მაგრამ არა და არ იღება, ღრიჭოდან თუ შეგვაჭვრეტინეს, იმასაც დიდ ბედნიერებად მივითვლით. არა და ვინ ვის უფრო სჭირდება (და დასჭირდება!), კაცმა არ იცის. ამასობაში კი „გააქეზეს მურია და შეაჭამეს.. დათვსაო“. „დათვის“ აჩრდილი სულხან – საბასაც წამოსდგომოდა, ფრანგული აბსოლუტიზმის ჩრდილქვეშაც გაევლო და გაევლო მაჰმადიანური სამყაროდან მოწოლილი ხვატის ალმურშიც... თუმცა უზარმაზარი დრო მიჰქონდა მეფე – მთავართა სატახტოებში ამაო ხეტიალს, უამრავი რამ იწერებოდა და ილექებოდა გამჭრიახი დესპანის გონებაში და შემდგომ მისი გამოცდილების საწნახელიდან სურნელოვან ღვინოსავით მოედინებოდა თავანკარა სიბრძნე. მაინც საოცარია, რა ენერგია, თუ ჟინი, თუ შრომისმოყვარეობა, თუ მამულიშვილური მოვალეობის რა

გრძნობა ჰქონია, რომ კიდევ ამდენი მოასწრო! „ხომ ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო“, ხომ უდიდესი ღვაწლი დასდო ქართულ მწერლობას და ჰომილეტიკას, ლექსიკოლოგიას და დიპლომატიას, მაინც უკმარისობის გრძნობასავით რამ სახინჯარი ასდევნებოდა, თხზულებებში რომ დროდადრო იელვებს ხოლმე და აგერ, ბოლოში, შაირსიტყვაობისასაც რომ გამოყო თავი. „ლექსიკონი ქართული“ რომ გაასრულა სულხან – საბამ, ვახტანგ მეფემაც რომ შაირით გამოხატა თავისი შეხედულება და აზრი და სათქმელი, თავადაც მდაბლად გაეშაირა როგორც საკუთარ თავს, ისე „დასარწმუნოთა“ კაცთაც, ანუ მკითხველებს:

„ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმან დამიწუნოთა,
ჩემს დროს ვეძიე, ვერ შევხვდი თქვენთანას
დასარწმუნოთა,
ეს რა შევკრიბე, მიქებდნენ, მაშინ აწ დასამგუნოთა,
და ყურდგლის გამდრეკსა ჯორჯს ძაღლსა,
არ სდებენ საძაბუნოთა“.

აქ ყველაფერია, მოკიდებული დამაშვრალი მამულიშვილის ქედმოდრეკიდან, დამთავრებული ირონიით...

ოცდაათი წელიწადი უტრიალებდა ლექსიკონს და ამდენი რუდუნების მერეც კი ერთგვარი უკმარისობის განცდა არ ტოვებდა და გვთხოვს და გვავალებს – ეგებ ცოტად თქვენც გაისაჯოთ, წამკითხველნოო. გული ეთანაღრებოდა სხვადასხვა ენათა მცოდნენი რომ არ ეხვივნენ გარს. სიტყვა „ქარის“ ისედაც მრავალმხრივი განმარტებების ბოლოს გულისტკივილით შენიშნავს: „ესე ქართა ნიშანი ლათინთა მიერ გარდმოვიღე, ხოლო ქართა წესნი და საქმენი მათგან ვერა გარდმოვიღე, რამეთუ ენის მცოდნე არა მყვანდაო“, მაგრამ აქ არ ჩერდება, თავის ნაშრომ –

ნაღვაწი საბოლოოდ და სრულყოფილად არ მიაჩნია და იქ-ვე დასძენს – „თქვენ ეცადეთო“. ეს მინიშნება იქითკენა-ცაა, რომ ავტორს თავისი ლექსიკონი ხელშეუხებელ ნაკ-რძალად არ გამოუცხადებია, პირიქით – შევსებისა და სრულყოფისაკენ თვითონვე მოუწოდებს შთამომავლობას.

შთამომავლობასა თუ თანადროულ მკითხველზე სულხან – საბა გამუდმებით ფიქრობს და ლექსიკონის-თვის დართულ შენიშვნებსა თუ ჩანართებში თითქოს გუ-ლიც კი ეთანაღრება – სად, როდის და ვინ როგორ გაუგებს ამა თუ იმ გამოთქმასა თუ განმარტებას. იმასაც კი ეჭ-ვობს, განათლებული შთამომავლობა გმობას დამიწყებს – „რასათვის ესრეთ უწერიაო“. ამ ეჭვსა თუ დანამდვილებას საბა იქ გამოთქვამს, სადაც „ხუთნი ხმანი“, ანუ ფილოსო-ფიური ცნებებია განმარტებული. ისევ ის ტკივილი და ისევ ის მოკრძალება შთამომავლობის წინაშე, ასე დამახასია-თებელი რომ იყო ქართველ მამულიშვილთათვის. ყველა – ყველა და სულხან – საბა და „უცებისობა და უსწავლელო-ბა?“ გაუჭირდა, ეტყობა, მარტოდშთენილ მეცნიერს „ზედ-მიწევნული კაცის“ მიგნება, მხარში და გვერდში რომ ამოსდგომოდა ამ რთულსა და შრომატევად საქმეში. აქ მარტოოდენ მდაბლად გახმიანებულ გულისთქმასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, ეტყობა, მარტოს უწევდა ძირითადი და მძიმე საქმის გადაგორება და აკი გაუგრძელდა კიდეც მომქანცველი სამუშაო, მთელი ოცდაათი წელიწადი რომ გასტანა. უფრო ნათელი რომ იყოს საქმის ვითარება, აქვე მთლიანად მოვიტანთ ამ შენიშვნასაც: „აწ ამისსა შემდგო-მად რომელნიცა ქართველნი სწავლისა საზომსა მიიწევი-ან, ვიცი, ჩემთვის იწყებენ გმობასა, რასათვის ესრეთ უწე-რიაო. აქა მრავალი აღვსწერე, რომელი ლექსიკონისა რიგი არა იყო, მაგრამ მაშინ ნეტამც თქვენ ყოფილიყავით, მეც

ვეძიებდი ზედმიწევნულს კაცსა, არამედ ვერსადა ვპოვე და უცებისა და უსწავლელისაგან ესოდენ იქმნა, და ვინც მართებულს აღსწერთ, ქართულს ის უჯობს“.

არავითარი საკუთარ შეხედულებათა უცილობელ ჭეშმარიტებად გამოცხადება, არც თუ იშვიათად რომ ვაწყდებით ჩვენს თანამედროვეთა თხზულებებში, პირიქით – ზრუნვა იმაზე, თუ რა და როგორ „უჯობს ქართულს“ და მადლიანი სიმდაბლე აღმატებული კაცის!..

ხანდახან იმაზეც ფიქრობს და ზრუნავს ს – ს ორბელიანი, ერწმუნება თუ არა მკითხველი, ზოგიერთი, როგორც ჩანს, ხმარებიდან გასული სიტყვის განმარტებისას და მეტი დამაჯერებლობისთვის შენიშვნას აკეთებს და წყაროსაც მიუთითებს ხოლმე. „საბარკალის“ („ესე არს მოკლე ხმალი ცხენზედ დასაკრავი“) განმარტებისას მოკლე და კონკრეტულ შენიშვნას დაურთავს: „ვიცი ამ საბარკალის ხლმობას შორ დაიჭერთ, ივდითის წიგნში იპოვნით“.

ისევ „ვიცი“... გულნატკენი და ნასაყვედურევი კაცის ინტონაცია მოისმის...

ნეტავ ვინ იყო, ან რა შეხედულების ხალხი, სულხან – საბას ნაღვაწს რომ ეჭვის თვალით უყურებდა? არა და რომ მოსწონდათ კიდეც ლექსიკონი! გადაწერისა და გამრავლების თადარიგიც მაშინვე დაიჭირეს, ძმამაც საკმაოდ შეაშველა ხელი, თბილისელმა წინამძღვარმა იობმაც... და ვახტანგ VI ხომ სულაც თვითონვე მოუძებნა სათაური – „სიტყვის კონა“, თანაც, როგორც ჩანს, მეფეს არც თავად ლექსიკონის საკუთარი ხელით გადაწერა მიუჩნევია სათაკილო საქმედ.

მერე კიდევ, სადაც საეჭველს რასმეს წააწყდება, თავადვე მიუთითებს მკითხველს – ასე და ასე მოიქეციო.

„აფროდიტის“ განმარტებისასაც ასე შენიშნავს: „ამ თარგუმანს გამართვა უნდა, დაუკარგაობისათვის აღვსწერეო“.

იმისათვის, რათა დროში გაწელილი და გონების მომქანცველი სამუშაოს მიზეზით მეხსიერების მიღმა რაიმე არ დარჩენოდა, ხელნაწერის კიდეებზე აკეთებდა შენიშვნებს. ასე მაგალითად: „ბრანგვის“ განმარტებისას ჩაუნიშნავს – „არაბულსა, სომხურსა, ლათინურში ბრანგვი გარეულ ნადირად მძვინვარედ ეწერა, ბერძულშიაც ვნახოთო“. ეს მინაწერი ორმაგად საინტერესოა; წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო ლექსიკოგრაფის მუშაობის სტილზე და მეთოდზე, არამედ იმ ძალისხმევაზეც, რაც ამგვარ სამუშაოს ახლავს. ეს უცხოენოვანი წყაროები ს – ს ორბელიანისათვის უცხო და ეპიზოდური არ იქნებოდა. ამის შესახებ მრავალგან ლაპარაკობს. თავად თხზულებაში შეტანილი უცხო შესატყვისობათა განყოფილებაც თვალნათლივი დასტურია იმისა, რაც, ალბათ, ამაგრებს და ამრავალფეროვნებს კიდეც ლექსიკონს, თუმცა ხშირად ისეთ მდიდარ დარგობრივ – თემატურ ლექსიკასაც ვხვდებით, რომელიც ალბათ მხოლოდ ქართულისთვისაა დამახასიათებელი. ამას ჩვენი ისტორია და ყოფის სპეციფიური ფორმა და პირობები განსაზღვრავდა. ერთგან, ისრის სახესხვაობებს რომ ჩამოთვლის და განმარტავს, ასეთ შენიშვნასაც დაურთავს: „ამისთანაები მე ამისთვის ჩაურთევ, რომ სხვას ენაში არ მოვა და არც იციან“. ამგვარ შენიშვნას სხვაგან აღარ იმეორებს, თორემ თემატური პრინციპით დალაგებული ლექსიკა „სიტყვის კონაში“ მრავლად მოიპოვება. ასე რომ, თემატური ლექსიკონის შედგენის პირველ ცდასაც სწორედ სულხან – საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ვხვდებით.

ახლა კი „ ყრმათა სასწავლოსკენ“ მივაპყროთ მზერა, კონკრეტულად კი ე.წ. „ანდერძნამაგისკენ“. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და დამოუკიდებელი თხზულებაა, რომლის თავად სათაურიც კი გარკვეული ხასიათის ინტრიგას შეიცავს. სრულად მოვიტანოთ ეს სათაური: „ანდერძნამაგი მუშაკისა ფრიად დამაშვრალისა მოსწავლეთათვის. გარნა მრავალნი მოსწავლენი მგმობარ და მოიცხარ ექმნებიან შრომისათვის და არა სარეწავად მისცემენ ლოცვასა“.

თუ სწორად გვესმის, თავშივე გულგატეხილი კაცის სიტყვას გავს, მომავალ მოსწავლეებს რომ მიმართავს დაღლილ – დაქანცული მოძღვარი, თუმცაღა იცის, რომ მათ შორის „მრავალნი მოსწავლენი“ იქნებიან, აღმოჩნდებიან ისეთნი, გმობასა და კიცხვას რომ დაუწყებენ და „არა სარეწავად მისცემენ ლოცვასა“. სიტყვა „სარეწავი“ სულხან – საბას განმარტებული აქვს, როგორც „ხელფასი, მოსაგები“ და, რა თქმა უნდა, ეს გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ჩვენი აზრით, აქ გასამრჯელოზე კი არაა ლაპარაკი, არამედ იმ „ლოცვის მიცემაზე“, მოძღვრის სულის საოხად რომ უნდა აღავლინოს მადლიერმა შთამომავლობამ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ვრცელ სათაურში გამოთქმული ეჭვი, საბედნიეროდ, სრულად გაუცრუვდა საბას!.. ჯერ არსად გაგონილა მისი სახელის გმობა და კიცხვა და ქიქი. მაინც უკმაყოფილო სულიერი მამა და მოძღვარი მოჩანს ამ სათაურის მიღმაც და მოკრძალებულად გამისჭვივის ეჭვიც და სურვილიც... არ არის გამორიცხული, რომ ამ სათაურში ის საზოგადოებრივ – პოლიტიკური და კულტურული ფონიც ირეკლებოდეს XVII საუკუნის II ნახევრისა და XVIII ს. I ნახევრის საქართველოში რომ სუფევდა. როსტომ მეფის დროინდელი და ნაროსტომალი პერიოდი უფრო გვაქვს მხედველობაში,

როცა „ლექსიკონი აღარ იპოებოდა“, რადგან „პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ“. პოლიტიკა ხომ ჩიხში შესულიყო, ეკონომიკა იავარქმნილიყო და აი, ენაც „ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ“. ან კი რაღაში საჭირო იქნებოდა ის „პატიოსანი“ წიგნი...

აბა, რას უნდა დაეეჭვებინა სულხან – საბა ორბელიანი ასე ძლიერად? ეს თითქოს აღარც მხოლოდ ნაღვაწ – ნამუშაკევი მამულიშვილის რევერანსული ჟესტია, სულაც თუ კი შეიძლება ასე თქმა, შთამომავლობის მიმართ. არა და უამისობასაც რომ ვერ იტყვი! ვინ იცის, რა და როგორ და რანაირად იყო, მაგრამ ერთი რამ კი, როგორც ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებშია სამართლიანად აღიარებული, ცხადია, რომ საზოგადოებრივ – პოლიტიკური ფონი, რომელზეც „ქართული ლექსიკონი“ იქმნებოდა, ერთობ ნეგატიური იყო, თანაც და ამიტომაც ასეთი წიგნი მაშინ (და შემდგომაც) ქართველობას წამალივით სჭირდებოდა.

ყველაფერი – ყველაფერი და რაოდენ საგულისხმოა სულხან – საბას დამოკიდებულება მკითხველისადმი: წყაროებს ხომ სრულად და მრავლად ჩამოთვლის, საიდანაც გამოიღო მასალა, ფარნავაზ მეფესაც ხომ დაუმადლის და შეაწევს ღირსეულ სიტყვას, მერე კი ბოლომდე იხდის ავტორის მოვალეობას მკითხველის წინაშე და ყურთამდე ხსნის თავისი სამუშაო სენაკის ბჭეს – რაც ვიცოდი, დავწერეო, რაც არა და „ღრმათა წიგნებთა შინა ვპოვეო“, სხვანი და სხვანი სხვათა ენათა მიმართ შეუმოწმებია, იქაც რომ ვერ უპოვია, მეცნიერული სინდისის კარნახით, თავისათვის მოჭარბებული უფლებანი აღარ მიუცია: „რომელნიცა ვერა ვპოვე, საცილობელი არ დავწერე, არამედ მუნვე კიდურთა ზედა წითლითა ნიშნად იგივე სიტყვები

მოვაწერეო“. გულისწყვეტით ამბობს, „რაოდენ ძალ – მედვა, ვეცადეო“, მაგრამ მაინც „უმრავლესი დამიშთა ამისთვის, რამეთუ მე ქართულისა ენისაგან კიდე სხვა ენა არა ვიცოდიო“.

მითუფრო, სულნათელო სულხან – საბავ, მითუფრო!..

ლექსიკონის სრულყოფილებისადმი ლტოლვა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ, როგორც აღვნიშნავდით, კი არ ჩაკეტა და „დაბეჭდა“ საქმეში ჩახედულ კაცთათვის თავისი წიგნი, არამედ თხოვნითაც კი მიმართავს თავის თანამედროვეთა თუ შთამომავალთ: „თუ ვინმე სხვაგან უცხო სიტყვა ჰპოოთ, ანუ თარგმანი სიტყვისა, გინა წერილთაგან გამოიღოთ, ამა წიგნთა შინა ჩაურთევითო“. ოღონდ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სულხან – საბა ორბელიანმა „ქართული ლექსიკონის“ კარი ყველა მოხალისეს გაუღო. არა, ბატონო, სახეში აქ უფლისმიერი სიბრძნით აღჭურვილი მეცნიერნი ჰყავდნენ, აბა, უმეცართ ხომ არ შეევედრებოდა – ასე და ასე მოიქეცითო. თავად განსაჯეთ: „თქუენ იგულისმოდგინეთ, რომელთა მოგცესთ უფალმან სიბრძნე და მეცნიერება, თქუენ შეასრულეთ, არა უმეცართა გეტყვი, არამედ ბრძენთა გევედრებითო“.

ახლა კიდევ სხვა საფიქრალსაც შეუძრავს ისედაც საერო თუ სასულიერო საქმეთაგან მხრებდამძიმებული მამულიშვილი. გადაავლო თვალი თავის ნამუშაკევს (ალბათ „უცხო“ თვალი) და ისევ წამოუტივტივდა ეჭვი – აქ მქირდავთა ყბაში კი არ აღმოჩნდეს ეს ოცდაათწლიანი რუდუნების ნაყოფიო: „ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი, უბადონი და ცუდნი. არა თუ კიცხევისათვის აღმიწერია, რათა საქირ-

დალად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღვსწერეო“.

აქ იმ უხერხულ და საზოგადოებაში მიუღებელ სიტყვებსა და გამოთქმებზე უნდა იყოს ლაპარაკი, რომლებიც თავის ადგილზე არიან წარმოდგენილნი „სიტყვის კონაში“ და რომელთა გამოც დასძენს – ასე თუ არ მოვიქეცით, „შემცირდების ენა ქართულიო“, თავს „იმართლებს“ ავტორი...

ისევ ის ეჭვი თუ მობოდიშებისდამაგვარი რაღაც, ისევ ის ტკივილი, თუ შიში, თუ უნდობლობა; რა ძალა ადგა, ამდენ ხლაფორთში რომ გაუყვია თავი ლაღი და უზრუნველი ცხოვრებისთვის გაჩენილ დიდგვაროვანს?!

ადგა!...

არა და ხანდახან გულიც კი მოუვა სულხან – საბას: „ვიცი (ისევ „ვიცი“!), მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნაშრომთა ამათ ჩემთაო“, მაგრამ თუ კითხვა და წიგნი უყვართო, რამდენიც გინდათ, იმდენია თუ საერო, თუ სასულიერო ხასიათისა და რომელიც და რამდენიც ენებოთ, ის და იმდენი იკითხონ, „ხოლო ესე ჩემებრ უცებისათვის აღიწერა, და დაუტეონო“. გული იმაზეც მოსდის, აქ „ენაგარყვნილებათაგან სწავლულნი“ ბევრს რასმეს იუცხოებენო და „თუცა ცოცხალსა მკითხვენ, განმარტება ღვთით ძალმიცს და სიკვდილს უკან მათ იციანო“.

გაგეღიმება, ოღონდ სევდისა და ტკივილის თანხლებით. ნეტავ რა ხასიათზე იყო სულხან – საბა, ამას რომ წერდა?!

რაღას არ გადაეყრებიან რჩეულნი ერისაგანნი და რისი ატანა აღარ მოუწევთ, თანაც მშვიდად და უდრტვინველად, მაგრამ ალბათ წინადვე განბრჭობილი აქვთ წარმავა-

ლი წუთისოფლის ამაოება და მიტევებაც ხომ დიდსულოვნად და ღირსეულად იციან, ისეთი, ჭეშმარიტ ქრისტიანთ რომ შეეფერება. ვინ იცის რამდენგზის და სად და ვისგან არ სტკენია გული ს–ს ორბელიანს, სპარსთაგან თუ ჰრომთაგან, ფრანგთა თუ რუსთაგან, ასეთებს გულში იმარხავდა, მაგრამ „ანდერძნამაგის“ ბოლოში მაინც გამოჟონა ერთმა, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურმა შემთხვევამ.

თბილისის წინამძღვართაგანი ყოფილა ერთი, სახელად – იობი. ადრინდელი „პატიოსანი წიგნი“ ხომ დაჰკარგვოდათ ქართველებს და აგერ – მეორეზეც რომ დაუწყია სულხან – საბას მუშაობა, ამ იობს ესეც არ მოსწონებია და „ჰგმობდა და კიცხავდა“ თურმე. მაშინ ჭაბუკად იქნებოდა მომავალი ლექსიკოგრაფი და პირველი ბარიერი ალბათ აინუნშიც არ ჩააგდო მუშაობის ჟინით შეპყრობილმა. არა და სრული, ყოველმხრივ სრული და შემკობილი კაცი ყოფილა წინამძღვარი, ყველა სიკეთესთან ერთად – ღრმადმორწმუნე (!) და წიგნიერი. სწორედ ასეთი პიროვნებისაგან ალბათ ეუცხოვა ის, რაც მან იკადრა, თორემ ეგებ სიტყვასაც არ დასძრავდა ამაზე ლექსიკოგრაფი რჩეული.

ჰოდა, რომ განვასრულე ლექსიკონზე მუშაობა და რომ ნახა იობმა და მოეწონა, „გარდასაწერად ვათხოე და გარდაწერაო“, გვიმხელს საბა, სულხანყოფილი, მაგრამ „სადაც ჩემი სახელი ეწერა, აღმოხოცა თვის ნაწერთა შინა და თვისი სახელი და გარჯილობა დაწერაო“.

ოცდაათ წელიწადში თბილისის იმ წინამძღვარში არაფერი შეცვლილა!

ეს საქციელი კი უკვე გაჰკვირვებია სულხან – საბას!

მოდი და ნუ გაგიკვირდება!

მაგრამ როგორ უპასუხა ორბელიანმა? – როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანს ეკადრებოდა: „ვინადგან ჩემს ჭირნახულში (!) მან ჩემი სახელი არ ჩაურთო და თავისი დაწერა, მე ჩემს ჭირნახულში მისი ქება ამისთვის დავწერეო“.

აი, საიდან უნდა მოდიოდეს ამდენი „ვიცი“...

აი, საიდან უნდა მოედინებოდეს ასეთი ტკივილისა და ეჭვისა და შიშისა და უნდობლობის მდინარე.

ნეტავ როგორ იქცეოდნენ სხვანი, როცა ყოველმხრივ განსწავლული სასულიერო პირიც კი ამგვარს რასმეს კადრულობდა?!

მოდი და ნუ მოუვა გული თვით სულხან – საბა ორბელიანსაც კი!

მოდი და ნუ გაუკვირდება!

„ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა ზედა მოვიდეთ,“ როგორც ჩვენი ღირსი მამა იტყვის თავისი „ანდერძნამაგის“ ბოლოს და დავასრულოთ იმით, რითაც დავიწყეთ, ანუ მადლიერი ვახტანგ მეფის სიტყვებით:

„სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი,
სამოცდაექვს წელს იკითხა, თქვა, ვერასი ვარ მარხველი,
იარა ბევრი ქვეყანა, ბევრისაც იყო მნახველი,
და ორბელიანმან საბამან სახელითა ქნა სახელი“.

P.S. სულხან – საბა ორბელიანს, რამდენადაც გვახსოვს, არსად უთქვამს – არალექსიკოგრაფი აქ ნუ შემოვაო...

2007

ლაკვიანური ენა

ხელთ გვაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1975 წელს გამოცემული „ხევსურული ტექსტები“. განსვენებულ მკვლევარს ეს მასალა კიდევ უფრო ადრე – 1945 – 50 წლებში შეუკრებია. მის მერე შვიდი ათეული წელია გასული და, უნდა ითქვას, რომ ამ მოკრძალებული, მაგრამ ერთობ საჭირო ნაშრომის ღირსება ახლა უფრო გამოიკვეთა და რაც დრო გავა, უფრო მეტად მოისაკლისებენ მკვლევარნი.

გივი დოლიძე, ამ წიგნის ავტორ – მოამაგე, ხევსურეთს კარგად იცნობდა; ხშირად მოგზაურობდა იქ და ჰქონდა მჭიდრო კონტაქტები ადგილობრივ მოსახლეობასთან. ეს გარემოება მას უფლებას და საშუალებას აძლევდა, ხელი მოეკიდა საკმაოდ საჩოთირო საქმისთვის – შეედგინა კრებული, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ხევსურულ დიალექტზე მეტყველების ნიმუშები. საჩოთირო კი იმიტომ, რომ დიალექტის სრულყოფილად გადატანა წერილობით ტექსტში, არც თუ ისე იოლი საქმეა. ამ გზაზე შემდგარ მკვლევარს წინ უამრავი დაბრკოლება ელოდება: თავბოლო მოკვეცილი სიტყვები და გამოთქმები, მახვილი ბგერითი მეტყველებისას, ხმარებიდან გასული ასო – ბგერები, მთხრობელის დეფექტური მეტყველება, სპეციფიური სასაუბრო ტერმინოლოგია, ადგილობრივი ტოპონიმიკა და ა.შ. წარმოუდგენელი თუ არა, ალბათ საკმაოდ ძნელი იქნებოდა მაშინ ისეთი ძველი გრამატიკული ფორმებით

დატვირთული დიალექტური ტექსტის აუდიოფირიდან გადმოწერილი ვარიანტის გაკეთებაც, როგორიც ხევსურულია. ამ საქმეში რომ მიკროფონი ყოველმხრივ საიმედო ინსტრუმენტი არაა, ეს გამოცდილმა ფოლკლორისტებმა თავის დროზე დაადასტურეს. მითუფრო, როცა მკვლევარი შედის ისეთი კუთხის მეტყველების წიაღში, რომელთანაც არც ყოფითი ასპექტები აკავშირებს და არც – გენეტიკური. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ განსვენებულმა მეცნიერმა საქმეს თავი ბრწყინვალედ გაართვა. გ. დოლიძე ტექსტებს კალმით იწერდა და იწერდა დიდის რუდუნებით, მისთვის გაუგებარ გამოთქმებს მთხრობელს რამდენჯერმე ამეორებინებდა, მასთან ერთად ხდებოდა უკვე ჩაწერილი ტექსტის ხელახლა გადასინჯვა და საბოლოო სახის მიცემაც.

მთის დიალექტების ფურცელზე, სცენაზე, ფილმში და ა.შ. სრულყოფილად გადატანა ყოველთვის გარკვეულ სიძნელეებთან იყო და არის დაკავშირებული. ეს განსაკუთრებით ითქმება ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი სამეტყველო ინტონაციის შესახებ. ჩვენი დიდი მწერლები და რეჟისორებიც ვერ აცდნენ ამგვარ უხერხულობებს, არა და დიალექტური ინტონაცია, ესაა კუთხური მეტყველების მარილი. ამ მხრივ ეთნოგრაფი, ან ფოლკლორისტი უფრო უკეთეს დღეშია. მათ მიერ ფურცელზე კარგად გადატანილმა მასალამ ფასდაუდებელი სამსახური შეიძლება გაუწიოს მეცნიერების სხვადასხვა დარგს, დამახინჯებულმა კი, მსუბუქად რომ ვთქვათ, გამოუცდელი მკვლევარი შეიძლება საერთოდაც ააცდინოს ძიების სწორ გეზს. ამის საილუსტრაციოდ იკმარებდა ისეთი აკადემიური გამოცემა პოეტური ფოლკლორისა, როგორიცაა „ქართული ხალხური პოეზიის“ მრავალტომეული. რა და-

სანანია, რომ დიალექტური ხასიათის ლაფსუსებმა რამდენადმე გააუფერულეს ეს ავტორიტეტული გამოცემა; თუმცა ამის შესახებ უკვე ითქვა...

მაშინ, როდესაც გივი დოლიძე მასალებს აგროვებდა, ხევსურეთის მასიურად დაცლის პროცესი ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო და იქ სამიათასამდე სული ჯერ კიდევ ცხოვრობდა. დღეს კი სამასიც აღარ დარჩენილა და ეს ხდება 70 წლის განმავლობაში. ამას დემოგრაფიული კატასტროფა ჰქვია. კიდევ ერთი 70 წლიანი მონაკვეთიც და, თუ ასე გაგრძელდა, ხევსურეთი აღარც იარსებებს. თუ ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ერთად არ შეიმუშავა სწორი და ეფექტური ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობდა სრულიად საქართველოს მთის კუთხეების რეაბილიტაციას, არც თუ ისე შორეულ მომავალში, მოწმენი გავხდებით მთის დიალექტების გაქრობისა. ეს განსაკუთრებით ეხება ხევსურეთს, თუშეთსა და გუდამაყარს. ამაზე ლაპარაკი ახლა შორს გაგვიტაცებს, მაგრამ ერთი რამ კი აუცილებლად უნდა ვთქვათ - სწორედ ამ სათქმელმა გვიბიძგა წინამდებარე წერილის დასაწერადაც.

რაღაც სასწაულით ხევსურეთი შეიძლება გადარჩეს, მაგრამ ხევსურული დიალექტი XX საუკუნის თაობების ჩავლის შემდეგ ან მთლიანად გაქრება (ეს პროცესი უკვე მიდის), ან – ქართლ – კახურში განზავდება. ის მთხრობელები, რომლებთანაც გ. დოლიძე მუშაობდა და რომლებიც მაშინ 10, 20 და ა.შ. წლისანი იყვნენ, ახლა ან ღრმად მოხუცებულნია, ანაც ამ სოფლიდან გასულნი. მათ მეტყველებას დღევანდელი მთის ხევსურების სასაუბრო ენა საკმაოდ დაშორდა. სულ სხვანაირად მეტყველებენ ბარში კომ-

პაქტურად დასახლებული ასაკოვანი ხევსურები, ხოლო ახალგაზრდობამ ხევსურული აღარც კი იცის. იგივე ტენდენცია შეინიშნება მთაშიც. საქართველოს მთაში (და, ალბათ, ბარშიც) ყოველი კუთხე დგას სამ ძირითად ბურჯზე: რელიგიური წარმოდგენები, ადათ – წესები და მეტყველება. ხევსურეთში სამივე მათგანი შერყეულია. უკეთეს დღეში არც სხვა კუთხეებია. პროცესები იქითკენ მიექანება, რომ ჩვენს ქვეყანაში, რომელიც დღესაც კი „გვაქვს უთვალავი ფერითა“, ხვალე შეიძლება ერთფეროვნებამ დაისადგუროს და ჩვენი ღვთივკურთხეული სისხლი და მოდგმა და ჯიში, გლობალიზაციით გაჯერებულ მსოფლიოს ხალხთა ამღვრეულ მდინარეს შეუერთდეს – გაურკვეველი რასისა და გენეტიკის უფერულ მდინარეს. პესიმისტური სურათია? შესაძლოა, მაგრამ ჰორიზონტზე რომ ამ საშიშროების ღრუბელი წევს, ესეც ცხადია და მის დასანახად სულაც არაა საჭირო არწივის მზერა.

დიალექტური თვალსაზრისით ზუსტი და დახვეწილი ფრაზეოლოგია ხომ დამახასიათებელია „ხევსურული ტექსტებისათვის“, მაგრამ აქ ისეთი მასალაა ხანდახან დამოწმებული, რომელიც მკვლევართათვის კი არა, დღევანდელ ხევსურთათვისაც მეტად საინტერესოა. ამ და ამდაგვარ საკითხთა გარშემო წიგნის წინასიტყვაობაში სხარტად და ამომწურავად საუბრობს ალ. ჭინჭარაული, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ქვემოთ რამდენიმე ნიმუშზე მივუთითოთ მკითხველს. აღარაფერს ვამბობთ ლექსიკურ მასალაზე, რომელიც აგრეთვე ალ. ჭინჭარაულის ძალისხმევითაა დართულ – შედგენილი და, საერთოდ, იმ მეცნიერულ აპარატზე, ურომლისოდაც წიგნი თავისებური ხიბლისა და აკადემიური ელფერის გარეშე დარჩებოდა.

რად ღირს მარტო მოშუღლართა დაშოშმინების საშუალებები, ხევსურეთში რომ იცოდნენ, ან ხუცესის მონათხრობი მფრინავი ხატის შესახებ, ან ქალ – ხატ სამძიმარის ამბავი, გახუა მეგრელაურს რომ „ეწონებოდა“, ან კიდევ ქადაგობის ინსტიტუტთან დაკავშირებული მასალა, მითის ნამსხვრევი კოპალას შესახებ, ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფიგურალური გამოთქმები, იუმორში ამოვლებული მონათხრობი შუღლის შესახებ, შესახებ ონჩხრისა, მამულის დაცვისა, ქმარკვეთილი ქალისა, ჯიშისა და ჯილაგისა, სამართლის და ა.შ. და ყოველივე ეს ნამდვილი ხევსურულით მოყოლილი, ათასში ერთხელ რომ გამოერევა ლაფსუსი, რომელიც შეიძლება, სულაც კორექტურა იყოს.

თავისებურად საინტერესოა წიგნში მოტანილი პოეტური მასალა, რომელსაც უმეტესად ბავშვებისა და ახალგაზრდებისაგან იწერდა მკვლევარი. აქ არაა ძველი და ქრესტომათიული მნიშვნელობის ტექსტები (ამის აუცილებლობა არც იდგა მაშინ), მაგრამ რაც არის, ისიც მეტად საინტერესოა, რადგან წარმოდგენას გვიქმნის თანადროული ყოფის ინტერესთა სფეროსა და სალექსო რეპერტუარის შესახებ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ხასიათის წიგნებით დაინტერესებული მკითხველი განებივრებული როდია და რაოდენ სასიამოვნო იქნებოდა, ყოველ დიალექტზე რომ მოგვეპოვებოდეს მსგავსი მასალა. ამის საჭიროება დღეს შეიძლება, ნაკლები იყოს, მაგრამ ჩამორეკს ჟამი და მერე გაუძნელდებათ მკვლევარებს ამა თუ იმ დიალექტის სიღრმეებში გამეფებული წყვდიადის გაფანტვა, გაუძნელდებათ და ვაი, თუ უსაშველოდ გვიანი იყოს.

2004

ივ. ჯავახიშვილი და „ჩვეულებრივი მკითხველი“

„ეგა, საქართველოს ისტორიის მამაა!“ – ბრძანა მხცოვანმა პროფესორმა სერგი მაკალათიამ და თავისი მასწავლებლის – ივანე ჯავახიშვილის შავ ჩარჩოში ჩასმული პორტრეტისკენ მიგვახედა. ასე დაიწყო მან თავისი პირველი ლექცია პირველკურსელებთან საქართველოს ისტორიაში და ასე შეგვიხსნა ჩვენი ერის წარსულის ფართო კარიბჭე. ვისაც ამ კარიბჭის ზღურბლი გადაულახავს, სამუდამოდ დაემგზავრება ის „თანამდევი, უკვდავი სული“, რომელიც მადლიერმა შთამომავლობამ დამსახურებული ეპითეტით შეამკო – დიდი!

ამჯერად გვინდა, მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი თავისივე წიგნების წინასიტყვაობებისკენ. ეს არ არის რაიმე განსაკუთრებული მიგნება და მაინც... მაინც... არის იქ რამდენიმე ისეთი ნიუანსი, რომელიც ყურადღების მიღმა დასატოვებლად ცოდვაა; არა და, სხვაგანაც თითქოს არსად გადავწყდომივართ...

ვინ არ გაუოცებია ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ კეთილსინდისიერებასა და გულისხმიერ დამოკიდებულებას მკვლევართა, დოკუმენტთა და ა.შ. მიმართ, მაგრამ სულ სხვაა მისი დამოკიდებულება „ჩვეულებრივი მკითხველისადმი“. ამ მხრივ იქნებ იშვიათი გამონაკლისიც კი იყოს მეცნიერ ისტორიკოსთა შორის.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი „მკითხველში“ საკითხით დაინტერესებულ მკითხველ ისტორიკოსსაც გულისხმობს და არასპეციალისტ, ე.ი. „ჩვეულებრივ მკითხველსაც“, მაგრამ უპირატესად იგი ამ უკანასკნელის

მიმართაა აქცენტირებული და ჩვენი ყურადღების საგანიც სწორედ ეს გარემოება გახლავთ.

მივყვეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

ჯერ კიდევ 1908 წელს დაწერილ „პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში“ (აქაც და სხვაგანაც სახეში მისი „ქართველი ერის ისტორიის“ ოთხწიგნეული გვექნება) წუხდა ავტორი: „რაკი „ისტორია“ ქართველ მკითხველ საზოგადოებისათვის უნდა ყოფილიყო დაწერილი და მარტოოდენ მეცნიერებისათვის არა ყოფილა განკუთვნილი, ისე უნდა დამეწერა, რომ წვრილმანი და დაწვრილებითი დასაბუთებით წიგნის კითხვა მეტად არ გამეძნელებინა; მაგრამ სამწუხაროდ ამ მოთხოვნილების აღსრულება ყველგან და ყოველთვის არ შეიძლებოდა...“

დიახაც, არც ერთი მკვლევარი არაა ორიენტირებული მხოლოდ „ნაფიც“ მეცნიერთა მიმართ, ყოველ შემთხვევაში, სასურველია ასე იყოს, მაგრამ როცა საქმე ეხება ერს და მის ისტორიას და ლიტერატურას და ა.შ. ყველას როდი ჰყავს მხედველობაში ის საზოგადოება, ვისაც მეცნიერული საჭურველი არ გააჩნია. ივანე ჯავახიშვილი კი ერის ისტორიას ერისთვის წერდა, წერდა განურჩევლად ყველასათვის, ყოველ შემთხვევაში, ძალიან უნდოდა, გასაგები ყოფილიყო ნებისმიერი ქართველისათვის (ამაში ქვემოთაც დავრწმუნდებით) და თუ ხანდახან მეცნიერული აზარტი შორეული სიღრმეებისაკენ გაიტაცებდა, ამაზეც გული ეთანაღრებოდა.

გასაგებია ავტორის წუხილი იმის გამოც, „წვრილმან და დაწვრილებით“ დასაბუთებას რომ ვერ აუარა გვერდი, ამის მიზეზსაც იქვე ხსნის, მაგრამ საინტერესო აქ ისაა, თუ რანაირი და როგორი სულისკვეთება ჰქონდა დიდ მამულიშვილს, როცა ამ საშვილიშვილო საქმეს მოკიდა ხელი.

გამოხდა ხანი და აგერ უკვე 1913 წელს „მეორე გამოცემის წინასიტყვაობაშიც“ არ განელებია თავისი სურვილი და წყურვილი კვლევა – ძიების მორევში შესულ მეცნიერს: „მე მინდოდა მკითხველი თანამოზიარედ გამეხადა, რომ მას თვითონაც ეგემნა ის გონებრივი სიამოვნება, რომელსაც მეცნიერი ისტორიკოსი ჰგრძნობს საისტორიო წყაროების შესწავლისა და კვლევა – ძიების დროს.“

ხუთი წლის წინ ამბობდა – „ისტორია“ ასე და ასე „უნდა ყოფილიყო“ დაწერილიო, ახლა – „მე მინდოდაო“... რაღა აწვალებს, გულს რაღა სტკენს, თუ უკმარისობის გრძნობა ასდევნებია? წლები გასულა, მაგრამ ეს გრძნობა არ განელებულა (ვნახოთ, იქნებ გაუნელდეს კიდეც...) და ფოლიანტ – პერგამენტებში ჩაფლული მკვლევარი, ათასგვარი თავსატეხი რომ გასჩენია და დღედაღამ არ სძინავს, მკითხველისათვის გასაგებ ენაზე დაწერის სურვილს აღარ სჯერდება. ახლა მეცნიერს „ჩვეულებრივი მკითხველის“ იმ „გონებრივი სიამოვნების“ ქვეყანაში მიპატიჟება განუზრახავს, სადაც თვითონ დასახლებულა!

რაღაზე არ ფიქრობენ ეს დიდი მამულიშვილები!...

აქ (და ეგებ სხვაგანაც) კომენტარი ალბათ ზედმეტიცაა, მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ თავისი ნაშრომ – ნაღვაწის გადამოწმების „რეცეპტსაც“ თვითონვე გვთავაზობს: „მკითხველს რომ ყოველ წამს შეძლება ჰქონოდა თვითონაც შეესწავლა რომელიმე საკითხი, თითოეულის ჩემის ცნობის და დასკვნის სიმართლის დამამტკიცებელი წყაროები დასახელებული მაქვს. ვინც მოინდომებს, გადაშლის აღნიშნულ წყაროებს და თავის თვალით და ჩაკვირვებით დარწმუნდება, სცდება, თუ მართალია ამ წიგნის დამწერი.“

ე.ი. წყაროების მითითება, გარდა იმისა, რომ მეცნიერე-

ბაში მიღებული წესია, მკითხველის „ჩათრევის“ მცდელობა-ცაა ისტორიის ქარბორბალაში. მკვლევარს შუბლი შეუკრავს იმის გამო, რომ კვლევა – ძიების სპეციფიკის გამო მისი წიგ-ნები იოლად წასაკითხნი ვერ იქნებიან; არა და განზრახ გა-მარტივებასაც მორიდებია, რაც უკვე მეორე უკიდურესობი-საკენ უბიძგებდა.

„ისტორია რთული მეცნიერება არის. იგი არას დროს გასართობ წიგნად არ გამოდგება და ყოველთვის შესწავლი-სა და ღრმად დაკვირვების საგნად უნდა იყოს“, – გვარიგებს „ქართველი ერის ისტორიის“ ავტორი და გვანუგეშებს, რომ არც მეცნიერთა „სათვისტომოს“ გარეთ მდგომი მკითხვე-ლები დარჩენია ყურადღების მიღმა: „სკოლებში სახმარებ-ლად და ხალხისათვის საკითხავად იქმნება განსაკუთრებუ-ლი გამოცემაო“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად ივ. ჯავახიშვილმა ვეღარ მოიცალა.

კიდევ გამოხდა ხანი, ამჯერად უფრო ანგარიშგასაწევი, მთელი თხუთმეტი წელიწადი (ჯამში – ოცი), მაგრამ ივ. ჯა-ვახიშვილს კვლავ იმისი გულისტკივილი აქვს, რომ ისტორი-ული წყაროების შეფასება – გადაფასების პროცესმა, „ისე-დაც ძნელად წასაკითხი წიგნი მეტისმეტად დატვირთა და მას საისტორიო გამოკვლევის ხასიათი მიანიჭაო“. აქ იმდენი გულისხმიერებაა, რომ ფრაზის დასასრული, ცოტა არ იყოს, უცნაურადაც კი გვეჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ კვლავ „ჩვეულებრივ მკითხველთათვის“ სწუხს ავტორი, თორემ მეცნიერისათვის მისი დარგის ნებისმიერი ლიტერატურა რატომ უნდა იყოს „ძნელად წასაკითხი?!“

დიდი ისტორიკოსი საკუთარ პოზიციას მაინც ამარ-თლებს და იქვე იძლევა მეცნიერული ეთიკის ქვაკუთხედს: „ადვილად წასაკითხი და ლამაზი დაუსაბუთებელი თეორიე-

ბისა და დებულების წამოყენებას, ვფიქრობ, რომ ყოველ-მხრივ დასაბუთებული ისტორიის წერა სჯობია. მეცნიერ ის-ტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლო-ბა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას ავალებს თავისი დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოადგინოს“.

ისევ არ ავიწყდება მკვლევარს მკითხველი საზოგადოე-ბის გემოვნება და განწყობა და გამოსავალსაც თვითონვე სთავაზობს: „ეს წიგნი რომ არასპეციალისტებისთვისაც მა-ინც მისაწვდომი ყოფილიყო, ყველა ასეთი წყაროების მიმო-ხილვა და მათი კრიტიკა ცალკე პარაგრაფებად მაქვს გამო-ყოფილი და მკითხველს სურვილისამებრ შეუძლია, კითხვის დროს ეს პარაგრაფები (მითითებულია. ნ.ა.) გამოსტოვოს. მომავალში კი ამ ისტორიის დამთავრების შემდგომ, ამაზე დამყარებული საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის გა-მოცემაც მაქვს განზრახული...“

ისევ და ისევ ფიქრი და ზრუნვა „ჩვეულებრივი მკით-ხველისათვის“, როგორც უწოდებდა ივ. ჯავახიშვილი მკით-ხველთა ფართო საზოგადოებას. ჰქონდა განსვენებულ მკვლევარს ამისი ნება და მოვალეობა, რადგან კარგად იცო-და, რომ ობიექტურ ანალიზში გამოტარებულ საკუთარ ის-ტორიას მისი მშობელი ერი დიდხანს ელოდა და როცა მისი თხზულებების ბეჭდვა დაიწყო, მონობის მარწუხებში მოქცე-ული საზოგადოება ნუგეშის ამ თავანკარა მდინარეს მწყურ-ვალივით დაეწაფა.

იჯდა და წერდა და ფიქრობდა და სჯიდა საქართველოს ისტორიის მამა...

მართლაც და რაღაზე არ ფიქრობენ ეს დიდი მამულიშ-ვილები!

1998

ერთხელაც დუელის შესახებ

ბოლოს პაატა ჩხეიძემ შეგვახსენა დუელი ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდან (2012, № 12), რომელშიც თემა ფაქტიურად ამოწურა და, მე ვიტყოდი, საჩვენოდ ერთგვარი პარადიგმული სახეც კი მისცა აბზაცში, რომელშიც შემდეგს მოგვახსენებს: „ჩემის ღრმა რწმენითა და გამოცდილებით, დუელი დღემდე შემორჩა, მაგრამ შემორჩა განძარცვული რაინდული საბურველისაგან. ორმა გაბრაზებულმა კაცმა შეიძლება ახლაც დაუფიქრებლად ესროლოს ერთმანეთს საქართველოში, მაგრამ წესებს არ დაიცავენ, ღირსებაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. გამოიწვევ „კაცს“ დუელში და ან დაიმალება, ან პოლიციაში დაგაბეზღებს, მოკვლას მიპირებსო. კაცური ღირსება?! მთელი ქვეყნის დასანახად ერთმანეთს წყალს ასხამენ, ულაწუნებენ და... ვითომც არაფერი. უნამუსოს აფურთხებდნენ და ვიშ, რა კაი წვიმა მოდისო.“

აგაშენა ღმერთმა!

აი, რა დაგვმართნია!

და რა – ბ–ნ პაატას რომ არ ეთქვა, ჩვენც ხომ უნდა შეგვემჩნია, რომ ზნეობის დამპურებელი ღირსება ქატოსავით გაიაფდა?!

შეგვიმჩნევია, როგორ არა, მე შენ გეტყვი და ძებნა უნდა ამისთანა მაგალითებს, მაგრამ უბედურება ისაა, ისე ჩვეულებრიობად იქცა ღირსების შემლახავი გამოხტომები (ტელევიზიითაც კი – საქვეყნოდ!), რომ აღარც კი გვიკვირს, აღარაფრად ვაგდებთ, თუ პირადად ჩვენსკენ არ იქნა მომარ-

თული. ორმაგი უბედურება კიდევ ისაა, რომ ძალიან ბევრს აღარც მისკენ მიმართული შეურაცხყოფა ეხამუშება.

გუმანი და ინტუიცია თუ არ მღალატობს, დუელი თუ მისი რაღაცნაირი სახესხვაობა, ეტყობა, თავად პაატა ჩხეიძესაც გადახდომია ოდესღაც თავს. ამაში უცხო და მოულოდნელი არაფერი იქნება, ბოლოსდაბოლოს მისი ჩამომავლობის კაცს ღირსების დაცვა არავისგან ესწავლება. ზემოთ მოტანილ ციტატში, რამდენიმე პირადული ხასიათის ფრაზაში, უნებურად, მგონი სწორედ ასეთმა „ინფორმაციამ გაჟონა“...

არავის წარსულში არ ვიქექები, უბრალოდ, ჩვევა მაქვს ასეთი, თუ სიტყვა გულზე მეძგერა, მერე ფანტაზიასა და წარმოსახვას ვეღარ ვიოკებ, ესენი კი, ერთიცა და მეორეც, ჰაერზე არ ამოდის, „ნიადაგიდან“ აღმოცენდება...

არა, მე არ ვამბობ, რომ ბ–ნი პაატა მაინცდამაინც ჩახმახმოზიდული პისტოლეტის სამიზნედან გაჰყურებდა მოწინააღმდეგეს (ჯერ ერთი – თუნდაც!).

მე არც იმას ვამბობ, რომ დუელი მხოლოდ თანაბარ პირობებში, თანაბარი იარაღით და გარკვეული წესებით ორაბრძოლაა.

მე ვამბობ, რომ თანაბარ პირობებში წარმართული, წინასწარ დათქმული, ღირსების დაცვის მოტივით მომხდარი ყველა ორთაბრძოლა, ნებისმიერი იარაღით თუ უიარაღოდ, არის დუელი.

ჰოდა, ვიღა არ წერდა თურმე მის შესახებ... და წერდნენ და წერენ ქართველებიც.

ევროპაში დუელი ხელობადაც კი აღიქმებოდა.

ბევრი ბრალიანი და უბრალო სისხლი დაღვრილა, ბევრი ღირსეული ადამიანიც შეწირვია.

არ ვიცი და გულწრფელად მაინტერესებს: ნეტავ როგორ და რა ფორმით გამოხატავდა ქრისტიანული ეკლესია თავის დამოკიდებულებას ძმათამკვლელი ამ წესისა თუ ტრადიციის მიმართ?!

არ ვიცი და არანაკლებ მაინტერესებს კიდევ ისიც, რომ ეს დუელი მხოლოდ ქრისტიანი ხალხებისთვის დამახასიათებელი წესია, თუ ასეთი, ან მსგავსი რამ იცოდნენ სხვა დიდ (ან მცირე) რელიგიათა აღმსარებელ ქვეყნებშიც?!

ნეტავ ვინმე მიპასუხებდეს...

შეურაცხყოფისადმი შეუგუებლობა და მისი რამენაირი „მეთოდით“ ჩამორეცხა რომ აღმატებულ კაცთა წესია, ეს გასაგებია და ამას არც განსაკუთრებული რელიგია სჭირდება და არც ეროვნება, მაგრამ როგორ, როგორი „რაინდული საბურველით“, აი, ესაა საინტერესო, რაინდული სულით მოუკირწყლავ ასპარეზზე ჭიდილი ხომ დუელიც ველარ იქნება.

პ. ჩხეიძე კი – დუელი დღემდე შემორჩაო.

ძველი და აღარც მთლად ძველი თბილისის „ყოჩები“ დუელანტები არ იყვნენ, აბა, ვინ იყვნენ? კაცი კაცს სახალხოდ სიტყვას ეტყოდა – ამა და ამ დროს აქა და აქ გელოდებიო და მორჩა. არც სეკუნდანტების იქით – აქეთ სირბილი იყო საჭირო, არც ექიმები და არც სხვა მისთანა კეკლუცობანი. მთელი თუ არა, ნახევარი ქალაქი სუნთქვაშეკრული ელოდა, რა მოხდებოდა, მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო, ბოლო მაინც ან დუქანი იყო, ან სამიკიტნო, ანაც – რესტორანი...

„ვაჰ, დრონი, დრონი!..“

ახლა „სპორტის“ ერთი სახეობა მახსენდება – „ბრძოლა წესების გარეშე“, დღეს რომ ძალზე პოპულარულია და რეკლამასაც ფართოდ უწევენ. აბა, საიდან მივლენ ესენი იმათ-

თან! ესენი, ჯერჯერობით, კბილებით არ გლეჯენ ერთმანეთს და უხერხულ ადგილებში არ ურტყამენ (ჩათვალეთ, რომ მომავალში ესეც დასაშვები იქნება). იმათ ამას არავინ უკრძალავდა, ეს ისედაც იგულისხმებოდა, უფრო სწორად – კაცობა უკრძალავდა. ისინი წაქცეულ მოწინააღმდეგეს ხელს როგორ შეახებდნენ, მხოლოდ და მხოლოდ – წამოსაყენებლად, ესენი – მისდგებიან იმ წაქცეულ მოწინააღმდეგეს და სულის ამოხდომამდე უზაპუნებენ. აი, სპორტი!..

ჩემის ღრმა რწმენით კი, ჩემო პაატა, ასეთი ორთაბრძოლა დუელი ვერაფრით ვერ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ისიც დათქმულია, ისიც თანაბარი „იარაღით“ სწარმოებს, მაგრამ ვერ იქნება, რადგან აქ სწორედ ისაა გათელილი, რისთვისაც ხდება დუელი – ღირსება! აი, ასეთი ღირსებით შემკულ ჩვენს ქალაქელებს კი, „ყოჩი“ კი არა, „კრავიც“ რომ ყოფილიყო, დაუწერელ კანონთა შორის, გარდა იმისა, რომ წაქცეულს არ ურტყამდნენ, ასეთიც ჰქონდათ: ქვეყანა რომ დაქცეულიყო, კაცს თანმხლები ოჯახის წევრისა და მანდილოსნის წინაშე, არც სიტყვიერად და არც ფიზიკურად, არც დამსახურებულად და არც დაუმსახურებლად, არც ნაცნობსა და არც უცნობს, შეურაცხყოფას არ მიაყენებდნენ, ისევ დრომდე დათმენას ამჯობინებდნენ.

სწორედ ამიტომ, „ბოი ბეზ პრავილ“ საქართველოში სპორტის წარმატებული სახეობა ვერასოდეს გახდება; რაც არ უნდა გასამრჯელო დააწესონ, ქართველები გლადიატორებად (უკეთეს შემთხვევაში) არ იქცევიან, ხოლო საქართველო – კოლიზეუმად. ფიზიკური ძალისა და ენერგიის სადემონსტრაციოდ სხვა საშუალებებიც არსებობს.

გამრტყმელთა და ფალავანთა „კასტა“ გასული საუკუნის შუახანებშიც კი ისეთივე პოპულარული იყო, როგორც დღეს ოლიმპიური ჩემპიონობა.

ვაჟკაცი ჯიბეში დანას როგორ ჩაიდებდა, მით უფრო – აღნაგი და სრული. სუსტის დაჩაგვრა ისედაც სირცხვილად ითვლებოდა, ამდენად, დანის ტარება (ცეცხლსასროლ იარაღზე აღარაფერს ვამბობ) აჩრდილივით ადევნებული შიშის სინდრომის ტყვეობაში ყოფნას თავისთავად გულისხმობდა. შიში კი...

რჩეული ვაჟკაცების ბეჭებისა და წელის ზომები ყველამ იცოდა, ვინ სად „აბირჟავებდა“ – არც ეს გამოეპარებოდათ და არც ის, რომელ მანდილოსანს ჰქონდა ბედნიერება მათთან ხელკავით გამოჩენისა ხან „გოლოვინზე“ და ხანაც – „რუსთაველზე“.

სხვანაირი დროა ახლა. მამაკაცის ბეჭებს მამაკაცები კი არა, ქალებიც აღარ უყურებენ (ღირსეულ ბანოვანთა წინაშე ქედი მომიხრია), სამაგიეროდ მავან ლამაზმანთა მრგვალი ფორმების პროპორციები იციან ზეპირად და უბედურება ისაა, რომ ქალს სწორედ და მხოლოდ იმ სამ განზომილებაში აღიქვამენ, შინაგანი ავლადიდება საერთოდ აღარ აინტერესებთ და მდედრში მხოლოდ ხორციელი სიამოვნების წყაროს ხედავენ (ღირსეულ მოყმეთა წინაშეც ქედი მომიხრია).

ქალი ასეთი დამცრობილი და შეურაცხყოფილი არც არასოდეს ყოფილა!...

და მაშინ, როცა ქალი ასე შეურაცხყოფილია, მამაკაცთა საქმე ორგზის სავალალოა. საბოლოო ჯამში კი პლანეტის მოსახლეობის ზნეობრივი სურათი, დასავლეთის – მითუფრო, ერთობ არასახარბიელოა, რაც იმის მი-

მანიშნებელი უნდა იყოს, რომ კაცობრიობა უკვე შესულია აპოკალიფსურ ეპოქაში.

ახლა ურთიერთობის გარკვევის წესიც სხვანაირია. დროსაც დათქვამენ, ადგილსაც, ოღონდ მრავალრიცხოვანი და კბილებალესილი ამალის თანხლებით მივლენ და, არც თუ იშვიათად, ისე სასტიკად და გამეტებით ჩეხავენ ერთმანეთს, რომ გაოცდები – საიდან დაგროვდა ამდენი ბოღმა, ზიზღი და აგრესია ამ, ერთი შეხედვით, ანგელოზივით ახალგაზრდებში. არც ისაა იშვიათობა, რომ ამ ორომტრიალსა და განუკითხაობას ბრალიანი კი არა, სწორედ უბრალო, „პადერჟკისთვის“ მისული ვინმე გულუბრყვილო და ალალი ყმაწვილი შეეწირება.

საძმო – სამეგობრო წინათაც ჰყავდათ, მაგრამ ვაჟკაცი თავისი საქმის გასარკვევად, სხვას როგორ შეაწუხებდა, ან თავს როგორ აპატიებდა, მისი გულისთვის ვინმეს რომ წვეთი სისხლიც გამოსვლოდა. თავისი პრობლემა, ავად თუ კარგად, თვითონ უნდა მოეგვარებინა. დაკარგულ სიმართლეს, სხვა გზა რომ აღარ რჩებოდა, იარაღით ეძებდნენ, უთანასწორო დაპირისპირებულთაც იარაღი ათანაბრებდა და ასწორებდა.

ჰოდა, დუელიც ეგ იყო, დუელი ქართულად – უბრალოდ და ღირსეულად.

ევროპელები სხვანაირებია, იმათ ყველაფერი პომპეზურად იციან.

არ ვიცი, ჩვენი ევროპელობა როგორ იქნება...

აი, კავკასიელობა კი...

†††

თანამედროვე ახლებისა და ძველების დაბლაგვებული ღირსება ასტკიებია პაატა ჩხეიძეს, ამან თუ დააწერინა ის

წერილი, ფაბულა რომ ჯ. კონრადს უტრიალებს – როგორ აუწევია მაღლა დუელს ორი სამხედრო პირი, ადამიანური სულის სიღრმეებიდან როგორ ამოუმზეურებია დუელს საუკეთესო პიროვნული თვისებები, მაგრამ ბ – ნი პაატას მარჯვე კომპოზიციური მონასმიდან, ესეის თავში და ბოლოში, მაინც ჟონავს ქართული ტკივილი – პამპულებად არ გამოვჩნდეთ, პამპულას ხომ ღირსება არ გააჩნია, უღირსებო კაცი კი ლეშის ტომარაა და მეტი არაფერიო.

არა, არა, რაკიღა შემორჩა, კარგია, ბრძოლაა, მოძრაობაა, „მოძრაობა და მოძრაობა, ჩემო თერგოო“, ეგებ არ დავმყაყდეთ...

„ჩემი ღრმა რწმენითა და გამოცდილებით, დუელი დღემდე შემორჩაო“...

ჩემითაც, ბატონო პაატა, ჩემითაც!..

2013

კედლის გაზეთი და ცოდა რაღ სხვაა

ახლა სად გაჰქრა კედლის გაზეთები?

კედლები ისევ დგანან; სკოლებში – დგანან, კოლეჯებში – დგანან და დგანან მომრავლებულ უნივერსიტეტებშიც. ინსტიტუტები თითქმის აღარ არსებობენ, ისინი – წინათ რომ ახალგაზრდობას უმაღლეს განათლებას აძლევდნენ, ყველას ერთი – პედაგოგიური პროფილი კი ჰქონდა, მაგრამ სწავლის მძებნელი ამაოდ არ დაშვრებოდა, არც დამშვრალან, ისიც მართალია, რომ იქ ბევრი უაზრო საგანიც „ისწავლებოდა“, მაგრამ აზრიანიც იქვე იყო, ეს გესწავლა, იმას ნუ ისწავლიდი, ამის გულისათვის თავ–პირს არავინ დაგამსხვრევდა, იმათაც კი იცოდნენ, რომ, მაგალითად, მეცნიერული კომუნიზმი რაც არ უნდა აბობოქრებულიყო, წიგნის ყდიდან მაინც ვერ გადმოვიდოდა და „დამპალ“ კაპიტალიზმს ვერ წალეკავდა, მაგრამ ან „მისჯილ“ მასწავლებელს რა ექნა, ან – „დასჯილ“ მოსწავლეს, დრო იყო ისეთი, რომ მსგავსი საკითხები აუდიტორიებში არ წყდებოდა, წყდებოდა კი არა, აბა, ეჭვი შეგპარვოდა კომუნიზმის ნათელ მომავალში, ან მშობლიური პარტიის მიერ აღებული კურსის სისწორეში, სასწავლებელი კი არა, ციმბირი თუ არა, ურალი მაინც დაგრჩებოდა უკან.

ჰოდა, ინსტიტუტები ახლა თუ არსებობენ – სხვანაირნი, უკვე ევროამერიკული პროფილითა და სამოსელით, სულსაც რომ იქაურს უდგამენ და ვეღარ ჩაუდგამთ, ჯიუტობს ეროვნული ფესვებიდან აღმოცენებული სული და ეხა-

მუშება უცხო სამოსელი, ვერ ისწავლეს ჭკუა, ზოგმა ისწავ-ლა, მაგრამ ზოგმა მაინც ვერ ისწავლა, რომ ერთ ხორცში ორი სული ვერ ჩაეგება...

უნივერსიტეტებმა ხომ წალეკეს ერთი დროის საქარ-თველო, დიდი და მცირე ქალაქები რომ გადინადირეს, რაიო-ნულ ცენტრებსაც მისწვდნენ. არა, ეს მაინც რა იყო? ნუთუ არავის ეცოდებოდა მაშინდელი აფოფინებული სტუდენტე-ბის გაწბილებული მშობლები! ერთი ბეწო ქვეყანა და ასობით უნივერსიტეტი! თუმცა რა – ხალხმრავალ ადგილებში 24 სა-ათიან რეჟიმში „ბირჟაზე“ დგომასა და უხამსი ანეკდოტებით თავის შექცევას, ალბათ ისევ აუდიტორიაში უცხო ბუდეში მოხვედრილი გუგულივით ჯდომა სჯობდა, სულაც თუკი შე-დიოდნენ აუდიტორიებში ის სტუდენტები... რა საკვირვე-ლია.

ის ინსტიტუტები, რომელთა შესახებაც ახლა ჩვენ ვლა-პარაკობთ, ანუ პედაგოგებს რომ ზრდიდნენ, გეოგრაფიული პრინციპით იყვნენ განაწილებულნი და, სხვათა შორის, კარ-გადაც: თბილისსა და თელავში, გორსა და ქუთაისში, ბათუმ-სა და სოხუმში.

უნივერსიტეტი ერთი იყო, მისი პრესტიჟი კი – შეუვა-ლი.

ჰოდა, სადაც გსურდა, იქ შეგეძლო სწავლის გაგრძელე-ბა, ახლანდელივით ლაგოდეხელს არავინ აძალებდა, გინდა თუ არა, ქუთაისში უნდა ისწავლოო, ან – პირუკუ. თუ არ გაწყობს – თავისუფალი ბრძანდებოდე, კალთაზე არავინ ჩა-მოგეკონწიალება. ყოველ შემთხვევაში, აბიტურიენტებმა მა-შინ დანამდვილებით იცოდნენ, ჩარიცხვის შემთხვევაში სად და რას ისწავლიდნენ და სასწავლებლის გასრულების შემდე-გაც, სამუშაო, საკუთარი კვალიფიკაციისა და პროფილის შესაბამისად, გარანტირებული ჰქონდათ. გამოდიოდა, რომ

სახელმწიფო ახალგაზრდობის ბედზე ოპერატიულად ზრუნავდა. თუკი რამ წამოგელო სასწავლებლიდან, დამოუკიდებლად ცხოვრება არ უნდა გაგჭირვებოდა, თუ არა და, მოიხდიდი სავალდებულო სამხედრო სამსახურს და სამხედრო ბილეთით „გამაგრებული“ დიპლომი ორლესული მახვილივით სჭრიდა. მაშინ დიპლომს დიდი წონა ჰქონდა და იმ ინერციის გამოძახილი იყო 1990 – იან წლებში მომრავლებული უნივერსიტეტებიც, თორემ ცოდნის მიღების დაუოკებელი წყურვილი ჩვენში, სხვათას ვერაფერს გეტყვით, მასიური და საყოველთაო არასოდეს ყოფილა. ალბათ ასეც უნდა იყოს. დიპლომომანიას ცოდნასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ის კი, ცოდნის მიღების მართლაც დაუოკებელი წყურვილი, სულ სხვაა, იგი ყველგან და ყოველთვის რჩეულთა ხვედრია.

მეჩვენება, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში საყოველთაო ეროვნული(!) გამოცდების შედეგად მოხვედრილ ახალგაზრდებს, შემდეგში, ბაკალავრის ან მაგისტრის წოდებით გზის გაკაფვა უჭირთ, თუ არა (საბჭოთა სამხედრო ბილეთისა არ იყოს) რომელიმე უცხოური კოლეჯიდან (მაინც) ჩამოტანილი განათლების მოწმობა. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ერთი შეხედვით, თორემ პრობლემა უფრო ღრმა და მრავალწახნაგოვანია და ვერც მე გამოვდგები ჩვენებური აშკარად ხარვეზიანი განათლების სისტემის შემფასებლად თუ ექსპერტად, ხოლო თუ მაინც აქა–იქ ნოსტალგიის სიომ გადაიშრიალა, არც ეგ უნდა იყოს უსაფუძვლო და გასაკვირველი.

ახლა, რატომღაც, კედლის გაზეთი ამეკვიატა. ლიტერატურულ გაზეთზე მოგახსენებთ, თორემ სხვანი და სხვანიც არსებობდნენ, ასე განსაჯეთ – არალეგალურად შედგენილნი და გამოკრულნიც კი. პოპულარობით კი ყველას სატი-

რულ – იუმორისტული, უხვად ილუსტრირებული გაზეთები სჯაბნიდა.

ლიტერატურული კედლის გაზეთები ადრე სკოლებშიც იყო. მხედველობაში აქაც მოსწავლეთა თვითშემოქმედება მაქვს. ისინი ეგებ ახლაც არის სადმე, მაგრამ მე ვეღარ შევ-ხვედრივარ? შესაძლებელია, სავსებით შესაძლებელია და ნე-ტამც...

იყო ასეთი გაზეთები უმაღლეს სასწავლებლებშიც. ქა-ღალდის დიდ ფორმატზე ლამაზი კალიგრაფიით გადაჰქონ-დათ ლექსები, ჩანახატები, ნოველები, მინიატურები... რასაც კედლის გაზეთის მოკრძალებული მოცულობა აიტანდა, მაღლა – დასათაურება, დაბლა – რედკოლეგია. ბეჭდვით გა-მოცემებს დიდი სასწავლებლები თუ შესწვდებოდნენ, ახლა როა, ასე ადვილად ეს საქმე არ გამოდიოდა.

აკრავდნენ დერეფნებში, გამოსაჩენ ადგილას, უმეტე-სად ჩარჩოსი და დამცავი შუშის გარეშე და, ამიტომაც, ცოტა შემაღლებულად, აბეზარი მოქილიკეებისაგან ცოტად მაინც რომ ყოფილიყო დაცული.

ასეთ გაზეთებს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც უშ-ვებდნენ, ლიტერატურულსაც, სატირულ – იუმორისტულ-საც და სადღესასწაულოსაც. ეს უკანასკნელი როგორ და რა-ტომ იყო, არ ვიცი. სავარაუდოდ რექტორის ახირება, ან ზე-მოდან წამოსული დირექტივა უნდა ყოფილიყო. გამოდიოდა 23 და 25 თებერვალს, 1 და 9 მაისს, 7 ნოემბერს და სხვა. ესენი არც არავის მოსწონდა და არც არავინ კითხულობდა, მაგრამ მაშინ ასეთ თემებზე საუბარს ერიდებოდნენ, მითუფრო – ლექციაზე. თუმცა იყვნენ ისეთი ლექტორებიც, თავს რომ ხიფათში იგდებდნენ და კონსპირაციულად მოქმედებდნენ, თანაც საკმაოდ წარმატებითაც. ასე შემოდიოდა და ტრია-ლებდა ჩვენთან, სტუდენტთა ერთ ვიწრო წრეში, ზ. გმსა-

ხურდიას იატაკქვეშა გამოცემები, გრ. რობაქიძის „გველის პერანგის“ ქსეროასლები და ა.შ. მართალი გითხრათ, დღესაც არ ვიცი დანამდვილებით იმ ლექტორის ვინაობა, ასე მარჯვედ და სუფთად რომ მუშაობდა სტუდენტებში ეროვნული სულის ასაბრიალებლად.

ლიტერატურულ გაზეთს გორის პედინსტიტუტის ფოიეში, ქართული ლიტერატურის კათედრის შესასვლელთან აკრავდნენ. „დანახვისი“ ერქვა იმ გაზეთს და მისი გამოსვლაც ვერ ხერხდებოდა მკაცრი პერიოდულობით, თუმცაღა იგი სტუდენტებში მეტად პოპულარული იყო, იმდენად, რომ იქ გამოქვეყნებულ ლექსებზე სიმღერებსაც კი თხზავდნენ. გაზეთის ავტორიტეტს დიდწილად განაპირობებდა ის გარემოება, რომ მისი გამოსვლა დაკავშირებული იყო მწერალ ოთარ ჩხეიძესთან, რომელიც, მიუხედავად გამუდმებული მოუცლელობისა, მაინც პოულობდა დროს და ამ უბრალო კედლის გაზეთის მასალასაც კი პირადად ეცნობოდა. ეს შტრიხი დიდი მწერლის პორტრეტისათვის ერთობ დამახასიათებელია.

აღარ ვიცი, ჩვენი თაობის ინსტიტუტში მოსვლამდეც თუ არსებობდა „დანახვისი“. რამდენადაც ვიცი, აღარც ჩვენს შემდგომ გამოსულა. თუმცა მერე ხომ ყველაფერი აირია, 70 – იანი წლების ბოლოდან. აუხირდნენ (როგორც თავად იტყოდა ხოლმე) ბატონ ოთარსაც, მის ლიტერატურულ გამოცემებსაც და თვით პედაგოგიურ ინსტიტუტსაც აუხირდნენ, რომელიც, საბოლოოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტით ჩაანაცვლეს. არ ვიცი, რა მისცა ამან საქართველოს ეკონომიკას, ან რა დაკარგა ჩვენმა პედაგოგიკამ, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: იმ კედლებიდან კაი ხანს (?) მწერლები აღარ გამოსულან. არა და

მშვენიერი შემოქმედნი შემოკრბნენ გორის სასწავლებელში: ალექსანდრე ტაბატაძე, მინდია არაბული, ვაჟა დადიანიძე, ზაურ წაქაძე, ვანო ჩხიკვაძე, ჯემალ ინჯია, ნუგზარ ჯანაშვილი, მირიან იორამაშვილი (მეუფე თადეოზი), მურად მთვარელიძე, მანანა ჩიტიშვილი... მანანა ჩიტიშვილის შემაჟრჟოლებლად ქართული პოეზია, ვგონებ, უკანასკნელი მძლავრი გაელვებაა იქაური პოეტური ტრადიციისა. ყველა მათგანს ფრთები ოთარ ჩხეიძის კალთაში ამოუვიდა. მერე კი, რაკიღა იქ მოღვაწეობა ბატონმა ოთარმაც შეწყვიტა და ჰუმანიტარული ფაკულტეტიც გაუქმდა, ლიტერატურული ცხოვრება, ალბათ, მთლიანად თუ არა, რამდენადმე მაინც უფერული გახდებოდა. მარტო იმის გულისთვის უნდა ახსოვდეს შთამომავლობას გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომ შემოქმედთა და მკვლევართა ამ მოკრძალებულ სამჭედლოში ათწლეულობით მუშაობდა სიტყვის გენიალური ოსტატი, მწერალი ოთარ ჩხეიძე. იმ კედლებში გამართული სასწავლებელი, სადაც „ბორიაყის“ ავტორის ლანდი თითქოს ახლაც დაიარება, ალბათ მოვა დრო და მის სახელს დაირქმევს. ეს სამართლიანად და დამსახურებულად ბოძებული პატივი იქნებოდა მშობლიური ქალაქისაგან.

დავუბრუნდეთ „დანახვისს“.

კედლის გაზეთი მაინც კედლის გაზეთია და პერიოდულ ბეჭდურ გამოცემებთან, რა თქმა უნდა, ვერ მივა, მაგრამ ახალგაზრდა შემოქმედის ჩამოყალიბებაში, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მაინც გარკვეული ეტაპია, სტიმული ხომ მაინც არის. ეს გაზეთიც, ცხადია, ოთარ ჩხეიძის ინიციატივა გახლდათ და ალბათ იმიტომ მოიფიქრა, რომ შემოქმედებითად განწყობილი ახალგაზრდების წრე შეეკრა, წლობით ნალოლიავებ შენობას ბზარი არ გასჩენოდა და

ამოევსო ის სიცარიელე, უკანასკნელ წლებში რომ იქაური ალმანახის საგამომცემლო საქმიანობაში გაჩენილიყო. „ლიახვის“ გამოცემასთან დაკავშირებული სიძნელეები მაქვს მხედველობაში.

გორის ინსტიტუტის არცთუ აგრერიგად ჯანსაღ გარემოში, ოთარ ჩხეიძე გახლდათ ამ სასწავლებლის სინდისი და სინათლე. ეს ჩემი აღმოჩენა არ გახლავთ... ახლა ბევრი იწერება მის შესახებ, განსაკუთრებით გარდაცვალების შემდეგ, სიცოცხლეში ამდენს ვერ შებედავდნენ, თავადაც უაღრესად მოკრძალებული, სხვებშიც უდიდეს მოკრძალებას იწვევდა. ასეთი ხასიათის კაცმა მაინც შესძლო და მართლაც ცისკრის ვარსკვლავის გამონათებას გავდა პირველი გორული ნაბეჭდი ჟურნალი „ცისკარი“, რომელიც 1956 წელს გამოიცა. სწორედ მის გარშემო შემოკრბნენ დამწყები მწერლები და ამ საქმეს, ლიტერატურული ორგანოს გამოცემასა და მწერალთა დაოსტატებას სათავეში თავადაც ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი, ოთარ ჩხეიძე ჩაუდგა. მან ეს არც თუ მსუბუქი ტვირთი მთელი ორმოცი წელიწადი ღირსეულად ატარა. ამ საქმეს ნერვების გარდა მიჰქონდა ყველა დიდი მწერლის საუკეთესო კაპიტალი – დრო! ის კი არა, ბატონი რედაქტორი იმაზეც თვითონ ზრუნავდა, რომ რის ვაივაგლახით გამოცემული ჟურნალის ავტორებს ჰონორარი დროზე მიეღოთ. მე, პირადად, პირველად რაღაც გაუგებრობა მეგონა, ისეთი მოულოდნელი იყო დეპეშა ჰონორარის შესახებ...

მერე „ცისკარი“ „მერანმა“ შეცვალა, ხოლო „მერანი“ – „ლიახვმა“. „ლიახვი“ გორში თითქმის სამი ათეული წელიწადი გამოდიოდა. 1991 წლიდან მას „კლდეკარი“ შეენაცვლა. ამ ალმანახის გამოსვლაც და მისი წინამორბედის „წასვლაც“ ხმაურიანი და დრამატული მოვლენა გახლდათ, თუმცა ბა-

ტონმა ოთარმა მთელი ეს ორომტრიალი სულ რამდენიმე სტრიქონში ჩაატია და ტკივილით დამუხტულ, უაღრესად ლაკონურ წერილს სათაურიც მოკლე და მეტყველი მისცა – „წაურთმევიათ“... ამის შესახებ თქმულა და დაწერილა და მე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ზემოთქმული ოთხივე დასახელების ჟურნალი ერთი რედაქტორის ხელიდან გამოდიოდა, ერთი სულისკვეთებითა და მიზნით – არ ჩამქრალიყო ქართლის გულში ლიტერატურის კოცონი და მისგან ჯანსაღი ალი ამოსულიყო.

1968 წლიდან გორში ლიტერატურული სიტყვის ცეცხლი, ცოტა არ იყოს, მინელდა. მხედველობაში მაქვს ჟურნალის გამოცემის შეფერხება. ადრე თუ სამი – ოთხი წლის ინტერვალით იბეჭდებოდა, ახლა მთელი რვა წლით დაიგვიანა. ესაც ოთარ ჩხეიძის შევიწროებასთან იქნებოდა დაკავშირებული. ჩემი სტუდენტობაც სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა. უჟურნალობა ბატონმა ოთარმა კედლის გაზეთით შეავსო. „დანახვისის“ გამოჩენა ნაღვერდალისათვის სულის შებერვას გავდა. მართალია, იმართებოდა ტრადიციული ლიტერატურული ოთხშაბათობები (ო.ჩხეიძეს ამ დღეს ჰქონდა ლექციები), შეხვედრები ცნობილ მწერლებთან, გვიბოძა ღმერთმა წყალობა, მოგვესმინა ლექციები ს. გაჩეჩილაძისა, მ. მახათაძისა, თავად ო. ჩხეიძისა, კ. გუგუშვილისა, თ. უთურგაიძისა, ს. მაკალათიასი და ა.შ. მაგრამ შემოქმედება ხომ სახადი არ არის – ერთხელ გადაიტანო და განთავისუფლდე, ის ხომ ქრონიკული „სენია“, აღარც რომ გეშვება და ვეღარც შენ შელევიხარ და რომ აღარ გეშვება, რომ გღრღნის და გაფორიაქებს, ამ დროს დამძიმებული გულის ვინმესთვის გადაშლა ერთი ამოსუნთქვაა, ის „ვინმე“ თუ ჟურნალი აღმოჩნდება, ამას რაღა სჯობს, რამდენ ვინმეს გაესაუბრები, რამდენ ტკივილს მოიხსნი გულიდან, სტიმული მოგეცემა და ხა-

ლისი შეგიპყრობს, ხალისისა და აღმაფრენის გარეშე ხომ არაფერი კეთდება, განსაკუთრებით ახალგაზრდობისას. შენს ნაფიქრსა და ნატკივარს რომ გაანდობ ვინმეს, ესეც ხომ საქმეა ხანდახან. იქნებ მწერლობაც განდობაა და მეტი არაფერი, მწერალი და მკითხველი კი – განდობილნი. არა და როგორ უნდა გაენდო, თუკი ვერ იბეჭდები და რომ ვერ იბეჭ-დები, ხომ ორივე ზარალშია, მწერალიც და მკითხველიც. ეს კი ბატონ ოთარზე უკეთ ვინ უწყოდა და ამადაც მოეშველიე-ბინა, ეტყობა, კედლის გაზეთი – ერთიანობისათვის, სტიმუ-ლისათვის, გაზრდისა და განდობისათვის...

ჰოდა, აღარ ვიცი, რამ გამახსენა „დანახვისი“.

მიუბრუნდება კაცი, ალბათ, ზოგჯერ, ათეული წლების წინ ნანახს, ნაგრძნობს და განაცადს.

ისე კი, ცხადია, კედლის გაზეთი ლიტერატურის ცაზე ამინდს ვერ შექმნის, მაგრამ, ხანდახან, შორიდან, ცოტა სხვანაირად ჩანს ყველაფერი, თორემ რა...

არა, მე ვეღარ ვხვდები, ეტყობა, თორემ სად უნდა გამ-ქრალიყო კედლის გაზეთები, ან რატომ უნდა გამქრალიყო? მითუმეტეს, რომ კედლები ისევ დგანან. ..

2006

„სიკვდილი მთებში“, ანუ რისმქონიძე ეპიზოდი კურელიანების ცხოვრებიდან

ჟურნალ „ცისკარში“, 1958 წლის მეორე ნომერში, გამოქვეყნდა ახალგაზრდა მწერლის – გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა, „სიკვდილი მთებში“, რომლის სიუჟეტური ქარგა ხევსურეთის სოფელ არხოტში იშლება. იქ მოგზაურობს გერმანელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – ალფრედ კურელას ოჯახი გამყოლითურთ, რომელსაც, როგორც ცხოვრებაში, მოთხრობაშიც გიგლა ჰქვია.

დილაა. მოგზაურები გამოდიან კარვებიდან, საუზმობენ, ცხენებზე სხდებიან და ქვა–ღორღითა და ლოდებით მოფენილ ხეობაში დაღმა ეშვებიან, აქედან შორს აღარაა არხოტის თემის სოფელი ახიელი.

თავიდანვე უნდა ვთქვა: ეს მოთხრობა იმდენად ზედმიწევნით დოკუმენტურია, რომ ლამის აღარც კი ჰგავს მოთხრობას. აქ არც ერთი პერსონაჟი არაა მოგონილი, მეტიც – ისინი ყველა თავისი გვარ–სახელებით მოიხსენიება, ავტორიც კი და თავად ამბავიც თავიდან ბოლომდე რეალურად მომხდარი ფაქტის გადმოცემაა. მწერალი ძირითადად იმ ეპიზოდებში ჩნდება, სადაც იმაზეა საუბარი, რისთვისაც ეს მოთხრობა დაიწერა, ანუ სიკვდილ–სიცოცხლის მარადიული „წყევლა–კრულვიანი საკითხავი“ და მთავარი გმირის ფსიქო–ემოციური პორტრეტი.

იმასაც, ბარელამ, აქვე ვიტყვი: ალფრედ კურელა ცნობილი პიროვნება იყო და მოთხრობაში აღწერილ ტრაგედიას შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ევროპაში, ისე – საბჭოთა კავშირში, ხოლო საქართველოში გურამ რჩეულიშვილის კალამმა გაახმაურა; ისეთი ბედი ჰქონდა ცხონებულს, ყველაფერ უცნაურსა და უამურს ის უნდა გადაჰყროდა...

მაშ ასე: მშვენიერი დილაა. მხედრები აცა-ბაცა ბილიკებს მიუყვებიან და თან მუსაიფობენ.

„– მე მაინც ახლა აქ მირჩევნია, თუნდაც იმიტომ, რომ აქა ვარ და არა იქ“.

ამბობს წერისაგან ატანილი, ცხენზე ამხედრებული და ბუნების სიმშვენიერით აღტაცებული ელპიდე კურელა, ალფრედის მეუღლე და ავტორი პირველ ნაღმს დებს მოთხრობაში, ქალს აქ ურჩევნია და რაკიღა ურჩევნია, ბედისწერაც ხელს შეუწყობს...

„ – კარგია, სტეფანეც ბევრ რამეს ნახავს,“ – „ნაღმი“ უკვე მოქმედებას იწყებს; რა არის კარგი? რას ნახავს სტეფანე? მტრისას, ახლა რომ სტეფანე ნახავს!..

სტეფანე ალფრედისა და ელპიდეს ვაჟია, ამ დროს ასე – 14–15 წლისა იქნება, მერე ცხოვრების გრძელ გზას გაივლის, სად არ მოხვდება, მაგრამ ეს ადგილი და აქ მომხდარი, აღარასოდეს დაავიწყდება...

ელპიდე არხეინად ზის ცხენზე და მეუღლეს ეჭიკჭიკება:

„– ალფრედ, მე ვერ შევძლებ ჭენებას?“

და ცოტა ხანში:

„– წარმომიდგენია, რა სიამოვნებაა ჭენება მთაში.“

წერას ატანილია პერსონაჟი, მწერალი ემოციურ ფონს ამძაფრებს და „ნაღმიც“ სკდება:

„მერე ყველაფერი უცებ მოხდა“...

მოკლედ მოსჭრის ავტორი; ყოველივე ის, რაზეც აქამდე მოგვითხრობდა, საკუთარი თვალით არ უნახავს. იგი მოთხრობაში ამის შემდეგ შემოდის, გიგლა – გამყოლი რომ ცხენდაცხენ მივარდება არხოტში და გურამს გადაეყრება.

დამფრთხალმა ცხენმა ელპიდე იმსხვერპლა. უნაგირიდან გადმოვარდნილს ფეხი უზანგში ჩარჩა... არხოტში შემთხვევით მყოფი ექიმები უძლურნია, ალფრედ კურელას გადაწყვეტილება კი ურყევი – იქვე იჭრება სამარე და მაშინვე კრძალავენ მიცვალებულს. „ ჩვენ ასეთი პირობა გვქონდა, პირობა კი არა, საუბარი... ასე ერჩივნა ელპიდეს“, – ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას ალფრედი.

შემთხვევის ადგილზე მისულ მწერალს გულისმომკვლელი სურათი დახვდება: „ბალახზე ქალი ეგდო, გახეთქილი შუბლით, თავთით ქერათმიანი ბავშვი უჯდა, წარბთან მიმხმარი სისხლიდან ბუზებს უგერიებდა“, და ეს ბავშვი, სტეფანე, რომელმაც ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა, გურამისაგან ელოდება ნუგეშს: „რა უნდა ვქნათ ჩვენ ახლა უდედოდ?“ უნდა ითქვას, რომ ეს საცოდავად მობუზული ბავშვი, იმ ტრაგედიის ფონზე, ყოველთვის გურამის მხედველობის არეშია და მთხრობელისა და მკითხველის ღრმა თანაგრძნობას იწვევს.

ავტორის ყურადღებას ახლა მამა–შვილი კურელები იპყრობენ. საოცარია, რა სტოიკურად მტკიცედ უჭირავს თავი ალფრედ კურელას. მაშინ ხომ მან მთელი სიმწვავით შეიგრძნო „საოცარი უმწეობა“, როცა ვერაფრით შველო-

და მეუღლეს, რომელსაც, ფეხით უზანგზე ჩამოკიდებულს, ცხენი ლოდებზე მიათრევდა. არც არაფერი გამყოლს შეეძლო: „გიგლა ადგილზე გაქვავდა, გამოდევნება უშედეგო იყო, შეუძლებელი“.

პირველი ელდა გავლილია. გერმანელი მწარე სინამდვილესთან შეგუებას მეყსეულად ცდილობს, „იგი ყველანაირად იკავებდა თავს, რომ თავისი დარდით სხვა არ შეეწუხებინა“. გურამი მოხიბლულია ალფრედის თავდაჭერილობით, ასე განსაჯეთ, ამგვარი შეჭირვების ჟამს, მარშრუტის შეცვლასა და მოგზაურობის გაგრძელებაზეც კი ფიქრობს და მსჯელობს – ფშავში, შუაფხოსკენ, როგორც ოჩიაურს ურჩევია. ეს ოჩიაური კი შემდეგში სახელმოხვეჭილი მოქანდაკე – გიორგი ოჩიაურია; ელპიდეს საფლავის ქვასაც ის გააკეთებს, რომელსაც მომდევნო ზაფხულს კურელა არხოტში აიტანს და მეუღლის საფლავს შეამკობს.

ალფრედ კურელა შეგუებული ჩანს სავალალო სინამდვილესთან, რადგან იცის, რომ „სიკვდილი სიცოცხლესთან ერთად იბადება“, ამის შეგნებით, ამ პრინციპით აღუზრდიათ შვილებიც; მაგრამ „მაინც არის რაღაც“... ბოლომდე არ ეთანხმება ქართველი მწერალი. ეს – ახალგაზრდა, მგზნებარე, ის – მოხუცი, გონისმიერი, დგანან ფაქტის წინაშე და ცდილობენ გაიგონ, მაინც რა არის ის „რაღაც“, სიკვდილი აუცილებელი ჩვეულებრიობაა თუ მოულოდნელი ტრაგედია.

ალფრედ კურელა შეუვალია, ცრემლიც კი არ ჩამოვარდნია, შეპირებული სურათებიც გადაიღო ტიხონოვისთვის, მედღეობე ხალხშიც კი გაერია არხოტში და აი, დადგა ჟამი თბილისში დაბრუნებისა. გურამ რჩეულიშვილი თან ახლავს. შედიან სასტუმროში, ალფრედი მარტოა საწოლ ოთახში და უყურებს იმ საწოლს, „რომელზეც ქალის

კაბა და ყვითელყვავილებიანი ხალათი იყო გადაკიდებული“. ყველაფერი ეს გურამის თვალთახედვის არეშია. ოთახიდან ჯერ ხმამაღალი ქვითინი ისმის, მერე კი „ალფრედი დაეცა საწოლზე, აღრიალდა. ის ტიროდა. ხმამაღლა ქვითინებდა“. გრძნობისმიერი განცდა აქ კულმინაციას აღწევს.

ალბათ ეს იყო ის „რაღაც“, რასაც ეს გერმანელი და ქართველი მწერლები თბილისში ჩამოსვლამდე უტრიალებდნენ და უკირკიტებდნენ...

გურამ რჩეულიშვილის მგრძნობიარე ბუნებას განსაკუთრებული სიღრმით დააჩნდა დაობლებული ბავშვი, რომელიც დედის ცხედართან ზის და დროდადრო კითხულობს: „რა უნდა ვქნათ ჩვენ ახლა უდედოდ?“

ეცოდება, გულს უკლავს გურამს სტეფანე; ეცოდება, როგორც ადამიანი ადამიანს რეალურ ცხოვრებაში და როგორც პერსონაჟი – პერსონაჟს. თვალს არ აცილებს, თანაუგრძნობს. ის კი „აბუზული იყო, საცოდავი, არც ტიროდა, არც ხმას იღებდა.“

იმ მხარეში, სადაც ეს ტრაგედია მოხდა, მამაკაცის ტირილი წესი არ იყო, მეტიც – სირცხვილად ითვლებოდა. უცხოელების მიერ სიკვდილის წინაშე გამოჩენილმა სიმტკიცემ ისინი ხევსურების თვალში ერთი–ორად აამაღლა. თვითმხილველები ამ ამბავს გვიანობამდე ყვებოდნენ ხოლმე; ამიტომ მათი თხრობის პათოსში კურელებისადმი რაღაცნაირი მოწიწებაც კი გამოიხატებოდა.

კრიჭა შეუკრავს ბავშვისთვის მწუხარებას: „წიწილას გავდა, თმები სველი და აბუზული ჰქონდა, საცოდავი იყო“, თვალს არ აცილებს გურამი იმას, ვისაც ახლა ყველაზე მეტად სჭირდება თანაგრძნობა, მისთვის კი არავის

სცალია: „მოკუნტული იჯდა, დილით დასველებული თმები აეშალა, სახე გაფითრებული ჰქონდა სიცივისაგან და მზეზე დამწვარი ცხვირი წითლად უპრიალებდა“. სტეფანე კურელას გარეგნული პორტრეტი ყველაზე მკაფიოა ამ მოთხრობაში.

†††

ინჟინერ გიგლა არაბულის ფეშენებელური ბინის (გნებავთ – სასტუმრო დაარქვით) აივანი. ჯუთა – ხევსურეთის პირველი სოფელი ხევის მხრიდან. აქედან კარგად მოჩანს ჯუთის ჭაუხის ხუთქიმიანი მწვერვალი. იქვეა გურამ რჩეულიშვილის სახელობის მწვერვალიც. ალპინიზმით გატაცებული მწერალი ხშირად დაიარებოდა აქ.

ჩემი მასპინძელი ის გიგლა გახლავთ, გ. რჩეულიშვილის მოთხრობაში რომ ფიგურირებს, როგორც გამყოლი.

მხატვრულ–ლიტერატურული შეფასება და ანალიზი მოთხრობისა „სიკვდილი მთებში“ ჩემს მიზანს არ შეადგენს, უფრო დოკუმენტური ფონი მაინტერესებს, ასე ვთქვათ – მოთხრობის ბიოგრაფია, მწერლის დამოკიდებულება მასალისადმი.

_ 1957 წლის აგვისტოა. დელისში ვარ პრაქტიკაზე. ორი ახალგაზრდა კაცი მოვიდა და მოშორებით მდგომ ჩვენს ლექტორს გაუბა ლაპარაკი. ცოტაც და მეც დამიძახეს. მივედი. პოეტები აღმოჩნდნენ – მურმან ლებანიძე და მუხრან მაჭავარიანი. ირაკლი აბაშიძეს გამოუგზავნია ჩემს მოსაძებნად,– მოყოლას იწყებს ბატონი გიგლა. რამდენიმე შტრიხი მისი ბიოგრაფიიდან: იგი სოფელ ჯუთის მკვიდრია. იმ დროს – პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამ-

შენებლო – საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტია. შემდეგ სხვადასხვა დროს ცხოვრობდა და პროფესიულ საქმიანობას ეწეოდა უკრაინაში, არაბეთში, გვინეაში და საქართველოში ხომ თავისთავად; ხელმძღვანელობდა მე–13 სამშენებლო ტრესტს, ითვლებოდა (და ითვლება) თავისი საქმის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად და ორგანიზატორად. ახლა ის 80–ს მიღწეული მოხუცია, მაგრამ საკმაოდ მხნედ გამოიყურება, არც მეხსიერებას უჩივის და შესანიშნავი მოსაუბრეცაა.

ჰოდა, წაიყვანეს გაოცებული და, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული გიგლა ირაკლი აბაშიძესთან, კაბინეტში. რატომ, რა ნიშნით და ვისთან შეთანხმებით შეირჩა მისი კანდიდატურა, აღარ იცის, თუ აღარ ამბობს, თორემ ამას რა მიხვედრა უნდა: შესანიშნავი, ათლეტური აღნაგობა, კომუნიკაბელურობა, ადგილობრივი გზა–ბილიკებისა და კლიმატურ–გეოგრაფიული პირობების ცოდნა და, რაც მთავარია, კარგი რუსული, რომელსაც ის ორჯონიკიძეში სწავლისას დაუფლებოდა. ამ ყველაფერს მაშინაც ყურადღებას აქცევდნენ.

კურელების ოჯახი რუსულ ენას კარგად ფლობდა. ალფრედს მჭიდრო და საქმიანი კონტაქტები ჰქონდა საბჭოთა კავშირის გავლენიან წრეებთან. სამი წელიწადი ცხოვრობდნენ აფხაზეთში. ელპიდე ექიმი იყო და თავისი პროფესიით მუშაობდა, ალფრედი კავკასიელი ხალხის ეთნოგრაფიით იყო დაინტერესებული. ჩაფიქრებული ჰქონდა წიგნები სვანეთზე, ხევსურეთზე, გარდა ამისა, იყო შესანიშნავი ფოტოხელოვანი და ა.შ.

გ. არაბულს ირ. აბაშიძესთან გაესაუბრნენ, დააკვალიანეს, რა უნდა ეკეთებინა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რაზე უნდა ელაპარაკა და რაზე – არა, მთავარი ეს იყო და

მიახვედრეს, რომ ენა იმიტომ აქვს ადამიანს, რომ ყველაფერი არ უნდა თქვას... მეორე დღეს შეახვედრეს კურელების ოჯახს; მომეწონნენო, თქვა, განსაკუთრებით სტეფანეო.

ჩასხდნენ „ზიმ“ – ის მარკის ავტომობილში და გაჰკრეს ყაზბეგისკენ, ოღონდ იქ რაიკომ–აღმასკომებთან შეხება და შეხვედრები არ ჰქონიათ დაგეგმილი, გერმანელების თხოვნა ყოფილა, რომ ამ მოგზაურობას არავითარი ოფიციალური სახე და ელფერი არ უნდა ჰქონოდა. ერთადერთი „თანამდებობის პირი“, ვისაც შეხვდნენ, იყო ს. ჯუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაგუა არაბული, რომლისგანაც ითხოვეს სწორედ ის შავი(!) ცხენი, რომელმაც შემდეგ იმსხვერპლა ელპიდე კურელა. მეორე ცხენი თავად გიგლას ოჯახისა იყო, ოღონდ არა ფაშატი, როგორც მოთხრობაშია, არამედ უკვე სახელმოხვეჭილი სადოღე ახტა – „ალი“.

პირობისამებრ, გიგლა თავის მისიას არხოტში დაასრულებდა. იქ გურამ რჩეულიშვილი დახვდებოდათ, რომელიც სტუმრებს შატილში წაიყვანდა.

ცირცლოვანში (ტოპონიმია) რომ ჩავიდნენ, ნაშალი ქვებით მოფენილი ფერდობი უნდა გაევლოთ. გიგლას სტუმრებისთვის უთხოვია, – ჩამობრძანდით ცხენებიდან, აქ ქვეითად აჯობებს გავლაო. ალფრედი მაშინვე დათანხმებია, ელპიდეს უარი უთქვამს – არ მეშინია, წმინდა სისხლის ინგლისურ ცხენებზეც კი ვმჯდარვარო. მას ცხენზე ჯდომა მართლაც სცოდნია, მაგრამ იმ შემთხვევაში ცხენს სწორი მიმართულება ვერ მისცა და პირუტყვი სადღაც ლოდებიან ჩიხში შეიყვანა, ის დაბრკოლდა, ბილიკი მოემზღვლა, რაღაცნაირად წამით გვერდზე მიესვენაო, ყვება გიგლა. ქალმა გადმოხტომა სცადა; ალპინისტური „ბათინ-

კები“ ეცვა, ძირზე მოჭედილი. უზანგიდან გამოიღო მარ-ჯვენა ფეხი, მაგრამ დროულად ვეღარ გამოაძრო მარცხე-ნა, ფეხსაცმლის ლითონის ბრჭყალები გამოედო უზანგს და ქალი გვერდზე ჩამოეკიდა უკვე ფეხზე წამომართულ ცხენს. სწორედ ამან დააფრთხო პირუტყვი. ორ–სამ ნახ-ტომში ელპიდეს სხეული მკვეთრად შეიკუმშა, მერე კი რე-აქცია აღარ ჰქონდა, ასიოდე მეტრზე ისე მიათრევდაო.

მოთხრობის ტექსტი და გამყოლის მონათხრობი ერ-თმანეთს ზუსტად ემთხვევა. ბოლოს ცხენი სადღაც ლო-დებში შევარდა და ჩაიჭედა. გიგლა ელპიდეს მივარდა, გა-მოხსნა, დააწვინა და თავზე რომ მოკიდა ხელი, თითებმა რაღაც თბილი რბილობი იგრძნო. ტრავმა უაღრესად სე-რიოზული ჩანდა. გიგლამ იცოდა, რომ არხოტში გარდა გურამისა, იმყოფებოდნენ ექიმი ურولოგები, მამა–შვილი გზირიშვილები. ავტორი მოთხრობაში რატომღაც მხო-ლოდ მათ გვარს არ ასახელებს.

შემდეგ გ. რჩეულიშვილი გიგლას ცხენს მიაჭენებს შემთხვევის ადგილისკენ, იქითკენ მიემართებიან აგრეთვე გზირიშვილები და ადგილობრივი მცხოვრებლები. შესა-ნიშნავი მხედარი და ვაჟკაცი იყოო გურამი,– იგონებს გ. არაბული,– ცხენს ერთი ნახტომით მოევლო და წუთში თვალისჩინიდან გაქრაო.

რომ მივედით, სტეფანეს კრიჭა შეჰკვროდაო, – მის-დევს თხრობის ძაფს სავარძელში მჯდომი ჩემი მასპინძე-ლი,– ალფრედი კი თავის განსვენებულ მეუღლეს სურა-თებს უღებდაო. აქ გიგლა არაბული ერთ ისეთ დეტალზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც მოთხრობაში არ არის და ვერც იქნებოდა, რადგან, ამ ამბის შემდეგ, მეორე ზაფ-ხულს რომ ჩავიდა არხოტში ალფრედი, ეს მოთხრობა უკვე გამოქვეყნებული იყო. მაშინ მას გერმანიიდან ჩამოუტანია

თასი, რომლის ფსკერზეც თავისებური ხელოვნებით გამოსახული ყოფილა გარდაცვლილი ელპიდე კურელას თავი, შემთხვევის მომენტში გადაღებული ფოტო. ეს თასი კურელას ახიელის ჯვარისთვის შეუწირავს (ნეტავ რა ბედი ეწია შემდეგში იმ თასს?).

ელპიდეს გერმანიაში გადასვენება ალფრედ კურელას მდგომარეობის კაცისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდაო,– დასძენს ჩემი მთხრობელი,– მაგრამ ამაზე მან კატეგორიული უარი განაცხადა – ეს თავად ჩემი მეუღლის სურვილი იყოო.

ის ღამე ალფრედ კურელას და გურამ რჩეულიშვილს, არხოტული ჟიპიტაურის თანხლებით, ერთ–ერთი ოჩიაურის სახლის ბანზე მუსაიფში გაუთენებიათ. ისინი მაშინ პირველად შეხვედრიან ერთმანეთს. ნაბადში გახვეული გიგლა და სტეფანეც იქვე იყვნენ მიწოლილნი და ყურს უგდებდნენ თანამეინახეთა ფილოსოფიური ხასიათის საუბარს, რომელიც მოთხრობაში ავტორს დასასრულისკენ აქვს გადატანილი. მოთხრობა „სიკვდილი მთებში“ ალბათ მაშინ იბადებოდა.

გ. რჩეულიშვილის ამ მოთხრობის მიხედვით შემდეგში საქართველოს რადიოში განხორციელდა რადიოდადგმა; გადაღებული ყოფილა აგრეთვე მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმიც, სადაც გიგლას პერსონაჟი რატომღაც მოხუცებული კაცი ყოფილა. ფილმი ისე გადაიღეს, რომ ცოცხალი, რეალური გიგლათი არავინ დაინტერესებულა. შესაძლოა, რომ სულაც მხატვრულ პერსონაჟად ჩათვალეს.

არხოტიდან გერმანელებს გამიზნული მარშრუტი შატილისკენ აღარ გაუგრძელებიათ, გიგლა უკან, ჯუთისკენ გამობრუნდა. სექტემბერი მოახლოებულიყო და სწავლა

იწყებოდა. სწავლა კი დაიწყო და კურელების მეგზური სტუდენტიც დაბინავდა ვაკის სტუდქალაქში, მაგრამ მთავარი ახლა იწყებოდა. ახლა შეაწუხებდნენ. ასეთ რეზონანსულ ტრაგედიაზე გულდასმით აკინძული საქმე უნდა შემდგარიყო.

და აი, საერთო საცხოვრებლის კომენდანტი დახვდა ფოიეში – მამაშენის მეგობრები დაგეძებენო. გიგლას მამა, აკია არაბული, ყარსის ბრძოლის მონაწილე იყო, ჰქონდა უნტეროფიცრის წოდება. ის კარგად იცნობდა აკაკი შანიძეს, რამდენიმე ქართველ გენერალს და მინისტრთა საბჭოს თანამშრომლებს, მაგრამ კომენდანტის მიერ აღწერილი ახალგაზრდების ასაკი და გარეგნული იერი არ ემთხვეოდა მამამისთან ნანახი ხალხისას და შეფიქრიანდა ბატონი გიგლა.

დანიშნულ დროს ხელმეორედ მოვიდნენ, გამოსდვეს ხელკავი, გაიყვანეს გარეთ, გააძვრეს პირადობის დამადასტურებელი საბუთები და განუცხადეს, არავითარი მეგობრები, უშიშროებიდან ვართ, უნდა წამოგვყვეო.

ნოდარ ანდღულაძე იყოო ჩემი ძმადნაფიცი, – თხრობას აგრძელებს ბ–ნი გიგლა, – მისგან მქონდა გაგონილი კაგებეს ავანჩავანის შესახებ... და შევეცადე, თავი მხნედ დამეჭირაო.

ჩასვეს მანქანაში და „ გაჰყვა.“ ბიჭი იყავი და ნუ გაჰყვებოდი!

შეიყვანეს ერთ გრძელ, უზარმაზარ კაბინეტში, რომლის ბოლოშიც უნიფორმაში გამოწყობილი, მელოტი, ქაღალდებში თავჩარგული კაცი იჯდა. ეს აღმოჩნდა საქართველოს სსრ უშიშროების მინისტრი ალექსი ინაური. წარუდგინეს თუ არა მხლებლებმა ახალგაზრდა, შეფმა ისინი მაშინვე დაითხოვა, სტუდენტი მიიხმო და, იცნობდა რა

ხელქვეითების ქცევის სტილსა და მანერებს, მზრუნველად ჰკითხა – ხომ არ შეგაშინესო? – მაგათ არაო,– უპასუხია გიგლას. – აბა, სხვამ ვინ, ვისი გეშინიაო? – სიცილით უკითხავს მინისტრს. – თქვენიო. – დაბნეულს, ალალად და გულახდილად უთქვამს ამას. – ჩემი რაღატომო? ხუმრობის ხასიათზე მოსულა ინაური და გიგლასაც ბრიყვულად წამოუსროლია: – რა ვიცი, ასეთი სახელი გაქვთო. ახლა კიდევ ამაზე... გულთბილი ატმოსფეროს შექმნა, ალბათ, ერთგვარი მეთოდი იყოო,– ამბობს ბ–ნი გიგლა,– სრულფასოვანი ინფორმაციის მისაღებად. ასეთი გაცნობითი ხასიათის ღიმილიანი გასაუბრების შემდეგ მინისტრს ახალგაზრდა კაცი დაუმშვიდებია, მიუცია კალამ–ფურცელი და მოუთხოვია, ელპიდე კურელასთან დაკავშირებით ნიუანსობრივი სიზუსტით გადმოეცა ყველაფერი.

ამის შემდეგ გიგლა არაბული აღარავის შეუწუხებია. ალფრედ კურელას წასვლის წინ, აეროპორტში, გამცილებლებისთვის უთქვამს – იმ ბავშვმა თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა და ყურადღება მიაქციეთ, რათა არ დაიჩაგროსო. მან კარგად იცოდა, რასაც ამბობდა; ვისაც ესმოდა, იმათაც კარგად იცოდნენ, თუ რას და რამდენს ნიშნავდა ეს დანაბარები. ოჯახური ტრაგედიის ფონზე ა. კურელას ერთი ჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცის ბედი განზე არ გაუწევია. დიდმა შინაგანმა კულტურამ და სინდისმა ეს სიტყვები ათქმევინა. გერმანელი მოგზაურის ასეთი დამოკიდებულება თავისი გამყოლის მიმართ ხაზგასმულია გ. რჩეულიშვილის მოთხრობაშიც.

ა. კურელა მეორე ზაფხულს კვლავ ჩამოვიდა საქართველოში ვაჟიშვილისა და ახალშერთული მეუღლის თანხლებით. მას აქ დახვდნენ გიგლა არაბული, ნოდარ ან-

დღულაძე და თამაზ გამყრელიძე. ამ ვიზიტს უკვე ოფიციალური სახე ჰქონდა. ალფრედ კურელამ ახალ ოჯახურ გარემოში განაგრძო ცხოვრება.

†††

სახლში მისულს მოულოდნელი სურათი დამხვდა... თუმცა მანამდე:

სტეფანე კურელას პირველი მოგზაურობა ხევსურეთში სავალალოდ დასრულდა და მწარე მოგონებად გადაიქცა, მაგრამ ამან არათუ გული გაუტეხა და აუყარა ამ კუთხეზე, პირიქით – ინტერესი გაუცხოველა, ხოლო დედის საფლავმა, რომელიც, ცხადია, დღესაც არხოტში მდებარეობს, სამუდამოდ და განუყრელად დააკავშირა საქართველოსთან. მას მერე ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში. ბოლოს და ბოლოს, 60 – იანი წლების დასაწყისში განახორციელა 1957 წელს ჩაშლილი მარშრუტი პირიქით ხევსურეთში – შატილში. არავინ იცის, ვისი რჩევითა და შუამავლობით მოხდა, რომ ხელმოკლეობითა და პატიოსნებით ცნობილი კაცის – შატილიონი ბესო ჭინჭარაულის ოჯახს მიაკითხა სტეფანემ და რამდენიმე დღით ჭერის გაზიარება მოკრძალებულად ითხოვა. ეს ოჯახი სტუმართმოყვარეობითაც არანაკლებ ცნობილი იყო და სტუმარს კოშკის კარი ფართოდ გაუღეს. სტუმარ–მასპინძელი შესანიშნავად შეეწყო ერთმანეთს, რაც, თუნდაც იმით გამოიხატა, რომ შემდეგში ს. კურელა შატილში წლების მანძილზე მხოლოდ ლუხუმათ ბესოს სტუმრობდა. ყოფილა შემთხვევა, რომ რამდენიმე კვირა, ერთი თვეც კი უცხოვრია მათთან. საქართველოთი დაინტერესებულ ამ გერმანელს ხევ-

სურეთში საკუთარი მარშრუტი ჰქონდა, რომელიც აუცილებლად მოიცავდა არხოტსა და შატილს. დედის სამარე ყოველ ზაფხულს უხმობდა...

ამასობაში სტეფანე კურელამ გაიცნო შატილის დაწყებითი სკოლის პედაგოგი ვანო კუცია, რომელსაც 1965 წ. სექტემბერში თავისი ჩაფიქრებული პატარა ავანტიურის გეგმა გაანდო. საქმე იმაში გახლდათ, რომ ოჯახში, სადაც იგი იყო გაჩერებული, იმყოფებოდა პატარა, ნიჭიერი გოგონა – დარეჯანი, რომელსაც ოთხწლედი უკვე დაემთავრებინა, მაგრამ ერთი წელი სწავლა გაცდენოდა და, საერთოდაც, წინ მხოლოდ უსწავლელობის „პერსპექტივა“ ელოდებოდა. იგი მშობლების უფროსი შვილი იყო და ბარისახოში სწავლის გასაგრძელებლად მისი წასვლა საოჯახო მეურნეობაში ბევრ პრობლემას წამოჭრიდა, რადგან საქონლის მწყემსვა, მოწველვა და ა.შ. უკვე შეეძლო. გარდა ამისა, ამ კუთხეში ჯერაც მიაჩნდათ, რომ სწავლა ქალის „ხელობა“ არ იყო. ეს ფუფუნება მხოლოდ ვაჟებისთვის იყო ხელმისაწვდომი. საერთოდაც, ბარეღამ აქვე ვიტყვი, პირიქით ხევსურეთში ის გოგონა შემდეგში პირველი ქალი აღმოჩნდა, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო. ჰოდა, „ავანტიურისტები“ ხედავდნენ, რომ სწავლისადმი ძალზე მონდომებულ ბავშვს შველა სჭირდებოდა. მშობლებთან მოთათბირება დროის დაკარგვად მიიჩნიეს და გადაწყვიტეს, ბავშვი ფარულად წამოეყვანათ შატილიდან და ჩაებარებინათ ბარისახოს სკოლა – ინტერნატში. დაიმარტოხელეს დარეჯანი, გააცნეს სამოქმედო გეგმა და ჰკითხეს, სურდა თუ არა სწავლის გაგრძელება და გაბედავდა თუ არა ამ მიზნით ბარისახოში მათთან ერთად წასვლას. ის, ცხადია, თანახმა იყო ყველაფერზე, მაგრამ ეში-

ნოდა – თქვენ რომ წახვალთ, მშობლები უკან მომაბრუნე-ბენო. აღუთქვეს, რომ ამაზეც თვითონ იზრუნებდნენ.

და აი, ერთ დილას, როცა „მზე ჯერ არ ამოსულიყო“, დარეჯანმა მოწველილი ძროხები ჩვეულებისამებრ გარეკა საძოვარზე, იქვე ბუჩქებში მოძებნა წინა დღით დამალული ჩემოდანი, რომელშიც ერთი ხელი ტანსაცმელი და „პურ – სატანი“ ჰქონდა ჩალაგებული. დათქმულ ადგილზე დახ-ვდნენ ს. კურელა და ვ. კუცია და აჩქარებით გასწიეს ბარი-სახოსკენ; ფეხით, რა თქმა უნდა; მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გაჭრილი სამანქანო გზა. წინ დათვისჯვრის უღელტეხილი და 40 კილომეტრიანი დისტანცია ედოთ.

წამოსვლამდე ვ. კუციას ერთი მეზობელი გაუფრთხი-ლებია: ჩოჩქოლი რომ ატყდებოდა, ბავშვის მშობლები საქ-მის ყურში მაშინ ჩაეყენებინა და თანაც „მუქარა“ შეუთვა-ლა – თუ გამოგვეკიდებიან და წინააღმდეგობას გაგვიწე-ვენ, საქმეში მილიციას ჩავრევთო. იცოდნენ მშობლებმა, რომ ეს კაცი ამის გამკეთებელი იყო და გაოცებანარევი წყენა უსიტყვოდ დაიოკეს.

ბევრი იარეს თუ ცოტა, გადაიარეს დათვისჯვრის უღელტეხილი და ბარისახოში ჩავიდნენ; დაიყენეს წინ გაცრეცილ კაბაში, ხმარებისაგან შელახულ „ჩულქებში“ და „ტაბოჩკებში“ „გამოწყობილი“, თავზე თავშალწაკრუ-ლი ყმაწვილი კურელამ და კუციამ და შეაღეს ბარისახოს სკოლა–ინტერნატის სამასწავლებლოს კარი. სიტუაცია ისეთი უცნაური და მოულოდნელი იყოო,– იხსენებს დარე-ჯან ჭინჭარაული,– რომ მასწავლებლები უნებურად ფეხზე წამოიშალნენ და სამარისებური სიჩუმე ჩამოწვაო. საბჭო-თა პერიოდია და უცხოელებთან ურთიერთობას სხვანაირი ელფერი დაჰკრავს...

ვ. კუციამ მოახსენა პედკოლექტივს, ვინ იყვნენ და რაზე შეწუხებულიყვნენ. ამ დროს იქ სასწავლო ნაწილის გამგეა ლევან ჯანაშია. იგი წინ წამოდგა და სტუმრებს მოწიწებით მიესალმა. სამასწავლებლოში სიჩუმეა ჩამოწოლილი. ყველანი გაოცებით შეჰყურებენ დაღლილობისაგან მისავათებულ ბავშვს, რომელიც სწავლისადმი ინტერესის გამო ოჯახიდან გამოაპარეს. კარგად ვერ გარკვეულან – რას უნდა ნიშნავდეს გერმანელი ჭაბუკისაგან ესოდენი ყურადღება და გულისხმიერება. ისინი მოითხოვდნენ მხოლოდ და მხოლოდ ერთს – რაც არ უნდა მომხდარიყო, ვინც არ უნდა მოსულიყო, ბავშვს უნდა გაეგრძელებინა სწავლა! სიტუაცია ერთობ უხერხული იყო...

გააგრძელა კიდეც. ვეღარ გაბედეს მშობლებმა წინააღმდეგობა. დარეჯანმა ჯერ ის სკოლა დაამთავრა წარმატებით, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო–ეკონომიური ფაკულტეტი, შექმნა ოჯახი ყაზბეგის რაიონის სოფელ ჯუთაში და მთელი ცხოვრება მადლიერია განსვენებული ვანო კუციასი და ბ–ნი სტეფანე კურელასი. ბედისწერის ღიმილი იყო მისი მათთან შეხვედრა.

მოხდა ისე, რომ ბარისახოს სკოლაში ერთობლივი ვიზიტის შემდეგ სტეფანე დარეჯანს აღარ უნახავს, იყო კანტი–კუნტი მიმოწერა, მაგრამ შეხვედრა ვეღარ მოხერხდა. ამას აშინებდნენ კიდეც, სტუდქალაქში წერილიც დაუდეს – მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიო. გერმანიის გაერთიანების შემდეგ კაი ხანს, რატომღაც, აღარც კურელა გამოჩენილა.

და აი, თავის ეზოში ზის დარეჯანი ორ უცხოელთან, ერთი მოხუცია, მეორე ახალგაზრდა, სხედან და მამა–შვილური მუსაიფი გაუბამთ, ესათუთებიან ერთმანეთს. და-

რეჯანმა წარმომიდგინა ჩვენი სტუმრები – ბატონი სტეფანე კურელა თავისი ვაჟიშვილით!

მოამაგე და ნაამაგევი, მაინც მოძებნა პირველმა მეორე!..

ნახევარი საუკუნეა ერთმანეთი არ უნახავთ. საქართველოს მეგობარი გერმანელი ისევ ჩამოსულა. მოხუცებულა, მაგრამ მხნეობა და შემართება არ დაუკარგავს, ცხენზეც კარგად ჯდება და ახალი მიზნებითაც აღჭურვილა. ერთხელაც მოუნდა დედის განსასვენებლისთვის თვალის შევლება... თან ვაჟიც ჩამოუყვანია, რათა „გაგრძელდეს მარად და განმეორდეს“ კურელების სულიერი და ფიზიკური კავშირი საქართველოსთან. ჩვენ კი არ გვემეტება ხოლმე ჩვენი მიცვალებულები სხვათა მიწისთვის!..

კავშირი საქართველოსთან და კონკრეტულად ხევსურეთთან, მანამდეც ჰქონდათ ამ კუთხით დაინტერესებულ გერმანულენოვან მკვლევარებს: გ. რადეს, გ. მერცბახერს, ზისერმანს, ა. კურელას – თავისთავად; ამ ტრადიციის თანამედროვე და ღირსეული გამგრძელებლებია ეთნოლოგიისა და ფილსოფიის პროფესორი, ბ–ნი სტეფანე კურელა, პროფესორი ენათმეცნიერების დარგში, ბ–ნი ვინფრიდ ბოედერი...

ბ–ნი სტეფანე კურელა მოსკოვში დაიბადა, 1940 წელს. მალე მათი ოჯახი, ევაკუაციის წესით, საცხოვრებლად ჯერ ურალში გადავიდა, მერე მოსკოვში დაბრუნდა (1944), 1946 წლიდან აფხაზეთში ცხოვრობდა, სადაც ელპიტე საავადმყოფოს დირექტორად მუშაობდა, ხოლო 1949 წელს კვლავ მოსკოვში დაბრუნდა, იქიდან კი, 1954 – ში, – გდრ–ში, სადაც ალფრედ კურელამ დაარსა ლიტერატურის

ინსტიტუტი და გარდა მხატვრობისა, მწერლობასა და მეცნიერებაშიც ნაყოფიერ მუშაობას მოკიდა ხელი.

ს. კურელა ჯერ მუშაობდა გენერატორების ქარხანაში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში დასავლეთ აფრიკის ეთნოგრაფიის განხრით, მაგრამ ამან, ეტყობა, არ დააკმაყოფილა და იმავე უნივერსიტეტში კვლავ განაახლა სწავლა, ამჯერად სამედიცინო სოციოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის კურსსაც შემდეგში კითხულობდა ფილოსოფიის ფაკულტეტზე და ამ დარგში მოიპოვა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხიც.

ბ – ნი სტეფანე, როგორც ვხედავთ, მეტად ენერგიული და მრავალმხრივი მოღვაწეა, ფლობს რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და საკონტაქტო ქართულ და პოლონურ ენებს. გარდა ამისა, იღებდა დოკუმენტურ ფილმებს, მონაწილეობდა ალპინისტურ ექსპედიციებში, მსახიობად მუშაობდა პანტომიმის თეატრში და არის მაღალკვალიფიციური ფოტოგრაფი, მას ფეხით აქვს მოვლილი საქართველო.

ს. კურელას გაუგია, რომ ბ–ნმა ზ. კიკნაძემ გამოსცა მითოლოგიური ტექსტების კრებული „ანდრეზები“. გერმანელი მკვლევარის სურვილია ამ წიგნის მშობლიურ ენაზე თარგმნა და კვლევა. „ანდრეზები“ გერმანისტმა იაგო არაბულმა მხცოვან მეცნიერს გერმანიაში აახლა. არც ის დარჩა ვალში და თავის მხრივ შატილის ჯვარს ბ–ნ იაგოსთან და ნიკო ჭინჭარაულთან ერთად, შესაბამისი რიტუალის თანხლებით, დაუბრუნა ვერცხლის თასი, რომელიც, ჩვენთვის უცნობ გარემოებათა გამო, ნახევარი საუკუნის წინ მოხვედრილა კურელების ოჯახში.

ს. კურელა ბერლინში მოქმედი ქართული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა (თავმჯდომარე – ბ–ნი

როლფ შრადე), იქვე მისი ინიციატივით დაარსდა ქართული კლუბი „პანკოვი“ და ორგანიზაცია „სვანური ინიციატივა“.

†††

ხოლო ალფრედ კურელა მოთხრობაში „სიკვდილი მთებში“ ამას ეტყოდა გურამს: „მაინც არის რაღაც...“

და რა კარგია, რომ ჯერ კიდევ არსებობს ისეთი „რაღაც“, რომელიც უხვად აფრქვევს სითბოსა და სინათლეს, ხოლო ჩვენს მახლობლად კი ყოველთვის დაიარება ისეთი „ვიღაც“, ვისთვისაც ერთიც და მეორეც არა მხოლოდ არსობის პურია, არამედ ხალხთა შორის სასაუბრო ენაც.

2015.

მონადირეული ამბავი, ანუ დარიალის დამცველები

„დარიალაში ომობდა
მარტო მოკვევის ჯარიო,
გრუზავიკებით გაჰქონდა
ნაჯოცი რუსის მკვდარიო“.

ხალხური

ვსხედვართ ხევის კოლორიტის – იორამ ღუდუშაურის სამუშაო ოთახში. წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, ხელნაწერები, ანაბეჭდები... სავსეა მაგიდა, რომელსაც იორამი უზის. ჭაღარშერთული მასპინძლის გამოხედვაში ჯერ ისევ ელავს ძველებური ცეცხლი, არც მეხსიერების სიბლაგვეს უჩივის და არც მზერის გამჭრიახობას, ეგაა, ცოტა ნაბიჯი შენელებია, ახლა მიწაზე დადის, ადრე ჰაერში დადიოდა, კი არ დადიოდა – დაგელავდა! რას იზამ, მეცხრე ათეულს გასდგომია, ბევრი ტკბილ – მწარე გაუკვნეტია, სათქმელიც დაჰგროვებია, უთქვამს კიდეც, დაუწერია კიდეც, მაინც ვერ ამოუწურავს მეხსიერების ყულაბა, რას ამოწურავს, ნანახი და განცდილი ხო თავისთავად და ახლა კიდევ ზურგს წიგნებით გადავსილი, ვრცელი კარადა უმაგრებს; ნაგრძნობი და წანაკითხი კი ბოლოს კალმიდან მოჟონავს...

რა სახის ლიტერატურას არ ნახავთ იორამის ბიბლიოთეკაში: მხატვრული და ისტორიული, ფილოსოფიური და

რელიგიური, ცნობარები და ლექსიკონები, ენციკლოპედიები, მებაღბოსტნეობა, მეფუტკრეობა, მონადირეობა და ა. შ. მოკლედ: ბიბლიოთეკაც კაცის სახეა, კაცის შინაარსი ბიბლიოთეკიდანაც გამოიმზირება და იორამის ბიბლიოთეკაც კარგად შემორკალავს მისი მფლობელის ინტერესთა მრავალფეროვნებას.

ენაწყლიანობს იორამ ღუდუშაური, ენამზეობს და ენაწყლიანობს, ვუსმენთ და ვუმზერთ, ვტკბებით და ვთბებით, რას არ მოიგონებს: წაკითხული, გაგონილი, დაწერილი... ალახმალახს დააყენებს, ჰკითხავ და გიპასუხებს, გიპასუხებს და დაგისაბუთებს, ოღონდ თვითონ მის შესახებ არ უნდა ჰკითხო, ბევრს არც თავისი ძმის – პოეტ შალვერდი ღუდუშაურის შესახებ გიამბობს, არც თავისი ოჯახის წარსულის შესახებ, არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი, ამას „ყელკმაზულობას“ ეძახის. არ უყვარს და აღარც მე ვეკითხები; ის თავად გვიყვება, ალაგ – ალაგ თავის ლექსსაც წაგვიკითხავს, პოემისკენაც გაექცევა ხელი, აზრი უნდა, შენი აზრი აინტერესებს, შენგან როგორა ჩანს, ჩასწვდები თუ არა ჩანაფიქრს, ისე „იკითხება“, როგორც „ დაუწერია“, თუ სხვანაირად. აზრიანი კაცნი შემოჰკლებიან გარშემო, სიმარტოვის სევდაც გამოჰკრთომია თვალებში და რა ქნას...

ჰოდა, თვალი წიგნების კარადაში გამოფენილი ფოტოსკენ გამექცევა; მივალ, დავაკვირდები და ერთიერთმანეთზე მშვენიერი ვაჟკაცებია.

– ვინ არიან ესენი? – ვეკითხები იორამს და ხელში ვიღებ სიძველისაგან გაცრეცილ ფოტოს. იორამი საუბრის ძაფს წყვეტს, ჩემსკენ ბრუნდება, სახე ღიმილით უცისკროვნდება და მპასუხობს:

-ეეე, მაგათ აზარი აქვ ათავებული, მამულის მტრებისა, ეგენი ვალმოხდილი ხალხია ხევის წინაშეცა და საქართველოს წინაშეცა.

– მაინც ვინ არიან? – ინტერესი მიათმაგდება

– ეგენი დარიალის დამცველებია! – მეუბნება იორამი, მართმევს სურათს და თითოეულზე მიმითითებს ვინ – ვინ არის.

ეგრევე, დუქნის გვერდით თუ წინ მოურთხამთ, ჩოხა – ახალოხში გამოწკეპილებს „გალიბანდი“ ქუდები ახურავთ, სუფთად გაპარსულებს კოხტა ულვაშები ამშვენებთ, წელში ამაყად გამართულან, მზერა დარბაისლური და უტეხი, ქამარ – ხანჯალი, ცხადია; იქვე, კედელზე „ტყუპი ძმები“ მიუყუდებიათ – „ინტოვკის“ თოფები, ალბათ 1914 წლის ჩამოსხმა, ხოლო ერთს, მარცხნივ როა, კალიეთ ვასებას (შადური) კალთაში „ნაგანიც“ კი უდევს. მისგან მარჯვნივ ჯაბახანეთ ლაზოა (გიგაური), მის გვერდით მეორე ლაზოა, ყაზიეთი (ღუდუშაური), ბოლოში, სულ მარჯვნივ კი – გუგუეთ ვასა (შადური). წინ ხალვათი პურ – მარილი ულაგიათ, ხელში სასმისები უჭირავთ, თავზე მედუქნე წამოსდგომიათ და ყველაფერზე ეტყობათ, რომ დარდი არაფრისა და არავისი არა აქვთ.

და ყვება იორამი, ოთხმოცს გადაცილებულ კაცს კი უნდა მოუსმინო, მერე ამისთანას – წიგნიერსა და ინტერესიანს, რეპრესირებული ოჯახიდან გამოსულს, ძველი ბოლშევიკებიც რომ ახსოვს და ახლებიც, კარგად მოესწრო იმ შავბნელი ეპოქის შვილებს, როცა „ დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“ და „შემოდიოდა სიკვდილი ცელით“. ისინი უყვებოდნენ და ეს კი იწერდა, მეხსიერებაში იწერ-

და, ქაღალდზეც იწერდა და გვიყვება ახლა ორიოდე ეპიზოდს დარიალის დაცვისა, 1921 წლის თებერვალში.

დიდთოვლობა ყოფილა იმ ზამთარს, ჩაქცეულა ხევი თოვლში, იქით დანარჩენ საქართველოს მოსწყვეტია, აქეთ – რუსეთს, მაგრამ ის კი სცოდნიათ, რომ თბილისის მისადგომებთან სამხრეთიდან მოწოლილ „წითელ“ მტერს თავდაუზოგავად ებრძოდნენ.

სტეფანწმინდელებს უთქვამთ, ძველი შეცდომის გამოსწორების შანსი გვეძლევაო და იარაღი აუსხამთ...

ხევის მოსახლეობას, ადგილობრივი გეოკლიმატური პირობებიდან გამომდინარე, დიახაც შეეძლო მაშინ დარიალის ხეობის გადაკეტვა და ასეც მოქცეულან. სახელდახელოდ შეგროვილი შეიარაღებული მოხალისეები, რომლებიც იქაური გზა – ბილიკების კარგი მცოდნენი იყვნენ, დარიალში ჩასულან და ისე შეუკრავთ იქაურობა, ჯიხვის თიკანიც კი ვერსად გაეპარებოდათ. გამოცდილი მონადირეები თვალისაგან და ტყვიისაგან მიუწვდომელ სტრატეგიულ პუნქტებში ჩამსხდარან და მტრის მოლოდინში, რომელსაც სხვა გზა არ ჰქონდა – თერგის კალაპოტს უნდა ამოჰყოლოდა, სადღეღამისო თვალთვალი დაუნიშნავთ.

მაგრამ არ ჩანდნენ ბოლშევიკები! თოვლი – თოვლად და ისეთი ყინვა დაუჭერია, დედამიწა ყინულით ისე მოკირწყლულა, რომ ისედაც ძნელად მისადგომ ქარაფებში ცხენი გამოუსადეგარი გამხდარა. „მობილიზაცია“ კიდევ ისეთი ერთსულოვანი ყოფილა, შინ მოხუცების, ქალებისა და ბავშვების მეტი არავინ დარჩენილა.

დარიალს ქარაშოტი შემოზუზუნებდა, რუსის ჯარი კი არ ჩანდა. საგზალიც შემოაკლდათ. მაშინ ქალებს მესაგზლეთა ბრიგადა შეუქმნიათ თოლიკეთ ანაის (ფიცხელაური) „სარდლობით“; მეტი გზა არ იყო(!) და ჩაუცვამთ შარ-

ვლები, დაუწესებიათ მეომრებისთვის საგზლის მიწოდების განრიგი და თადარიგი. პაროლიც მეტად ორიგინალური ჰქონიათ: ადიოდნენ მანდილოსნები გერგეტის სამების მონასტერში, ლოცულობდნენ მამულისა და მამულის დამცველთათვის და რეკავდნენ ზარებს. ამ ნიშანზე საგზალი და მორიგე ბრიგადა დათქმულ ადგილზე გროვდებოდა და მიარღვევდნენ წელამდე თოვლს მზაღოები, ნუნუები, ელისოები, ძიძიები...

მიუვიდოდათ დაქანცული ანა ფიცხელაური, ეფერებოდა და ამხნევებდა სიცივისაგან გათოშილ მებრძოლებს, გულის სითბოსა და საგზალს ყველას ერთნაირად უნაწილებდა ეს ხანდაზმული ქალი და „ თქვენ კი გენაცვალასთ თქვენი მამიდაიო“, – დააყოლებდა, ტკბილ სიტყვასაც სალბუნად დაადებდა. მისთვის ყველა ერთი იყო, ყველას ერთნაირად უნაწილებდა გულის სითბოს, დედობრივად უყვარდა ეს, უკვე მოშვებულ წვერ – ულვაშზე ყინულისლოლუებდაკიდებული, დარიალის გამჭოლი ქარისაგან გალურჯებული ვაჟკაცები. ამათაც „დაუფასეს“ ამაგი თოლიკეთ ანას და... „ობში მამიდაი“ შეარქვეს.

ჰოდა, როგორც იქნა, „მაცნე მოიდა“, რომ ხეობაში ბოლშევიკების მრავალრიცხოვანი ჯარი შემოდგაო.

დარიალის ხეობაში, ცად აზიდული ქარაფების ალყაში, არის ულამაზესი მოხეური სოფელი ცდო, რომელიც ჩრდილოეთის მიმართულებით ზემოდან გადაჰყურებს თერგის ხეობას. რაკიღა მტერი რიცხვმრავალი იყო, მოხეველებმა ღამის სიბნელით ისარგებლეს, გზა მოკლეზე მოსჭრეს, ცდოში ავიდნენ და ამ მანევრით ისეთი სტრატეგიული შვერილები დაიკავეს, რომ თერგის კალაპოტს საკმაოდ შორ დისტანციაზე, როგორც ხელის გულს, ისე გადაჰყურებდნენ.

მაგრამ „მანევრი“ განახორციელეს დამპყრობლებმაც – მათაც ისარგებლეს ღამის სიბნელით და თერგის რიყეზე წამოყუდებული ლოდების უკან დაიკავეს საბრძოლო პოზიციები, რა არის, რომ ეს ლოდები საფარად გამოეყენებინათ მის უკან გაჩქურებულ ჯარისკაცებს.

გათენდა.

მოხევეებმა თვალი გადაავლეს მომავალი ბრძოლის ველს და რას ხედავენ – ქვემოდან, თერგის გასწვრივ, წელამდე საღარავ თოვლში, უამრავი ნაკვალევი მოემართება, რომელიც წყდება დარიალის ხეობაში მიმოფანტულ ყველა დიდი თუ მცირე ლოდის უკან. სწორედ ეს ლოდებია მათი „სტრატეგიული“ პუნქტები. ზემოდან კარგად ჩანდა ლოდებს ამოფარებული რუსული არმიის ჯარისკაცები როგორ ამოჰყოფდნენ ხოლმე თავს. უკეთეს სამიზნეს ვერც ინატრებდა თოფის ცივ კონდახზე ლოყამიბჯენილი კაცი. გადაუწერიათ მოხევეებს პირჯვარი და დაუწყიათ საქმე. წამოჰყოფდნენ თუ არა ლოდებიდან მომხვდურნი თავს, შუბლგახვრეტილნი ცვიოდნენ უკან. მოსცილდებოდნენ თუ არა ლოდს... აბა, იმხელა თოვლში მოფართხალავე კაცს ვიღა გააცდენდა ტყვიას. ასე რომ, შავ დღეში ჩაცვენილან ის უბედურები და ამიტომ იყო, „გრუზავიკებით“ რომ გაჰქონდათ მერე ყინვისაგან გაფიჩხებული გვამები.

ვინ იცის, რამდენმა აათავა აზარი...

აღარ იცის იორამმა, ასე რამდენ ხანს გაგრძელებულა, მაგრამ იცის, რომ იქამდე კი, სანამ მოსკოვსაც არ მივიდა მაცნე – თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებსო. ამის შემდეგ დარიალის დამცველთაც შემოუთვალეს – ამაოა თქვენი თავგანწირვაო.

ისევ ავიდნენ მანდილოსნები სამების მონასტერში; სანამ უღმერთობის ხანა ჩამოდგებოდა, ერთხელაც ილოცეს ხევისა და დანარჩენი საქართველოსთვის და ზარების სამგლოვიარო რეკვით მთელს ხევს აცნობეს, რომ ამიერიდან აღარც საგზალი იყო საჭირო და აღარც მესაგზლენი...

ასე იყო თუ ისე, წინააღმდეგობა რომ შეწყდა, შემოვიდნენ კომუნისტები დარიალში, შეარჩიეს პოზიციები გერგეტის ქვემოთ და წესისა და რიგის მიხედვით განალაგეს ზარბაზნები. ეს საქმე გაცილებით კარგად გამოსდიოდათ.

გაღმა სტეფანწმინდაა შეფენილი, შუაში, ხეობაში კი ყინულის ფაცერით შეაბჯრული თერგი მიშხუის.

–ამათ გაგვავლეს, არა, მუსრი,– ნიშნისმიგებით ჩაილაპარაკა მეთაურმა,– ნაცარ – ტუტად უნდა ვაქციოთ აქაურობა!

არც ჭკუა დაუშლიდათ, არც – გონება, არც – ჯიში და არც – ჯილაგი. ეს ვის როგორ და მოხევეებს ნამდვილად კარგად მოეხსენებოდათ. საფრთხე რეალური იყო. შეიყარა ხალხი სტეფანწმინდაში და ახლა უკვე დიპლომატიური მანევრი შეასრულეს: გამოყვეს მოჭარმაგული მოხუცები და სანამ ცეცხლს გახსნიდნენ, მოსალაპარაკებლად გაგზავნეს.

როგორც კი მივიდნენ შუაკაცები, გადამთიელებმა ამათ კი არ აცალეს, თავად აიღეს პირველი სიტყვა და იკითხეს: ყველა – ყველა და, ეს გაგვაგებინეთ, სად ისწავლეთ ასეთი სროლა, რომ ტყვია ყველა მკვდარს შუბლში ჰქონდა მოვხედრილიო.

მოხევეებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს!

შუბლში მოხვდებოდათ, აბა, რა იქნებოდა, სირაქლემას ჭკუაც კი არ აღმოაჩნდათ, პირიქით იქცეოდნენ, ტან – ფეხს მალავდნენ, ხოლო თავები სამიზნეზე ამოეშვირათ. ბედი მათი, რომ საზარბაზნე ხორცი მათ ქვეყანაში ყოველთვის იაფი იყო...

ხოლო შუაკაცებმა რუსის ჯარის ხელმძღვანელობას თავიანთი სატკივარი მოახსენეს, – ასეთი რა დავაშავეთ, რას გვემართლებით, ჩვენ ერთი უბირი და ბეჩავი ხალხი ვართ, რომელი მთავრობა რასაც გვიბრძანებს, იმას ვაკეთებთ. იმ მთავრობამ ისე გვიბრძანა და ისე მოვიქეცით; ახლა რატომ არ გეწინააღმდეგებით, ახლაც ხომ გაღმა – გამოღმა ვდგავართ, ახლაც ხომ იარაღი გვიჭირავს ხელშიო და ბოლოს, თითქოს თავისთვის ჩაიბურტყუნეს, „ თორო ემ ორ – სამ დღეჩი განა სროლა დაგვავიწყდაო“.

ნუგბარზე მოყრილმა წიწაკამ ჯარის მეთაურები წუთიერად შეაყოვნა, მერე თერგს გაღმა დავაკებაზე შეფენილ ბანიან სახლებს გადაავლეს თვალი. ამჯერად მშვიდი ამინდი იდგა და ბუხრებიდან ამონადენი კვამლი თეთრად გადაქათქათებული ყუროს საჯიხვეების ფონზე ლურჯი ნისლივით ირწეოდა. ახლაც მშვენიერი სამიზნენი იყვნენ და ახლაც სტეფანწმინდის ყოველი ქვითკირის მიღმა სიკვდილი იყო ჩასაფრებული. მერე ალბათ თავგახვრეტილი თანამემამულენი გაახსენდათ და ავად პირდაფჩენილ ზარბაზნებს უიმედოდ გადახედეს.

შეუგვიანდათ პასუხი.

ტყაპუჭიანი ბებრები მოთმინებით სცემდნენ ბოლთას.

სროლა კი არ დაგვვიწყნიაო, ჰმ!..

–მოხსენით ზარბაზნები! – ფურთხივით გადაუგდო მეთაურმა ადიუტანტს.

მისიამ წარმატებით გაართვა თავი მოვალეობას.

ულვაშებში ეღიმებოდათ უკანგამობრუნებულ მოხუცებს.

ახლა არა, ახლა ნამდვილად არ მიუძღოდათ ამათ ბრალი, ახლა პირიქით...

სინანულს აფრქვევს იორამის ხმის ტემბრი, ფანდურს გადმოიღებს, ჩამოჰკრავს, მარჯვედ აათამაშებს თითებს მალიკებზე.

– და აზარი? რა არის აზარი?

იკითხავს ვიღაც, სანამ შემოსძახებდეს იორამი.

– რაია და, მონადირე რო ას ჯიხვს მახკლავდა, თოფი მიწაჩი უნდა დეემარხა, მადლობა უნდა ეთქო ნადირთა წყემსისთვისა, ხოლო ღმერთის წინაშე ცოდვა მოენანია. მთელს აემის ჩადენა – გამადენაზე იტყოდიან – აზარი აათავაო, – განმარტა იორამმა.

– შენ რამდენჯერ გაქვს, იორამ, აზარი ათავებული? – ვეკითხებ – ვეთამამები მე და ვგრძნობ, პასუხის მოლოდინში ყველა როგორ გაისუსა – ის ხომ განთქმული მონადირეა.

– რაი აზარი – თითქოს გაიოცებს იორამი, – მე რაიღა აზარი მაქვ ათავებული...

– თუ საიდუმლო არ არის...

არ ვეშვები, იქნებ ამჯერად მაინც წამოვაცდინო.

– კარგიღა, შენ შემოგევლე, არ გვინდა ეხლა ყელკმაზულაი.

ისევ ბანზე მიგდებს იორამი სიტყვას და ბუბუნებს, დაჰბუბუნებს ძველებურ სიმღერას ძველებურ მელოდიაზე, თუ რა თამამად მიუვიდოდნენ „მამა – პაპათა ამოღებულის ხანჯლითა“ ის ვაჟკაცები, ფოტოზე სასმისები რომ

უპყრიათ და, ალბათ, დარიალის დამცველთა სადღეგრძელოს სვამენ.

ახ... ერთი კარგი მონუმენტი დარიალის ხეობაში, თუმცა... ხომ იყო თერგდალეულების ბრინჯაოს მონუმენტი და...

არა, ამას გააჩერებდნენ, ამას მაინც გააჩერებდნენო, – ჩამესმის სადღაც გაღმა მხრიდან ხმა იდუმალი, – ყოფილიყვნენ ისინიც, მაგრამ ესენიც ყოფილიყვნენო, ისინი თუ თერგს სვამდნენ, ესენი მტრის სისხლს სვამდნენო...

არაო,–აქედან გაჰკივის ხმა უცნაურად მჟღერი და უცნაურად მჭახე,– გამაძღარი ქართველი დამშეულზე უარესიაო, სწორედ ისინი არ გააჩერებენ, ისინია, ქვეყანა რო შეყლაპესო...

ეეჰ, რაც იყო – იყო... ჯოჯოხეთია მოსაგონებლად!..

ოღონდ, რაც არ უნდა ცა გვეხუროს და რაც არ უნდა სხვა ვარსკვლავს მივდევდეთ, ჯერ ისინი უნდა გავიხსენოთ, ვინც ოფლსა და სისხლს ღვრიდა, საკუთარსაც და მტრისასაც,იმათ რა დააშავეს, იმათ რა ვალი აქვთ...

2014

პატარა სოფლის ქრონიკები

ცოტა შორიდან უნდა დავიწყო, საუკუნის გარიჟრაჟიდან, თითქოს რო შეინძრა და შეიშმუშნა საღათას ძილში გათანგული სოფელი, ქვეყანამაც გაახილა თვალი, ქალაქებსა და სოფლებს ახალმა სიომ გადაუარა, რაღაც იმგვარი იგრძნობოდა, მარტის თვეში თვალი და ყნოსვა რომ შეიგრძნობს ხოლმე.

ვინ არ მოუხიბლავს ჯუთის ულამაზეს ჭიუხებს, მატყლივით რომ ჩეჩავენ ღრუბლებს, როგორც აქაური პოეტი – შაბურა არაბული იტყოდა.

ვის არ ნახავთ მის ფუძესთან ბანაკდაცემულს: ტურისტს თუ ალპინისტს, გეოლოგს თუ ბიოლოგს, შინაურს თუ გარეულს, ახალგაზრდებს თუ ხანდაზმულთ, განმარტოებულ შემოქმედთ თუ უბრალოდ ბუნების ტრფიალთ – დიდი მეგაპოლისების თავაწყვეტილ დგონდგორსა და გნიასს რომ გამოჰქცევიან.

მოდიან მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან და გულთამპყრობელებთან ერთად, აქ ხომ ისეთი ლჟვარდია, „რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი“, უსუფთავესი ჰაერი, ყინულივით ცივი წყაროები, თავანკარა მდინარეები და ერკონოვანოს ფირუზისფერი, ხელოვნური ტბა. ეს ტბა 1966 წლის ზაფხულში, ჭიუხის (გნებავთ – ჭაუხი) მწვერვალთა მასივის მახლობლად, ხუთმა უწლოვანმა ჯუთელმა ყმაწვილმა დააგუბა: ერ–ეკლემ, კო–ბამ, ნო–შრევანმა, ვა–ჟამ და ნო–დარმა. სახელწოდებაც მაშინვე მისცეს და იგი ასე შეადგინეს თავიანთი სახელების ორ–ორი თავკიდური ასო–ბგერის შეერთებით, ოღონდ

ისე, რომ ჩამოთვლის დროს დაცული იყო უფროს–უმცროსობის პრინციპი – ერ კო ნო ვა ნო!

მართლაც რომ ძალზე ეფექტურია ჭიუხების ფონზე, დამრეც ფერდობზე შეფენილი სოფელი, განსაკუთრებით კი დაისის მზით ნარინჯისფრად განათებული, მაგრამ მაინც თითქოს რაღაც აკლდა, რაღაცას ითხოვდა ადგილობრივი პანორამა და აი, ისიც – სოფლის შესასვლელში მდებარე უშველებელ ლოდზე მეუფეების იობისა (აქიაშვილი) და პეტრეს (ცაავა) ლოცვა – კურთხევითა ენთუზიაზმით აღიმართა გრანიტის ქვაში გამოკვეთილი ჯვარი, წონით 400 კგ–მდე, სიმაღლით 180 სმ – მდე.

ვფიქრობ, მავანი მკითხველისთვის ურიგო არ იქნებოდა მცირედი ისტორიული ექსკურსიც.

1920–იანი წლების ბოლოს თბილისში, სახალხო განათლების კომისარიატში სოფელ ჯუთიდან წარგზავნილი ორი პიროვნება გამოცხადდა – გოგიტა და აკია არაბულები, რომელთაც თავიანთ სოფელში დაწყებითი სკოლა მოითხოვეს. ეს თხოვნა ზემდგომთაგან დაკმაყოფილებული იქნა, ოღონდ საბაზისო შენობა სოფელს საკუთარი რესურსებითა და ძალებით უნდა აეშენებინა. ამაზე ცოტად კი შეფიქრიანდნენ, მაგრამ სოფლის თავკაცებს უკან არ დაუხევიათ, შეპირდნენ და აღასრულეს კიდეც – 1935-36 წლებში სკოლის შენობა უკვე საექსპლოატაციოდ იყო მზად. შენობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი სოფელს თავად აკია არაბულმა გამოუყო. სწორედ ამ სკოლაში მიიღეს დაწყებითი განათლება მწერლებმა შოთა, შალვა, შაბურა და გოგიტა არაბულებმა, აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა, პროფესორმა ამირან არაბულმა.

1940 წელს შეიქმნა ს. ჯუთის კოლმეურნეობა. იმანაც სკოლის შენობაში დაიდო ბინა.

1950-იანი წლების დასაწყისში სოფელში უკვე ბიბლიოთეკაც გაიხსნა და ცოტა მოგვიანებით ისიც სკოლის შენობაში მოათავსეს. ასე, რომ ერთადერთი შენობა, რომელიც სოფელმა საკუთარი სახსრებით (მუშახელი – ადგილობრივი, სამშენებლო ქვა – ადგილობრივი (ქურსიკაის ციხის ნანგრევებიდან), ხისა და თუნუქის მასალის თანხა – ნაწილი სოფლის მოსახლეობიდან გამოღებული, ნაწილიც – ჯუთის წმ. გიორგის ჯვარის შემოწირულობა) ააშენა, სახელმწიფო ბალანსზე გადავიდა და კიდევ უფრო მოგვიანებით, როცა ჯუთის კოლმეურნეობა გაუქმდა და ს.ახალციხის კოლმეურნეობას შეუერთდა, სოფელში სამედიცინო პუნქტი გახსნეს და ისიც ამ ერთადერთ ე.წ. ადმინისტრაციულ შენობაში დააბინავეს.

1961 თუ 62 წელს ჯუთის საურმე გზა შეცვალა სამანქანე გზამ, რომელიც შემდეგ 1966 წ. აღწევს ჯვართხორხამდე...

1969 წელს დასრულდა ჯუთის ელექტროფიკაციასთან დაკავშირებული სამუშაოები და სოფელმა შეაბიჯა ახალ ეპოქაში. ამავე წელს უკანასკნელად მოიხნა საქერე და სასვილე ყანები და მეურნეობის ეს დარგიც დავიწყებას მიეცა. მოკიდებული აქედან, მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე ჯუთა დატოვა თოთხმეტმა ოჯახმა.

1979 წ. ჯუთა მოინახულა და მოილოცა ეპისკოპოსმა თადეოზმა (იორამაშვილი), აკურთხა სოფლის წყარო „წყარუაყურეში“ და ჩაატარა მასიური ნათლობა. ცოტა ხნის შემდეგ ქრისტიანული წესით გააპატიოსნა მწერალ შოთა

არაბულის მამის – გიორგის ცხედარიც. მსგავსი რიტუალები მანამდე ჯუთას არ ახსოვს.

1979 წელსვე ჯუთის მკვიდრმა, ცნობილმა ინჟინერმა გიგლა არაბულმა სოფლის მთავარ სალოცავს გვერდში ამოუყენა ლითონკონსტრუქციებზე დაშენებული, ეკლესიის სტილის საპურობო დარბაზი. კომუნისტურ ეპოქაში ეს უპრეცენდენტო ამბავი იყო, მითუფრო მაღალი თანამდებობის (ტრესტის მმართველი) პირისაგან.

ბარეღამ აქვე ვიტყვი, რომ ჩვენს დროში (აღარაფერს ვამბობ ადრინდელზე), 1980 – იან წლებში, ჯუთის წმინდა გიორგის ჯვარისადმი სოფლის კეთილმოსურნე პირებმა გაიღეს შემდეგი შემოწირულობანი: ქვის ჯვარი – სიონელმა დავით დავითაშვილმა, წმ.გიორგის ფერწერული ხატი – სიონელმა მხატვარმა ელგუჯა ღუდუშაურმა, წმ. გიორგის რელიეფური ხატი – სნოელმა მოქანდაკემ – მერაბ ფირანიშვილმა, ორიგინალური ტექნიკით შესრულებული ჯვარი – არხოტიონმა ნუგზარ წიკლაურმა, სარიტუალო დროშის ტარი – დუშელმა ანზორ სანაშვილმა, თასები, სხვა სარიტუალო და სამეურნეო ჭურჭელი, თანხა სალუდე ქვაბის შესაკეთებლად და ინვენტარის შესაძენად – ბიზნესმენმა კობა ვანიძემ, მასალა დარბაზის გადასახურად – პოლკოვნიკმა მინდია არაბულმა და იმავე კობა ვანიძემ...

1983 წელს ჯუთას ეწვია საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი ილია II, მან ხსენებულ სალოცავს შესწირა წმ. გიორგისა და მარიამ ღვთისმშობლის ჭედური ხატები, სანთელი.

1999 წ. სოფლის ტრანსფორმატორი დაიწვა, ხსნა არსაიდან ჩანდა. ამ დროს იქ, შემთხვევით, სტუმრად იმყოფებოდა განსვენებული კობა ვანიძე. მან მხოლოდ ის იკით-

ხა – შუქი რატომ არ გაქვთო, დანარჩენი „თავისით“ მოხდა, სწრაფად და ოპერატიულად!..

სამი ახალგაზრდა შემოვიდა სოფელში, მანქანიდან ხელსაწყო – იარაღები გადმოალაგეს, მოგვაბარეს, მალე ტელევიზია გექნებათო, სასხვათაშორისოდ გვითხრეს და სადღაც გაქრნენ. ერთი მათგანი თურმე მამუკა ნიკოლაძე იყო, მეორე – დავით კუპატაძე, მესამე – სანდრო რამიშვილი. ისინი ერთ კვირაში დაბრუნდნენ და... იმ საღამოს სოფელში მართლაც პირველად აინთო ტელევიზორის ცისფერი ეკრანი. აი, ასე, ყოველგვარი თხოვნა – მუდარის გარეშე, საკუთარი ენთუზიაზმის ამარა, უბრალოდ მთა უყვარდათ, ხშირად დადიოდნენ ჯუთაში და ხვდებოდნენ, რა იყო საჭირო და რის გაკეთება შეეძლოთ.

არსებობენ ასეთი ადამიანებიც, მათ არასოდეს ივიწყებენ...

1989 წელს ორი ღირსსახსოვარი მოვლენა მოხდა ჯუთაში: დასრულდა სოფლის გაზიფიცირების პროგრამა და დაიდგა სატელევიზიო პროგრამების მიმღებ – გადამცემი აპარატურის კომპლექტი. პირველში დიდი წვლილი მიუძღვის ყაზბეგის რაიკომის მაშინდელ პირველ – მეორე მდივნებს – ჯუმბერ გომიაშვილსა და გიორგი ქირიკაშვილს, ხოლო მეორეში – ყაზბეგის რაიაღმასკომის მაშინდელ თავმჯდომარეს – საველი მარსაგიშვილს. უნდა შევნიშნო, რომ რაიონის ხელმძღვანელობის ამგვარმა გულისხმიერმა დამოკიდებულებამ ჩვენი სოფლისადმი, იგი დაცლისაგან იხსნა. რომ არა გაზი, ძნელი სათქმელია, დღეს რა ვითარება გვექნებოდა. თუმცაღა იყო კოლექტივიზაციის პროცესიდან გადმოყოლილი პრობლემებიც სახნავ – სათიბსა და საძოვრებთან დაკავშირებით, ფიზიკურ დაპირისპირებამდეც კი მივიდა საქმე, მაგრამ სოფლის სიმტკი-

ცე და ერთიანობა ვერ გატეხეს. 1990 წლიდან ჯუთიდან გაყვანილი იქნა სამი კოლმეურნეობის ფარები. ხალხმა დაიბრუნა მამა – პაპური სავარგულები; აღარც ხელისუფლებას გაუწევია დიდი წინააღმდეგობა – კომუნისტური წყობა და სახელმწიფო სულს ღაფავდა...

90-იანი წლები ჯუთაში ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, კარტოფილის ეპოქა. ქვეყანაში გამეფებული მძიმე და მრავალმხრივი კრიზისი ჯუთასაც შეეხო. ფულის ადგილი, როგორც მიმოქცევის საშუალებისა, კარტოფილმა დაიკავა. ამუშავდა ბარტერული გაცვლის პრინციპი – ერთ მხარეს იორამ პაპიაშვილი, მეორე მხარეს – სოფლის მოსახლეობა, ორივე კმაყოფილი იყო, მაგრამ არ იყო კმაყოფილი ის, ვინც მეცხვარეობას მისდევდა. 1992 წლიდან ჯერ შეიზღუდა, მერე კი მთლიანად დაიკეტა კასპიისპირეთი და ჯუთელთა მეცხვარეობაც ამით დამთავრდა.

ამასობაში კი დამოუკიდებლობის 1991 წ. აქტის კვალდაკვალ ომი გაჩაღდა აფხაზეთში, რომელშიც ჯუთელი ახალგაზრდობა სოლიდურად წარსდგა. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად იბრძოდნენ: მინდია ირაკლის ძე, მიხეილ გაბრიელის ძე, გოჩა ბაბუას ძე, გიორგი გიორგის ძე, სპარტაკ ტარიელის ძე, იმედა ტარიელის ძე, მამუკა გელას ძე, ზვიადი აბას ძე, ავთო აბას ძე არაბულები.

საერთაშორისო მისიებში მიიღეს მონაწილეობა გიორგი ლადოს ძე, მინდია ამირანის ძე და დათუნა ზელიმხანის ძე არაბულებმა.

ერთი რამ ამთავითვე უნდა შევნიშნო: მკითხველს ალბათ ყურს მოსჭრის ერთი და იგივე გვარის არაერთგზის ხსე-

ნება, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს – ჯუთაში მხოლოდ ერთი გვარის (ოღონდ ოთხი მამიშვილობის) ხალხი ცხოვრობს.

სხვათა შორის, არც პირველ და მეორე მსოფლიო ომებს ჩაუვლიათ ჯუთელთა მონაწილეობის გარეშე და არც ყარსის 1921 წლის ბრძოლას, რომელშიც მონაწილეობდნენ კეზელო, აკია და აბა არაბულები. აქედან პირველი თავის კონტუზიური ტრავმით დაბრუნდა და დაინვალიდდა, მეორე და მესამე საღ – სალამათად. პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ აკია და (გიორგით) მიხეილ არაბულები. ამ უკანასკნელმა ტყვეობის მძიმე ხვედრიც გამოსცადა – მშობლიურ სოფელს შვიდი წლის შემდეგ დაუბრუნდა. მეორე მსოფლიო ომში კი იყვნენ ჯოყოლა, ჩაჩაურ, ხატიონ, გაბრიელ და ქორია არაბულები. ამ ომიდან კი ჯოყოლა, ჩაჩაური და ხატიონი აღარ დაბრუნებულან.

დრომ მოიტანა და ჯუთის ჩრდილოეთით გადაჭიმულ წყალგამყოფზე სახელმწიფო საზღვარმა გაიარა. ჯუთაში დაემკვიდრა სასაზღვრო პოლიციის მე – 7 სამმართველოს პირველი სექტორი, რომელსაც სათავეში მაიორი ზაქარია არაბული ჩაუდგა, ხოლო თავად სამმართველოს თავისი საქმის ომგამოვლილი პროფესიონალი, პოლკოვნიკი მინდია არაბული. გარდა მათი, სექტორი თითქმის მთლიანად იყო დაკომპლექტებული ადგილობრივი კადრით, მათ შორის ოფიცრები – მაიორი გოდერძი არაბული და კაპიტანი ბერდია არაბული. სხვადასხვა მიმართულებით მოღვაწეობენ აგრეთვე ჯუთელი ოფიცრები: მაიორი გიორგი არაბული, კაპიტნები – მინდია, დავით და შანშე არაბულები.

2005 წლიდან უამრავმა უცხოელმა და ჩვენმა თანამემამულემ აღმოაჩინა, რომ არსებობს ტურისტულად მეტად საინტერესო და მიმზიდველი ლოკაცია ჯუთის სახით. აქედან

იღებს სათავეს ჯუთის მეორე სიცოცხლე. ანანო არაბული, ჯარჯი აქიმიძე, გიგლა, იაგო და გელა არაბულები საფუძველს უყრიან ტურისტულ ბიზნეს. პარალელურად ვითარდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა – 2007 წლიდან ჯუთა მოექცა ჯეოსელის ტელესაკომუნიკაციო ქსელის არეალში, რამაც კიდევ უფრო პოპულარული გახადა ჯუთა და ტურისტული ნაკადის მოზღვავებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

მაგრამ დაიხურა სკოლა, გაუქმდა ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი...

მაგრამ აშენდა ე.წ. რიტუალების სახლი, ადგილობრივი გამოთქმით – საჭირლხინო.

საინტერესო პროექტების ჯაჭვი ამით არ დასრულებულა, 2018 წლის ზაფხულში სწორედაც რომ მშენებლობის ბუმი იყო ჯუთაში: საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის, ილია II –ის ლოცვა – კურთხევითა და მეუფე იეგუდიელის დაუღალავი მცდელობით დაიწყო ჯუთის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის მშენებლობა, ასევე დაიწყო ნადარბასევი – ჯუთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, პარალელურად მიმდინარეობდა ჯუთა – ფადუხის გზის მშენებლობაც. უნდა ითქვას, რომ ორივე ამ პროექტზე მილიონობით ლარი იქნა გამოყოფილი და ერთობ მასშტაბური სამუშაოებიც ჩატარდა, მაგრამ პრაქტიკული შედეგი როგორი იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს. მე ეკოლოგიური ვითარება მაქვს მხედველობაში.

ამასობაში კი ტურისტულმა ინფრასტრუქტურამ ისე იმძლავრა ჯუთაში რომ ზემოთ – ზემოთ აიწია და ზღვის დონიდან 2600 მეტრამდე მიაღწია, იგეგმება სამანქანე გზის გაგრძელება და საძელის უღელტეხილის გავლით ს. როშკასთან შეერთება. თუ რას უქადის ყოველივე ეს სოფელს, არა-

ვინ იცის. თანამედროვე სტანდარტებისათვის შესაფერისი გზების მშენებლობის ნამდვილი მიზანდასახულობაც ბუნდოვანი და საეჭვოა. უეჭველი ერთი რამ არის მხოლოდ:

ჯუთა ის აღარასოდეს აღარ იქნება, რაც 2000 – იანი წლების დასაწყისამდე იყო, სამწუხაროა, რომ ბევრი რამ, ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელი, სამუდამოდ გაქრება, მაგრამ თუ, ბოლოსდაბოლოს, ოდესმე ნორმალური ქვეყანა გვეღირსა, მომავალ თაობებს კარგი და სასიხარულოც ბევრი რამ მოელის.

2019

„ლირო თეძვის ტკბილეს ძიგვს“

ბესოთ გიორგის სულის საოხად

თვლემენ მარადისობის უბეში განაბული კოშკები შატილისა და უკვირთ, სად წასულა ის ტანხმელი, ხალისიანი და მუდამ მშვილდივით მოზიდული ჭაბუკი, აქაურობას რომ აქოთებდა, ძილს რომ უფრთხობდა აქაურებს თავისი სილაღით, ნიავივით რომ დაგელავდა, თითქოს ცხენის ზურგზე თანშეზრდილი, უშიშარი მხედარი ბესოთ გიორგი, გიორგი ჭინჭარაული, იგივ – შავლეგო შატილიონი. ოთხი წელი გასულა მას მერე, მისი მხედრისუნდაური შავრა ისევ დანავარდობს შატილის ჭალაკებსა და სანახებში, მაგრამ აღარ ჩანს მისი მხედარი, სამარადისოდ დამცხრალა და დადუმებულა და გადასახლებულა მიღმა სამყაროში; მაინც ისეთია შთაბეჭდილება, თითქოს მამა–პაპური კოშკის კედლებიდან გიმზერს მისი ბობოქარი სული, თითქოს ისევ ხმიანობს გიორგის გადამდებად ხალისიანი სიცილი, გეჩვენება, თითქოს შატილის კუნაპეტ ღამეში დროდადრო ისევ გაიელვებს მისი ფრთიანი სტრიქონები და გიკვირს, სად, როდის მოასწრო ამდენის გრძნობა და განცდა და წერა და როცა იტყვის – „აუსრულები დამრჩა წადილიო“, გენანება, 35 წლის ვაჟკაცი რომ წასულა სულეთს, აქეთ ვაჟები რომ დარჩენია ობლად, იქით – ლექსები.

ჰქონდა წინათგრძნობა; გარეგნულად თითქოს ყველაფერი კარგად იყო, წელშიც გაიმართა, ხელი და გულიც ფართოდ გაშალა, კაცი მოსწონებოდა? – სულში ჩაიძვრენდა, შური, ანგარება, სიხარბე... მისგან შორს იყო, მაგრამ მაინც სწეწდა და ხრავდა და შლიდა რაღაც, ჯერაც უთქმე-

ლი ლექსივით. დარდიმანდი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, საკუთარ საფიქრალს სხვას თავს როგორ მოახვევდა და ლექსების ერთ–ერთი რვეულის ბოლოს მიუწერია: „ვატყობ, ჩემი ცხოვრება უკულმა მიდის. რა ვქნა? რა ვიღონო?“ როგორი შინაგანი ტრაგიზმი გამოსჭვივის ამ ფრაზიდან, ეს ფრაზა ის სარკმელ – სამზერია, საიდანაც საკუთარ თავთან შეჭიდებული და დიდ სულიერ ღელვაში დანთქმული ადამიანი ჩანს. სასოწარკვეთილების კარიბჭეს მისდგომია, მაგრამ ლექსებში ამაზე ყურადღებას ნაკლებად ამახვილებს, განიცდის დროს, როგორც მსჯავრსა და მარადისობას: „წლები ფურცლავენ თარიღებს, დრო თავის ტაძრებს აიგებს“, ამქვეყნიურ ხანმოკლე სიცოცხლეზე გული სწყდება: „რა მალე ჩამოსთავდებით, ტკბილო სიცოცხლის თვეებო“, მაგრამ მოთქმა და წუწუნი მისი წერისა და ცხოვრების სტილი არასოდეს ყოფილა. სიკვდილზე ფიქრი და წერა და სჯა, მოაზროვნე ადამიანისთვის ჩვეულებრივი რამ ხასიათი თუ თვისება უნდა იყოს და არც გიორგი ჭინჭარაულისთვის ყოფილა იგი უცხო. ეგებ ჰქონდა კიდეც ამის წინათგრძნობა და ამიტომაც ჩქარობდა: „ჩქარა, მოასწარ, მითხარი რამე“, „სანამ დრო არის, მოასწარი, წამოიმღერე“, მაგრამ 90–იანი წლების კატაკლიზმების მხილველსა და განმცდელს, სიცოცხლის ფასი თუ მიზანი თუ დანიშნულებაც კარგად ესმოდა: „სიკვდილი რაა, ოღონდ ჩემი სიცოცხლის ფასად, ჯერ საქართველო დამანახეთ თავისუფალი“. ეს ცნობილი გამონათქვამის ანარეკლი გახლავთ, მაგრამ პოეტის განწყობილებასა და ნანახ–განაცადს კარგად ესადაგება. ვეღარ გადაიფრინეს მის თავზე „წლებმა – ფრთიანმა გედებმა“, აღარ „ადროვა ბედმა წლები“, სწუხს, რომ „წლები მიდიან, ნუთუ ერთი

დღე სასიხარულო ვერ გავითენეო“, მაგრამ ესეც, ალბათ, ამაღლებულ მოკვდავთა განცდაა. აქედანაა, რომ მოღელავს სევდის მდინარე, მერე კი აღიმართება ადამიანის წინაშე მკაცრი რეალობა: „მაგრამ დამენგრა სულის ტაძარი და აღარ რეკავს ჩემი სამრეკლო“ და დასკვნას აკეთებს, რომ „ჩაწოლილია სულში ლემადე“ და ნებდება უფლის განაჩენს: „სანამ არ გავახსენდები, სიკვდილს მანამდე მოვუცდი“.

ვაგლახ, რომ მალე გაახსენდა და „კენტად შემორჩა ხსოვნის ქვიტკირებს...“

მაგრამ ეს შავად მღელვარი განწყობილება წუთიერი იყო გ. ჭინჭარაულის ცხოვრებასა და პოეზიაში, გარდახდებოდა სადოღე ცხენიდან, თოფს წამოავლებდა ხელს და ქარაფებში ჯიხვებსა და ნიამორებს გაეკიდებოდა. ერთი გამორჩეული ნიამორის ჟინი სჭირდა, ვერავინ რომ ვერ მოიხელთა, თეთრი და ცალარქა ყოფილა, რამდენჯერმე ამაოდ რომ ჩაუდგა კვალში და ერთხელ კინაღამაც რომ ემსხვერპლა: **„ხმელ ქუჩებს მოვებღაუჭე,**

ცახცახებს ბედის ბორანი,
ჩამოვსხლტი ფრიალოს კიდურს,
აკივლდეს ნისლის გორანი,
კლდეს ნაფლეთებად დაკიდულს
ჩამომყრანტალებს ყორანი“.

ასეთ მღელვარებას ლექსის მოწოლის ჟამსაც განიცდის:

„და როცა მიკრთის მთელი სხეული,
თუ საკუთარი სული ვერ ვღერღე,
ნისლი მთებს ნაბდად შემოხვეული
გულში ამიშლის ლექსის საღერღელს“.

შატილს ვინ არ მოუყვანია აღტაცებაში, მის მკვიდრთა გასამხედროებული ცხოვრების წესსა და იქიდან აფრენილ ხმა – სახელიან მოყმეთ და ჯერ კიდევ IX კლასელ გიორგისაც გულწრფელად წამოსცდება: „დიდებად ჩემი მთები მაქვს, დასაფიცარად – შატილი“. ეამაყებოდა და ჰქონდა სიამაყის უფლებაც და სწუხდა და განიცდიდა, ერთ დროს რომ მათი ოჯახის გარდა ლამის ყველამ დატოვა შატილი, ლებაისკარში გულისტკივილით იკითხავს: „საით წავიდა ფეხის ხმა? რატომ დუმს ლებაისკარი?“ ხოლო კისტანში მარტოკა მისჯდომია ცეცხლს: „შავ ღამეს თეთრად ვათენებთ, კისტანში მე და კოცონიო.“ მაინც ხვალინდელი დღის იმედით ცხოვრობდა და აკი გუმანმაც არ უღალატა: „მერე რომ მოვლენ მეტი ხმაურით, მე ის დღეები მეიმედება“, თვითონ კი ბოლომდე უერთგულა სათაყვანებელ შატილს: „ხევსურეთში ვარ ხვალის იმედით და მიტოვებულ სოფელს ვდარაჯობ“. დიახ, იქ იყო, მკაცრი მამისა და სათნო დედის გვერდით, დედის, ლექსებით რომ უფრო ეალერსებოდა: „შენ ხომ გინთია, დედი, ბუხარი და ფეხის გულებს გითბობს ნაცარი“, იქიდან გაჰყურებდა არაგველ მეომართა აჩრდილებს, დროდადრო მათი ხსოვნაც გაიჟრიალებდა ხოლმე ოჟა ჯურხაის ფარივით: „აგერ, გამოჩნდა კრწანისი, ყაყაჩოს ფერზე ვიცანი“ და გაბრიელ ჯაბუშანურსაც მიუძღვნის ისეთ ლექსს, ცნობილ პოეტთა მიძღვნებზე ნაკლები რომ არ გამოუვიდა. „ხედნიდა გრძნობის რაშებს“ და არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა პოეტობაზე, იშვიათად თუ სადმე წაიკითხავდა საკუთარ ლექსებს, აწეულ ხასიათზე ნამყოფი, არა და ძალა მოსდევდა, არ ასვენებდა ლექსის მაცილი, ბლოკნოტი განუყრელად თან დაჰქონდა ჯარშიც, ცხვარშიც, სათიბშიც და ქეიფშიც.

ქეიფი იმასაც უყვარდა, ოღონდ გზებზე კი არ გადაჰ-ფენდა სუფრას მარტოსული დევნილივით, სახლი ჰქონდა, მამა – პაპური კოშკი და მისი ვიწრო შესასვლელი ბევრ სტუმარს გადაულახავს და იქ კი სტუმართმოყვარე ოჯა-ხის გაშლილი გული და ფართო ქაზდარი დახვედრია. მოკ-რძალებულად ცხოვრობდნენ, მაგრამ კოშკის კარი მუდამ და ყველასთვის ღია ჰქონდათ; შატილი მივარდნილი ადგი-ლია, იქ მოხვედრილმა სტუმარმა ყოველთვის ზუსტად შე-იძლება ვერ გათვალოს ათასი წვრილმან–მსხვილმანი და გიორგი იყო ის კაცი, მთელი ავტობუსი შეჭირვებული ექ-სკურსანტები ოჯახში რომ მიეღო, დაეპურებინა და დაეძი-ნებინა კიდეც. მამა – ლუხუმათ ბესო ეტყოდათ ხოლმე: – სტუმრის ნასვამ – ნაჭამი კაცს არ გააღარიბებსო; ხმაამო-უღებლად აფუსფუსდებოდა დედამისი ბუბა, შეთეკაურე-ბის მშვიდი და მარად კეთილად გამომზირალი ქალი და ახ-ვევდნენ და ახვევდნენ ნაოჭმრავალ ხინკალს გიორგის დე-ბი...

მთელი თბილისი მათთან სტუმრობდა: რესტავრატო-რები და კინომსახიობები, უცხოელი თუ შინაური მკვლევა-რები და თვით ცეკას მდივნებიც კი და აკი ქალაქში ჩამო-სულ ბესოს გაოცებით უთქვამს: „კაცო, ე ქალაქელები, შა-ტილ რო ამოვლენ, ყველა ხელს მართმევს და აქ რატომ არ მესალმებიანო“.

მაღალ – დაბალი რანგის სტუმარი ბევრი ჰყოლიათ, ქალაქურ „ლაბირინთებში“ გზის გაკვლევაც მრავალთ აღუთქვამთ, მაგრამ გიორგის და მის და – ძმებს არასოდეს არავინ შეუწუხებიათ, მიუხედავად იმისა, რომ „შეწუხება“ მაშინ ლამის ცხოვრების წესად იყო ქცეული და გ. ჭინჭა-

რაულის ლექსსაც სხვაგვარი ელვარება ექნებოდა, შესაფერი განათლება რომ მიეღო, მაგრამ...

შავლეგო შატილიონის ლექსების გამოცემა მის სიცოცხლეშივე ითავა თენგიზ ჭინჭარაულმა, იმან შეაგულიანა ლექსების ერთ კრებულში თავმოსაყრელად, ხოლო თვითონ პასუხისმგებლობა ფინანსურ მხარეზე აიღო. თენგიზი შატილის კოლორიტი იყო, სიკეთის ქმედებისა და მოყვასის სიყვარულისთვის რომ გაეჩინა ღმერთს, ხასიათის თავისუფლებითაც ერთმანეთს წააგავდნენ, მაგრამ აღარც მას აცალა ბედისწერამ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა და ორი სასიგნალო ეგზემპლარიდან ერთი სწორედ მას „გაატანეს“ იქ, სადაც გიორგი ელოდებოდა... სულეთს.

შავლეგო შატილიონმა ბარისახოს სკოლა–ინტერნატი დაამთავრა და სამუდამოდ დასახლდა შატილში, მისი პოეზიაც იქაურობით ფეთქს და ჩქეფს და სუნთქავს, სულისშემძვრელ ტკივილად განიცდის გაზაფხულს, „ყვავილებით დანამულ ჭალებს“, „გადაღეღილ აპრილს“, „ნისლით გატენილ ხეობებს“, მეცხვარის კომბალს ჩამოყრდნობილს შეეძლო ჩაეწერა უბის წიგნაკში:

„ცამ ლურჯი შოლტი გადაიჭირა,
ქარი მთის კალთებს ნისლებს აახევს,
ღამე ხევებმა გადაიწვინეს,
დილა ნამიან თვალებს აახელს.“
ან:„ჩადგა ლემადე, ქარი იძინებს,
მოსწყინდა მთებზე ნისლების ზელა“.

ხოლო ცაზე ღილივით მიკერებული, ბდღვიალა მთვარე სანამ ჩავა და „მთებს მიღმა მიწვება“, ინტიმის განცდას ბადებს:

„სარკმელს შემოხსნის და გამიცინებს
ქალის მკერდივით გავსილი მთვარე“.

შავლეგო შატილიონი სატრფიალო თემატიკაშიც ლაღი და გულწრფელია. როცა პოეტის „ გული ტრფიალმა დანაღმა“, როცა სასურველ ქალს „მორცხვ მზერას, როგორც ქამანდი“, ისე ესვრის, გულის სწორს, რომელსაც „ტანი აქვს ვერხვზე უფრო შრიალა“ და „სიტყვა ცრემლივით ძირს უვარდება“, ხოლო „ნაწვიმარი, სველი თმა წელამდე ჩამოშლია“, მოულოდნელად გადააწყდება და იბნევა:

„დავიბენი, როცა დავაკვირდი,
წითელ ვარდებს რწყავდა შავგვრემანი“.

აფეთქებული გაზაფხული და შავგვრემანი ქალი, რომელიც „გულმკერდიდან ნუშის შუქს აბნევს“:

„მზე იწვოდა გაზაფხულის თქორით,
ფეთქდა თეთრად ბალი და ტყემალი,
ბაღში იდო ყვავილების თოვლი,
წითელ ვარდებს რწყავდა შავგვრემანი“.

მართალია, სატრფიალო ლირიკა სიყვარულის ლექსად ამოფრქვევაა, მაგრამ მაინც გაოცებით იკითხავს: „ენას აიდგამს მუნჯიცა, გულში ვატარო როდემდისო“ და მაინც რაღაც ტრაგიკულის განცდა თუ ავი წინათგრძნობა ეუფლება:

„ჩვენს ფიქრებს სევდის კალოზე
ფხოვის ქარები ფიწლავენ“.

„ვწუხვარ, ცხოვრება რომ ხიფათია“, დაწერს ცხოვრების მიმწუხრს გ. ჭინჭარაული. ვინ მიუტოვებია განსაცდელში, კარსმომდგარი ჩეჩენი ძმადნაფიცი რომ მიეტოვებინა და ის გზა, ჩეჩნებთან ერთად შატილიდან ახმეტამდე ცხენდაცხენ რომ გაიარა, ყოველდღიური ხიფათი იყო. იმ ძმადნაფიცმა უცნობი ჩეჩენის ტყვიაც ააცდინა და მშვი-

დობითაც გამოისტუმრა, მაგრამ ეშმაკი მართლაც წყლის-ფერი აღმოჩნდა...

და მაინც იშვიათია, ადამიანმა საკუთარი ზუსტი და ხანგრძლივ დროში გათვლილი ეპიტაფია დაწეროს. აი, ისიც, ოღონდ მერე სხვა ლექსის ფინალში გადაუტანია რა-ტომღაც:

„სამარე მოჩანს შავადა,
მიწა ჩაიცვი ხალათად,
დაგეძებს შენი შავრა და
ჭიხვინებს, იკლებს ჭალათა“.

ზუსტად და მართლაც ასეა! მაშინ... იმ ქისტი ძმადნა-ფიცის მიერ ნაჩუქარი ის შავრა, ზედ რომ ერთხელაც ვერ შეჯდა უებრო მხედარი და ცხენის ტრფიალი ბესოთ გიორ-გი, დღესაც დანავარდობს შატილის ჭალაკებსა და სანა-ხებში.

იმ ცხენზე არავინ არ ჯდება...

1997

კრიოლოგიელან ჩაძოსული ქანდაკები

სანამ სოფელ სნოში შევიდოდით, ჯერ კლდის შვერილზე შემომჯდარი, ასაფრენად დაღირებულ მიმინოსავით ფრთებგაშლილი ღუდუშაურების ციხე შემოგვეგება, შემდეგ კი ადგილობრივი შავი ქვით – ჭაჭით ნაგები შუკები. აქ ჭაჭის კულტია, თავად სნოვლებიც ხომ განთქმული ქვითხურონი არიან; მეტად კოლორიტული სოფელია სნო, აქ ყველა სახლი აქაური ქვითაა ნაშენი. მშრალი წესით ნაგები ასეთი კედლები საუკუნეებს უძლებენ.

შუაგულ სოფელში დგას მისი სახლი, „ფირანიენთ“ უბანში. ჭიშკარს ოჯახის დიასახლისი, გულთბილი და გულუხვი მასპინძელი, ქალბატონი ნატო ცეცხლაძე გვიღებს. წუთიც და აივანზე მისი მეუღლეც გამოდის და პირდაპირ სახელოსნოში მეპატიჟება – სასაუბრო განწყობილება აქ უკეთესი იქნებაო.

ცხადია, ქვა აქაც ბატონობს: ეზოში – ქვაფენილი, მეორე სართულზე, სახელოსნოში ამავალი კიბე – ქვის, მისი მოაჯირიც კი შავი ქვითაა ამოშენებული და თავად სახლიც, რაღა თქმა უნდა, მთლიანად ჭაჭის.

აივანზე მეტად მოუხელთებელ, ზოგჯერ იუმორისტულ პოზაში დაჭერილი, მცირე ზომის სკულპტურული პორტრეტები დგანან. ისინიც აგრეთვე ადგილობრივ ქვაში – კერკენშია გამოკვეთილი. საერთოდ იგი მასალისადმი განსაკუთრებული მომთხოვნელობით არ გამოირჩევა, მთავარია ქვაში ადამიანი, ან რომელიმე სულიერი არსება

„იჯდეს“, სხეულის ფორმისა და ხასიათის ნიუანსი ჩანდეს, მერე ის ლოდი მოქანდაკის ხელში შეისხამს ხორცს და შეიძენს ადამიანურ სითბოს....

შევდივართ სახელოსნოში. კედლებზე მასპინძლის მიერ შესრულებული გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრებია გამოფენილი. თაროები სავსეა თაბაშირში ჩამოსხმული ესკიზებით, ნახატი ჭაჭებით (ეს უკანასკნელი ძალზე ორიგინალური სამუშაო მასალაა, სრულდება თუნდაც პრიმიტიული იარაღებითა და ტექნიკით და თავისი სისადავით მნახველზე ეფექტურ შთაბეჭდილებას ახდენს), და მთის ფერადი ქვებითა და ბროლებით. ისევ და ისევ ქვა, ქვა და ქვა...

სახელოსნოში განთავსებული ავეჯი კი ანტიკვარულია, ძველი, მამა – პაპური, მოხევეების ყოფითი ტრადიციებისათვის დამახასიათებელი. უყვარს სიძველეები, შეუძლია, რომ ძვირფასი ჭაღის მაგივრად თივის გოდორი დაკიდოს, ყოფითი პრიმატი სამუშაოდ განაწყობს.

ამასობაში კი ქ–ნ ნატოს ჩვენი „უყურადღებობით“ უსარგებლია და გაშლილ სუფრასთან გვეპატიჟება. ვეუბნები:

– ხელი შეგვეშლება, საქმეზე ვარ მოსული.

მეუბნება:

– პირიქით...

რა გაეწყობა; ნათქვამია – სტუმარი მასპინძლის ნებასაო...

ბიოგრაფიული შტრიხები

მოქანდაკე მერაბ ფირანიშვილი დაიბადა ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში, 1950 წელს. აქვე მიიღო შვიდწლიანი განათლება, შემდეგ გადავიდა ორჯონიკიძის აკ. წერეთლის სახელობის მე– 19 ქართულ საშუალო სკოლაში და აქვე მიიღო სიმწიფის ატესტატი. ამ დიდი ტრადიციების სკოლას, როგორც ცნობილია, კურირებდა საქართველოს განათლების სამინისტრო და რათა იქ ქართული ეროვნული ძარღვი არ დაშრეტილიყო, რაც ასერიგად სჭირდებოდა იქაურ მრავალრიცხოვან ქართველობას, იქ თავს იყრიდნენ საუკეთესო პედაგოგები. ქართულ ენაზე იღებდნენ განათლებას საქართველოში გაზრდილი ოსებიც.

მ. ფირანიშვილი 1971 წელს შევიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მისი პედაგოგი იყო ცნობილი მოქანდაკე გიორგი ოჩიაური. ბ–ნი მერაბის მოქანდაკედ ჩამოყალიბებას არანაკლები ღვაწლი დასდო მეორე სახელგანთქმულმა მოქანდაკემაც – მერაბ ბერძენიშვილმა.

როცა აკადემიის კურსი გაასრულა, დიპლომზე სამუშაოდ მშობლიურ სოფელში დაბრუნდა. პარალელურად ხატვის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა სნოს საშუალო სკოლაში. ორივე ეს გარემოება მაშინ სამხედრო სამსახურიდან იხსნიდა, მაგრამ კომისარიატი რატომღაც კრიჭაში ჩაუდგა. მოხდა კურიოზული გაუგებრობა: სადიპლომო ნამუშევარი „ტანმოვარჯიშე გოგონა“ უკვე წარდგენილი და გამოფენილი ჰქონდა, რომ მოულოდნელად გარიცხეს სასწავლებლიდან. აკადემიაში კი ამასობაში სადიპლომო ნამუშევრების დაცვა დაიწყო. საამისოდ შექმნილ თბილისის სამხატვრო აკადემიის კომისიას ზედამხედველობდა მოსკოვიდან საგანგებოდ მოვლინებული მოქანდაკე მაჩალსკი.

და როცა არ ელოდა, სწორედ მაშინ გაუღიმა ბედმა...

როცა მაჩალსკი სტუდენტთა ნამუშევრებს ათვალიერებდა, მ. ფირანიშვილის „ტანმოვარჯიშე გოგონასთან“ ჩვეულებრივზე მეტ ხანს შეჩერდა და განსაკუთრებული მოწონება გამოხატა. მოსკოველი სტუმრის აზრი მაშინ ძალზე ანგარიშგასაწევი ფაქტორი იყო და მერაბის აკადემიაში აღდგენა და სადიპლომო ნამუშევრის დაცვა ერთდროულად მოხდა...

შემდეგ, ორი წლის მანძილზე, კვლავ ხატვის მასწავლებლად მუშაობდა და ბავშვებს ხელოვნების ნექტარს აზიარებდა.

სკოლიდან სამუშაოდ გადავიდა ყაზბეგის რაიონის ბუნების დაცვის სამსახურის პასუხისმგებელ მდივნად. ეს იყო მისი ბოლო ოფიციალური სამსახური.

1977 წელს ყაზბეგში, ალ. ყაზბეგის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში დადგა პირველი ქანდაკება – „არწივი“. მას მერე ეს თემა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით მრავალჯერ გაიმეორა.

1983 წელს მიიღო ოქროს მედალი – „ბუნების ქომაგი“.

1984 წელს იქორწინა მუსიკოს ნატო ცეცხლაძეზე.

1991 წელს მონაწილეობდა მცხეთაში გამართულ მსოფლიოს მოქანდაკეთა სიმპოზიუმში.

2001 წელს გაიმარჯვა საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით გამართულ კონკურსში შიოლა ღუდუშაურის ძეგლის შესაქმნელად. ეს სკულპტურა ბ– ნი მ. ფირანიშვილის შემოქმედებაში, ჩემი მოკრძალებული აზრით, ერთ–ერთი საუკეთესოა. პოეტურ ფოლკლორში გადმოცემული ისტორიული პიროვნების ხასიათი მოქანდაკემ ქვაშიც შესანიშ-

ნავად აამეტყველა. დაიდგა იგი სნოს შიოლა ღუდუშაურის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ეზოში.

შემდეგ მეორე კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა, ალ. ორბელიანის საზოგადოების მიერ ელიზბარ ერისთავის ძეგლის შესაქმნელად რომ გამოცხადდა და როგორც ერთ–ერთმა საუკეთესომ, სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

ბ–ნი მერაბი გატაცებულია სპარსული კულტურით, იგი თხზავს და აქვეყნებს რობაიებს, შეისწავლა სპარსული დამწერლობა.

ესკიზი შემოქმედებითი პორტრეტისათვის

მ. ფირანიშვილს მეტად ორიგინალური ხედვა და ხელწერა აქვს. ალბათ ამიტომაა, რომ იგი ხელოვნებათმცოდნეებისა და, უბრალოდ, ხელოვნების მოყვარულთა ყურადღებას დამსახურებულად იქცევს. გარდა ამისა, ბ–ნი მერაბი ისეთ „გამაღიზიანებელ“ თემებზეც მუშაობდა, როგორიც მაშინდელ ხელისუფალთ გულზე არ ეხატებოდათ. ასე იყო 1984 წელსაც, როდესაც სნოს ჩრდილოეთით აღმართულ კლდოვან ქედზე, მისი პროექტით, იორამ ღუდუშაურთან ერთად და სოფლის ახალგაზრდობის მხარდაჭერით, მითიური კვირიას სალოცავის საძირკველზე ფაქტიურად თავიდან ააშენეს მცირე ზომის ეკლესია.

უადგილო არ უნდა იყოს აქვე იმის გახსენებაც, რომ ჯერ კიდევ კომუნისტების ზეობის ჟამს, ყაზბეგის რაიონში, ადგილობრივი ენთუზიასტების მეცადინეობით, აშენდა ან რესტავრაცია ჩაუტარდა კიდევ რამდენიმე რელიგიურ – კულტურულ ძეგლს: სიონში, ფხელშეში, ჯუთაში... ათე-

ისტურ ეპოქაში მსგავს ქმედებებს სხვაგვარი სახელებით ნათლავდნენ და აკი მერაბიც აითვალწუნეს...

მერაბ ფირანიშვილის ნამუშევრები ძირითადად სამ თემატურ რკალში მოიაზრება: ქართული ლიტერატურის კლასიკოსები, რელიგიური თემა და არწივები.

სნოს მისადგომებთან, ლომისის წმინდა გიორგის ნიშთან გაშლილ მინდორზე, ღია ცის ქვეშ მოწყობილ „გამოფენაზე“ დგანან რუსთაველის, ილიას, ვაჟას და ყაზბეგის სკულპტურული პორტრეტები. ეს სულჩადგმული, უშველებელი ლოდები კაი ხანია აქაურობას შეერწყნენ და ისედაც მომხიბლავი პეიზაჟის მშვენებად იქცნენ. მნახველებში ისინი ინდივიდუალურ ასოციაციებს იწვევენ. ჩემთვის, მაგალითად, ილია პეტერბურგიდან დაბრუნებულა და სახეზე იმედისა და სევდის ნაზავი აღბეჭდვია; ყაზბეგისთვის მოყვასის გაუტანლობასა და ქედდადრეკილი ერის განსაცდელს შეუკრავს კრიჭა; გულჯავრიანი ვაჟა კი იმ ცნობილ მონოლოგს წარმოთქვამს, ასე რომ იწყება: „ვისაც მტერობა მოსწყურდეს, გააღოს სახლის კარია...“ ხოლო რუსთაველი, სიბრძნისა და სიმშვიდის გამომეტყველებით, სულ სხვა ეპოქისა და სხვაგვარი საქართველოს შვილია. მისთვის უცხოა ბრაზიანი ბოღმა, ტკივილიანი ჭმუნვა და ერის გაუსაძლისი ყოფით გამოწვეული ტკივილი. მოქანდაკეს, სხვათა შორის, აქვს ძალზე საინტერესო ესკიზები რუსთაველის ქანდაკებისათვის, თაბაშირში ჩამოსხმული პორტრეტი და მედალიონი. ამ მინდორშივე დგას ვეფხისა და მოყმის გრანდიოზული სკულპტურა. მასში გამოხატული დინამიკა და ბრძოლის ექსტაზი ავტორის ცხოვრებისეულ კრედოსაც განასახიერებს.

მ. ფირანიშვილმა სნოს მახლობელ მინდორზე, ათენგენობის სალოცავ ნიშთან, წმინდა გიორგის გრანიტში

ნაკვეთი გორელიეფური ქანდაკება რომ დადგა, ხალხი აქ მარტო სადღესასწაულოდ კი არა, მის სანახავადაც მოდიოდა. აქ ხომ უამრავი მლოცველი იყრის თავს. მთიელი კი არა, ბარელი მოხევეებიც კი არ გააცდენენ ამ დღეს... და ყველას უნდა ხელით შეეხოს ქანდაკებას, მის ფონზე გადაიღოს სურათი; აღიარების ერთგვარი ფორმა...

აკი ცნობილი მწერალი და მთარგმნელი, ბატონი თამაზ ჩხენკელიც გააოცა ერთ დროს ახალგაზრდა მოქანდაკის გაბედულმა იდეებმა და ქართველ მწერალთა უზარმაზარმა პორტრეტებმა: „ეს არის ვეებერთელა 7 – 10 ტონიანი მონუმენტები, რომელთა იმპოზანტურობა პირდაპირ გაოცებას იწვევს მარტო სიდიდით კი არა, გააზრებისა და დამუშავების თავისთავადობითაც“, – წერდა მაშინ ბატონი თამაზი.

ამის შემდეგ მოქანდაკემ კიდევ წარუდგინა საპატრიარქოს ორი საინტერესო ესკიზი ვახტანგ გორგასლის სახელის უკვდავსაყოფად – ერთი ქანდაკების სახით, ხოლო მეორე როგორც წარწერიანი სტელა მეფის ბარელიეფური გამოსახულებით...

არც ის არის შემთხვევითი, წმინდა ადგილებზე რომ დგამს ბ– ნი მერაბი ქანდაკებებს, იგი მორწმუნე და რელიგიური პიროვნებაა. მას შესრულებული აქვს აგრეთვე წმ. გიორგის სხვადასხვა სახის რელიეფური გამოსახულებები, იესო ქრისტეს და ღვთისმშობლის ხატები (ნახატები ჭაჭზე), ჯვარცმა (რელიეფი), კათოლიკოს – პატრიარქ ილია II –ის პორტრეტი (ჭაჭი) და სოფელ ახალციხის ეკლესიასთან დადგმული, მეტად საინტერესოდ გადაწყვეტილი, ღვთისმშობლის გორელიეფური ქანდაკება (გრანიტი), მო-

ქანდაკის სახელოსნოს მშვენებაა წმ. ნინოს ქანდაკების ესკიზი.

საგანგებო ყურადღების ღირსია მ. ფირანიშვილის „არწივები“. ალ. ყაზბეგისა და ვაჟა – ფშაველას სულიერმა ნათესაობამ უბიძგა მას შეექმნა მათი ერთობლივი ქანდაკების ესკიზი მხრებზე წამოფოფრილი არწივის თანხლებით. იდეური და კომპოზიციური თვალსაზრისით ესეც მეტად საინტერესო ნამუშევარია.

გარდა ყაზბეგისა, არწივის ქანდაკებები კისლოვოდსკსა და მცხეთაშიც დადგა დაუღალავმა მოქანდაკემ, მაგრამ ბოლო ხანებში რომ შექმნა, ამან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ კომპოზიციაში არწივს ბრჭყალებით გველი ჰყავს ჩაბღუჯული, ხოლო მრისხანე მზერა შორეთისთვის მიუპყრია. ამ ნამუშევარში შერწყმულია მითიური და რელიგიური თემატიკა და სავალალო დღევანდელობის ჭრილში დანახული პერსპექტივაც.

ცალკე უნდა აღინიშნოს საქართველოსთვის თავდადებულთა მემორიალის ესკიზი „დაჭრილი არწივი“.

ალბათ შეამჩნევდით, ესკიზები რომ მოუმრავლდა ბატონ მერაბს. ეს სამწუხაროა და მითუფრო ჩვენთვის... მაგრამ დღევანდელი რეალობის ფონზე, გასაგები მიზეზების გამო, მათი ჩამოსხმა არ ხერხდება, არა და ლოდებთან გამუდმებულ ჭიდილსაც უამრავი დრო და ენერგია მიაქვს. ისედაც მოკრძალებული სახსრებისა და ხასიათის ადამიანს თერმომნგრეველის ასამუშავებლად ბენზინი რომ შემოაკლდება, ისევ ძველი მეგობარი – იორამ ღუდუშაური თუ გაუმართავს ხელს...

ბლიცინტერვიუ

– თქვენი საყვარელი სადღეგრძელო.

– სიყვარულს გაუმარჯოს, ღმერთის, ბუნების, სამყაროს, ადამიანების და ხელოვნების სიყვარულს.

– როგორ იწყება?

– დანახვით. ბუნებაში არ არსებობს ისეთი ლოდი, რომლისგანაც ქანდაკება არ გამოვა.

– თქვენი რჩეული ქანდაკებები?

– „გიორგი სააკაძე“, „პიეტა“...

– რატომ არ აწერთ ნამუშევრებს თქვენს სახელს?

– რა სახსენებელია მუდმივთან წარმავალი?

– რომელ შემოქმედებთან გრძნობთ სულიერ სიახლოვეს?

– ვაჟა – ფშაველასთან და ომარ ხაიამთან.

– რა არის მთავარი?

– სიყვარული...

– შეცვლის თუ არა თერმომნგრეველის ცეცხლი მოქანდაკის მარჯვენას?

– თუ კი იქნება წყურვილი და რწმენა.

– რას ნიშნავს ჩვეულებრივი მთიელებისათვის ქანდაკება?

– ვმუშაობ „ვეფხვსა და მოყმეზე“, მოდის ვალოდია ვარძუკაშვილი, ჯიგარი კაცი და მეუბნება, რას აკეთებო. ქანდაკებას – მეთქი. რაია ქანდაკებაო, სიტყვას მიბრუნებს ის. ქვისგან რომ კაცს გააკეთებო – ვპასუხობ. ისევ შეკითხვა: რამდენი წლისა ხარ? – 34 – ის. იმან კი: – ჰოდა იცი, რას გეტყვი, ბიჭავ, ცოლი მაიყვანე და ცოცხალი ქანდაკება გააკეთეო. შევუსრულე. მთაში ლექსის კულტურა

და ტრადიცია არსებობს, ბარში უფრო სიმღერის, ქანდაკება მთაშიც და ბარშიც ცოტა ძნელი გასაგებია.

– ვისი გავლენა გაქვთ?

– ბუნების.

– თქვენი სტილი?..

– ალბათ ის, რომ ლოდს არ ვუკარგავ ბუნებრიობას; ფორმას ბუნება მკარნახობს, ხოლო სტილი ფორმის სუბიექტური აღქმაა. მაგალითად: წმ. გიორგის ქანდაკების ფორმა მოულოდნელად, წუთიერად დავინახე ღრუბლებში, მაგრამ გონებაში და მეხსიერებაში მყარად ჩამებეჭდა და უკვე ვიცოდი საითაც უნდა წავსულიყავი. მსგავსი ხილვები სხვა დროსაც მქონია.

†††

ვტოვებ გულუხვ მასპინძელს, ძალიან მინდა, ქ – ნი ნატოს ხელოვნებითაც დავტკბე, მაგრამ მოუცლელია. გამოვდივართ ვიწრო, ჭაჭით შემოზღუდულ ორღობეში ხელოვნებით, ადამიანური სითბოთი და ღვინით გახურებულნი. ბ–ნი მერაბი ხელს მართმევს და ჩემი ხელი გრძნობს, რომ ეს ის მარჯვენა აღარაა, ჩაქუჩითა და საჭრეთლით გრანიტის ლოდებს რომ სულს უდგამდა. ახლა საყვარელი საქმის კეთებაში თერმომნგრეველის ცეცხლიც ეხმარება და ის ცეცხლიც, გულში რომ უგიზგიზებს და მოსვენებას არ აძლევს.

2005

ფიქრი, გუდამაყრი!..

დაღამდა.

გუდამაყრის ცაზე სავსე მთვარე ამობდღვიალდა, ცხვრის ფარასავით გაბნეული ღრუბლის ნაფლეთებს გაუსხლტა და თოვლ – ჭროლში გახვეული მთები ვერცხლისფრად გაანათა. მოჰქრის და მოშხუის გუდამაყრის არაგვი, მთვარის შუქზე ალაგ-ალაგ ელვარებს ჩვენს წინ გადაშლილი რიყე და ტანი უკვე გრძნობს მდინარის გრილსა და გამყინავ ტალღებს.

შორიდან, სადღაც ღრუბლებში მიძინებული მთებიდან უბერავს ნაადრევი გაზაფხულის სუსხნარევი ნიავი, დროდადრო ძაღლების ყეფა ახმიანებს ღამეულ მყუდროებაში ჩაძირულ ხეობას და ალაგალაგ ჭიატებს ფერდობზე შეყუჟული სოფლიდან ლამფის მოკრძალებული შუქი.

ეს თორელანია, გუდამაყრის ერთ–ერთი პატარა სოფელი, იქ უნდა მივიდეთ და იქ უნდა ვნახოთ ჩვენთვის საინტერესო პიროვნება და მასპინძელი – თედო ბექაური. მე გოგიტა არაბული მახლავს, პოეტი და მომავალი ფოლკლორისტი, მასაც თავისი საქმე აქვს – „შარვანეული შავარდენის“ დატირების პოეტური ტექსტის ნიუანსებს იკვლევს და კვალმა აქ მოიყვანა...

მაგრამ ჯერ ორი მდინარე უნდა გადავლახოთ. უეჭველია, აქ სადღაც ხიდი უნდა იყოს, მაგრამ ვერ ვაგნებთ. მივტოპავთ ჯერ ერთ, ხოლო მერე მეორე მდინარეს, წყალი წელამდე გვირტყამს, ცივი და გამთოშავი, დინება ძალუმად გვეხეთქება, თითქოს გვცდის, ბანცალით გავდივართ გაღმა

და ძაგძაგი რომ არ შეგვიჯდეს, სწრაფი სვლით ვაგრძელებთ გზას.

ავდივართ დამრეც ფერდობს, აქაც ვერ ვპოულობთ, თორემ ბილიკი უნდა იყოს სადმე, ვიგერიებთ ჯერ კიდევ შემორჩენილ მეცხვარულ ძაღლებს და ვუხმობთ მასპინძელს. ფარნით ხელში გვხვდება თედო ბექაური, ჯერაც ახალგაზრდა, ძლიერი აგებულების კაცი, გვესალმება და მიგვიძღვება სახლისკენ.

ოჯახში გვეგებება თედოს დედა, უაღრესად თბილი ქალი – ქალბატონი ნინო.

რაკი ხედავენ, რომ დავსველებულვართ, მასპინძელი სასწრაფოდ ახურებს ღუმელს, ხოლო ქ –ნი ნინო თვალის დახამხამებაში შლის სუფრას.

†††

ვნაყრდებით, ვშრებით და გავდივართ სოფლის „საწმიდოში“, რომელიც მოთავსებულია კერძო პირის საბძელში. იგი წარმოადგენს მშრალი წესით ნაგებ, თუნუქით გადახურულ, ღია ნაგებობას, რომელშიც ერთი მხარე უკავია თივას, ხოლო მეორე მხარეზე გაშლილია სუფრა. კედელში გამოჭრილ შუკუნში განუწყვეტლივ ანთია სანთელი. იქვე, კედელში შერჭობილ ჯოხზე სპეციალურად გაგრეხილ თოკზე ჰკიდია პინა, რიტუალური საგანი, სპილენძის მოზრდილი ჯამი, რომელსაც იყენებენ კულუხის ასაწყავად. იგი წმინდა ჭურჭელია, მიითვლება ხატის განძეულში და მისთვის შეხების უფლებით მხოლოდ დასტურები, ე.ი. მოწმიდარნი სარგებლობენ. დასტური გუდამაყარში ორნაირად დგება: სასოფლო და სათემო. სოფლის დასტურებს ადგილობრივი სალოცავებისადმი სამსახური ევალებათ, ხოლო სათემოთ – სათემო

ხატში – პირიმზეში. პინასთან დაკავშირებულ რიტუალს სათემო დასტურები ასრულებენ.

კედელზე დაკიდებული პინის სიახლოვეს სხედან სათემო დასტურები – სიმონ ბექაური და გოგოთურ წიკლაური. მათ გარდა კიდევ რამდენიმე კაცი უზის სუფრას.

შევდივართ საწმიდოში, ყველანი ფეხზე დგებიან, საუფროსო სკამზე ადგილს გვითმობენ და გულში რომელიღაც კარგად ნაცნობი სიმი ირხევა – აქ ჯერ კიდევ ცოცხალია სტუმრისა და უფროსისადმი მოპყრობის განსაკუთრებული წესი. აქ ხომ სულ ერთი არაა, სუფრასთან ვინ სად დაჯდება და არც ისაა სულ ერთი, თუ ვინ „დაილოცება“, ანუ ვინ უნდა წარმოთქვას პირველ რიგში სადღეგრძელო და ვინ – შემდგომ.

ბატონმა თედომ თანასოფლელებთან წარგვადგინა.

– მთიულები ყოფილან!

დაასკვნა ერთ-ერთმა დამხვდურთაგანმა, რომელიც აგრეთვე სტუმარი აღმოჩნდა, ოღონდ – დუშეთიდან. კუთხეების აღრევა ვერაფერი სასიამოვნოა, მაგრამ რას ვიზამთ... ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილამდე აიგივებდნენ ცნებებს – „მთიული“ და „მთეული“, „მთიულეთი“ და „მთიანეთი“. ბევრს ახლაც ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან „მთიული“ და „მთიელი“ და ის უფრო სამწუხაროა, რომ მათ რიგში ხანდახან ცნობილ სწავლულთა გვარებიც გაიელვებენ ხოლმე.

– ბატონო სიმონ, კიდევ როდის მოგიწევთ დასტურობა?

ვეკითხები სიმონ ბექაურს.

– აღარასოდეს.

მოკლედ მპასუხობს იგი.

– კი, მაგრამ...

– დასტურობა ჩვენი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გვიწევს, ამიტომაც სადღეობო წესრიგსა და სიწმინდეს საგულდაგულოდ ვიცავთ.

– რა იგულისხმება „სადღეობო წესრიგში“?

არ ვასვენებ სიტყვაძვირ მასპინძელს.

– დასტურის მოვალეობაა დღეობაში ხალხისთვის გამასპინძლება, ყოველგვარ საქმიანობაში მხარში დგომა ხევისბერ – დეკანოზებისადმი, პინის აბრძანება, კულუხის აწყვა და პინის კვლავ დაბრძანება.

– რას ნიშნავს კულუხის აწყვა?

– ხვალ პარასკევია, დიდმარხვის მესამე კვირა. ამ დღეს ხდება პინის აბრძანება და კულუხის სააღდგომო აწყვა. საამისოდ აქ მოიტანენ ხორბალს, იგი აიწყვება პინით, შემდეგ ამ მასალისაგან გამოიხდება არაყი, რომელსაც მიიტანენ ჩოხში, პირიმზის სალოცავში და იქიდან გაიცემა ყველა მეკულუხეზე თანაბარი რაოდენობით.

– თქვენ წელან სიწმიდეც ახსენეთ...

– ოჰ, მაგის შესახებ ხევისბერი უფრო კარგად გეტყვით, თედო ბექაური.

მიხსნის სიმონი.

– ასე მიმართავთ?

მიკვირს მე.

– ყოველდღიურ ურთიერთობაში შეიძლება არა, მაგრამ დღეობების დროს – კი.

– ჰო, მაგრამ თქვენზე გაცილებით უმცროსია და...

– დიახ, ორმოც წელს გადააბიჯა, მაგრამ ისეთი კაცის გაზრდილია და ყველა წესს ისე იცავს... მოკლედ, სჯობია, რომ თავად მას დაელაპარაკოთ.

სიმონ ბექაურის თავაზიანი ღიმილი ჩვენი დიალოგის დასასრულად აღვიქვი, თანაც ბატონმა გოგოთურმა გადაუ-

ლაპარაკა სიმონს – ნაბდები მოგვიტანეს სოფლის ახალგაზრდებმაო.

– ნაბდები რაღად გინდათ?

გამიკვირდა მე.

– ნაბდებში გავეხვევით მე და სიმონი და აგერ იქ, თივაში დავიძინებთ.

ამას უკვე გოგოთური მიხსნის.

– კი, მაგრამ თქვენც ხომ სტუმრები ხართ ამ სოფელში და ნუთუ ოჯახში არავინ მიგიწვიათ?

– ჩვენი ოჯახში სტუმრობა არ შეიძლება, ანუ იქ, სადაც ქალები ტრიალებენ, მითუფრო თუ ისინი დედათა წესში არიან. დასტურობა, როგორც ითქვა, ცხოვრებაში ერთხელ გვიწევს, ერთი წლის ვადით და სიწმინდე თუ მაშინაც არ შევინახეთ, რაღა გამოვიდა...

– მაპატიეთ და თქვენ უცოლო ხართ?

ვეკითხები ჭოჭმანითა და ყოყმანით.

– არა, ცოლიცა მყავს და შვილიც, მაგრამ ერთი წლის მანძილზე, სანამ დასტური ვარ, ცოლს ახლო ვერ გავეკარები, ხოლო დღეობების დროს ხომ – ნიადაგ. სიწმინდის გარეშე ჩვენს ლოცვასა და საქმეს არც ძალა ექნება და არც – მადლი.

მტკიცედ თქვა გოგოთურმა და ფეხზე წამოდგა. ეტყობა, რომ დღევანდელი ცერემონიალი დასასრულს მიუახლოვდა. მეც წამოვდექი, გოგოთურთან ახლო მივიწიე და ვუთხარი:

– თავს მეტად აღარ შეგაწყენთ, ოღონდ, თუ შეიძლება, რაკი მე ვერ შევეხები, პინა ისე შემომიტრიალეთ სანთლის შუქისკენ, რომ მისი წარწერა წავიკითხო.

დასტური სიამოვნებით დამეთანხმა და მე შემდეგი შინაარსის წარწერა ამოვიკითხე: „შევსწირეთ პირიმზეს ექვთიმე წიკლაურმა მარტიას ძე 1949 ვასილი ბექაურმა გიორგის ძე“.

შეხასიათებული გუდამაყრელები მძიმემძიმედ ტოვებდნენ სუფრას.

გარეთ გამოვედით მე და გოგიტაც. ვარსკვლავებით ერთიანად გადაჟიკჟიკებული ცა ეხურა გუდამაყარს.

†††

მეორე დღეს კულუხის აწყვის ცერემონიალი გაიმართა. მანამდე სოფელი დასტურებს ხაჭაპურითა და ხინკლით გაუმასპინძლდა. მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. ს. ბექაურმა აწყა კულუხი და პინაც ააბრძანეს. იგი, როგორც წმინდა საგანი, სოფლის ორღობეებზე არ გაუტარებიათ, რადგან იქაურობა ათასნაირი უწმინდურობით ილახება, არამედ სოფლის შემოვლითი გზით წააბრძანეს ჩოხში. კულუხის სააღდგომო აწყვის წესი და რიგი ამით დასრულდა.

ჩვენ, მე და გოგიტა, თედომ მიგვიპატიჟა. დადგა დრო, როცა მასპინძლისათვის უნდა გამემხილა ჩემი თორელანში ამოსვლის მეორე მიზეზიც. გადავწყვიტე, პირდაპირ გადავსულიყავი საქმეზე და თედოს მივმართე:

– ბატონო თედო, თქვენთან, როგორც ხევისბერთან, რამდენიმე კითხვა მაქვს. გექნებათ თუ არა რაიმე საწინააღმდეგო, რომ მიპასუხოთ და მერე იგი რომელიმე ჟურნალში ან გაზეთში გამოვაქვეყნო?

მსგავს სიტუაციაში ჩემი რესპონდენტი თურმე პირველად იყო, ამიტომაც ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ ასე მიპასუხა:

– დიდი სიამოვნებით, ოღონდ თავს ვალდებულად ვერ ჩავთვლი, ყველა კითხვაზე გიპასუხოთ.

შევთანხმდით.

– რომელ სალოცავში ხართ ხევისბერი? რამდენიმე სიტყვა მის შესახებ.

– მე ვარ მთელს გუდამაყარში უდიდესი სალოცავის – პირიმზის ხევისბერი, რომელიც ბრძანდება ს. ჩოხში; იგივე მოვალეობას ვასრულებ ფუძის ანგელოზში, მისი საბრძანისი ხევსურეთის სოფელ უკანახოშია. ესენი არიან „მოდე – მოძმენი“, დაილოცოს მათი ძალა და მადლი. გადმოცემის თანახმად პირიმზე მობრძანებულია ახალციხიდან, განძის სახით, ბექაურთა ერთ–ერთი წინაპრის მიერ. მას გზაში შეხვედრია ვინმე წიკლაური და მისთვის უთხოვია დახმარება, რომ ეს სალოცავი ურჯულოთაგან გამოერიდათ, მთებში გაეხიზნათ და შემდეგ ყოფილიყო ორივე გვარის სალოცავი. ასეც მოქცეულან. პირველად დაუბრძანებიათ სოფელ ცუცქუნაურში, მეორედ სოფელ ხოზაში, ხოლო მესამედ თავის მუდმივ საბრძანებელში – სოფელ ჩოხში.

გუდამაყარში ყველაზე დიდი დღეობაა მარიამობა და იგი ტარდება პირიმზეში; მარიამობის გაგრძელებაა ახოობა, იგი იმართება უკანახოს ფუძის ანგელოზში. პირიმზედან გადავდივართ ფუძის ანგელოზში, წესრიგს ვუძღვებით ხევისბერი და დასტურ – დეკანოზები, მივდივართ ღამის თევით, ცხენებით, ჩვენთან ერთად მოდის უამრავი მლოცავი თავიანთი საკლავებით, იხარშება ლუდი და ყველაფერი კეთდება ისე, როგორც წინაპრებმა გვიანდერძეს.

– ახალგაზრდობა თუ მონაწილეობს მაგ ყველაფერში?

– უნდა გითხრათ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ძალზე მიდრეკილია ხატის სამსახურისადმი, პატივს სცემენ ხევისბერისა და დასტურ – ხელოსნების სიტყვას.

– რამდენი ხანია, რაც ხევისბერი ხართ და ვინ ასრულებდა ამ მოვალეობას მანამდე?

– მე ორი წელია, რაც ეს საქმე ჩავიბარე, მანამდე იყო თორღვა წიკლაური.

– რა ბედი ეწია თქვენს წინამორბედს და როგორ გახდით ხევისბერი?

– ხევისბერის გადაყენებისა და, ასე ვთქვათ – მოხსნის შემთხვევები გუდამაყარში არ ყოფილა. თუ მოხუცებულობა, ან ავადმყოფობა მოერია, მაშინ შეიძლება, რომ თავად „გადადგეს“. ასე მოხდა თორღვას შემთხვევაშიც. იგი ცნობილი მაწმიდარი და ძალზე საინტერესო პიროვნებაა, ღმერთი იყოს მისი მფარველი. ჩემზე მას მამობრივი ამაგი აქვს. იგი 28 წლისა მივიდა ხატში და სანამ შეეძლო, ერთგულად ემსახურა მას. თორღვა ჩემი გამზრდელია. იგი მთელი ათი წლის განმავლობაში მამზადებდა ხევისბერობისათვის, ისე, როგორც თავის დროზე მასაც ამზადებდნენ. ხევისბერს თავის შემცვლელს სიზმარში აჩვენებს სალოცავი. თორღვამ რომ სიზმარი ნახა ჩემზე, მე მაშინ 32 წლისა ვიყავი და წესიერად არც კი მიცნობდა. ათი წელი ვსწავლობდი სიწმინდის დაცვას, ლოცვის წარმოთქმას, დღეობებში წესის დაყენებას და სხვა. ხევისბერად დასმის დროს გასათვალისწინებელია მამაპაპური მოდგმაც. ჩემი მამის პაპაც, სახელად ხამხაძე, ხევისბერი ყოფილა. წესით მის შვილს აღარ ერგებოდა ხევისბერობა, მაგრამ შვილიშვილი კი მოიკვლია ხატმა. ეს იყო მამაჩემი. მან უარი განაცხადა. ალბათ ეს იყო იმის მიზეზი,

რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა დაავადდა და გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლო დღეებში მწარე სინანულს გამოთქვამდა, რომ ხატის სამსახურზე უარი თქვა. ასე რომ, თუ ხატი ხელს დამადებდა, მე უკვე მქონდა ხევისბერობის უფლება და ასეც მოხდა. იგივე წესი ვრცელდება დასტურებზე; ოღონდ ეს მოვალეობანი არაფრით არ შეიძლება დაეკისროს უზნეო და სახელგატეხილ პიროვნებებს.

– თქვენი უფლებები ალბათ მთელ გუდამაყარზე ვრცელდება...

– გუდამაყრის ხევისბერს შეუძლია საქართველოს ნებისმიერ სალოცავში დააყენოს წესრიგი, თუ ადგილობრივი მოწმიდარი არ იმყოფება ხატში. აგრეთვე სხვა მოწმიდრებსაც შეუძლიათ აღასრულონ თავისი მოვალეობა გუდამაყარში.

– ვთქვათ, გამოუვალი მდგომარეობის გამო ვერ მიხვედით დღეობაზე...

– ამ შემთხვევაში ხევისბერის მოვალეობის შესრულება შეუძლია მხოლოდ დეკანოზს, ხევისბერის, ასე ვთქვათ – მოადგილეს, ან – დასტურს, სხვას არავის.

– ხატის მსახურნი რა უფლებებით სარგებლობენ გუდამაყრის დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით?

– არავითარი უფლებები. ეგ არის, რომ ხალხი, რაღაცნაირად, პატივს გვცემს და თემში რომ რაიმე საჭირბოროტო საკითხი წამოიჭრება, ჩვენს სიტყვას მეტ ანგარიშს უწევენ. ასე რომ, პასუხისმგებლობაც მეტია.

– თქვენ რამდენჯერმე და თანაც ხაზგასმით მიუთითეთ სიწმინდეზე. იქნებ უფრო ახლოდან ჩაგვახედოთ ამ საქმეში.

– სიამოვნებით: **6** იანვრიდან (თხილობის ღამე) დასტურ – დეკანოზნი და ხევისბერი იმყოფებიან ხატში და იქ ცხოვრობენ, რათა სიწმინდე უფრო სრულყოფილად დაიცვან. ეს

გრძელდება ძველი ახალი წლის დადგომამდე. 13 იანვარს, დილით, ისინი განიბანებიან არაგვში და ასე – გაწმიდავებულნი ხვდებიან ახალ წელს. განბანვა ხდება წელიწადში ერთხელ და უფრო ევალებათ დასტურებს, რადგან მათ ეს პატივი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ ერგებათ.

– კი, მაგრამ რომ გაცივდეთ?

– ასეთი რამ არავის ახსოვს; თანაც სიცივის გასაფანტავად თითო ყანწ წინწარაქარს შევთავაზებთ ხოლმე ერთმანეთს.

– რა შემთხვევაში ილახება ხოლმე სიწმინდე?

– ათასნაირ შემთხვევაში: ჩვენი ყველაზე დიდი სიწმინდეა პირიმზეს სალოცავის დროშა. მასთან ეკლესიაში ფეხგაუხდელად მისვლა, სიწმინდის შელახვაა. ამის უფლება მხოლოდ ხევისბერს აქვს. ასევე ხევისბერის გარდა არავის შეუძლია ეკლესიაში შესვლაც. ეკლესიის გალავანში შესვლა უკვე დასტურ – დეკანოზებსაც შეუძლიათ. გალავნის გარეთ იკრიბება დანარჩენი მხვეწარი, ოღონდ ქალებს არ შეუძლიათ მისვლა მაშინ, როცა ისინი განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. სიწმინდე ილახება ისეთი უწმინდური ფრინველებისა და ცხოველების ყოლითაც, როგორიცაა ქათამი და ღორი, მათი ხორცი ხომ სამუდამოდ გვეკრძალება. არ შეგვიძლია აგრეთვე სხვათა ოჯახებში შესვლა, მიცვალებულთან მიახლოება და მის სუფრაზე დაჯდომაც კი. მღვდელი ყოველივე ამას არ ერიდება, ისინი ნაკურთხ კვერცხსა და ღორის ხორცსაც მიირთმევენ, ჩვენ – არა. ერთხელ ტრანსპორტში სამშობიაროდან ახლად გამოყვანილი ბავშვი ამოიყვანეს მშობლებმა, მე იძულებული გავხდი ავტობუსიდან ჩამოვსულიყავი... სამწუხაროდ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაც მიწევს. ვინც წმინდობს, ყველას

ნაჯდომ სკამზეც არ უნდა დაჯდეს. დიდი სიფრთხილე და თავდაჭერაა საჭირო ქალებთან ურთიერთობისას, თუ მაინც მივერიეთ, მარტივი წესით მაინც უნდა გავწმინდავდეთ.

– ეს როგორ?

– ხევისბრად დგებოდნენ სიწმინდის მიმყოლნი. ამიტომ, რასაც სიწმინდის შესახებ მოგახსენებთ, მხოლოდ დასტურ – ხევისბრებს ევალებათ, თუმცა, თუ სურვილი აქვს, დანარჩენ მრევლსაც არავინ უკრძალავს, სიწმინდეს ხომ დიდი ძალა აქვს... თუ ხევისბერი მირეულია და ასე მოუწია სალოცავში მისვლა, აუცილებელია სანათლავის დაკვლა, ე.ი. ბატკნის, ან ხბოსი; მითუფრო დროშის გამობრძანების ან შებრძანების დროს. საკლავის სისხლი ყოველგვარ უწმინდურობას ჩამორეცხს. პირიმზეში, ერთ დღეობაში, 80 – 100 სულისათვის მომიჭრია თავი, ოღონდ ეს მაშინ, როცა დეკანოზი ვიყავი, თორღვას მოადგილე, ასე ვთქვათ. სისხლიანი ხელით სანთლის ანთება აღარ შეიძლება, ამიტომ ხევისბერი ლოცვას აღავლენს, სანთელს ანთებს, ზარებს რეკავს, დროშას აბრძანებს, მაგრამ საკლავს არ კლავს. ერთურთში არეული სისხლით და ღვინით დანათლულს აქვს მეტი სიწმინდე, ცარიელი სისხლი არ შეიძლება, ღვინო აუცილებლად უნდა ერიოს. როცა ამის საშუალება არ არის, ე.ი. არასადღესასწაულო დღეებში, ნაკურთხ წყალს გადავივლებთ ხოლმე, ან კიდევ წვიმის წყალს. წვიმა ხომ ხალხისაგან შელახულ სალოცავის ტერიტორიასაც აწმინდავებს, გზა – კვალსაც და ა.შ.

– ბატონო თედო, თქვენ თქვით, რომ სიწმინდეში დგომის დროს ქალებთან ურთიერთობისას სიფრთხილეა საჭიროო. რა გაქვთ მხედველობაში?

– მირეული ქალი არ უნდა იმყოფებოდეს იქ, სადაც სანთელი ინთება, მოწმიდარმა არ უნდა შეჭამოს მისი დამზადებული პური და საჭმელი, სიწმინდე ილახება დალაპარაკე-

ბით, ხელის ჩამორთმევით, შეხებით... წესში მყოფი მანდილოსანი შენც მიგრევს, შეძლებისდაგვარად საზოგადოებრივ ტრანსპორტსაც ამის გამო ვერიდები. ჩვენი წესით, როცა მოწმიდარს ქალი შეხვდება, არა აქვს მნიშვნელობა, იმყოფება თუ არა იგი წესში, მანდილოსანმა გვერდი უნდა აუაროს, არ უნდა დაელაპარაკოს, სალამიც კი არ უნდა მისცეს. თუ მაინც ასეთი დარღვევა მოხდა, მოწმიდარი ამა თუ იმ ფორმით უნდა დაინათლოს.

– კი, მაგრამ თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ, ცოლშვილიანი...

– მეუღლის ყოლას და მასთან ურთიერთობას არავინ და არაფერი გვიშლის, გარდა დღეობის დღეებისა, მისი წინარე პერიოდისა და ქალის დედათა წესში დგომისა. ამ დროს მას არ უნდა გაეკარო, უფრო მეტიც – ამ დროს ქალმა უნდა დატოვოს მოწმიდარის ოჯახი და წავიდეს სხვაგან, ნათესავთან, ახლობელთან, რათა არა მარტო მისმა მეუღლემ, არამედ მთელმა ოჯახმა შეინარჩუნოს სიწმინდე. საეთრთოდ კი, მოწმიდარს თავისი ოთახი უნდა ჰქონდეს, სადაც მის გარდა სხვა ძე – ხორციელი ვერ შედგამს ფეხს, ასე იყო თორღვა.

– ითვლება თუ არა ქალი ხატის ყმად?

კვლავ ვეკითხები თედო ბექაურს და ისიც კვლავ მპასუხობს:

– კი, ჩვენი წესით – ითვლება, ოღონდ დანათვლისას ჯვარი საკლავის თავიდან აღებული სისხლით უკეთდება მარჯვენა ხელის გულზე, ხოლო მამაკაცს – შუბლზე. მეტსაც გეტყვით – ბექაურ – წიკლაურთა გვარში მოსულ პატარძალს აუცილებლად გარევენ ხატში.

– ახლა საქართველოში მრავალი ეკლესია შენდება. ამ საქმეში ზოგჯერ სახელმწიფო სტრუქტურები და შეძლებუ-

ლი პირებიც მონაწილეობენ. როგორაა ამ მხრივ საქმე თქვენთან?

– მსგავსი რამ ჩვენს კუთხეში ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ ყოფილა, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ადგილობრივი მოსახლეობის შემოწირულობათა ხარჯზე.

– ხატის გატეხვის, ან მის მსახურთა შევიწროების შემთხვევები თუ ყოფილა?

– ხატის ხელკაცების შევიწროების ფაქტები კომუნისტების დროს იყო. მაშინ ხატის განძიდან ნივთებიც გაჰქონდათ კოლმეურნეობებში, ფერმებში, სახლებში... იმის შემდეგ მსგავსი შემთხვევები აღარ ყოფილა. პირიმზის სალოცავს კომუნისტებიც კი არ შეხებიან, მაგრამ აი, 1997 წელს გატეხეს და განძის ნაწილი გაიტაცეს. ერთი წლის შემდეგ დამნაშავეები დააკავეს და გაასამართლეს.

– მაინც რას წარმოადგენს პირიმზის საეკლესიო განძი?

– განძი ამ შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ... მაინც ნება მომეცით, ამ კითხვაზე არ გიპასუხოთ.

– კეთილი და არც არასოდეს აღგიწერიათ?

– ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებთ.

– მაშინ ეგებ მითხრათ, არის თუ არა პირიმზის ეკლესიაში დაბრძანებული დროშა სალაშქრო?

– მსგავსი გადმოცემა და გადმოცემა თვით დროშის ასაკის შესახებ, ჩემთვის უცნობია. დღემდე მოსული ტრადიციით ეს დროშა გადაბრძანდება მხოლოდ ფუძის ანგელოზში, სხვაგან არსად და გამობრძანდება წელიწადში ორჯერ – ამაღლებასა და მარიამობას.

– და კიდევ ერთი: რა წესები აღესრულება მსხვერპლშეწირვის დროს?

– ხევისბერი მეხვეწურს შეახვეწებს ჯერ ადგილობრივ, ხოლო შემდეგ საქართველოს ძლიერ სალოცავებს, უფრო კი მთისას. დასაკლავი პირუტყვი ამ დროს უნდა იდგეს თავით აღმოსავლეთისაკენ. შემდეგ სანთლით უნდა შეეტუსოს მარჯვენა ყური და ბეჭი, თუ ნაყიდი ჰყავთ, შეაჭმევენ მარილს და ამის შემდეგ კლავენ. ხანჯალმა კისრის მალებთან მიმართებაში უნდა განასახიეროს ჯვარი. ღმერთს და სალოცავს არც სისხლი მიუვა და არც ხორცი, მას მხოლოდ და მხოლოდ სული მიუვა მისთვის შეწირული მსხვერპლისა.

– გმადლობთ, ბატონო თედო!

ვამბობ მე და წიგნაკს ვხურავ, მაგრამ თედო მეუბნება, ახლა მეცა მაქვს ერთი შეკითხვაო. ბატონი ბრძანდები მეთქი.

– ჰო, მაგრამ ვის და რაში დასჭირდა ყოველივე ეს ახლა?

ღიმილით, გაოცებითა და ცნობისმოყვარეობით მეკითხება ხევისბერი.

– ჩემთვის თქვენთან მოსვლა, ბატონო თედო, არავის დაუვალებია, მაგრამ არიან ადამიანები, ვისაც გული სტკივა იმაზე, რომ კვდება ხატის მოწესეთა ინსტიტუტი, იკარგება უძველესი რიტუალი, რომელიც ამა თუ იმ სალოცავში სრულდებოდა სხვადასხვა დღეობების დროს, ქრება ძველებური მრავალფეროვნება და ისადგურებს თანამედროვე ერთფეროვნება; ჰოდა, იქნებ ამ ტკივილის წამლად გამოდგეს ყოველივე ეს...

†††

ადრეული გაზაფხულის უჩვეულოდ თბილი და მზიანი დღე იდგა. თოვლი ლღვებოდა და ნაკადულები ჩუხჩუხით მოედინებოდნენ. გუდამაყრის ხევისბერმა შესანიშნავად გვიმასპინძლა, მე და გოგიტა მდინარეზე გადმოგვაცილა, მერე ხელი გამოგვიწოდა და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო...

უცებ სოფლიდან ნადღეობევი ხალხის ხორხოცი მოისმა. თვალი ვკიდე, ორღობეში ხელიხელგადახვეულნი მიდიოდნენ და გიორგი წიკლაურის მშვენიერ ლექსს ხმაშეწყობილად მღეროდნენ:

ტიალო, გუდამაყარო,
ვინ იცის, გნახავ როდისა...

1998

ლოგიში ჩასვლიან მას ოხარის...

სულეთის ღმერთიც მოწყალე იყო იმ დღეს და სამზეოსიც: იქ გამიხარდი არაბულის სული ილხენდა, აქ – მისი ჭირისუფლებისა და მხედრების.

დიახ, ოქტომბერი მთაში უკვე მკაცრი თვეა – ალისფერი ნაყოფით თავდამძიმებული ცირცლის მწვანე ფოთლები სიწითლეში გადადიან, უგუნებოდ მოშრიალე არყები და ტირიფები – სიყვითლეში, მაგრამ მზე მაინც ალერსიანად დასთამაშებს ფერგახუნებულ მთებსა და ფერდობზე შეფენილ შუშაბანდიან სახლებს.

დღეს დოღი იქნება ხეობაში... ძველი მხედრის – გამიხარდი არაბულის სულის საოხად გამართული დოღი.

ეს ის გამიხარდია, ჯერ კიდევ ყმაწვილობაში ერთგვარი რეკორდიც რომ დაამყარა ხევში: ორი დოღი ორ დღეში და ორივეში პირველი ადგილი ერთი და იმავე ცხენით! არა და წესით, ცხენმა დოღის შემდეგ ერთი კვირა მაინც უნდა დაისვენოს, „თორემ სულს მაჰპარავს...“

მერე იგონებდა ხოლმე, სოფელ ფხელშეში, დოღის დაწყებამდე, ერთმანეთში როგორ საუბრობდნენ მოჭარმაგული მოხევეები: „ალბათ ობოლ – ოხერია, თორო პატრონი რო ჰყვანდეს, ამ პირზე რძეშეუმშრალ ბალღს დოღში ვინ გამოუშვებდაო“.

მაშინ თორმეტი წლისა ყოფილა...

ეს ის გამიხარდია, არც რომ ცხვრისა რამე ესწავლებოდა და არც მეცხვარეობისა, ხოლო კოლმეურნეობის ცხენებიდან, სადაც, ფაქტობრივად, ჩამოწერილ ჯაგლაგებს უყრიდნენ თავს, ერთი ისეთი ცხენი ამოარჩია, შეის-

ყიდა და გაზარდა, ტოლს რომ აღარ უდებდა დოღებში ნაცად ტაიჭებს აღარც ხევში და აღარც ხევსურეთში.

მოხეურ დოღში ხუთჯერ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, ხევსურულში – თერთმეტჯერ.

იტყოდა – ცხენს თუ ყურებსშორის ამობურცული ძვალი წვეტიანი და მკვრივი აქვს – არ მოსცდებაო.

და დასდო სამოცდაათს გადაცილებულმა გამიხარდიმაც მხედრის მათრახი...

ახლა მისი სულისათვის დადგმულ ტაბლასა და ტალავარს უვლიან გარშემო ძუაგამოკრული და მწევრებივით წელგაწვრილებული სადოღე ცხენები.

საგანგებოდ დაკვართული ვაჟები ერთნაირად აოკებენ მოუსვენრობაშეყრილ ულაყებსა და გულში ჩასახლებულ მღელვარებას.

ოთხმოცგამოვლილი ბეწინათ თათუა შანდობას ეუბნება ცხენსაც და ტაბლასაც – „ცხენიანთაშიამც გაერევი, უცხენოიმც ნუ იქნები, შენ საჯმარ – საფერჯეიმც იქნების...“

სამჯერ გადაჰკრავენ სულის ცხენს მათრახს, სასმელს აპკურებენ ნაბად – უნაგირს.

„შაუნდნას...“ – დაიბუბუნებენ ქედდადრეკილი ჭირისუფლები.

ყველა მხედარი თითო ჭიქით ეუბნება შანდობას და გადიან ცერემონიიდან. წინ სულის ცხენი მიუძღვით, ზედ ბაკურხეველი მხედარი, გამიხარდის ცოლისძმა – იმედა ფიცხელაურია ამხედრებული.

უკანასკნელად აკვალიანებს მხედრებს და ჭკუისკენ მოუხმობს გამიხარდის ვაჟი – ბერდია, რათა წესრიგის დარღვევა და რაიმე ინცინდენტი არ მოხდეს.

ახლა მხედრები ჯუთისწყლის ხეობით თავქვე დაეშვებიან. იქ რვა–ცხრა კილომეტრით დაშორებულ სოფელ

ახალციხეში ტაბლა გამიხარდის მძახლებს – ქერაშვილებს დაუდგამთ. იქაც ეტყვიან შანდობას და გამობრუნდებიან – „ძალს იქმენ“...

†††

მანამდე კი...

ეს ამბავი 2012 წლის 6 ოქტომბრის მზენათელ დღეს ხდება, ხევისა და ხევსურეთის მომიჯნავე, ოცკომლიან სოფელ ჯუთაში; ევროპის მასშტაბით დღეს იგი უმაღლესი დასახლებული პუნქტია.

აქ ყვებოდნენ ზეპირად და მონაცვლეობით „ვეფხისტყაოსანს“ კაცდიაცნი – ბრძენი მგელათ ბეწინა და მისი ხახმატელი მეუღლე მზექუა ალუდაური.

აქ უხმობდა ღვთისშვილთ მეზღვნე – მეხვეწურის საოხად ჟრუანტელისმომგვრელი ხმით ჯუთის, ხეთანისა და ღალანგურის სალოცავების განთქმული ხუცესი კურდღელათ ივანე, გაგანია კომუნისტობაში აღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე რომ თქვა უარი და ხუცესის ურსა შეიბა წელზე, აქ ესაუბრებოდნენ ჯვართ გიორგით მიხიელი, გიგუთ ჯოყოლა და ბაჯურათ ბაბუა...

აქ კურნავდა ხელდაუდებელ ჭრილობებს თავადაც შუღლებში გამობრძმედილი აქიმი – გოგიტათ ბეწინა, რომლის საქმიანობითაც შემდეგში ცნობილი ექიმები და ჟურნალისტები დაინტერესდნენ.

აქ მოძღვრავდა ყმაწვილებს რეპრესიებგამოვლილი, ნაციმბირალი „ვლასოველი“ და ხელმადლიანი პედაგოგი ვანო ჩაბაიძე, რომლის მოსწავლეებმაც, აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა და პროფესორმა ამირან არაბულმა, შორს გაიტანეს ამ პატარა სოფლის სახელი.

იმ სოფლის, რომლის ყოველ მესამე ოჯახშიც ზის გამოცემული წიგნების ერთი (ზოგში ორიც) ავტორი და რომლის ზემოთ, „ჯუთის გორზე“ გულსუწადინოდ დაწოლილან შინში პოეტები – შალვა და შაბურა და თვითმკვლელი მწერლები – შოთა და გოგიტა არაბულები.

აქედან მიდიოდნენ იმპერიულ ომებში ბერდიათ აკია, სუსუათ აბა, ბერდიათ კეზელო... ხოლო მოგვიანებით, სამამულო ომში წასული ექვსი კაციდან სამი – ჯოყოლა, ჩაჩაური და ხატიონი უკან აღარ დაბრუნებულა, აქ ყოველ მეორე ოჯახზე აფხაზეთის ომის ერთი მონაწილე და ერთი ოფიცერი მოდის, რომელთა სიასაც ვალმოხდილი მამულიშვილი – პოლკოვნიკი მინდია არაბული სარდლობს.

აქ დადგა ეკლესიების ნგრევის ჟამს საყდრის სტილის სამლოცველო – სარიტუალო დარბაზი აგრეთვე ცნობილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა, ჯუთის მკვიდრმა გიგლა არაბულმა.

გამიხარდის წინამორბედნი იყვნენ აქაური მხედრები უთურთ ქორია და ჩაჩაურთ ალექსანდრე, თბილისის იპოდრომზე „უკუდო“ ცხენებზე ჯდომის ხელოვნებით რომ აოცებდნენ მაყურებელს და პირველობას არავის უთმობდნენ...

აქ „აღმოაჩინეს“ ათიოდე წლის წინ უცხოელმა ტურისტებმა მომაჯადოებელი ბუნების მრავალფეროვნება და ხიბლი და ბოლო არ უჩანს მათ ნაკადსა და აღფრთოვანებას, მაგრამ არავის აინტერესებს აქაური ხალხის წარსული, ცხოვრების წესი, პრობლემები და პერსპექტივები, არ აინტერესებთ თვით აქაურ ხელისუფალთ (არც ძველთა და არც ახალთ), რადგან მათ აქ არაფერი არ აქვთ, ხოლო ვისაც აქვთ, იმათაც სოფელი „ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდია“...

†††

... და უცებ:

– მოდიან!

გვამცნო მაცნემ და წამოიშალა მოლოდინით დაღლილი ხალხი.

მოძრავი წერტილივით გამოჩნდა თვალსაწიერზე მეწინავე მხედარი.

აჩოჩქოლდა გაღმა–გამოღმა ფერდობებზე შეფენილი მაყურებელი.

დურბინს იმარჯვებს ლოდზე ჩამომჯდარი, ჩაფიქრებული მწერალი როსტომ ჩხეიძე. ფოტოაპარატს – მისი შინში, პროფესიონალი მხედარი და ფოტორეპორტიორი გიორგი.

მოგვიანებით მეორე მხედარიც გამოჩნდა, მესამეც...

ამ ბილიკებზე ჩამოაღამეს თავისი დღენი მუხლმოუღლელმა ხვადებმა – გიორგით ნათელიძის ჯერანამ და ბერდიათ აკიაის ალიმ, გასული საუკუნის 50–იან წლებში თბილისურ დოღებზეც რომ წარმატებით დააქროლებდა გასაოცარი მხედარი – უთურთ ქორია.

ცხენოსანთა შორის მანქანებმაც გაიელვეს. ესენი ნიადაგ მოურჯულებელი გულშემატკივრები იქნებიან. წესით ცხენმხედარს ხელი არავინ და არაფერმა არ უნდა შეუშალოს.

ფინიში ხიდისყურთანაა, აქ სოსო აღრიცხავს დოღის შედეგებს და თუ ამ მხრივ სადავო რამ იქნება, იმასაც ის გადაწყვეტს.

ხიდისყურთან მანქანების ტევა არაა, არც ხალხის, მრავლად არიან ფოტო და ვიდეო რეპორტიორები, უცხოელები, შინაურები...

და აი, ფინიშს პირველი კვეთს კობათ ბერდია, უკვე სახელმოხვეჭილი მხედარი, ნიავივით მსუბუქი და ნადირივით სხარტი.

მეწინავე ცხენ–მხედარი გულშემატკივართა ალყაში იკარგება, ისმის შეძახილები, მილოცვა, შეკითხვები, შეკითხვები, შეკითხვები....

ამასობაში ფინიშის ხაზს კვეთს მეორე ცხენ–მხედარი ყანობიდან, მესამე უკვე არხოტელი ჯარჯია, განთქმული მხედრის – ბაიჭაურთ ხვთისოს შვილიშვილი.

და ასე შემოდიან დანარჩენი მხედრებიც არაქათგამოცლილი, გაქაფული ცხენებით, აქვეა სულის ცხენიც, რომელიც კონკურენციაში არ მონაწილეობს და არც პრიზი ეძლევა.

ყველა მხედარმა გადაკვეთა ფინიში და დოღიც დასრულდა.

წინ და უკან, უმხედროდ დაარბენინებენ ოფლში გახვითქულ ცხენებს, დაღლილობიდან ასე, ნელნელა უნდა გამოიყვანონ, უცებ გაჩერება და დასვენება არ შეიძლება.

ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, არც უბედური შემთხვევა, არც დაზიანება და მარცხი, არც გაუგებრობა და შუღლი. დაღლილ – დაქანცული მხედრები გულშემატკივრებს ჰყავთ ალყაში, აქებენ, ანუგეშებენ, უღებენ...

სად იყო ამდენი ხალხი? კაცს რომ გვერდიდან მოშორდე, დაგეკარგება, ვეღარ იპოვი.

აღარც ყურთასმენაა ამდენ ჩოჩქოლში, ცალკე კიდევ ეს ჯუთისწყალი, მოდის და მოჰყეფს და მოშხუის, მოშხუის და გიყვება, ვინ იცის – როდინდელს, მაგრამ ვინ უგდებს ყურს...

ერთადერთი ჭიუხი დგას გამტკნარებული, მარტო ამას არ შესტოკებია შუბლზე ძარღვი, ამას ბევრი უნახავს

მსგავსი სანახაობა, ოღონდ უფრო სხვაგვარი, მამაპაპური, მარილიანი...

დგას დღედაღამ, ზამთარ–ზაფხულ ეს ჩვენი გაქვავებული წარსული და არავის უმხელს, რომ იქ, შიგნით, ყინულის ბეგთარით შემოსილი გული გამალებით უძგერს და სტკივა...

სტკივა უმარილობა ჩვენი, სტკივა...

ხოლო გაკრიალებულ ლაჟვარდს წამიერად ჰკვეთს ლოცვად დავარდნილი ბოხოხიანი კაცის მობუბუნე ხმა – „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!..“

†††

მზე ჯერაც მაღლა იდგა, უკან რომ გამოვბრუნდით, წინა დღის ნაწვიმი იყო, ალაგალაგ გუბეებში ტოპავდა მანქანა და ახლა უკვე შემშრალ მიწას უხვად ეტყობოდა დოღის ცხენთა ნატოტარები.

დღეს ომში წასვლა იმას უხარია, ვისაც კარგი ბომბი აქვს, სამუდამოდ გამქრალა ის დრო, ბრძოლის ბედს ცხენოსანი კავალერია რომ წყვეტდა, კარგი ცხენის პატრონი კი მხოლოდ დოღში თუ იგრძნობს თავს ლაღად და ხალვათად.

2013

კაზეთ „არაგვის“ რედაქტორს

დუშეთის რაიონულ გაზეთ „არაგვის“ მიმდინარე წლის 26 მარტის ნომერში, რომელსაც თქვენ რედაქტორობთ, გამოქვეყნდა ბ–ნ ი. წიკლაურის ისტორიული ხასიათის წერილი „არაგვი და არაგველები“. უნდა მოგახსენოთ, რომ იგი, სამწუხაროდ, არაკომპეტენტური მკვლევარის (ავტორის) შთაბეჭდილებას ტოვებს. ამის დამადასტურებელი ფაქტების მოხმობა, თუ ობიექტური რეალობა და საჭიროება მოითხოვს, არ გაძნელდება. მსგავსი შეხედულებების პიროვნებები კი ასეთი მეტნაკლებად რთული და ფაქიზად მისადგომი პრობლემისადმი, მეტ მოწიწებას უნდა იჩენდნენ. ბ–ნი ი. წიკლაურის გამოხმაურებას მაშინ ექნებოდა გამართლება, თუ იგი მკვლევარ ვ. ითონიშვილის საჭოჭმანო ვერსიას ახალი და სარწმუნო არგუმენტაციით განამტკიცებდა. ასეთი კი არ ჩანს. უფრო მეტიც: იგი მხოლოდ იმეორებს ვ. ითონიშვილის უკვე ცნობილ მოსაზრებებს. სიმბოლურია, ალბათ, ის გარემოებაც, რომ მეცნიერის შრომის სათაური სიტყვა–სიტყვით განმეორდა აღნიშნული საგაზეთო წერილის სათაურშიც.

მაგრამ ქვეყანა ამით არ დაქცეულა! საქმე იმაში გახლავთ, რომ პატივცემული ი. წიკლაური ისე გაიტაცა „კვლევის“ აზარტმა, რომ ბოლოს ტაქტიც შეეშალა. აი, ეს გახლავთ, ამჯერად, მთავარი და არა 300 არაგველის სადაურობის საკითხი. პირადად ჩემთვის 300 არაგველის სადაურობისა და ვინაობის პრობლემა, როგორც ასეთი, ვაჟა–ფშაველას საგვარეულოს წარმომავლობისა არ იყოს, არ დგას. მტკიცედ მწამს, რომ ისინი ყველანი ქართველები

იყვნენ. ეს კი ჩემთვის ამ ეტაპზე სავსებით საკმარისია; ხოლო რაც შეეხება ჭეშმარიტებას, იგი პირუთვნელი მაძიებლისთვის ისტორიაში ყოველთვის მოიპოვება და, სხვათა შორის, იქ საკვლევ–საძიებელი, თუ კი ვინმეს კვლევის ჟინი არა და არ ასვენებს, სხვაც ბევრია და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანიც. ისტორიული ფაქტების მსგავსმა ინტერპრეტაციამ კი, ისედაც სნეულ ქართულ ეროვნულ სხეულზე, შესაძლოა კიდევ ერთი ძნელად მოსარჩენი იარა გახსნას. სხვა დროს ამ თემაზე სიტყვის გაგრძელება არაფრად ეღირებოდა, მაგრამ ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ წერილი იბეჭდება 1992 წლის 26 მარტს!!!

ბ–ნო რედაქტორო, მე არ ვიცი, იზიარებთ თუ არა ბატონების – ვ. ითონიშვილისა და ი. წიკლაურის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. ეს არც ჩემი გამოხმაურების პრინციპული მიზანსწრაფვაა. საქართველოში მის ყველა კუთხეს აქვს იმდენი „საკუთარი“ ისტორია, რომ მისი მეზობლებისაგან სესხება და მოპარვა, წესით, არ უნდა დასჭირდეს, მაგრამ თქვენ დუმხართ აღნიშნული წერილის ზნეობრივი ასპექტის გამო. დუმილი კი თანხმობის ნიშნად აღიქმება, რაც ფრიად სამწუხაროა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვგონებ, გქონდათ უფლება, საშუალება და მოვალეობაც, გამოგეხატათ პიროვნული თუ არა, სარედაქციო პოზიცია მაინც.

იმედია, მომიტევებთ ამ მცირედი, მაგრამ, ჩემი აზრით, აუცილებელი შენიშვნისათვის თქვენც და ბ–ნი ი. წიკლაურიც. 300 არაგველის სადაურობის შესახებ წამოწეული პრობლემა კი თავის პირუთვნელ მკვლევარს დაელოდება, ისეთს, ტენდენციურობის ქსელში რომ არ იქნება გახლართული.

1992

არც ფიქრს მოუკლავს კაცი

ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, ირწმუნებიან...

ან რატომ უნდა მოეკლა, ისეთი რა უნდა დაეშავებინა კაცს ოცნებისთვის?!

მაგრამ მაინც ირონიის ელფერს დაადევნებენ ხოლმე მეოცნებეთ.

ფიქრი სხვაა, თითქოს უფრო ახლოა, თუ მოინდომებ, ლამის ხელითაც წასწვდე...

არა და მთებზე ღრმად და ლამაზად მართლაც არავინ ფიქრობს – შემოიხვევენ ხოლმე ნისლის მანტიას და წვანან და ფიქრობენ და თვლემენ...

ისე, საქმის კეთება სჯობია ერთსაც, მეორესაც და მესამესაც.

მაინც ამეკვიატა ერთი ფიქრი, რომელიც საკუთარი გასაჭირიდან უფრო უნდა მოდიოდეს და თუ სხვათათვისაც საინტერესო იქნებოდა, მით უფრო უპრიანია – გაგიმხილოთ:

„ალ. ორბელიანის საზოგადოება“ სოლიდურ შემოქმედებით ორგანიზაციად ჩამოყალიბდა და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ გარშემო ნიჭიერმა მწერლებმა და მკვლევარებმა მოიყარეს თავი.

ისინი, გარდა „ჩვენი მწერლობისა“, იბეჭდებიან სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემებშიც და, რაც მთავარია, ისტამბება მათი წიგნები.

ამ წიგნებით ავტორთა ერთი ნაწილი ხანდახან გულუხვად ასაჩუქრებს თავიანთ მკითხველებს. ამ მხრივ საზოგადოების მედროშე უფრო გამოირჩევა – თავს მოვა-

ლედ თვლის, მკითხველები თუ მეგობრები თუ თანამოაზ-რეები თავისი ყოველი ახალი წიგნით დაასაჩუქროს.

ჩვენ კითხვაში ნუ ჩამოვრჩებით, თორემ...

ჰოდა, გაფანტულა ამ შემოქმედთა ნააზრევი ქალაქი-სა და ქვეყნის სხვადასხვა მაღაზიებში, ზოგს კი იქაც არ გააქვს.

გიყვარს ავტორი, გაინტერესებს მისი წიგნი, მაგრამ ამ ცხელ გულზე ვერ მიგიგნია, მერე კი ან ჯიბე შემოგაც-ვდება, ან – დრო.

ვეღარც შეკითხვა გაგიბედავს – სად შევიძინოო, ესეც ხომ იგივე თხოვნაა.

ხომ იკრიბებით ორ კვირაში ერთხელ „ჩვენი მწერლო-ბის“ რედაქცია – სალონში და რა იქნებოდა, ყოველ მეორე სამშაბათს, სადმე იქვე გაყიდულიყო ახალი (გნებავთ ძვე-ლიც) წიგნები, თუნდაც მხოლოდ ჟურნალის გარშემო შე-მოკრებილ ავტორთა.

სამშაბათობაზე წასასვლელად მეორე მოტივაციაც გაჩნდებოდა.

ახლა უკვე თამამი მოკრძალებით მიხვალ იქვე მდგომ ავტორთან და მისსავე წიგნზე ავტოგრაფს სთხოვ.

ვფიქრობ, ავტორიც კმაყოფილი იქნებოდა და მკით-ხველიც.

ვფიქრობ, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციას ეს მოჭარბებულ ტვირთად არ დააწვებოდა.

და, რაც მთავარია, გაჩნდებოდა ცოცხალი ურთიერ-თობა მწერალსა და მკითხველს შორის, რომელიც უფრო მჭიდრო ურთიერთობაში შევიდოდა წიგნთან.

ვფიქრობ, რამეთუ არც ფიქრს მოუკლავს კაცი.

არა და, ნისლი თუ მთების ფიქრია, კაცის, კაცთა ფიქ-რი რაღა უნდა იყოს?!

ისევ „იწროს“ შესახებ

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 42–ე ნომერში გამოქვეყნდა ალ. ფოცხიშვილის პუბლიკაცია „ვეძებოთ დიალექტებშიც“, სადაც ავტორი თვლის და სამართლიანადაც, რომ გადაუდებელი საჭიროებაა დიალექტური ლექსიკონები; მით უმეტეს, თუ საქმე ეხება ძველი ქართული ლიტერატურის კვლევას. აღნიშნულმა წერილმა ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა.

ალ. ფოცხიშვილი ეხება ი. ცურტაველის „შუშანიკის წამებიდან“ ამოკვეთილ ერთ ფრაზას: „რამეთუ დედათა ბუნებაი იწრო არს“, რომელიც ახლებურად გაიაზრა მერაბ რობაქიძემ. ორივე ავტორის მოსაზრება, რომ აღნიშნული ფრაზა არ გამოხატავს ქალთა არავითარ საზოგადოებრივ შეზღუდულობას, სწორად და მისაღებად უნდა მვიჩნიოთ.

ჩვენი მიზანია სიტყვა „იწროს“ ერთი დიალექტური მნიშვნელობაც მოგაწოდოთ. ამით, ვიმედოვნებთ, უფრო ცხადი და გასაგები გახდება ზემოთ აღნიშნული გამოთქმაც.

ხევსურულ დიალექტში სიტყვა „იწრო“ დღესაც ზუსტად იმავე მნიშვნელობით ცოცხლობს, რითაც ცურტაველის ეპოქაში. მისი სინონიმი თუ გურულში „სუსტია“, ხევსურულში არის – „ჭიკე“, ხოლო თანამედროვე ქართულში, მოგეხსენებათ – „ვიწრო“. მოცემულ კონტექსტში სიტყვები „სუსტი“ (გურ.) და „იწრო“ (ხევს.) ერთი და იგივე შინაარსის მატარებელია და სათქმელს გადატანითი მნიშვნელობით ნათლად გადმოგვცემენ. თუ გურული ვიწრო ფეხსაცმელზე იტყვის, რომ „სუსტიაო“, ხევსური იტყვის –

„იწროაო“, ან „ჭიკეაო“, „მიჭიკებსო“. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ცურტაველისდროინდელი „იწრო“ არის დღევანდელი „ვიწრო“.

ვფიქრობთ, რომ განხილულ ფრაზაში ქალთა საზოგადოებრივ შეზღუდულობაზე კი არა, რაც არ უნდა უხერხული იყოს ამის თქმა, გონებრივ შეზღუდულობაზე უნდა იყოს ლაპარაკი. ასე, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ იაკობ ცურტაველის, როგორც ავტორის, სიტყვას პირდაპირი და განზოგადებული მნიშვნელობით გავიგებთ. იგივეს ადასტურებს ი. კანტის აღნიშნულ წერილში მოტანილი შეხედულებაც. ეს – რაც შეეხება სოციალურ ასპექტს. მაგრამ არსებობს მეორენაირი მიდგომაც – ფრაზა აღვიქვათ ისე, როგორც ეს ნაწარმოებშია – პერსონაჟის შეხედულებად, ანაც კიდევ – იმავე პერსონაჟის მიერ საჭირო დროს საჭირო მიზანდასახულობით გამოთქმულ მოსაზრებად. ისე კი, შუშანიკისდროინდელ საქართველოში რომ ქალთა გონებისა და მოქმედების ნაყოფს უფრო ნაკლებად ითვალისწინებდნენ, ვიდრე – მამაკაცისას, ეს ამავე ნაწარმოებიდანაც კარგად ჩანს.

სხვათა შორის, ყაზბეგის რაიონის სოფელ ართხმოსთან არის ტოპონიმი „იწრო“, რომელიც ხეობის ყველაზე შევიწროებულ მონაკვეთს აღნიშნავს.

ი. ცურტაველის ზემოთმოტანილი გამოთქმიდან ცხადი ხდება თუ რა მრავალფეროვანია ქართული სიტყვა ფორმით და რა ურყევი – შინაარსით. დღესავით ნათელია ისიც, რომ დიალექტური ლექსიკონების შედგენა და გამოცემა აუცილებელი და საშური საქმეა.

1981 წ.

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com